

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ISSN 1987_7374

კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XVIII

ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტის ალექსი რობაქიძის დაბადებიდან 110-ე
წლისთავს



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017

Papers of Caucasian Ethnology XVIII

Кавказский этнологический сборник XVIII

„კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პერიოდული ორგანოა. სამეცნიერო საზოგადოებას და ეთნოლოგიით დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ კრებულის XVIII გამოშვებას. კრებულში დაბეჭდილი ნაშრომები ეხება კავკასიისა და საქართველოს აქტუალურ ეთნოლოგიურ პრობლემებს. კავკასიის ეთნოლოგიის XVIII კრებული ეძღვნება ისტორიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების დამაარსებლის, ცნობილი მეცნიერის ალექსი რობაქიძის დაბადებიდან 110-ე წლისთავს.

რედაქტორი: **როლანდ თოფჩიშვილი**
რეკვენზენტი: **ნოდარ შოშიტაშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

© თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. შავჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@gmail.com; universal@internet.ge

რედაქტორისაგან

„კავკასიის ეთნოლოგიურ კრებული“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებისა და ამავე უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პერიოდული ორგანოა. მკითხველის წინაშეა რიგითი XVIII კრებული. კრებულში იბეჭდება როგორც კავკასიის, ისე საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

2017 წელს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდებოდა წინამდებარე კრებულის დამაარსებელს, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების დამაარსებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს *ალექსი რობაქიძეს*. ბატონ ალექსი რობაქიძის ხსოვნას ეძღვნება წინამდებარე კრებული და კრებულის პირველი წერილი (ავტორი *რ. თოფჩიშვილი*), რომელშიც მოკლედ მიმოხილულია განსვენებული მეცნიერის სამეცნიერო მემკვიდრეობა. ბატონ ალექსი რობაქიძის სამეცნიერო მემკვიდრეობას ეძღვნება *როზეტა გუჯუჯიანი* ნაშრომი „ალექსი რობაქიძე და სვანეთის ეთნოგრაფიის საკითხები“, რომელშიც ნაჩვენებია მეცნიერის დიდი წვლილი სვანთა ტრადიციული ყოფის შესწავლის საქმეში.

ტრადიციულად კრებული კვლავ ყურადღებას უთმობს ქართულ-ოსური ურთიერთობის პრობლემებს. დაბეჭდილია განსვენებული *ბახვა გამყრელიძის* ვრცელი ნაშრომი „ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პროცესები“, რომელიც მას 1997 წელს დაუწერია. ჩვეულებისამებრ ის მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ნაშრომს მეტ ღირებულებას მატებს ის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ავტორს ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა საზოგადოებაში ჩაუწერია საექსპედიციო საქმიანობისას. კონკრეტულად კი მხედველობაში გვაქვს მონაცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ,

რითაც კვლავ დასტურდება ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მცხოვრები ოსები ავტოქტონებს არ წარმოადგენდნენ და რომ ისინი აქ მიგრირებული იყვნენ.

ოსურ-ქართული ურთიერთობების პრობლემას ძღვენება აგრეთვე *ნათია ჯალაბაძისა და ლაერენტი ჯანიაშვილის* ნაშრომები. ორივე მათგანი ქართველთა და ოსთა თანამედროვე ურთიერთობს ეხება სასაზღვრო ყაზბეგის რაიონში. *ნათია ჯალაბაძისა და ლაერენტი ჯანიაშვილის* თემებს („ინტერეთნიკური ურთიერთობანი სასაზღვრო რეგიონში – საქართველო და ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია“; „გაზიარებული სალოცავი და ტრადიციული დღესასწაული ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე“) გარკვეული თვალსაზრისით არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ირმა კვაშილაგას ნაშრომიც – „ახალი ხევის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება (XX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით)“ ზემოთ დასახელებულ პრობლემას ეძღვნება. საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალებით შესწავლილია ყაზბეგის რაიონში არსებული დემოგრაფიული, ეთნიკური და ეკონომიკური ვითარება.

კრებულში წარმოდგენილია *ნანული აზიკურის* „ყველის წარმოება როგორც კულტურული მემკვიდრეობა (ცხერის გუდის ყველი)“. ტრადიციულ თემაზე ყურადღების შეჩერება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ამ თემასაც გარკვეული პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. თუშეთში შექმნილი ქართული კვებითი კულტურის ეს სახეობა ნამდვილად გაფრთხილებას მოითხოვს, მით უმეტეს დღეს, როდესაც მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანის დიდი საშუალება არსებობს.

კავკასიის ისტორიის სპეციალისტის *მზია ტყავაშვილის* ნაშრომს – „ფლავიუს არიანეს ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხების შესახებ“ – ისტორიის სიღრმეში გადაყვევართ. ისეთი საისტორიო წყარო როგორცაა ფლავიუს არიანე გვიხატავს სურათს შავიზღვისპირეთში განსახლებულ ეთნიკურ ერთეულთა შესახებ. საყურადღებოა, ავტორის დასკვნა, რომ სხვა იმპერიების მსგავსად რომის იმპერიაც ახდენდა ეთნიკურ

ერთობათა თავისი განსახლების არეალიდან სხვაგან გადასახლებას. სწორედ ამითაა ახსნილი ანტიკურ წყაროებში ჰენიოხების შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოხსენიება.

მირიან ხოსიტაშვილის ნაშრომი – „თბილისის საგარეუბნო ზონისა და საქალაქო (ურბანული) აგლომერაციის ურთიერთმიმართების ისტორიული და კულტურულ-სოციალური ასპექტები“ – სათაურიდანაც ჩანს, რომ საინტერესო პრობლემას ეძღვნება. ეთნოლოგები თბილისს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ეს ყურადღება მაინც ეპიზოდური იყო, მით უმეტეს, თბილისის თანამედროვე ყოფის შესახებ. არადა სწორედ ახლაა საჭირო თბილისის თანამედროვე შესწავლა ეთნოლოგიური თვალსაზრით. ასე რომ, მირიან ხოსიტაშვილის კრებულში წარმოდგენილ ნაშრომს სათანადო პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

2017 წელი დიდი *ილია ჭავჭავაძის* საიბილეო თარიღია – მისი დაბადებიდან 180 წელი გავიდა. ილიამ წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართველთა ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის, საქართველოს ეთნოლოგიის მთელ რიგ საკითხებზეც გამოთქვა შეხედულებები, დასახა ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაცია. საამისოდ კი ქართველთა ყოფი-სა და კულტურის დაწვრილებითი შესწავლის პროგრამა დაგვისახა. ამ საკითხს ეძღვნება რ. თოფჩიშვილის ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე და ეთნოლოგია“.

კრებულში წარმოდგენილია ისტორიკოსის *გრიგოლ მარგიანის* მცირე რეცენზია რ. თოფჩიშვილის ნაშრომზე „ლენხუმური გვარსახელები“, რომლის დაბეჭდვა იმიტომ გადაწყდა, რომ წარმოჩენილიყო განსვენებული მეცნიერის ადამიანური და მეცნიერული თვისებები.

როლანდ თოფჩიშვილი

ალექსი რობაქიძე – საქართველოში კავკასიის ეთნოლოგიის კვლევის საფუძველჩამყრელი

2017 წლის 22 ნოემბერს ქართული ეთნოგრაფიული მენიერების შესანიშნავ წარმომადგენელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსი რობაქიძეს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა (1907-1990). ალექსი რობაქიძე იმ ეთნოლოგთა შორისაა, რომლებიც ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან იდგნენ. 1961 წელს მან ისტორიის ინსტიტუტში, რუსულან ხარაძესთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებას.

ალექსი რობაქიძეს მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა რომ არ დაეტოვებინა, ის მაინც დარჩებოდა ქართული ეთნოლოგიის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული და საჭირო მიმართულების შემქმნელი. მან არაერთი კარგი ქართველი კავკასიოლოგი ეთნოლოგი აღუზარდა ქართველ ხალხს. ეს ეთნოლოგები საქართველოში კამერალურ პირობებში არ აღზრდილან. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხეობაში საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში არა მარტო იზრდებოდნენ, ხვეწდნენ თავიანთ მეცნიერულ დონეებს, არამედ მეგობრობისა და კავშირების დიდი ხნის წინ აგებულ ხიდებს ბურჯებს უმაგრებდნენ კავკასიის მრავალფეროვან ეთნიკურ სპექტრთან. ამავე დროს, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიურ კვლევა თვით ქართული კულტურის კვლევის საქმეს ემსახურებოდა, რადგან ეთნიკური კულტურის კვლევა აუცილებელი იყო მეზობელთა მეცნიერული შესწავლით. შეიძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების დაფუძნებაში ბატონ ალექსი რობაქიძეს გარკვეული წინააღმდეგობები ხვდებოდა. დრომ დაამტკიცა, რომ აღნიშნული განყოფილების შექმნა აუცილებელი იყო, შეიძლება ითქვას ცოტა დაგვიანებულიც კი (კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების არსე-

ბობის ფაქტის გონივრულობას წინამდებარე კრებულში დაბეჭდილი მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფის ბახვა გამყრელიძის 1997 წელს დაწერილი ვრცელი ნაშრომიც ადასტურებს, რომელიც ოსებისადმი მიძღვნილი და რომლის მეცნიერულ ღირებულებას სწორედ ის მასალა წარმოადგენს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაშია შეკრებილი). ალექსი რობაქიძის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიციები არა მარტო საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, არამედ დაღესტანსა და ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ადიღესა და ყაბარდო-ბალყარეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ასე რომ, მეცნიერის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი სფერო ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების პრობლემის კვლევა იყო. წინამდებარე „კავკასიის ეთნოლოგიური კრებულიც“ ბატონ ალექსი რობაქიძის დაარსებულია.

ამ სტრიქონების ავტორი ბატონ ალექსი რობაქიძის მოსწავლე არ ყოფილა, მაგრამ მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არასოდეს დაავიწყდება. ისტორიის ინსტიტუტში ჩვენი მისვლის პერიოდში ეთნოლოგთა შორის მთლად კოლეგიალური ურთიერთობა არ იყო. ზოგჯერ ეს ურთიერთობა ნორმალური ადამიანური ურთიერთობის ჩა-რჩოვასაც სცილდებოდა, მაგრამ ბატონი ალექსი რობაქიძე ამ თვალსაზრისით ყოველთვის მოწოდების სიმადლეზე იდგა. მისთვის ცუდი ან არასასურველი კოლეგები არ არსებობდნენ და არც არასდროს არავის სამაგიეროს არ უხდიდა, მათ შორის იმათაც, ვისზედაც ამაგი ჰქონდა და შემდეგ გვერდზე გაუდგნენ და სიკეთე დაუვიწყეს.

ხემოთ აღინიშნა ბატონ ალექსი რობაქიძის, როგორც ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი ორგანიზატორის – კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების შემქმნელის ღვაწლის შესახებ. უფრო მეტი: სამეცნიერო ეთნოლოგიური უჯრედი მან ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც შექმნა. მანვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნა სამეცნიერო-საკორდინაციო ცენტრი, რომელიც სოციალურ-კულტურულ ტრადიციებს სწავლობდა. მართალია, ამ ცენტრის შექმნა განპირობებული იყო ე. წ. „მანვე ტრადიციებისა და გადმონაშთების დაძლევის“

მიზნით, მაგრამ აბა თვალი გადავაველოთ, „ტრადიციისა და თანამედროვეობის“ რუბრიკით გამოცემულ შედარებით მცირე მოცულობის წიგნებს, რომელთა შორის ძალიან მრავლადაა ქართული ეთნიკური ტრადიციების წარმომჩენი გამოკვლევები.

არ გვინდა გაუთვითცნობიერებელ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ბატონი ალექსი რობაქიძე მხოლოდ კავკასიოლოგიაში მოღვაწეობდა – მას მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ქართული ეთნიკური კულტურის პრობლემებზე. ალექსი რობაქიძის ინტერესის სფერო ზოგადი ეთნოლოგიის პრობლემებიც იყო. საამისოდ კი მისი ნაშრომი შეიძლება დავასახელოთ, რომელიც ტერმინ – „ეთნოგრაფიულ ჯგუფს“ ეხება. ალექსი რობაქიძე ეთნოლოგიას მხოლოდ წარსულის შემსწავლელ მეცნიერებად არ მიიხნევდა და ის აუცილებლად თვლიდა ეთნოლოგიური მეცნიერების თანამედროვეობის ინტერესებში ჩაყენებას. ახალი ყოფის შესწავლის პრობლემებზე მოსკოვში გამომავალ ეთნოლოგიურ ჟურნალში სპეციალური ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული (1952).

ალექსი რობაქიძე მხოლოდ ეთნოლოგიის ერთ რომელიმე მიმართულებას არ სწავლობდა – მისი ინტერესების არეში ამ მეცნიერების ყველა სფერო შედიოდა. მისი როგორც ეთნოლოგის პირველი ნაშრომები ნადირობის, მეფუტკრეობის ტრადიციების შესაწავლას მიეძღვნა. შეიძლება საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის ეს არაფრის მთქმელი იყოს, მაგრამ ქართველ ხალხს ხომ ყოფის არცერთი სფერო არ დარჩა, თავისი შრომისა და გონების ნამოქმედარი შთამომავლობისათვის რომ არ დაეტოვებინა. ამ პრობლემებს მან მონოგრაფიული გამოკვლევები მიუძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ ნაშრომებს არა მხოლოდ წმინდა სამეცნიერო ღირებულება აქვს, არამედ პრაქტიკულიც, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ქართული მეფუტკრეობის აღორძინება მიმდინარეობს, რომელმაც ქვეყანას მატერიალურ მონაპოვართან ერთად, სახელიც შეიძლება მოუპოვოს. წარმატებაზე მეოცნებე მეფუტკრემ აუცილებლად ბატონ ალექსი რობაქიძის გამოკვლევებითაც უნდა ისარგებლოს. აგრეთვე

მეფუტკრეობა არა მარტო თაფლს იძლეოდა, არამედ მის ერთ-ერთ პროდუქტი - ცვილი გამოიყენებოდა სანთლის წარმოებასა და ხელოსნობისა და მეურნეობის დარგებში. ხაზი აქვს გასმული, რომ მეფუტკრეობა ქართველთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო იყო.

მონადირეობის შესწავლით გაირკვა ქართველთა მონადირეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, კოლექტიური ნადირობის ხერხები და საშუალებანი და მეურნეობის ამ დამხმარე დარგთან დაკავშირებული სხვადასხვა კულტურული მონაპოვრები.

ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ბრძოლაში იყო ჩაბმული. მებრძოლისათვის კი ყველაზე კარგი მოსამზადებელი საშუალება სპორტული თამაშები იყო. საამისოდ კი ქართველებმა ხალხური სპორტის არაერთი სახეობა შექმნეს, მათ შორისაა ცხენბურთიც. ალექსი რობაქიძემ ცხენბურთისა ც უძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევა და მის საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებაზე მიუთითებდა.

ალექსი რობაქიძეს ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის შესწავლა მხოლოდ მონადირეობისა და მეფუტკრეობის შესწავლით არ შემოუფარგლავს. ის შეეხო მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მელვინეობის საკითხებსაც. მეცნიერმა სვანთა სამეურნეო ყოფას ცალკე წიგნი მიუძღვნა რუსულ ენაზე.

მნიშვნელოვანია ალექსი რობაქიძის სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების მატერიალურ კულტურას ეხება. ის განსაკუთრებით დასტრიალებდა თავს საქართველოსა და კავკასიის მთიელთა დასახლებების ფორმებსა და საცხოვრებელ ნაგებობებს; მოგვცა ქართულ მთური საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ჩამოყალიბებული სქემა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქცენტები სვანეთისადმი ჰქონდა გამახვილებული.

მკვლევარის ინტერესების სფეროში ფართოდ შედიოდა სოციალური ურთიერთობების შესწავლაც. ამ პრობლემათა ცი ის უმეტეს შემთხვევაში ქართველი და ჩრდი-

ლოეთ კავკასიელი მთიელების სოციალური ყოფის საკითხებს ურთიერთმიმართებაში სწავლობდა. საზოგადოებრივ ყოფას განიხილავდა დასახლების ფორმების ჭრილში. ბალყარუი დასახლების ფორმების შესწავლისას საყურადღებო პარაღლები გამოავლინა სვანურ ყოფასთან. გაარკვია, რომ ზოგიერთ ბალყარულ გვარს ქართული წარმომავლობა ჰქონდა. ამით ხსნიდა ზოგიერთ ეთნოგრაფიულ პარაღლებს, რომელიც სვანეთსა და ბალყარეთში არსებობდა. სოციალური ურთიერთობების ისეთი საკითხი, როგორცაა გვარის დანაყოფები (პატრონიმია) შეისწავლა მთიულეთში; გამოავლინა ამ სოციალური ერთეულის ადგილობრივი ტერმინი „კომობა“. გაარკვია, რომ პატრონიმია იყო ნათესაური გაერთიანება, რომელიც დიდი ოჯახის სეგმენტაციის გზით იყო წარმოქმნილი.

ალექსი რობაქიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „კავკასიური მთური ფეოდალიზმის“ შესახებ (ზ. ანხაბაძესთან ერთად). მართალია, დღეს მთურ ფეოდალიზმს ბევრი მეცნიერი არ იზიარებს, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ის, რომ საბჭოთა მეცნიერება საზოგადოების განვითარების საკითხების კვლევაში განსაკუთრებულ სქემებსა და ჩარჩოებში იჯდა. სოციალურ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთაგან კი მაშინ ამ სქემებს თავს ფაქტობრივად ვერავინ ვერ აღწევდა.

ალექსი რობაქიძეს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საკითხები მართალია საგანგებოდ არ უკვლევია, მაგრამ რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს ის მეურნეობის ფორმებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ეხებოდა. მაგალითად მეფუტკრეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და რიტუალები შეიძლება გავიხსენოთ.

ზემთ ვახსენეთ ალექსი რობაქიძის განსაკუთრებული ინტერესი სვანეთის მიმართ. მეცნიერის ყურადღებას ასევე იქცევდა აჭარა. მისი ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებული ბათუმის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების პრობლემატიკა, განყოფილებას კი თითქმის ოცი წელი ხელმძღვანელობდა. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები აჭარის დასახლების ფორმების, საცხოვრებელი და

სამეურნეო ნაგებობების, სოციალური ურთიერთობების შესახებ. ალექსი რობაქიძემ აჭარის დასახლების ფორმის ორიგინალურობა აღნიშნა და მას „სერისპირული“ უწოდა, რადგან საკარმიდამოს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი სერების გასწვრივ არის განლაგებული. ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აჭარის სოფლისა და უბნის სახელი ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ გვარის სახელს ატარებდა, მაგრამ ეს მონოგენურობა მხოლოდ მათი შექმნის მომენტისათვის იყო დამახასიათებელი, რადგან ის დიდი ხნის დარღვეული იყო ხელოვნური დანათესაებისა და ზესიძეობის ინსტიტუტის შედეგად (ზესიძე ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, აქაც სიმამრის ქონების მიღების გამო, მის გვარს იღებდა). მეცნიერი აჭარაში და აჭარიდან სხვადასხვა გვარების მიგრაციის საკითხსაც შეეხო. გარკვეია, რომ აჭარელთა ნათესაობის სისტემა, მიუხედავად მათ შორის ისლამის გავრცელებისა, ზოგადქართული იყო. გაარკვეია, რომ აჭარელთა პატრონიმიული ორგანიზაცია ანალოგიური იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ნათესაური ერთეულებისა. თუმცა აჭარული ოჯახი უფრო განვითარებულ საფეხურს წარმოადგენდა, ვიდრე საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იმ ფაქტის დაფიქსირება იყო, რომ ოსმალეთის იმპერიაში შესვლის მიუხედავად, აჭარას არ შეუწყვეტია საქართველოს სხვა მხარეებთან შიდა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, რაც ძველი ქართული ყოფის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახლდათ. ამიტომ მნიშვნელოვანია ალექსი რობაქიძის დასკვნა: აჭარაში არ არის კულტურისა და ყოფის არცერთი სფერო, რომელიც არ გვაძლევდეს დამაჯერებელ საბუთს საქართველოს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობისა ქართველი ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების პროცესში“.

ალექსი რობაქიძემ წიგნი მიუძღვნა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიას XIX საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის 80-იან წლებამდე, რომელშიც სათანადოდ შეფასა ყველა მეცნიერის ღვაწლი მეცნიერების ამ დარგში. ის არის

მთელი რიგი მონაკვეთების ავტორი სსრკ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ფუნდამენტალური წიგნისა «Народы Кавказа», т. II. (1962). გარკვეული ამაგი დასდო XIX-XX საუკუნეების მთელი რიგი ავტორების გამოცემის საქმეს, რომლებიც საქართველოში ეთნოლოგიური მეცნიერების სათავეებთან იდგნენ და რომელთა წერილები და სტატიები პერიოდულ ორგანოებში იყო გამოქვეყნებული. ამ მხრივ სანიმუშოა ბატონი ალექსის მიერ გამოცემული თავისუფალი სვანის (ბესარიონ ნიჟარაძის) ორტომეული.

ზემოთ აღინიშნა, რომ ალექსი რობაქიძემ ისტორიის ინსტიტუტში ცნობილ ეთნოლოგთან რუსუდან ხარაძესთან ერთად შექმნა კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება. რუსუდან ხარაძე იყო რა მისი თანამოაზრე, მათ თანაავტორობით რამდენიმე ნაშრომიც აქვთ გამოქვეყნებული. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მონოგრაფია „სვანეთის სოფელი ძველად“ (1964) და სხვა გამოკვლევები.

ალექსი რობაქიძეს მნიშვნელოვნად მიაწინადა აფხაზეთის ეთნოლოგიის კვლევა, ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელების გამოვლენა, რის გამოც დაგეგმა და განახორციელა აფხაზი და ქართველი ეთნოლოგების ერთობლივი ექსპედიციები (1983-1988).

ალექსი რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შექმნაში. მანვე აღზარდა არერთი ეთნოლოგი, რომლებიც ღირსეული მასწავლებლის დამფასებელი არიან. ბევრმა მათგანმა სათანადოდ დააფასა მასწავლებელი, რომლის შემოქმედებასაც პუბლიკაციები უძღვნეს (ნანული ჯავახაძე, ბახვა გამყრელიძე, ნუგზარ მგელაძე, სალომე ბახია-ოქრუაშვილი, გულდამ ჩიქოვანი, ღია მელიქიშვილი...). აღსანიშნავია აგრეთვე ნოდარ კახიძისა და ვახტანგ შამილაძის წერილები. ალექსი რობაქიძის მოწაფეების მიერ შესანიშნავი მასწავლებლის მიერ შექმნილი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოწვლილვით შესწავლამ გაგვათავისუფლა იმისაგან, რომ უფრო ფართოდ შევხებოდით იმ ნაღვაწს, რომელიც მან ქართული ეთნოლოგიის სფეროში დაგვიტოვა.

ნანული აზიკური

ყველის წარმოება როგორც კულტურული მემკვიდრეობა (ცხვრის გუდის ყველი)

ნოციური და ნაყოფიერი ალპიური და სუბალპიური მდელოები, ზომიერი კლიმატის საზამთრო საძოვრები ქმნიდა კარგ ნიადაგს საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისათვის. და, მართლაც, მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა მემინდვრეობასა და მევენახეობასთან სიმბიოზში წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროს. ამითაა შეპირობებული ის, რომ საუკუნეთა სიღრმეებიდან მომდინარე ეს დარგი (მეცხოველეობა) დღემდე თითქმის უცვლელად ინახავს ძველთაძველ ტრადიციას.

მეცხოველეობის პროდუქტებიდან წამყვანი ადგილი მერძევეობას უჭირავს. რძის პროდუქტებიდან უმნიშვნელოვანესი კი ყველია. საქართველოში ყველი მზადდებოდა და მზადდება ძროხის, კამეჩის, თხის და ცხვრის რძისგან. ამათგან სასაქონლო მნიშვნელობა ტრადიციულ მეურნეობაში ძროხის და ცხვრის ყველს ჰქონდა მოპოვებული. ცხვრის ყველი მთელს აღმოსავლეთ საქართველოში მზადდებოდა და ცნობილი იყო „თუშური გუდის ყველის“ სახელწოდებით. სპეციალისტების მტკიცებით, მას როგორც საკვებ პროდუქტს, კავკასიაში წარმოებულ ყველებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

საქართველოს ყველა კუთხის ყველის ტექნოლოგია თავისებურად გამორჩეულია. საგანგებო აღნიშვნის ღირსია თუშური ცხვრის გუდის ყველი, კახური, ფშავ-ხევსურული და თუშური ძროხის გუდის ყველი, სამცხე-ჯავახური ჩეჩილი, ტენილი..., აჭარული ყველის სახეობები, იმერული, აჭარული და მეგრული სულგუნი, ანუ გადახარშულ-გადახედილი ყველი, რომელიც მზადდება ძროხის და კამეჩის რძისაგან, ყველა ეს სახეობა ძველი ქარ-

თული კვებითი კულტურის მონაპოვარია (თოფჩიშვილი 2012: 26-44).

ძველთაგან კავკასიაში ცხერის რძისაგან მზადდებოდა ნაირ-ნაირი სახის ყველი. ეს სახეობები ადგილისა და დამზადების წესის მიხედვით შემდეგნაირად იწოდებოდა: თუშური, შიხილინური, ოსური, ბაქოური, კიურინული, ლეზგიური, ყარაბაღული, დრალაგეზური, ვოლოკანური და სხვა. ამათგან, ცხერის რძისგან დამზადებულ ყველებს შორის უპირატესობა ეძლეოდა თუშურსა და ოსურს (Шадинов 1896). ადრე თუშურ გუდის ყველს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეები (Цискаров 1843; Динник 1893; აზიკური 1989). მისი წარმოება მეურნეს დიდ შემოსავალს აძლევდა („დროება" 1875). თუშურმა ყველმა XIX ს-ის II ნახევრიდან სასაქონლო ღირებულება შეიძინა და მაღალი ცხიმოანობით, თხელი ქერქითა და არომატიტ გამორჩეულ ამ ყველზე ადგილობრივ ბაზარზე დიდი მოთხოვნა იყო მაშინაც კი, როცა მის გვერდით იყიდებოდა ევროპული წესით დამზადებული ყველები (Калантар 1901), ყველი გაყიდვისა და საჭირო პროდუქტებზე გაცვლის კარგი საშუალება იყო. თუშები ყველს ჰყიდიდნენ ალავერდის დღესასწაულზე (განდევილი 1895; „ივერია" 1900), გურჯაანის, ველისციხის, ბოდბისხევის, თელავისა და თბილისის (ანნ, თავი I, 1892); აგრეთვე რუსეთის დიდი ქალაქების (Сапаров 1893, პეტრიაშვილი 1898; მელიქიშვილი 1922-23; თოფურია 1964; თოფურია 1972; თოფურია 1975; ცაგარეიშვილი 1978) ბაზრებში. მოგვიანებით ყველი და ცხერის სხვა პროდუქტები გადამყიდველი ვაჭრების ხელში ჩაგარდა (Скотоводство 1893). თუმცა განჩნდა ტენდენცია, რომ ეს საქმე თვითონვე ითავონ (გელოვანი 1913).

XIX საუკუნის ბოლოს ხალხური წესით დამზადებული გუდის ყველის ტექნოლოგია სპეციალისტთა შესწავლის ობიექტი გახდა (Пятая 1896).

საქართველოში რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია საკმაოდ კარგადაა შესწავლილი (Сапаров 1893; პეტრიაშვილი 1898; მელიქიშვილი 1922-23; თოფურია 1964;

თოფურია 1972; თოფურია 1975; ცაგარეიშვილი 1978). მათ შორის გუდის ყველის ტექნოლოგიაც არ დარჩენილა მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღების გარეშე. მის შესახებ ფრაგმენტული ცნობები გაბნეულია ქართულ (ბუქურაული 1897; მურთაზაშვილი 1916) და რუსულ (Цискаров 1849; Пятая 1896; Весь Кавказ 1903) პერიოდულ გამოცემებში. ამ სახის ყველის ტექნოლოგიაზე საინტერესო წერილები, ჩანაწერები და ნაშრომები აქვთ ა. საფაროვს (Сапаров 1893); გ. ბოჭორიძეს (ბოჭორიძე 1993); ს. მაკალათიას (მაკალათია 1933), მ. გიგოიძეს (გიგოიძე 1955), ნ. ჯიქიას (ჯიქია 1967) და ნ. თოფურიას (თოფურია 1972), რომელიც გავითვალისწინეთ საკითხზე მუშაობის დროს. ასევე გამოვიყენეთ ჩვენს მიერ ველზე, მეცხვარეებთან ჩაწერილი და უშუალო დაკვირვების გზით მიღებული ცოდნა და მასალები, რაც ძირითად საფუძველად დაედო ნაშრომს.

ქართული ტრადიციული წესით დამზადებული იმ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ყველებიდან ამჟამად ჩვენ შევჩერდებით ერთ-ერთ გამორჩეულსა და საინტერესო სახეობაზე – ცხვრის რძისგან დამზადებული გუდის ყველის – „თუშური ყველის“ ტექნოლოგიაზე, რომელიც ქართველი მეცხვარეების ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად ითვლება. ცხვრის წველის რეჟიმი და ძოვების პროცესი ისე პრაქტიკულადაა გადანაწილებული და იმდენად სრულყოფილია, რომ ყველის წარმოების უძველეს წესრიგს დღესაც უცვლელად იყენებენ თუშები, რომლებიც „მთელს საქართველოში საუკეთესო მეცხვარეებად ითვლებიან“ და „მთელს საქართველოში განთქმულ „თუშურ ყველს“ ამზადებენ“ (ჩიტაია 2001 IV, 243).

ისევე როგორც ევროპაში (Vakarelski 1969), საქართველოშიც ცხვრის ყველი მზადდება ღალამოუხდელი რძისაგან. მას ამზადებდნენ თუში, ფშაველი, მოხვეე და ქიზიყელი მეცხვარეები. აქედან დიდი ნაწილი თუშებზე მოდიოდა. თუშეთსა და ფშავეში ცხვარს სწველიან და ყველს ამზადებენ მხოლოდ მამაკაცები. ხევში ცხვარს ქალები ქალის მოვალეობას შეადგენდა რძის დამუშავე-

ბა სლოვაკიაშიც (Podolak 1979)] სწველიან და შეძლებული მეცხვარეები ამისათვის ქალებს საგანგებოდ ქირაობდნენ (მაკალათია 1934: 8,11,70). განსხვავებით საქართველოს სხვა რეგიონებისაგან, მოხევე მწვემსები ყველს დაღამოხდილი რძისგან ამზადებდნენ. მოხდილი დაღისგან კი ერბოს აკეთებდნენ (მაკალათია 1934: 70, 71).

ამჟამად გუდის ყველს ცხვრის რძისგან ძირითადად ისევ თუშები, ნაწილობრივ კახელი მწვემსებიც ამზადებენ. თუშეთის რეგიონს სათანადო პარალელური სამეურნეო ბაზები – საზამთრო და საზაფხულო საძოვრები – ოდითგანვე საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდა. თუშების ნაწილს და სხვა რეგიონებს ცხვარი საზამთროდ გაჰყავდათ საქართველოს საზღვრებს გარეთ – შირვანსა და ყიზლარში. დღეს მათ ამის შესაძლებლობა არა აქვთ და შესაბამისად ცხვრის რაოდენობაც საგრძნობლად შემცირდა, მცირე ნოტობადაა (ფარის მცირე ნაწილი) ინახავენ საოჯახო საჭიროებისათვის და შესაბამისად ვედარც ყველს აწარმოებენ. ამ ბოლო დროს ქვემო ქართლში დაიწვეს სვანეთიდან ჩამოსახლებულმა ეკომიგრანტებმა ცხვრის მასშტაბების გაზრდა, რამდენსაც ქვემო ქართლის საზამთრო და თრიალეთის საზაფხულო საძოვრები აიტანს. მათ გვერდით არიან საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ სამატყლე და სახორცე დანიშნულებით ამრავლებენ საქონელს. ძველად, XIX ს-ის შუა წლებიდან, როცა თუშებმა ცხვრის მასშტაბები გაზარდეს, მათ თავისი საძოვრები არა ჰყოფნიდათ და გადიოდნენ საზამთროდ თავისი შირაქის გარდა, ყიზლარის (რუსეთი) და შირვანის (აზერბაიჯანი) საზამთრო საძოვრებზე; ზაფხულობით კი – თრიალეთსა და ართვინ-არდაგანის მთებში, ფოცხოვსა და ყარსის ოლქში (Садовский 1886; ესაძე 1913). თუში მწვემსები თურქეთის საზაფხულო საძოვრებზე დადიოდნენ 1930-იან წლებამდე (1921 წელს დადებული ყარსის ხელშეკრულების (მუხლი 7 და 8) თანახმად (ენციკლოპედია 10, 1986) მწვემსებს საზღვრებზე გზა ხსნილი ჰქონდათ. საკმარისი იყო მწვემსის პირადობის დამადასტურებელი

მცირე ზომის ქაღალდი ეხვეწებიან. რესპუბლიკებისა და სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებით ეს საქმე მარტივად იყო მოგვარებული. 1930-იან წლების შემდეგ კი მხოლოდ ყიზლარსა და შირვანში მიდიოდნენ საზამთროდ, XX ს-ის ბოლოს ეს გზაც მოჭრილი აღმოჩნდა და საყოველთაო არეულობის გამო ცხვარიც უკვე შემცირდა. ამჟამად თუში მწვემსების მოძრაობის ამპლიტუდა საქართველოს საზღვრებში მყოფი საზამთრო (შირაქი) და საზაფხულო (თუშეთის მთები) საძოვრებით განისაზღვრება. ამიტომ ცხვრის სულადობა მკვეთრადაა შემცირებული. ცხვრის მოვლა-მოშენებისა და პროდუქტის წარმოების ტრადიცია კი მტკიცედ ურყევი და „მამა-პაპურია“.

დიდი ოდენობით, როგორც ძველად ვერა, მაგრამ თუშები ყველს ისევ ამზადებენ თუშეთის ღალიან, საზაფხულო საძოვრებზე.

ცხვარს სწველიან 2,5 თვეს – იენისში, ივლისში და აგვისტოს პირველ ნახევარში. ამ ხნის განმავლობაში თითო ცხვირიდან იღებენ საშუალოდ 4-5 კგ ყველს. ცხვრის რძე ღალიანია და 4 კგ რძისგან 1 კგ ყველი ამოდის, მაშინ, როცა 1 კგ ძროხის ყველის მისაღებად 9 კგ რძეა საჭირო.

ყველს აკეთებს საგანგებოდ შერჩეული, დიდი ხალხური ცოდნისა და გამოცდილების მქონე „კოდის დედა“-//„ყველის დედა“, იგივე „სარქალი“, იგივე „მეყველე“. სარქალმა ყველის ამოყვანის ყველა ნიუანსი კარგად იცის და თავის სამუშაო დროსაც ისე ანაწილებს, რომ არაფერი გამორჩეს. რძის ტემპერატურისა და დვრიტის რაოდენობის საზომ-საწონი საშუალებები მას არა აქვს. მხოლოდ საკუთარ ალღოსა და გამოცდილებას, პირად შეგრძნებებს ენდობა და ისე მოქმედებს. ეს საქმე დიდ ოსტატობას მოითხოვს და კარგი ყველის მკეთებელს დიდი სახელი აქვს, იგი მწვემსებს შორის გამორჩეულია და დაფასებული. მას სხვა მწვემსებთან შედარებით გასამრჯელოც მეტი ეძლევა, რადგან მის „კარგ ხელზეა“ მთელი ზაფხულის შემოსავალი დამოკიდებული.

სარქლის მოვალეობაა საყველუ ჭურჭლის მომზადება, გუდის დამუშავება, კოდის დადგმა, ღვრიტის მომზადება, ყველის ამოყვანა, მისი მოვლა და რძე-წველასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა. სანამ საწველი ფარა საწველი ბაკის კარზე მოდგება, სარქალი რძის შესადეღებელ კოდს დგამს, გულებს ამზადებს, წინა დღეებში ამოყვანილ ყველიან გულებს უვლის.

გუდად რომ გამოდგეს, ცხვარს უკანა ფეხების ჩაჭრით, მუცელზე აუჭრელად და მთლიანად, ანუ „გულურად ატყავებენ“. ახალ გატყავებულ ტყავს გუდად არ იყენებენ, ის გამშრალი უნდა იყოს. ახალ ტყავს ჯერ „სართხამზე“- ორტოტა ხეზე გადაჭიმვით გააშრობენ, „გამოიყვანენ“. გამოიყვანების დროს კი სარქალი მას წინა დღესვე ჩააღბობს წყალში ან შრატში. შემდეგ გაკრეჭავს ისე, რომ ბეწვი ტყავზე ერთ სმ-მდე სიმაღლის დარჩეს. კისრის ადგილს კანაფით მაგრად შეუკრავს. მუცელზე – ჭიპლარის ადგილს „ხარატულს“ – არყის ხისგან გამოთლილ კოჭაკს, იგივე „პოლორჭიკს“, – გამოაკრავს, ტყავს გამოაბრუნებს ისე, რომ ბეწვიანი პირი შიგნით მოექცეს. გაბერავს და თუ სადმე გახერეტილია და ჰაერი გადის, იქაც ხარატულს გამოაკრავს. ამის შემდეგ გუდა უკვე მზადაა ყველის თაყვების ჩასაღებლად.

კარგი ყველის მისაღებად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა რძეს შეუნარჩუნონ გამოწველისას გამოყოფილი ტემპერატურა. ბუნებრივი ტემპერატურის შენარჩუნება აისახება ყველის ხარისხზე. უკვე გაცივებულ ან შეცივებულ რძეში ჩაშვებული კვეთი რძეს კი აღედებს, მაგრამ ამოდების შემდეგ ყველი კარგად ვერ გაფუვდება, თვალს ვერ გაიკეთებს. ასეთ ყველს „დელამაში გაცივებულს“ ეძახიან, მას მყიდველი ერიდება, გემოც არა აქვს სათანადო. ხარისხიანი ყველი კარგად გაფუვებული და თვლიანი უნდა იყოს, თვლებიდან ცხიმი უნდა გამოსჭვიოდეს. თვლები არც ისე დიდი უნდა იყოს, როგორც ძროხის ყველს აქვს. საწველად იყენებენ ხის პატარა კასრებს, რაც ასევე სითბოს დამჭერია. ამასთან მოსაწველად არჩევენ შუადღეს, როცა ცხელა, რაც ასევე ხელშემწყობი პი-

რობაა რძის ტემპერატურის შესანარჩუნებლად. ცხვარი დიდიდანვე საძოვარზეა გაშვებული. შუადღეს კი სიცხისგან ვეღარა სძოვს. დამცხარი ეყრება კლდეებისა და ხეების ჩრდილებში. მოსაწველად მწყემსები სწორედ ამ დროს იყენებენ. წველის დროს დღე ისე არის განაწილებული, რომ ცხვარმა ჭამა ორჯერ მოასწროს და მაძღარმა მშვიდად და კარგად დაისვენოს ღამის სადგომზე. ე.ი. შუადღეს წველა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ რძემ სითბო არ დაკარგოს. შუადღეს ცხვარს საწველ ბაკთან მიაყენებენ და ერთი საათი გააჩერებენ. ამ ხნის განმავლობაში ცხვარი ისვენებს და რძეს იყენებს. ამასობაში მწყემსები საჭმელს მიირთმევენ. შემდეგ შერეავენ საწველ ბაკში, სადაც ცხვარი მჭიდროდ დგას და მოსაწველად მისი დაჭერა ადვილია. დაიწყებენ წველას და წველიან სამი საათის განმავლობაში. რძეს წველიან ხის, 4-5 ლიტრიან, კასრებში და ისე სწრაფად, რომ ნაკადებად კასრში ჩაჩხრიალებული რძე ქაფდება. ქაფის ეს ფენაც თავისებურად სითბოდამჭერია. სწრაფად მოწველილ რძეს ასევე სწრაფად ასხამენ იქვე, საწველი ბაკის პირში მდგარ კოდში. ცხვარს წველიან უკანა ფეხებთან შეჯდომით და ორივე ხელის ცურზე ღონიერი მოჭერით [ძველ თუშურ ფოტოებზე მინახავს – სრულიად ახალგაზრდა მამაკაცებს ჯაფისაგან დაბერებული, ასაკოვანი კაცის, უზარმაზარი, კვერებივით ხელები (მუშტები) ულაგიათ მუხლებზე. ასეთი ხელები ცხოვრებაშიც მინახავს მწყემსებთან მუშაობისას. ეს მათი დიდი ჯაფის, ძირითადად კი ცხვრის წველის შედეგია. უფრო მეტად გაუოცებივარ ასეთ ხელებს, მათთვის შეუსაბამო დაუჯერებელი სინაზის ღრმა ხვეულებიანი პანგები რომ გამოჰყავთ ფანდურის წვრილ სიმებზე].

ამისათვის მკლავმაგარი მწყემსებია საჭირო, რადგან ცხვრის ცური საკმაოდ მაგარია და მისგან რძის გამოწველა დიდ ძალას ითხოვს. დასაწყისში თითო მწველაევი კასრს 4-5 წუთში ავსებს და სწრაფადვე ასხამს კოდში. 600-700 სულ საწველს წველის 7-8 მწველაევი. საათნახევრიანი წველის შემდეგ სარქალი რძიან კოდს მიხედავს, მწველაევი კი „ჩხენტზე გადადიან“, ანუ კიდევ ერთხელ

იჭერენ სათითაო ცხვარს, ცალი ხელით ჯიქანს იკავენებენ, მეორეთი კი სათითაო ძუძუს ჩამოჩხენტავენ – ბოლომდე გამოწველიან შიგ დარჩენილ რძეს. ბოლოს ცხვარს “ბერაში გაატარებენ” – მწყემსები ბაკის ბოლოში ერთიმეორის გვერდით გამწკრივდებიან და ყველა ცხვარს კიდევ ერთხელ „ხელზე გაატარებენ“, რათა ბოლომდის გამოუწველა იყოს არ დარჩეს რომელიმე. ერთი-ორი შემთხვევა და გამოუჩხენტავი ცხვარი გაშრება. ამ დროს ჩამოწველილი ისედაც ცოტა რძე კასრშივე ცივდება და მას კოდში აღარ ასხამენ, საბინაო საჭიროებისათვის იყენებენ – ადულებენ და მაწონს – „წველას“ ამზადებენ. ეს მათთვის ყოველდღიური კვების პროდუქტია.

საწველი ბაკიდან გამოშვებული, წველისგან დაღლილი და დამშეული ცხვრის ფარა ძალუმი ძონით მიუყვება გზას ღამის საბინაოსკენ და იქ მისვლამდე გვარიანად „აიღებს ვახშამს“. ისე, რომ შუადღისას მოწველილი ცხვარი დღეში ორჯერ – დილას და საღამოს ასწრებს გაძღომას და წველა იმდენად ვერ ტეხავს. თუ დილით მოწველიან ცხვარს, მწყემსებისათვის კი სიგრილეში შრომა შეღავათი იქნება ასეთი მძიმე სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ საქმისათვის, ყველის ხარისხისათვის არ ვარგა. რაც არ უნდა ადრიან დაიწვიონ წველა, ცხვარი სამი საათი მაინც უნდა იდგეს საწველ ბაკში, ის დილის „სადილს ვერ იღებს“. ამ დროს გასვლის შემდეგ უკვე ცხება, ცხვარი ვერ ძოვს საღამომდე, აგრილებამდე მშვიერი რჩება და მალე შრება. დილით მოწველისას საჭირო რაოდენობის რძესაც ვერ გამოიღებს. ისე, რომ შუადღეს მოწველა თუში მეცხვარეების ხანგრძლივი გამოცდილების და დაკვირვების შედეგია. ისინი საწველად იყენებენ დღის იმ მონაკვეთს, როდესაც სიცხისგან გათანგული ცხვარი ისედაც ჩრდილებს ეძებს და უმოქმედოა.

საწველი ბაკის პირში (ახლოს) დგას წინასწარ კარგად მოთბუნებული საყველე კოდი. იგი უზარმაზარი ხის მთლიანი ტანისგან გაკეთებული 300 ლიტრამდე ტევადობის დიდი კასრია. კოდის დასადგმელ ადგილას მიწა ცოტაზე ამოთხილია, ძირში დაგებულია არყის ხის წვრილი

ფინხები, იმის ზემოდან გამხმარი ბალახის ფენაა და ზედ კი ორ-სამკეცად დაკეცილი ნაბადია დაგებული. ამ ნაბაღ-ზეა დადგმული კოდი და კოდზეც ნაბდებია შემოკრული. კარგად არის დათბუნებული ისე, რომ შიგ ჩასხმულმა რძემ მაქსიმალურად შეინარჩუნოს ის ტემპერატურა, რაც გამოწველისას ჰქონდა. კოდის პირზე მოწყობილია რძის „საწურავი“ – კოდს გადაკრული აქვს მტკიცე ტილოს ნაჭერი, ზემოდან დადგმულია „საწურავის კათხა“ – ცაცხვის ხის კანისგან შეკრული მაღალი რკალი შიგ ჯვარედინად გაყრილი ჯოხებით. კათხაში სქლად ჩაფენილია „საწურავის ბალახი“ – ჯინჭრის დედა, ჭინჭარი ან მაღალი ქუჩი, ე.წ. „წურულა ბალახი“. როცა მწველაი რძეს ჩაასხამს კათხაში, საწურავის ბალახი მსხვილ ნაგავს და ცხვრის ბეწვებს აკაეებს, შემდეგ კი ტილოს ფენაზე ისე კარგად იწურება რძე, რომ შიგ ბეწვის ან ნაგვის ნატამალიც არ ჩაჰყვება.

600-700 სულიან ფარაში 300 ლიტრამდე რძე გროვდება. სარქალი, საწურ მოწყობილობას მოხსნის კოდს, საწვენებელი ან ნეკა თითით რძეს ტემპერატურას გაუსინჯავს და კვეთს (დვრიტას) ჩაუშვებს რძეში. სადედი, ანუ კვეთი მეძუძური ხბოს ან ბატკნის (ჯობია) კვამლზე გამოყვანილი დვრიტაა, რომელიც წყალშია გახსნილი. სადედს მეყველე ყოველ დღე ახალ-ახალს ამზადებს [ეს თუში მწყემსების სხვა კუთხის მწყემსი-მეყველეებისაგან განსხვავებული წესია. ისინი დვრიტას ერთხელ რომ გახსნიან, მერე მთელი ზაფხულის განმავლობაში ყოველდღიურად ამატებენ და ამატებენ შრატსაც და სადედსაც. თანაც ისინი დვრიტის გასახსნელად შრატს იყენებენ და დვრიტაში სხვადასხვა კვეთებსაც ურევენ. მაშინ როცა თუში მწყემსები მხოლოდ ბატკნის დვრიტას იყენებენ (ზოგჯერ ხბოსაც) და მას სუფთა წყალში ხსნიან].

კვეთს რძეში ჩასაშვებ დოზას საკუთარი გამოცდილებითა და აღდგოთი საზღვრავს, რაიმე ზომა-წონას არ იყენებს. რძეში სადედის ჩაშვების შემდეგ კარგად აურევს არყის ხის სამტოტა, ქერქგაცლილი ჯოხით – სარეველათი, თან მაგიურ სიტყვებს ამბობს – „ისრემც მოგეკიდება,

როგორც თხას მარგი, ძაღლს ცუცხა [მარგი და ცუცხა თხის და ძაღლის დაავადებაა], გერგოს, გერგოს, გერგოს" (ცოცხანიძე 2016: 150). შემდეგ კოდს სუფთა ტილოს გადააფარებს, ზემოდანაც ნაბლით დაათბუნებს და დატოვებს. 30-45 წუთის შემდეგ რძე შესქელებულ მასად – „დელამად“ გადაიქცევა. მეყველე ზედ თითს გაუსვამს, თუ გაისერება – კვალს დატოვებს, იმავე სარეველათი ამ მასას კარგად აურ-დაურევს და ისევ თბილად დააფარებს. დელამას დარევას დიდი ყურადღება სჭირდება. კარგად აურეველი დელამადან მიღებული ყველი ადვილად სკდება და უხარისხო გამოდის. ისე, რომ დელამას ხორბლის მარცვლის ოდენობაზე დაანამცვეცებენ. ნახევარი საათი ისევ გააჩერებენ. ამ დროში დელამა ყველად გადაიქცევა, შრატს მოიგდებს თავზე, მასა ძირისკენ წავა. მეყველე შრატს ჯამით მოხდის და საკედეში (სპილენძის დიდი ქვაბი) დააგროვებს. ყველის საკმაოდ მკვრივ მასას კი ხის ხმალიკათი დაჭრის. ნაჭერ-ნაჭერ ამოიღებს ტილოს პარკში, მიაქცევს პარკის ერთ კუთხეში, პირს მოუგრებს და ბარცაკალზე – ყველის დასაჯურ ფიცარზე, ხელში ტრიალით და ზეწოლით შრატს გამოწურავს, სანამ შრატი მოთეთრო ფერს მიიღებს, შემდეგ წურვას შეწვიტავს, თან ჩურჩულებს: „ჩვენი ყველი ტალივითა, მონამგლეთა (მეზობლად მყოფი სხვა ბინის მწვემსები) წყალივითა, ტალი, ტალი, ტალი“. ტილოს პარკებში სარქალი საყველე მასას ისე დაანაწილებს თვალზომით, რომ თითო „კვერი“ ანუ თავი საშუალოდ 8-9 კგ გამოვიდეს. სათითაოდ ასე ამოჯურულ ყველიან პარკებს ხის მოგრძო ფიცარზე ჩამოარიგებენ და ზემოდან ტილოს, შემდეგ კი ნაბადს გადააფარებენ, რომ ყველი არ გაცივდეს და კარგად აფუძდეს. ასე ტოვებენ მას 1,5 – 2 საათით. ამ ხნის განმავლობაში, ისევ იწურება შრატი. არც ისე გაწურავენ, რომ შრატი სულ არ შეყვეს და ყველმა „ფუილი“- დუდილი არ შეაჩეროს. ორი საათის შემდეგ სარქალი ყველს გუდებში ალაგებს. გუდის ძირში ჯერ ჩაყრის ერთ მუჭა მარილს და ჩადებს ყველს, ზემოდან კიდევ დააყრის ამდენივეს და ჩადებს სხვა ყველს და ა.შ. ბოლოს ზემოდანაც

კიდევ დააყრის მარილს და გუდას პირს მაგრად მოაკრავს. მაშინვე წინა ფეხის ტყავზე დამაგრებული მასრიდან გუდას გაბერავს და მოაკრავს მასაც კანაფს, რომ ჰაერი არ გამოვიდეს. თავისთვის საკმარის წათხს მარილის დაყრის შემდეგ ყველი თვითონვე უშვებს. გულებს ალაგებენ საყველე თაროზე ან ტახტზე, რომელზეც დალაგებულია არყის ხის წვრილი ტოტები და ზედ გაფენილია ქუჩი, რომ გუდა თბილად და რბილად იყოს. ერთი დღე-ღამე გუდას თბილად ინახავენ. დიდი მნიშვნელობა აქვს სარქლის მიერ გუდის მომზადებისას დატოვებულ 1 სმ სიმაღლის მატყლს და ამ ფენის გუდის შიგნით მოქცევას. იგი ყველს ტემპერატურას უნარჩუნებს, თანაც ბეწვებში გამჯდარი მარილწყალი სინესტესა და მარილს ინახავს და ამით ყველს იცავს. გუდას პირველ ხანებში დღეში ორჯერ აბრუნებენ, რომ ყველმა ფორმა (სიმრგვალე) შეინარჩუნოს, არ დაბრტყელდეს, თანაც წათხში მარილი თანაბრად გავიდეს და ყველმა იგი თანაბრად შეიწოვოს. გუდაში წათხი ნახევრამდეა, გუდის ბრუნების დროს ყველს წათხი ყველა მხრიდან ევლება და გაუჯდება მარილი. ყველს აუცილებლად მსხვილად დაფქულ „ქვა-მარილს“ აყრიან. მარილი ნელ-ნელა დნება და თანდათანობით უჯდება მას [ერიდებიან ზღვის მარილს – ყველს ამწარებსო (თოფურია 1972) 360]. ერთბაშად დამდნარი და ყველის მასაში გამჯდარი მარილი დუღილს ხელს უშლის, აყოვნებს და ყველი სქელქერქიანი გამოდის, მარილი შუაგულამდე ვეღარ აღწევს და ყველის გული მძაღდება. ორი კვირის შემდეგ გუდას კვირაში ერთხელ აბრუნებენ. ორ კვირაში დუღილი დამთავრებულია და „თვალი აღებუღია“. საბოლოო დამწიფებისთვის ყველს 42 დღე სჭირდება, ე.ი. 6 კვირა. ყველი მთიდან ცოტა გვიან ჩამოაქვთ, როცა ბარში უკვე აგრილდება. ტრანსპორტირების წინ გუდაში არსებულ შრატს დადვრიან, რომ მისი გადატანა გაიოლდეს. გუდას ტომრებში დებენ, ჩათოებით (ტყავის ზონრები) კრავენ ორგან და ცხენს იმავე ჩათოების მარყუეებით უნაგირის ტახტაზე ჩამოაცმევენ. თითო ცხენი 80-100 კგ-ს და ზოგჯერ მეტსაც იკიდებს. ბარში ჩამოტანის შემდეგ გულებს, ახლა

უკვე გადადუღებული, ცივი, მარილიანი წყლით ისევ გადააქსებენ და სიგრილეში (სარდაფში, სახლის პირველ სართულზე) ტახტზე ან ცოტა ხნით პირდაპირ ფიცრის იატაკებზე დააღაგებენ. დიდი ხნით შესანახი კი ტახტებზე უღაგიათ.

ჩვეულებრივ ბარში ჩამოტანისთანავე, ხდება ყველის გადანაწილება. გასაყიდს მალევე გაჰყიდიან, შესანახს დაიტოვებენ. ყველს ძირითადად გადამყიდველები ყიდულობენ და ესეც გარკვეულწილად ამცირებს მწვემსების შემოსავალს და შრომის ხალისს.

ამრიგად, მაღალი ხარისხის ყველის მიღების მთავარი პირობაა რძის სათანადო ტემპერატურა (რძეს უნდა მაქსიმალურად შეუნარჩუნონ წველისას გამოყოფილი სითბო), კვეთის ხარისხი და რაოდენობა, ყველის დამზადების თანმიმდევრობის ზუსტი დაცვა, მარილის ხარისხი და რაოდენობა და საძოვრის ხარისხი. საძოვარი უნდა იყოს მზიანი, პირმზე ალაგი, ქოსა (დაბალი, ნოყიერი) ბალახიანი ველებით. ცნობილია სახარისა და ალაზნისთავის ყველის ხარისხი.

იმისათვის, რომ ყველმა არ დაკარგოს თავისი თვისება და მალე არ გაფუჭდეს, აუცილებელია მისი მოვლა: გუდას არ უნდა გასდიოდეს, წათხი გუდაში მუდმივად უნდა იყოს და უნდა ინახებოდეს მშრალ და გრილ ადგილას. კარგი მოვლის პირობებში ყველი ახალ მოსავლამდე გემოუცვლელად ინახება.

აგვისტოს პირველ ნახევარში, როცა იწყება ბატკნის პარსვა, ცხვარს უკვე დილით სწველიან – „გაადილაგებენ – დილით ადრე წველიან. ამ დროს ისეთ პროდუქტს ამზადებენ, რომ ტემპერატურის შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამ დროს ცხვარს რძე ნაკლები აქვს, მაგრამ დალიანობა, ცხიმიანობა, იმატებს. თუ კარგი წველისას დღეში 5-6 თავი ყველი ამოდის, გადილაგების შემდეგ, ერთ ან ორ კვერს ამოიღებს სარქალი. ამას „საჩობნოდ“, სამწვემსოდ წველას ეძახიან და ამ ყველის თავებისგან ამზადებენ „ნოგს“. ჩვეულებრივი წესით დამზადებულ ყველს საღამომდე გააჩერებენ პარკში ფიცარ-

ზე დადებულს, რომ კარგად დაიწუროს. საჩოგე თავებს თბილად, მზეზე დადგმულ კოდში ინახავენ, რომ კარგად ჩახურდეს. ორ კვირას ნაგროვებ თავებს მარილში კარგად გაზელენ და გუდაში მჭიდროდ ჩაძეკილს ინახავენ. ეს სამწყემსო სატანია. მას არომატი და გემო სასიამოვნო, ცხიმიანობა კი მაღალი აქვს. ამავე წესით ამზადებენ "საჯღურსაც", ოღონდ სასაჯღურე მასას პარკში ინახავენ მეორე დღემდე, რომ შრავტი უფრო კარგად დაიწრიტოს. მასაც კოდებში თბილად ინახავენ. ორი კვირის შემდეგ მარილით გაზელენ და გუდაში მაგრად ჩატენიან. „ჩოგზე“ მაღალი ცხიმიანობა აქვს „საჯღურს“. ყველის ამ სამივე სახეობას განსაზღვრავს კვერში დატოვებული შრავტის ოდენობა, ანუ დაჯურვის ხარისხი. ყველად შესანახს, რომელსაც თვალიც უნდა ჰქონდეს, მეტ შრავტს უტოვებენ, რომ დუდილი გამოიწვიოს. ჩოგისა და საჯღურისათვის იყენებენ ხბოს ან ვერძის ტყავისგან დამზადებულ გუდას.

შეიძლება ითქვას, რომ ცხვრის რძისგან მზადდება სამი სახის ძირითადი პროდუქტი – ყველი, ჩოგი და საჯღური. ამათგან პირველს საბაზრე და გაცვლითი ღირებულება აქვს, ორი დანარჩენი კი საშინაო და საველე (სამწყემსო) საჭიროებისათვის გამოიყენება.

ცხვრის რძისგან ამზადებენ მეორად, არაძირითად პროდუქტს – კალტს, იგი ყველის ნარჩენი შრავტის ადუღებით მიღებული ხაჭოა. მასაც მაგრად გაწურულს და მარილში გაზელილს გუდაში ჩაძეკილს ინახავენ.

სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში, დაირღვა ის საუკუნეებგამოვლილი ტრადიცია ცხვრის ყველის გუდაში შენახვისა. შრომის გაიოლების [ცელოფანის პარკს გუდასავით დიდი მოფრთხილება არ სჭირდება, ადვილად არ იხევა და არც იგლიჯება] და უფრო მეტად კი დაუდევრობის თუ სიზარმაცის გამო, ყველს ცელოფანის პარკებში დებენ და მასში მიდის მწიფობის პროცესი, რაც სრულად ცვლის ყველის საგემოვნო თვისებებს. ყველის ცხვრის ტყავში გამოყვანა აუცილებელია მწიფობის დამთავრების დრომდე მაინც, რადგან ცელოფანის გერმეტულად დახშუ-

ლი სიერცე მას თვისებებს უკარგავს. გუდაში კი გარემო ფაქტორებთან (ჰაერი, სინესტე...) მაინც კავშირია, ბუნებრივი ვენტილაცია ხდება მცირე, მაგრამ აუცილებელი.

ყველს, გარდა იმისა, რომ ყველანაირი სუფრის აუცილებელი პროდუქტია, ადრე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რიტუალურ სუფრაზეც. შობასა და ახალ წელს ოჯახის დიასახლისი უბრად წავიდოდა წყალზე, პურს, ყველს და მატყლს წაიღებდა. ყველსა და პურს წყალში ჩაყრიდა და სამჯერ იტყოდა: „ყველი, პური მოგიტანე, წყალო, ბედი გამაყოლო“. ყველს დებენ სადღესასწაულო, სარიტუალო სუფრებზე. ხატში მისატან სანთელ-ზედაშესა და ქადას აუცილებლად ახლავს „სითეთრე“ – ყველი; იგი ყოველდღიური ტრაპეზის შემადგენელი ნაწილიცაა.

ყველთან დაკავშირებულია სხვადასხვა ხალხური აკრძალვები: ყველში ჩასობილი დანის შიგ ჩატოვება არ შეიძლება, ცოდვად ითვლება. ყველის ნამცეცებს უფროთხილდებიან, დაბლა არ დაყრიან – უბარაქობა იცისო. ყველთანაა დაკავშირებული მაგიური ქმედება – ცხვრის ყველს არ შეწვავენ, ხალხის რწმენით, ცხვარს ცური ასტკივდებაო.

მე-20 საუკუნის შუა წლებიდან თუშეთში დაიწყეს გუდის ყველის დამზადება ძროხის რძისგანაც, რადგან ამით მეტ შემოსავალს იღებდნენ – ყველი ბაზარზე კარგად იყიდება. ამან ჩაანაცვლა მხოლოდ შიდა მოხმარების, ბაზრისთვის უცნობი, ძვირფასი პროდუქტი – ჭმელი კალტი (ხაჭო), რაც დასანანიცა, რადგან ხმელ კალტს არანაკლები კვებითი ღირებულება აქვს და კარგადაც ინახება. ამასთან საუკუნოვანი ტრადიციის მქონე კიდევ ერთი ძაფი გაწყდა. უგემრიელესი ხმელი კალტი რძის შედღვეებისა და კარაქის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხისგან – დოსგან მზადდება; იგი ორნაირი მზადდებოდა – ჩვეულებრივ გამხმარი და შებოლილი. ამჟამად თითო-ოროდლა მოყვარული საოჯახო მოხმარებისათვის ისევ აკეთებს. გაჩნდა ტენდენცია მისი კვლავ აღორძინებისა და თუ ფართო საზოგადოება მის საგემოვნო თვისებებსა და კვ-

ბით ღირებულებებს გაიცნობს და მასზე მოთხოვნა განდება, იმედია მისი ტექნო-ლოგია არ დაიკარგება.

იქ სადაც ცხვართან ერთად ძროხის ფერმაც აქვთ, გუდის ყველს ძროხისა და ცხვრის შერეული რძისგანაც ამზადებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხვრის რძის ხალხურ ტექნო-ლოგიაში ლექსიკა მთლიანად ქართულია. XIX-XX სს. მიჯნაზე ქართული ტერმინების – კოდის დედა//ყველის დედა//მეყველე – გვერდით გაჩნდა იგივე დანიშნულების სიტყვა „სარქალი“. ეს სიტყვა სპარსული წარმომავლობისაა და გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო უფროსი, ზედამხედველი, მუშათუხუცესი, სამეურნეო დარგის მოხელე (ენციკლოპედია 9, 1985). ამ სიტყვას საქართველოს თურქულენოვანი მოსახლეობაც იყენებს; იგი ხალხების მეზობლობისა და ურთიერთგავლენის შედეგად უნივერსალურ ტერმინადაა ქცეული.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული გუდის ყველის წარმოება ემყარება ძველსა და მდიდარ ტრადიციას, რომელიც ითვალისწინებს საძოვრების სწორ შერჩევას, ცხვრის ძოვების რეჟიმს, წველისას და ყველის დამზადებისას დროის აზრიან განაწილებას, სარძევე და ყველის შესანახი ჭურჭლის სისუფთავესა და ხარისხს, დერიტას; მის მოვლასა და შენახვას... მისი დამზადების მეტად ფაქიზი და დახვეწილი ცოდნა ემპირიული გზითაა მიღებული და დიდი გამოცდილების შედეგია. წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ყველის დამზადების ტექნოლოგია ოდითგანვეა ცნობილი ქართველი ხალხისათვის, ამას მხარს უჭერს რძის პროდუქტების აღმნიშვნელი მდიდარი ლექსიკა (ორბელიანი 1966; აბულაძე 1973), ყველის წარმოების პროცესთან დაკავშირებული მაგიური ქმედებანი. გუდის ყველის დამზადების ხალხური წესი იმდენად სრულყოფილია, რომ დრომ და მეცნიერების აგრერეზად განვითარებამ მასში კორექტივი ვერ შეიტანა. თუშურ გუდის ყველს დღესაც „მამა-პაპური“ წესით ამზადებენ. შეიძლება ითქვას, რომ

ტრადიციული გუდის ყველის წარმოება საქართველოში მისი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძლიერი გამოხატულებაა.

დამოწმებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ბოჭორიძე 1993 – ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993.

ბუქურაული 1893 – ბუქურაული ივ., ტბათანიდან წოვა-თამდინ – „მოამბე“, 1897, IX.

განდგეილი, ალავერდობა – „ცნობის ფურცელი“, 1895, 921.

გელოვანი 1913 – გელოვანი გ., თუშები და მათი ზნე-ჩვეულებანი – „სახალხო გაზეთი“, 1913, 916.

დროება 1875 – „დროების“ კორესპონდენცია, ალვანიდგან – „დროება“, 1875, 35.

ენციკლოპედია 1985 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985.

ენციკლოპედია 1986 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986

ესაძე 1913 – ესაძე ბ., მეცხვარეობა თუშეთში – „სახალხო გაზეთი“, 1913, 1007.

თოფურია 1964 – თოფურია ნ., რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი) – „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964, გვ. 40-60.

თოფურია 1972 – თოფურია ნ., თუშური ყველი – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI-XVII, თბ., 1972.

თოფურია 1975 – თოფურია ნ., ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგიიდან (სადედი) – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVIII, თბ., 1975.

თოფურია 1978 – თოფურია ნ., იმერული ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგია – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XIX, თბ., 1978.

თოფნიშვილი 2014 – თოფნიშვილი რ., ქართველთა კეებითი კულტურის ისტორიიდან: სულგუნი, თბ., 2014.

ივერია 1900 – „ივერია“, 1900, 203.

მაკალათია 1933 – მაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1933.

მაკალათია 1934 – მაკალათია ს., ხევი, თბ., 1934.

მელიქიშვილი 1922 – მელიქიშვილი პ., ჩვენებური ყველი – „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, 1922-23 წწ.

მურთაზაშვილი 1916 – მურთაზაშვილი რ., თუშების ცხოვრება – გაზეთი „საქართველო“, 1916.

პეტრიაშვილი 1898 – პეტრიაშვილი ვ., რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება, ტფ., 1898.

ორბელიანი 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, 1966.

ჩიტაია 1997 – ჩიტაია გ., შრომები, ტ. I, თბ., 1997.

ცაგარეიშვილი 1978 – ცაგარეიშვილი თ., რძის მეურნეობა ქვემო ქართლში – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIX, თბ., 1978.

ცოცანიძე 2016 – ცოცანიძე გ., წელიწადი მეცხვარეებთან, 2016.

ჯიქია 1967 – ჯიქია ნ., თუშური საჭმელები – თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967.

Весь Кавказ 1903 – «Весь Кавказ», Этнографический отдел (тушины), 1903, № 1.

Динник 1893 – Динник И.Я. Путешествие по Пшавии и Тушетии – »Записки Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества», 1893, XV, № 126, გვ. 91-147.

Джанашвили 1896 – Джанашвили М.Г., Историческая справка о молочном хозяйстве в древней Грузии – »Кавказское сельское хозяйство, 1896, № 142.

Калантар 1901 – Калантар А., Новые условия для скотоводства – «Кавказское сельское хозяйство», 1901, № 364.

Пятая 1896 – Пятая беседа по молочному хозяйству (10-20 октября, 1896 г.) – «Кавказское сельское хозяйство», 1896, № 148.

Садовский 1886 – Садовский К. Посховский участок Ардаганского округа Кавказской области – СМОМП, вып. V, Тб., 1886.

Сапаров 1893 – Сапаров А., О тушинском уезде – «Кавказский календарь», 1893.

Шадинов 1896 – Шадинов Г.Г., Молочное производство в Закавказье – «Кавказское сельское хозяйство», 1896, № 145.

Цискаров 1849 – Цискаров И., Записки о Тушетии – «Кавказ», 1849, № 12.

Vakarelski 1969 – Vakarelski Von Cristo, Milchverarbeitung und milchprodukte bei den Bulgaren, budapeSti, 1969.

Podolak 1979 – Podolak Ian, Ovciarstvo v lazovey oblactu krupinckey {laniny, Kabinet etnologie FFUK, Bratislava Slavensky Barapopis, 3, 1979.

Hann 1882 – Hann Karel, Aus dem Kaukasen, Leipzig, 1882, თავი I, ვისარგებლე ეთნოლოგ ზ. ჯინჯისაშვილის თარგმანით.

ხელნაწერები:

აზიკური 1989 – აზიკური ნ., მეცხვარეობა აღმოსვლეთ საქართველოს მთიანეთში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1989.

აზიკური 1980-2000 – აზიკური ნ., 1980-2000 წლებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები.

გიგოიძე 1955 – გიგოიძე მ., მეცხვარეობა თუშეთში, 1955 წ. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

Nanuli Azikuri

Cheese production as cultural heritage sheep milk cheese "guda"

The work has studied old Georgian technology of sheep cheese (aka guda cheese), according to which the cheese is being produced till this day and is known as "Tushetian cheese". The work has also shown all mandatory preconditions for producing a good quality cheese. Also the characteristics are shown which make this cheese special in its kind.

საღმრთო ბაზია-ოქრუაშვილი

ქართველთა და სომეხთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები (ურთიერთშედარებითი ასპექტი)

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა შედარებითი შესწავლის საკითხი ყოფითი კულტურის ის ნაწილია, რომელიც ხალხის ისტორია-ეთნოლოგიას, მათ სოციალურ ყოფით საკითხებს, მეურნეობის ხასიათს, ეკონომიკური განვითარების დონეს, და მასთან ერთად იდეოლოგიას ნათელს აკვანს. საცხოვრებელი საზოგადოების გამაერთიანებელ – სისხლით ახლო ნათესაურ სოციალურ ჯგუფს უყრის თავს. ბუნებრივია, ადამიანი საკუთარი საცხოვრებლის მშენებლობის, კონსტრუქციის, თავისებური შიდა მოწყობილობის დაგეგმარების დროს, კლიმატსა და გეოგრაფიულ გარემო-პირობების გარდა, არსებულ მეურნეობის დარგების ხასიათსაც ითვალისწინებდა. ნაგებობების მშენებლობაში კონკრეტული მოსახლეობის ხეროთმოდგრული ფანტაზია იყო ჩადებული. ითვალისწინებდნენ რა სამოსახლო მხარის სამშენებლო მასალის შესაძლებლობებს, ისინი ასევე წინასწარ გეგმავდნენ რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ნაგებობა. თავისთავად ცხადია, როგორც ქართველებს, ისე სომეხებს თავისი საკუთარი ინდივიდუალური ფორმები და შეხედულებები გააჩნდათ. მართალია, დასაწყისისათვის საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობების ფორმები პრიმიტიული იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში, იგი რთულდებოდა და ვითარდებოდა. რაც არ უნდა პრიმიტიული ყოფილიყო საცხოვრებელი, მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. იგი ოჯახს, სოციალურ ერთეულს, ყველა პირობით, მათ შორის, თავდაცვის და არსებობისათვის საჭირო დამხმარე ყველანაირი სათავსოებით უზრუნველყოფდა.

ამჟამად, ჩვენი შედარებითი შესწავლის ობიექტს სომეხეთი წარმოადგენს. სომეხეთი თითქმის მონოეთნიკური ქვეყანაა. მისი სახელწოდებაა *Հայ*. ანთროპოლოგიურად სომეხე-

ბი ევროპეიდული რასის სამხრეთულ შტოს (წინააზიურ, ანუ არმენოიდულ ტიპს) მიეკუთვნებიან. ისინი ქრისტიანები არიან. მათი რელიგია IV საუკუნის დასაწყისიდან სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული. საქართველოში, ქვემო ქართლში, სომხური მოსახლეობა V საუკუნეში უკვე ცხოვრობდა, თუმცა, VII საუკუნეში მათი მიგრაცია არაბთა შემოსევებმა გააძლიერა. XVII-XVIII საუკუნეში ქვემო ქართლის გარდა, სომხები შიდა ქართლშიც კომპაქტურად სახლობდნენ (თოფჩიშვილი 2012: 283-291).

თვით სომხეთი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ორ ძირითად – დასავლეთ და აღმოსავლეთ სომხებად იყოფა. XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე დასავლეთის სომხები თურქეთის, ხოლო აღმოსავლეთი სპარსეთის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, რამაც სომეხი ხალხის ცხოვრებას ღრმა კვალი დაამჩნია. მიუხედავად ამისა, თურქეთიდან მიგრირებული და აღმოსავლეთ სომხეთის ადგილობრივი მოსახლეობის კულტურა ერთიანი დარჩა. სომხეთში რვა ეთნოგრაფიული რაიონი გამოიყოფა – შირაქი, არაგაწონი, არარატის ველი, გეხარკუნიკი, ვაიოც-ძორი, ლორე, იჯევან-თავეში, ზანგეზური (Народы Кавказа 1962: 440; თოფჩიშვილი 2012: 292-294).

საქართველო ევრაზიის ალპური დანაოჭების სარტყელშია მოქცეული. საქართველოს რელიეფი მაღალი, საშუალო და დაბალი მთების ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობისაგან შედგება. ჩრდილოეთით მას კავკასიონის ქედი ესაზღვრება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კოლხეთად და ივერიის ბარად ღიხის ქედი ჰყოფს. ამავე დროს, ღიხის ქედი კავკასიონის მესხეთის ქედთან აკავშირებს.

საქართველო რთული რელიეფით გამოირჩევა, მისი ოროგრაფიული ერთეულებია – 1. კავკასიონის მთიანეთი; 2. საქართველოს მთიანეთშორისი ბარი; 3. მცირე კავკასიონის მთიანეთი; 4. სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი.

მცირე კავკასიონი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, რომელიც მესხეთისა და თრიალეთის ქედებით არის წარმოდგენილი, მცირე კავკასიონის მთიანეთის ნა-

წილია. სამხრეთი ვულკანური მთიანეთია და კავკასიონის სამხრეთ ფერდის ნაოჭა სისტემაშია მოქცეული. ეს ქედები უმთავრესად საშუალო სიმაღლისაა, რომელიც ვულკანური ქედების, ქვაბულებისა და პლატოებისაგან შედგება. მცირე კავკასიონი კავკასიონის ქედზე გაცილებით დაბალია. აქ არსებული მთათა სისტემა მტკვრისა და ქციახრამის ხეობებითაა გადაკვეთილი. საქართველოს ეს სამხრეთი მთიანეთი იმით განსხვავდება, რომ აქ აბსოლუტურ სიმაღლეზე ვრცელი ვაკეებია გაშლილი. ვაკეებს შორის ჯავახეთის წალკის, გომარეთის, დმანისისა და ქვემო ქართლის პლატოები გამოირჩევა. ამავე დროს, ვულკანური ქედებითა და ქვაბულებით სომხეთის რელიეფის მსგავსია.

დასახლების უძველესი ფორმებისა და სამშენებლო კულტურის თვალსაზრისით, სომხეთს უკიდურესი საქართველოს სამხრეთი ნაწილი, ქართლი, ჯავახეთის მხარე ესაზღვრება. ჯავახეთის ჩრდილოეთით, სამხრეთი, აღმოსავლეთი შავშეთის, სამსარისა და ნიალისყურის მთებით არის შემოფარგლული. იგი ზემო (ახალქალაქის ზეგანი) და ქვემო (მდ. მტკვრის კანიონის მარცხენა სანაპირო) ჯავახეთად იყოფა, აგებულებით ვულკანური ზეგანია. რელიეფში 1500-2200 მ სიმაღლეზე აზიდული ვაკეებია გაბატონებული, რომლებიც ტბიანი და ჭაობიანი ტაფობებით და მდინარეთა კანიონისებური ხეობებითაა გართულებული. ზეგანის ჩრდილო და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დანაოჭებული ლავეების საფუძველზე განვითარებული სერებიან-ხეობებიანი რელიეფია. ქავა ზომიერად ნოტიოდან მშრალისკენაა გარდამავალი. ზამთარი მცირე თოვლიანი, თუმცა ცივი. სომხეთს უშუალოდ თანამედროვე ნინოწმინდის რაიონი ესაზღვრება ჩრდილოეთით იგი აბულ-სამსარისა და ჯავახეთის (კენუთის) ქედების შემადგენელი სერით წალკის რაიონისაგან არის გამოყოფილი. დასავლეთით აბულ-სამსარის ქედით ახალქალაქის რაიონს, ხოლო აღმოსავლეთით ჯავახეთის ქედის თხემით – დმანისის რაიონს ემიჯნება.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ, ოსმალური პროპაგანდისა და რუ-

სეთის „ქრისტიანული“ პოლიტიკის შედეგად, სამხრეთ საქართველოს მკვიდრი, გამუსულმანებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა, განთავისუფლებულ ადგილებზე კი, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა ოსმალეთიდან 30000 სომეხი ჩამოასახლა. ამავე დროს, ახალქალაქის მაზრაში გუმიშხანედან (თურქეთი) წალკაში ბერძნების დიდი ჯგუფი გადმოასახლეს, რომელთაგან 50-მდე ოჯახი ახალქალაქში დაბინავდა. ბერძნების ეს ნაწილი სომხებში აითქვიფა და გასომხდა. 1839 წელს კი, რუსეთის მთავრობამ, აქ ტავრის გუბერნიიდან დუხობორები გადმოასახლა, რომლებიც ჯავახეთის აღმოსავლეთ ნაწილის ქართულ ნასოფლარებში ჩაასახლეს. ასე შეიქმნა სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის მთიან რაიონში სომხების 45, რუსების 8 და თათრების 17 სოფელი, ქართველები მხოლოდ 4 სოფელში შემორჩნენ (კონფლიქტური... 1998: 56-57).

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკები მეზობელი ქვეყნებია. ისტორიულ წარსულში, სომხები სომხეთის ზეგანის სახელწოდებით ცნობილ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკას ამ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია (სომეხი ხალხის ისტორია... 2016: 9). სომხეთი უმთავრესად კავკასიის სამხრეთ ვულკანურ მთიანეთში მდებარეობს, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ნაოჭა, ნაოჭალოდა ვულკანური მთები, ლავური პლატოები და ვაკეები. იგი ხმელთაშუა ზღვის ნაოჭა მთების სარტყლის შიდა ნაწილშია მოქცეული. დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთით მას თურქეთი, ჩრდილოეთით საქართველო, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, ხოლო სამხრეთით ირანი ესაზღვრება. მისი სუბტროპიკული ზონა და მთიანი რელიეფი ჰავის მრავალფეროვან ტიპებს განაპირობებს. ჰავაზე შავი და აზიის მთიანეთებთან მეზობლობა ახდენს გავლენას.

სომხეთის ზეგანი მრავალრიცხოვანი ქედებით, პლატოებით და ჩამქრალი ვულკანებითაა დასერილი. იგი მცირე აზიისა და ირანის პლატოებს შორის, წინა აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ზეგანი ზღვის დონიდან საშუალოდ 1500-1800 მეტრის სიმაღლეზეა და

სხვა ქვეყნებზე უფრო მაღალი მდებარეობის გამო „მთიან კუნძულსაც“ უწოდებენ. მისი შუა ნაწილი მთებით და ველებით დასერილ ვრცელ პლატოს წარმოადგენს. ძველად იგი, მიჯნაშხარის ე.ი. „შუა ქვეყნის“ სახელით იყო ცნობილი. მიჯნაშხარი დაახლოებით „დიდი სომხეთის“ არარატის პროვინციას შეესაბამება (Народы Кавказа 1962: 435; სომეხი ხალხის ისტორია..., 2016: 9).

სომხეთის მთიან ქედებს შორის ჩაკეტილი, შემადგენელი პლატოების, ნაყოფიერი ველებისა და დაბლობების რიგი მდებარეობს – არარატის, ტარონის (მუშის), ხარბერდის, ერზინკას (თანამედროვე – ერზინჯანი, ქალაქი და მხარე, აღმოსავლეთ თურქეთშია), ბაგრევანდის (აღასკერტის) და შირაკის ველები. არაქსის შუაწელამდე ორივე მხარეს, არარატის და არაგაწის მთებსა და მდინარეების – ახურიანის და არფას შორის სომხეთის ზეგანის გული – არარატის ვრცელი და ნაყოფიერი დაბლობია გაშლილი, რომელიც ძველთაგან სომეხი ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო. აქ მდებარეობს ქ. ერევანი. არაგაწის მთის ძირიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება შირაკის ნაყოფიერი ველი, სადაც შუა საუკუნეების სომხეთის დედაქალაქი ანისი მდებარეობდა. მთაგრეხილებით შემოფარგლული სომხეთის ზეგანი, მცირე სინოტივით გამოირჩევა. შუა ქვეყანაში უპირატესად კონტინენტური კლიმატია, ცივი ზამთრითა და ცხელი, მშრალი ზაფხულით, თუმცა, მის ცალკეულ ადგილებში ზომიერი კლიმატია. თვალშისაცემია ბარისა და მეზობელი მაღალი მთების კლიმატურ პირობებს შორის მკვეთრი სხვაობა. წვიმები, ჩვეულებრივ, გაზაფხულობითაა და ხელს უწყობს მთებში და ველებზე მდიდარი მცენარეული საფარის განვითარებას. სომხეთის ველს მშრალი, კონტინენტური კლიმატი ახასიათებს. სომხეთის ზეგანი წინა აზიის დიდი მდინარის წყალგამყოფია. აქ სათავეს ეფვრატი და ტიგროსი იღებს, რომელიც სპარსეთის ყურეში ჩაედინება. ზეგანი მდიდარია დიდი და მცირე ტბებით. სევანის (ძვ. – გელამის) ტბა ყველაზე მაღალმთიანია. მსოფლიოს დიდ და მტკნარ ტბებს შორის (1900 მ. სიმაღ.)

გამოირსევა. ტბაში ოცამდე მდინარე ჩაედინება, და მხოლოდ ერთი, რაზდანი (ზანგუ) გამოედინება. ვანის ტბა მლაშეა. ურმიის ტბა ზეგანსა და ირანის პლატოს შორის, ერთ-ერთ ღრმულშია მოთავსებული. მათ გარდა, კიდევ მრავალი პატარა მტკნარი ტბაა გაერცელებული (სომეხი ხალხის ისტორია... 2016: 10-11).

სწორედ ამგვარმა გეოლოგიურმა აგებულებამ და კლიმატმა ზეგანის ნიადაგებისა და მცენარეული საფარის მრავალგვარობას შეუწყო ხელი. შუა ქვეყანა მართალია ღარიბია ტყეებით, მაგრამ გუგარქს, აღსტევს, სლონიკში, აღმოსავლეთ პონტოსა და სომხეთის ტავროსის სამხრეთ კალთებზე – ფოთლოვანი, ნაწილობრივ, წიწვოვანი ტყეები გვხვდება (სომეხი ხალხის ისტორია... 2016: 12).

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ა. ერიცოვი წერდა, რომ მართალია, სომხეთი ძირითადად უტყეო ქვეყანაა, მაგრამ ალვის ხეები აქვთ. როცა ამ ხეების სწორ ტანს კარგად გამოაშრობენ, საუკეთესო სამშენებლო მასალას იძლევა. იგი ადვილად მუშავდება. მის გარეშე, როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა საცხოვრებლის მშენებლობა შეუძლებელია. სწორედ ბოძებად ქცეულ ალვის ხის ტანზე დაყრდნობით მიწით აკეთებენ სახურავს (Кавказ 2010: 373).

როგორც საქართველოში, ისე სომხეთში ისტორიულად დაფიქსირებული სხვადასხვა დანიშნულების მრავალფეროვანი ნაგებობები არსებობდა. ეს მრავალფეროვნება, ორივე ქვეყანაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეურნეო, ბუნებრივმა და სოციალურმა ფაქტორებმა განსაზღვრა. XIX საუკუნემდე ორივე ქვეყანაში ნაგებობების ფორმების და კონსტრუქციის თვალსაზრისით უფრო მყარი ტრადიციულობა და კონსერვატიულობა იყო დამახასიათებელი.

ჩვენი თემისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქართული ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის განხილვა, რადგან იგი სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისთვის – სომხეთისა და აზერბაიჯანისთვისაც არის დამახასიათებელი და ტრადიციების მსგავს წრეში თავსდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ნაგებობა კარგად არის შესწავლილი თ. ჩიქოვანის მიერ, რომელმაც

ამ ნაგებობის გავრცელების ზუსტი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრების ლოკალიზება შეძლო.

ერდოიან-გვირგვინიანი სახურავით მომთავრებული მიწურბანიანი საცხოვრებელი ნაგებობის ანუ დარბაზული ტიპის სახლის გავრცელების ისტორიულად სავარაუდო არეალი XIX-XX სს ფაქტიური მასალის მიხედვით, სადაც გვირგვინიან-ერდოიანმა სახლმა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, სამხრეთ კავკასია წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის შიგნით აღნიშნული ტიპის საცხოვრებელი ისტორიული ქართლის, აზერბაიჯანის მცირე კავკასიონისა და სომხეთისათვის იყო დამახასიათებელი. ყველა ეს პროვინცია კი თავის დროზე მტკვარარეზის კულტურულ-ისტორიულ სამყაროში იყო გაერთიანებული (ჩიქოვანი 1967: 42). ერდოიან-გვირგვინიანი (გლხტუნ) საცხოვრებელი – სევანის ტბის აუზში, ლორე-ბამბაკში, ზანგეზურში, შირაქში, ერზერუმ-ყარსში, აგრის და ვანის ვილაეთებში, ასევე ყარაბაღელ სომხებში იყო გავრცელებული (თოფჩიშვილი... 2012: 298).

ქართველური ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი ნაგებობის შესახებ მრავალი ნაშრომი შექმნილი. პირველი, რომელმაც XVII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისურ დარბაზს ყურადღება დაუთმო, გიულდენშტედტი (გიულდენშტედტის... 1962: 89) იყო. მას შემდეგ მეცნიერებმა გ. ჩუბინიშვილმა, ლ. სუმბაძე, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძემ და სხვ. ამ ნაგებობების შესახებ ბევრი რამ ცნობილი გახადეს, მაგრამ თ. ჩიქოვანმა (ჩიქოვანი 1975; ჩიქოვანი 1976; ჩიქოვანი 1982; ჩიქოვანი 1987... და სხვ.) ყველა რაიონის მასალა ცალკეულად შეისწავლა და განმაზოგადებელი და ფუნდამენტური ნაშრომი შექმნა (ჩიქოვანი ამიერკავკასიის... 1967).

მას კარგად აქვს აღწერილი მიწის ქვეშ ათასნაირად დახლართული ლაბირინთებისაგან შედგენილი კარაპან-დერეფნებისა და ნახევრად ბნელი ოთახები სოფ. იდუმალაში. ამ ნაგებობაში საცხოვრებელი ოთახები, სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა სათავსო და საქონლის საბძელ-ბოსლები სულ ერთმანეთზე იყო წაბმული. რამდენიმე საცხოვრებელი მიწისქვეშა უბანს ქმნიდა.

უბანში კი ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა. ერთმანეთს საცხოვრებლები შიგნით არსებული შეუმჩნეველი სამეზობლო კარით უკავშირდებოდა. თუ მტერი რომელიმე საცხოვრებელში შეაღწევდა, იქ თავშეყრილი ადამიანები, მეზობელ სახლში მალულად გადადიოდნენ. ეს კარები ერთმანეთს საიდუმლო გასასვლელებით უკავშირდებოდა. თუ სოფელს საფრთხე ემუქრებოდა, მოსახლეობა იხიზნებოდა სახლიდან და გვირაბებით ციხესიმაგრეებში, მთებს, ტყეებსა და მდინარეების მიმართულებით გადადიოდა. ამდენად, მიწისქვეშა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები რთულ კომპლექსს წარმოადგენდა. ეს იყო ადამიანის ერდოიან-გვირგვინიანი ოთახი, საქონლის სადგომი – ბოსელი, სათავსოები – საბძელი, მარანი, საციო (რძისა და ხორცის პროდუქტების შესანახი), სათონე, მარცვლეულის შესანახი – სახელამბრე. მიწისქვეშა ნაგებობაში სინათლე და ჰაერი ერდოდან ჩადიოდა, რომელიც მიწური საცხოვრებლის სახურავში – ბანში იყო დატანებული. დერეფნები ბნელი იყო, რადგან მათ ერდო არ ჰქონდათ. ყოველ უბანს თავისი საკუთარი მისასვლელი ჰქონდა, სოფელს კი, სამი-ოთხი საერთო სასოფლო საიდუმლო შესასვლელი. საიდუმლო გვირაბით, ადამიანი თავდაპირველად, რომელიმე მიწისქვეშა უბნის ერთ-ერთი სახლის წინა დერეფანში ხედებოდა. მიწისზედა სახლის წინაკარისაგან – კარაპნისაგან განსხვავებით, მიწისქვეშა ორმხრივ დახურული, ორკანიანი მიწურბანიანი ოთახი იყო, რომელსაც პატარა ერდო ჰქონდა დატანებული. მიწისქვეშა სოფლების დაგეგმარებაში გაურკვეველი კაცისთვის ლაბირინთებში გზის გაგნება თითქმის შეუძლებელი იყო (ჩიქოვანი 1975: 10-12).

თრიალეთი მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კუთხეა. მის ტერიტორიაზე თავმოყრილია – ნაციხარ-ნაქალაქარები, მღვიმე ქვაბები, მესაქონლეთა ნამოსახლარები, ქვის მონოლითები – „ვეშაპები“, „ქვაკაცები“, „ქვაქალაქები“, „ცხენები“, „ვერძები“, ეკლესია, საყდრები და სხვ...

თრიალეთი თავისი ბუნებრივ-ტერიტორიული და კლიმატური პირობებით მესაქონლეობის მხარეს წარმოა-

დგენს. ამ ძველ მესაქონლეთა ნამოსახლარების გეგმაში აღმოჩენილ იქნა დოღმენები, რომლებიც ბინა-სამარხებია და იგი ვეებერთელა ლოდებისაგანაა შექმნილი. ქართველები მას „დევის ბინებს“ უწოდებდნენ. დოღმენი თვით სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება – დოღ – მაგიდას, ხოლო მენ – ქვას აღნიშნავს. დოღმენი ქვა ყუთივით იყო შეკრული. ჰქონდა თავი, გვერდები და ძირი. ნაქოსრები დოღმენსა და საყდარს შორის იყო განლაგებული. ისინი კლდის ქვით ნაგები იყვნენ. კედელთა წყობა ყორულ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, შენობის სახე – ნაბაკევი ციკლოპურად ნაგები სადგომი მსხვილფეხა საქონლისათვის, რომელსაც ზოგიერთ კუთხეში „ქართას“ სახელითაც მოიხსენიებდნენ. იგი ოვალური მოყვანილობისა და ღია ნაგებობა იყო, მისი სიმაღლე საქონლის მკერდის დონეზე, სისქე კი 30-40 სმ. ბერა-ნაგებობა, მრგვალი მოყვანილობისა იყო და იგი ყორულად შემოზღუდულ ცხვრის ღია სადგომ-საწველს წარმოადგენდა. ბერა საშუალო ფართის მქონე – 15-20 კვ.მ. უდრიდა. მისი პატარა ლოდებისაგან ყორულად შედგენილი ზღუდის სიმაღლე მეტრნახევარს, სიგანე 40-60 სმ-ს აღემატებოდა, ერთმანეთის მოპირისპირედ კი ორი „ყელი“ ანუ საკარე იყო გაკეთებული. ერთი კარი ცხვრის შერეკვისათვის, ხოლო მეორე კარი გამოსადენად არსებობდა, რომელიც ასევე ცხვრის საწველი ადგილიც იყო. აქ მწყემსები ქვებზე სხდებოდნენ და „ყელში“ გამავალ ცხვრებს წველიდნენ (ჩიქოვანი 1976: 40-42).

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ჩამოსახლებულმა ბერძნებმა, როგორც უკვე აღინიშნა, სომხებმა და ურუმებმა თრიალეთის ტერიტორიაზე ძველი ქართული სოფლები და ნასახლარები გამოიყენეს, სადაც მათ შემონახული უბნები დახვედრიათ და სწორედ ის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აითვისეს. ამრიგად, სოფლის განლაგება და დასახლების გარეგნული სტრუქტურა თითქმის არ შეცვლილა. ქართველები მონოგენურ უბნებად სახლობდნენ, სისხლით ნათესავეები ერთ უბანში იყრიდნენ თავს. მიწურ-ბანიანმა ნაგებობებმა XX საუკუნის 40-იან წლების მიწურულამდე, მოაღწიეს, რომ-

ლებიც ერთმანეთზე მიყრილ-მიშენებულს ჰგავდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ საცხოვრებლებში სამი და შეიძლება მეტი თაობისაგან შემდგარი ოჯახები ცხოვრობდნენ. ერთ ჭერქვეშ თავს იყრიდა ნაგებობათა მთელი წყება – ერდოიან გვირგვინიანი ოთახი, ლაზური ფორმის ბანიანი ოდა, ბოსელი, საბძელი, მარანი და ჩარდახი (აივნის მსგავსი ბანიანი ოთახი). ასეთ ბანიან სახლებს ჩარდახის მხარეზე პატარა ეზოები ჰქონდათ, რომლებიც ერთდროულად ეზოც და სხვა საკარმიდამოში გასასვლელსაც წარმოადგენდა. ბანიანი სახლები ერთმანეთზე იყო მიდგმული. მოსახლეები ბანს მაქსიმალურად იყენებდნენ. იქ თესდნენ ბაღახს, სეზონის მიხედვით თიბავდნენ. ბანის სიახლოვეს კალოს მართავდნენ. ცდილობდნენ კალო საბძლის მხარეზე ყოფილიყო, რომ გაღვიწილი ბზე პირდაპირ საბძელში ჩაეყარათ (ჩიქოვანი 1976: 50-54).

თრიალეთის სომხები ასეთ ბანიან საცხოვრებლებს, რომელიც ერდო-გვირგვინით იყო მომთავრებული „ტუნ“-ს უწოდებდნენ (ჩიქოვანი 1976: 55).

ქართული ბანიანი სახლის ფასადის მხარეს გამართული იყო მიწური აივანი-ჩარდახი. მის ბოძებზე ბრტყელი ბანით იყო მომთავრებული. მხოლოდ ჩარდახის გავლით შეიძლებოდა სახლში მოხვედრა, სხვა მხრიდან ყრუ კედლები ჰქონდა. 15-20 კვ.მ. მისი ფართი იყო. იგი სამეურნეო ფუნქციებს ემსახურებოდა. ჩარდახის ცალყურა კარის გავლის შემდეგ ბნელი დერეფანი იყო, რომლის ორივე მხარეს სხვადასხვა ოთახები იყო განლაგებული, ერთ მხარეს „გვირგვინიანი დარბაზი“, მარანი, ფურნე, ხოლო მეორე მხარეს – ბოსელი, თაკარებიანი ოდა და საბძელი (ჩიქოვანი 1976: 56).

ერდოიან გვირგვინიანი დარბაზი თრიალეთში ქვით შენდებოდა და მისთვის ლამსა და კირსაც იყენებდნენ. კედლები 2 მ სიგანეს არ აჭარბებდა, დარბაზს ჰქონდა კარი, კედლებში ასევე ადგილი იყო განჯინის, თახჩის და ბუხრისათვის დატოვებული. დარბაზში ბოძები ორ წყებად იდგმებოდა, ერთი წყება ბოძების საკედლე იყო, მსხვილი და კარგად გამოთლილი კი ოთახის ცენტრში (ოთხი დედაბოძი) ქვის ბალიშებზე იდგმებოდა. ბანს, რო-

გორც ბრტყელს ისე ზურგიანსაც მართავდნენ. ყველაზე რთული გვირგვინიანი დარბაზის ჭერის გამართვა იყო, რომლისთვისაც გამოცდილ ოსტატს ქირაობდნენ. გვირგვინის საფუძველი იყო დედაბოძებზე ბანდუშ-კაპიტელის დამაგრება, მათზე კი თავხეების გადება, რომელიც ერთმანეთის პარალელურად ეწყობოდა და თავ-ბოლოებით საკედლე ძელებზე მაგრდებოდა. თავხეებზე ჯერ გვირგვინის საძირე ძელებს ერთმანეთში ოთხკუთხად ან მრგვალკუთხად ჩაარჭობდნენ. საგვირგვინე ძელებს წყობისას სიგრძეს თანდათან აკლებდნენ და შევიწროებით ოთახის ჭერი დაკიბული ძაბრის ფორმას ღებულობდა. გვირგვინის თავი ოთხკუთხედი მოყვანილობის იყო და მას ღიად ტოვებდნენ. გვირგვინის თავი-ერდო, ერთდროულად სარკმლისა და საკვამურის მოვალეობას ასრულებდა. ზემოდან ჭერის ხის კონსტრუქციას ჯერ თიხით ღესავდნენ და მერე მიწას აყრიდნენ და ტკეპნიდნენ (ჩიქოვანი 1976: 58-59).

ქართული ტიპის ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლები გავრცელებული იყო სამცხე-ჯავახეთში, რომელიც ძველთაგან კულტურულად და ეკონომიკურად დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. აქ გავრცელებული იყო მემინდვრეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. ხალხური ბინათმშენებლობა, როგორც ქართლსა და თრიალეთში აქაც ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლები იყო გავრცელებული. საცხოვრებლის ჯავახურ კომპლექსშიც ერთი საერთო სახურავის ქვეშ სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები იყო გვერდიგვერდ თავმოყრილი.

თ. ჩიქოვანი მესხურ-ჯავახური ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის ორ კომპლექსს მარტივსა და რთულს აღწერს. მარტივში საბძელ-ბოსელია, კარაპანსა და დარბაზთან ერთად წარმოდგენილი; რთულში კი მთავარი კომპლექსი იყო დარბაზი. იგი საკმაოდ დიდი სათავსო (64 კვ.მ.) ყოფილა და სხვადასხვა სამეურნეო სათავსოები ახლდა. მსგავსი რთული საცხოვრებელი კომპლექსები, რომელშიაც წარმოდგენილი იყო – ორი საცხოვრებელი (დარბაზი და თაკარებიანი ოდა) და მასთან ერთად, ბოსელი, საბძელი, ფურნის ოთახი, სახელამბრე, საციო, კარა-

პანი და ყველა ამ სათავსოთა დამაკავშირებელი დერეფანი, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთში იშვიათობას არ წარმოადგენდა (ჩიქოვანი 1967: 67-87).

გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის კიდევ ერთ კერას წალკის ველი წარმოადგენდა, სადაც მკაცრი და ყინვიანი ზამთარი იცოდა. XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული წალკის ველი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა. აქ ცხოვრობდნენ თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან გადმოსახლებული სომხები, თურქულენოვანი ურუმები, რუსები და მომთაბარე თურქული მოდგმის ტომები. რუსების გამოკლებით, ამ მოსახლეობისათვის ძირითად საცხოვრებელს, სწორედ მიწურბანიანი ერდოიან-გვირგვინიანი სახლი წარმოადგენდა. თუმცა, ქართლურისა და სამცხე-ჯავახეთისაგან განსხვავებით, წალკურ ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებლებს, უმეტეს შემთხვევაში, ეზო არ გააჩნდათ. მათ ეზოს მაგივრობას საფასადო მხარეს მდებარე კარაპანი უწევდა, რომელიც შუკის პირას გამოდიოდა. ამ სახლების ბანი, ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მსგავსად უქმად არ იყო მიტოვებული. ბანზე ბალახს თესდნენ და მას საქონლის საკვებად იყენებდნენ, ამავე დროს ბალახი ბანსაც ამაგრებდა. წალკურ ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელში ერთი ჭერის ქვეშ – კარაპანი, მარანი, საბძელი, ბოსელი, ზამთრის საცხოვრებელი ღაზური ტიპის მიწურ-ბანიანი ოდა ერთიანდებოდა. ისინი ერთმანეთს დერეფნული სისტემით უკავშირდებოდნენ. მსგავს კომპლექსებში – ხორბლის შესანახი, ქვითკირით ამოყვანილი მიწისქვეშა საცავი – ხაროც (დიდი ზომის, ქვევრისებური ორმო) შედიოდა. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, მასში ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის დარბაზების გავლენა შეინიშნება, რის შედეგადაც გარკვეული თავისებური სინთეზი იქმნება. თ. ჩიქოვანის ვარაუდით, წალკური ერდოიან-გვირგვინიანი სახლი, ტიპოლოგიურად ქართველურთან შედარებით სამცხე-ჯავახურ ნაგებობასთან უფრო ახლო ღვას (ჩიქოვანი 1967: 88-98).

ამრიგად, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ქართლს, მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში ორი ტიპის საცხოვრებლები დაფიქსირდა – მიწური და დარბაზული. მიწურ სახლს ქვისგან აშენებდნენ და მისი უკანა კედელი გორაზე იყო მიბჯენილი, ამიტომ, იგი ნახევრად მიწაში იყო დამალული. სახურავი ბრტყელი და მიწაყრილიანი ჰქონდა. კვამლის გამოსასვლელად, კერიის თავზე ერდო იყო გაკეთებული. ასეთი ტიპის სახლები – თბილისის, გორის, ახალქალაქის, წალკის, ერწო-თიანეთისათვისაც იყო დამახასიათებელი. ასეთი საცხოვრებლები ხისგანაც და წნულისაგანაც კეთდებოდა. რაც შეეხება გადახურვას, იგი ღელქაშით ან კრამიტით იფარებოდა (ჩიქოვანი 1960: 5-27).

ჩვენ რადგან დასაწყისში სომხეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებზე უკვე ვისაუბრეთ, ვაჩვენეთ, თუ როგორი რთული რელიეფი და კავკასიის მთიანეთის რა ნაწილი უკავია სომხეთს. ახლა გვინდა სომხური დასახლებების ფორმას გავუსვათ ხაზი. სომხეთის ქვეყანა სამეურნეო პირობების თანახმად ზონალობის მიხედვით იყოფოდა. უძველესი დროიდან დაწყებული ხალხური საცხოვრებლების ტიპები თანდათანობით იცვლებოდა და ვითარდებოდა. მთის ფერდობებზე სოფლები ვერტიკალურად იყო შეფენილი, ხოლო ბარის რაიონებში ჰორიზონტალურად იყო განლაგებული.

სოფლის დასახლება აღინიშნებოდა ტერმინებით – „გიუხ“ ან „შენ“. თუ მთიანი სოფლების საცხოვრებლები შეჯგუფულად, ახლო-ახლო იყო განლაგებული და უბნის გამორჩევა ძნელი იყო, დაბლობში მოსახლეობა უფრო ხალვათად სახლობდა და ცალკეული უბნებიც გამოირჩეოდა. თუ მთაში ნაგებობებს შორის ადგილი არ იყო დარჩენილი მწვანე ნარგავებისთვის, ბოსტნებისა და ცალკეული ხეებისათვის, ბარის რაიონებში ბაღებიცა და ვენახებიც ჰქონდათ გაშენებული (Гадло, <http://www.gurem/info/bibliotek buks/gadlo/08.php>).

როგორც ჩანს, დასახლების აღსანიშნავად ძველად ტერმინი „ვან“ იხმარებოდა, რომელიც მოგვიანებით საცხოვრებლის მნიშვნელობით გვხვდება. სომეხ მეცნიერთა

ვარაუდით, შესაძლოა ეს ტერმინი ურარტუს დედაქალაქის სომხური ფორმა იყოს, როგორც დასახლების და შემდეგ საცხოვრებლის, თავშესაფარის, სადგომი ბინის მნიშვნელობით (Культура раннефеодальной... 198: 307).

დასახლების ფორმის თვალსაზრისით ძველი სომხეთის ყველა რეგიონს თავისებურებები დაჰყვებოდა. მთიან რაიონებში დასახლება შეჯგუფული იყო. ასეთ სოფელში ხშირად გზის დაფიქსირება ძნელი იყო. რაც უფრო ციცაბო იყო ფერდობი, მით უფრო ახლო-მახლო იყო საცხოვრებლები განთავსებული. როგორც საცხოვრებლები, ისე სამეურნეო ნაგებობები სართულებად იყო ზემოთ აზიდული. იმდენად, რომ ქვედა სართულის მიწურ-ბანიანი სახურავები ზემო სართულის ეზოს და ქუჩას წარმოადგენდა, შორიდან სოფელს ტერასული ფორმა ჰქონდა მიღებული. საცხოვრებლების გარკვეული რაოდენობა რაღაც უბნების მსგავსს ქმნიდნენ, რომელიც უმეტესად პატრონიმიული იყო და სახელწოდებაც შესაფერისი ჰქონდათ. ასეთ დასახლებებში ქუჩები უწესრიგოდ იკლავებოდა და ზოგჯერ ნაგებობებს შორის იკარგებოდა. საგულდაგულოდ გაკეთებული ღობეები და ჭიშკარი, უმეტესად მებაღეობა-მევენახეობის, მიწათმოქმედთა და დამხმარე დარგად მესაქონლეთა რაიონებში იყო გავრცელებული, სადაც საკარმიდამოში უკვე ბოსტანი და ნაყოფის მომცემი ხეებიც ედგათ. მართალია, დაბლობი მხარე მწვანეში იყო ჩაფლული, მაგრამ საცხოვრებლები აქაც შეჯგუფულად იდგა. ზანგეზურის რაიონის სოფლები თავისებური ხასიათით გამოირჩეოდა, სადაც ქარები და მკაცრი ზამთარი მოსახლეობას პლატოზე დასახლების საშუალებას არ აძლევდა. ისინი ვიწრო და ღრმა კანიონებში სახლობდნენ, რომელიც ვულკანური წარმოშობის ნიადაგში მდინარეთა მიერ იყო გათხრილი. აქ ციცაბო ფერდობები გამოქვაბულებით იყო დატვირთული, რომელსაც წინიდან ხის ან ქვის აივნები ჰქონდა მიშენებული. საცხოვრებლები ერთმანეთს მხოლოდ ვიწრო, საცაღფეხო ბილიკებითა თუ ვიწრო ქვის საფეხურებით უკავშირდებოდა. ამ გზებზე ვირები და ჯორებიც კი, ძლივს ადიოდნენ. მაღალმთიან უტყეო ზონის სოფლებში კი, სადაც მათ ახლოს არც ერთი ხე არ არსებ-

ბობდა, მაღლა ამოწეული მხოლოდ წივის კოშკები ამშვენებდა. სოფლების ახლოს, ცენტრში ეკლესია, ხის სამრეკლოებით იდგა. მამაკაცთა თავშეყრისა და საზოგადოების ურთიერთობის ადგილს სწორედ ეკლესიის ეზო წარმოადგენდა. სასაფლაო ჩვეულებრივ სოფლის გარეთ კეთდებოდა. წყალი მოსახლეობას უმეტესად წყაროდან მიჰქონდა. წყარო მუდამ სუფთად და ღამაზად იყო მოპირკეთებული. საქონლისათვის იქვე, მაგრამ ოდნავ მოშორებით სპეციალური ქვის აუზები იყო გაკეთებული (Народы Кавказа, 1962 436-437; Народы и Культуры... 2012: 205-206; Тер-Саркисянц 2008: 495).

აღსანიშნავია, რომ სომხეთი ძველად უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. საქართველოს და სომხეთს მეზობლობის შედეგად წარმოშობის დღიდან საერთო საზღვარი აკავშირებდა. ისინი ერთმანეთს წინა აზიის დიდ ფართობზე უფრო მჭიდროდ ემიჯნებოდნენ. სამხრეთიდან შემოსული მტერი ჯერ სომხეთში და შემდეგ საქართველოში იჭრებოდა. სომხეთი თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიების დარტყმების ქვეშ ექცეოდა. დროდადრო საქართველო და სომხეთი მტრის წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებდნენ (სომეხი ხალხის ისტორია... 2016: 3-9; Народы и Культуры... 2012: 205-206).

არარატის დაბლობი ძველთაგანვე სომეხი ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო. აქ მდებარეობდა ძვ. სომხეთის დედაქალაქები – არმავირი, ერვანდაშტი, არტაშატი, ვაღარშაპატი, დვინი, ჩვენს დროში კი – ერევანი. არაგაწის მთის ძირიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება შირაკის ნაყოფიერი ველი, სადაც შუა საუკუნეების სომხეთის კიდევ ერთი დედაქალაქი ანისი მდებარეობდა.

სომხეთის ზეგანი გარესამყაროს მთის გადასასვლელებით უკავშირდება, რომელთაც წარსულში „ჭიშკრებს“ უწოდებდნენ. ზეგანზე გადიოდა ძვ. მსოფლიოს ორი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და სამხედრო გზა, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს აკავშირებდა. სომხეთის

ზეგანის სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და წინა აზიის მძლავრ სახელმწიფოებს შორის წარმოებული ბევრი ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. ძველი სომხეთი 15 მსხვილ მხარედ ან „მიწად“ იყოფოდა. მათგან ყველაზე ცნობილი იყო აირარატი, ვასპურაკანი, სიუნიქი, არცახი, გუგარქი, ზემო სომხეთი, ტურუბერანი, ადშიქი, წოფქი. ყოველი მხარე ნატურალური მეურნეობისა და გეოგრაფიული ჩაკეტილობის პირობებში არა მარტო ცალკე ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა, არამედ გამორჩეული დიალექტი, წეს-ჩვეულებები და კულტურული ტრადიციები ჰქონდა (სომეხი ხალხის ისტორია... 2016: 11-13).

თანამედროვე სომხეთი ოთხ ნაწილად იყოფა – 1. ჩრდილო-აღმოსავლეთი, ნაოჭა-ლოდა მხარე (კავკასიონის ცენტრალური ქედების, ლოქის, ბაზუმის, ბამბაკის, გუგარაცის, მურღუზის, შაჰდაღის ქედები); 2. ცენტრალური ვულკანური მხარე – მთა არაგაწის, გელამის, ვარდენისის ქედები, შირაკის, აშოცის, სეგანის ქვაბულები; 3. სამხრეთის მხარე – ნაოჭა-ლოდა ზანგეზურის ქედის შტოქედებსა და ხეობების ქსელი; 4. შუა არაქსის მთათაშორისი ღრმული – რომლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს არარატის ვაკე – სიმაღლე 800-1000 მ) (Народы Кавказа 1962: 440).

სომხური საცხოვრებლის ტიპები დროის ხანგრძლივ მონაკვეთშია შექმნილი. ბუნებრივია, მათ გარკვეული ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები აპირობებდა. პირველად „სომხური (ძველი) გლეხური საცხოვრებლის“ შესწავლისა და საქართველოს ძველ საცხოვრებლებთან მათი შედარების იდეა 1925 წელს ლ.მ. მელიქსეთ-ბეკოვის (Меликсет-Беков 1925: 109-110) მიერ იქნა წარმოჭრილი. იგი ყურადღებას ამახვილებდა იმის შესახებ, რომ სომხური გლეხური საცხოვრებელი შედარებული ყოფილიყო ქართულ „დარბაზთან“ კავშირში. ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერდა, რომ ასეთი საცხოვრებელი გაერცვლებული იყო ქ. თბილისში, მის შემოგარენსა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში და უცხოელი მოგზაურების აღტაცებას იწვევდა. მისი აზ-

რით ეს „დარბაზი“ უნიკალური იყო და მისი შედარება სომხეთის საცხოვრებელთან, რომელიც მსგავსია, საინტერესო იქნებოდა. მას შემდეგ ბევრმა მეცნიერმა შეისწავლა შედარებითი თვალსაზრისით როგორც ქართული, ისე სომხური, აზერბაიჯანული და ზოგიერთი აზიის ქვეყნების მსგავსი საცხოვრებლები (ს. ლისიციანმა, მ. ილინამ, თ. ჩიქოვანმა და სხვ.).

პირველი ეთნოლოგი, რომელმაც დაიწყო სომხური ტრადიციული საცხოვრებლის შესწავლა ტიპოლოგიური კლასიფიკაციით იყო ს. ლისიციანი. [Лисициан, Известия КИАИ, 1925 г.; მისივე Известия КИАИ, т. II, 1927; მისივე, I, 1955; მისივე, Известия КИАИ, т. III, 1925; მისივე, Известия КИАИ, т. IV, 1927; მისივე, Известия КИАИ, т. V, 1927 და სხვ.] მისი დამსახურება სომხური ეთნოლოგიის წინაშე დიდია. იგი იყო ნ. მარის მოწაფე და მოღვაწეობდა თბილისში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში, მან კარგად იცოდა საველე ეთნოგრაფიული მასალების ფასი და ამიტომ ზედმიწევნით ყურადღებით აგროვებდა მას. კარგად აქონდა შესწავლილი ასევე საარქივო მასალებიც. ს. ლისიციანმა მოიარა სომხეთის ყველა კუთხე და ასევე საქართველოში ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებშიც იმუშავა (Варданян <http://shirak.asj-oa.am/125/177-81.pdf>).

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ სომხეთის საცხოვრებლები დროის ხანგრძლივ პერიოდში ფორმირდებოდნენ, ვითარდებოდნენ და თანდათან ცვლილებასაც განიცდიდნენ. თუმცა, რაც მთავარია, მისი ტრადიციული ტიპი სომხეთის სხვადასხვა მხარეში თავისებურებებით გამოირჩეოდა.

უძველესი საცხოვრებლები, რომლებიც მოწმდება გათხრების საშუალებით და ასევე წყაროების მიხედვით შემდეგია: ქსენოფონტის ცნობით, როდესაც ბერძნული ჯარი სომხეთის გავლით უკან იხევდა, ბერძნებს თავის გზაზე საცხოვრებლის ორი ტიპი ხვდებოდა. მდ. ტიგროსის ველზე საცხოვრებლები მიწისზემოთა იყო. სომხებს მუდმივმა შიშმა მეზობელი, არამეგობრული სახელმწიფოების მიმართ,

სახლის თავისებური ტიპი გამოუმუშავა. როდესაც ბერძნები მკაცრ ატმოსფერული სივრცის მთიანეთში, ცენტრალურ ეულკანურ პლატოზე მოხვდნენ, მათ აქ მიწისქვეშა საცხოვრებლები დახვდათ, ზემოთ ისეთი ამოსასვლელით, რომელიც ჭას ჰგავდა. ეს ჭა ქვემოთ უფრო ფართო იყო. საქონლის შესასვლელი ამოთხრილი ვიწროდ და დაქანებული მიწის სიდრმისკენ იყო. ადამიანები კი საცხოვრებლებში კიბით ჩადიოდნენ. ქსენოფონტის ცნობიდანვე ჩანს, რომ საცხოვრებელში საქონელი და ადამიანები გვერდი-გვერდ სახლობდნენ. მათ ჰყოლიათ – მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა, ქათმები და სხვ. სომხეთის მაღალმთიანეთის პლატოზე საცხოვრებელ კომპლექსებში ერთად იყო ბოსელი და საცხოვრებელი. ადამიანი მკაცრი ზამთრის პირობებში საქონლის სუნთქვის და ახალი ნაკელის ან წივის სითბოს იყენებდა გასათბობად. ასეთი საცხოვრებლები იყო უტყეო მთიანეთშიც, წივა და ნაკელი, რომელიც საქონელს რჩებოდა, გამოშრობის შემდეგ გათბობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, კონტინენტური კლიმატი – მკაცრი ზამთარი და ცხელი ზაფხული, მათი მკვეთრი ცვლილება ტემპერატურასთან ერთად, ადამიანს კარნახობდა მიწისქვეშა საცხოვრებელი მოეწყო. ეს საცხოვრებელი მას ზამთარში სიცვიისაგან, ხოლო ზაფხულში სიცხისაგან იცავდა. აღწერილობიდან ჩანს, რომ ამ „ჭის მაგვარი“ საცხოვრებლის ოთხივე კედელი მიწის ქვემოთ მდებარეობდა. არქეოლოგიური და წერილობითი მასალიდან კარგად ჩანს, რომ ასეთი საცხოვრებლის მნიშვნელოვან ელემენტს ღია კერია წარმოადგენდა, რომელიც ცენტრში იყო გაკეთებული. ასეთ საცხოვრებელში ძველთაგანვე „თონირიც“ ედგათ, რომელიც მიწაში ჩაფლული ცილინდრული ფორმის, გამომწვარი კერამიკის ღუმელს წარმოადგენდა, რომელიც უმეტესად პურის საცხობად და გასათბობად გამოიყენებოდა. თონირის საბერეელის კერამიკული მილი გარეთ გადიოდა. საკვების მოსამზადებლად მხოლოდ კერია გამოიყენებოდა, რომლისთვისაც საკვამლე და ასევე სასინათლო ღიობი საცხოვრებელს ხვრელის სახით ჭერში უკეთდებოდა. მას „ერდ“-ს უწოდებდნენ. თავისი სისტემით საცხოვრებელი ნაგებობის კვადრატულ დაგეგმარებაში გადახურვა ცენტრა-

ლური სინათლისა და საკვამურის ღიობს განსაზღვრავდა. კვადრატის საფუძველზე, ერდის (ერდოს) ქვემოთ მიწისქვეშა საცხოვრებელში ძველთაგანვე თავისებური ხის საფეხურებიანი კამარა კეთდებოდა, რომელიც მიწურ კედლებზე მიდგმულ ქვის ან ხის ბოძებს ეყრდნობოდა. კამარა მოკლე მორებითა და ძელებით კეთდებოდა, რომელიც თანდათან საფეხურებად ვიწროვდებოდა. ზემოთ კი, იგი სწორედ ამ სინათლისა და საკვამურის ღიობით მთავრდებოდა. ასეთი ხისა თუ ქვის კარკასი გარედან ღელქაშით, თივით ან ბზით, ზემოდან კი წყალგაუმტარი თიხით იფარებოდა. გადახურვა გარედან მსუბუქად ამობურცულ კონუსის ფორმას იღებდა, ამ გუმბათს სომხურად „აზარაშენკ“ ეწოდებოდა“ (Культура раннефеодальной... 1980: 307-309).

ზემოთ აღწერილი საცხოვრებლის ოთხივე კედელი მთლიანად მიწის ქვეშ მდებარეობდა. მსგავსი საცხოვრებელი, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო შატახისა და ნორდუზონთანის რაიონებში ს. ლისიციანმა დააფიქსირა (Лисициан Известия КИАИ, т. V, 1927: 70-82). როგორც ჩანს, საცხოვრებელს ადგილობრივი მოსახლეობა, ეკონომიკური საქმიანობის (მიწათმოქმედების, მესაქონლეობის), საწარმოო ფორმების და რაც მთავარია საკუთარი ყოფითი პირობების გათვალისწინებით აშენებდა (Самуелян 1974: 210).

ცოტა მოგვიანებით ჩანს, რომ გლეხური საცხოვრებლის – „გლხტუნის“ მხოლოდ სამი კედელი იყო მიწაში ჩაფლული, ხოლო წინა კედელი კი, რომელიც ქვით შენდებოდა მიმართული იყო ფერდობისა და ე.ი. მზისკენ. რასაკვირველია, ასეთ სახლში უკვე შედიოდნენ კარიდან და არა ჭერის ღიობიდან. ასეთი ვითარების დროს თანდათანობით ბოსელი „გომ“ ძირითად საცხოვრებელს „ტუნს“ გამოეყო წინკარით „ბაკ“ ან „სრახის“ საშუალებით. ამ დროს კეთდებოდა საკმაოდ მაღალი და ფართო გარე შემოსასვლელი კარი წინკარში, სადაც წელიწადის თბილ დროს ოჯახი ატარებდა.

ტიყან და უფრო თბილ რაიონებში ყარაბაღის (რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი) ყარაღამში (ერდოიანგვირგვინიანი) ტიპის საცხოვრებელი ჩანს გავრცელებუ-

ლი. მოგვიანებით ცალკე თავისებურ ნაგებობაში „თონრა-ტუნის“ გამოყოფა იწყება. ეს ოთახი ტუნის კედელზე უკნიდან იყო მიკრული. ამ სათავსოში თონრატუნის, პურის საცხობის თავზე, ჭერში ტუნის გადახურვის საფეხურიანი კამარა მეორდებოდა, თუმცა, მინიატურაში. ამ შემთხვევაში „ერდ ლუსონ“ მხოლოდ სინათლის წყაროდ იყო გამოყენებული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ხის დაფით იხურებოდა კიდევ. ეს უკვე საცხოვრებლის რთული კომპლექსი იყო. აქედან დაწყებული ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების დროს სომხეთში უკვე არსებობდა ხალხური საცხოვრებლის ისეთი კომპლექსი, რომელსაც „თონრატუნი“ ეკეროდა, გვერდით „მარაგი“ ანუ საკუჭნაო, „მარანი“ ანუ სათავსო ჰქონდა, სადაც ღვინოს, წყალს და სხვას ინახავდნენ ქვევრებში. ასევე გვერდზე – „გომი“ ანუ ბოსელი და ტუნის წინკარი – „ბაკ“ იყო მოთავსებული. ეს იყო ე.წ. „მეგრინის“ საცხოვრებელი, რომელიც გავრცელებული იყო მეგრინის რაიონში. მსგავსი საცხოვრებელი წარმოადგენდა სწორკუთხა, ქვის კედლებით, წინ აივნით, რომელიც საცხოვრებლის გვერდითი კედლების გაგრძელებაში იყო ჩადგმული. ეს სწორკუთხა ნაგებობა ორად, შიგნითა და გარეთა ოთახებად იყო დაყოფილი. გარეთა ოთახებს მოსდევს აივანი, რომლის გადახურვა ოთხ ან ხუთ ბოძზეა დაყრდნობილი. ამ ტიპის საცხოვრებელში ყველაზე საინტერესო გადახურვაა. ჯვარედინად გადებული გრძელი მორები ხის ორ ბოძს ეყრდნობა. ბოძები განთავსებულია ღერძის გვერდებზე. მორები, ორივე მხრიდან უხეშად გათლილ გრძელ ძელებზე, ჯვარედინად ან მტკიცე რიგებად, ზოგჯერ ორ რიგად, გარკვეული მიმართულებით ეწყობოდა, ზემოდან იგი ღელქაშით ან თივით, შემდეგ სქელი წყალგაუმტარი თიხის ფენით იფარებოდა და ქვის სატკეციოთ იტკეპნებოდა. ყველა საცხოვრებელში განათებისა და საკვამურისათვის სახურავში ერთს ან ორ ღიობს (ხერელს) – „ერდ“-ს ტოვებდნენ. ერდის მოპირდაპირედ ტუნში „ტონირი“ (კერია) ენთო, ხოლო თონრატულს ისინი თავისი საბერველით წინკარშიც აკეთებდნენ. წინკარში ისინი ასევე „სანდ“-საც ე.ი. ქვის როდინსაც დგამდნენ, რომელშიაც

ქვის მარლის ნაყავდნენ. ასევე ხორბალს და ა.შ. ამ დრო-
ისათვის ბოსელი უკვე შედარებით მოშორებით კეთდებო-
და (Культура раннефеодальной... 1980: 311-314; Народ и
культура... 2012: 211-212; თოფჩიშვილი 2012: 298).

სომხური მთიანეთის ხალხური არქიტექტურის ერთ-
ერთ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ს. ლისიციანი,
რომელმაც თავის დროზე ყარაბახული „ყარადამი“ შეის-
წავლა. „ყარადამი“ თათრული ტერმინია, იგი „შავ
სახლს“ ე.ი. შებოლილს, შეჭვარტლულს აღნიშნავს. სომ-
ხური გლეხური საცხოვრებლის სახელწოდებას, როგორც
ს. ლისიციანი შენიშნავს, კავშირი მონღოლურ საცხოვრე-
ბელთან არა აქვს. თუმცა, ზოგიერთ თათრულ სოფლებ-
შიც ყოფილა აქა-იქ გავრცელებული, მაგ. გადრუთაში.
ყარადამი ჩვეულებრივ მთის ფერდობზე იდგა და მისი სა-
მი კედელი თითქმის მიწაში იყო შეჭრილი და მხოლოდ
წინა ნაწილი, კარებითა და აივნით, უმეტესად სამხრეთი-
საკენ ყოფილა მიმართული. ყარადამი ეზოზე მაღლა იდ-
გა, ამიტომ, ხშირად, მხოლოდ ამოწეული და წაკვეთილი
კონუსით თუ მიხვდებოდა ადამიანი, რომ იქ საცხოვრებე-
ლი იდგა. ერთი სახურავი, ერთ ყარადამს ემსახურებოდა,
თუმცა, მეორეს იგი ეზოდ ჰქონდა გამოყენებული. მიუხე-
დავად ამისა მიწურები თავიანთი ეზოებით ერთმანეთისა-
გან იზოლირებულად იდგნენ. ძველთაგან მათ წესად
ჰქონდათ, რომ როდესაც ოჯახი გაიზრდებოდა და უფრო-
სი ვაჟის დაქორწინების დრო მოვიდოდა, ცდილობდნენ
მისთვის ყარადამი არა უშუალოდ მამისეულ საცხოვრე-
ბელში გადაეტყობინათ ან საცხოვრებლის ახლოს გაეკეთე-
ბინათ, არამედ, დამოუკიდებლად, მამისეული სახლის მო-
შორებით აემშენებინათ. ამ მომენტიდან იგი ცალკე, დამო-
უკიდებელ ოჯახად ყალიბდებოდა. ყარაბახელები ცდი-
ლობდნენ, გაფართოებულ, დიდ ოჯახებად, რომელიც
რამდენიმე თაობას უყრიდა თავს, არ ეცხოვრათ. მათ
ოჯახიდან გასული ვაჟის დამოუკიდებლად დასახლები-
სათვის ზრუნვა საკმაოდ ადრევე დაუწყიათ. ამიტომ, შეჯ-
გუფული ძველი დასახლება, რომელშიაც ნათესაური გა-
ერთიანებები იყო, ყველანაირად ხელს უწყობდნენ, რომ
დაქორწინებული ვაჟები ცალკე დასახლებულიყვნენ. ამი-

სათვის კი სოფლის ბოლოს დასახლებისათვის ახალ ადგილს არჩევდნენ. ამასთან, საინტერესოა ის ფაქტი, რომ გასულ და დამოუკიდებლად დასახლებულ ოჯახს, მშობლების კერიიდან ცეცხლი არ მიჰქონდა, როგორც ეს სხვა პროვინციებში ხდებოდა. ყარაღამი საფუძველში მკაცრად კვადრატული ფორმის იყო. ს. ლისიციანის გადმოცემით, მისი კედლები 1 1/2 არშინის სისქის კეთდებოდა. წინა კედელი უფრო კეთილსინდისიერად, გათლილი ქვებით კირხსნარზე იყო მოპირკეთებული. სამი კედელი, რომელიც მიწაში იყო დამალული მორღვეული, გაუთლელი ქვებით შენდებოდა. კედლები შიგნიდან თიხით ან კირხსნარით ილესებოდა. გვერდითი კედლებისა და სახურავის წინ წამოწევით კი, ისინი ღია აივანს ქმნიდნენ შესასვლელთან. შიგნით შენობაში იატაკიდან დაწყებული 1 1/2 არშინის სიმაღლეზე კედლებში ღია ნიშნები იყო ჩაშენებული, რომელიც კარადების როლს ასრულებდა. მათ ჭურჭლისათვის, ტანსაცმლისა და ლოგინების დასაწყობად მოიხმარდნენ. ყარაღამისათვის ყველაზე დამახასიათებელი გადახურვის სისტემაა, რომელსაც ოთხი მუხის მსხვილი ბოძი იჭერდა. ბოძები („სიუნ“) ქვემოთ ქვის ოთხკუთხა ბალიშებს ეყრდნობოდა და ისინი ერთმანეთისაგან 1 1/2- 1 3/4, 2 არშინის დაცილებით იდგა ყოველი კედლიდან. ბოძები პოსტამენტებზე იდგნენ ფესურათი ზემოთ. ფესურას გაბრტყელებული ფორმა და ძაბრვიით ჩაწეული გული ჰქონდა, ზემოთ მისადებად. ეს კაპიტელები („სინაკლოხ“ – ძელის თავი) უმეტეს შემთხვევაში (მაგრამ არა ყოველთვის) უხეშად ორნამენტირებული იყო გეომეტრიული ხაზებით. ყველა ყარაღამში, გამონაკლისის გარეშე, ძელები, რომლებიც ჭერს ქმნიდნენ, ერთი და იმავე წყობით იყო გაკეთებული. ბოძების ზემო, ძაბრულ ნაწილში, პარალელურად გვერდითი კედლების, კაპიტელის თავზე თითო მორს („კერან“) აყენებდნენ, რომელზეც ისევ კოლონიდან კოლონაზე, მარჯვნიდან მარცხნივ, ორი პარალელური მორი („ჩოხტაკ“) იდებოდა. ამის შემდეგ კვადრატული ჩარჩო კეთდებოდა კედლების პარალელურად. პარალელურ მორებზე, ქვემოთა ერთი მორიდან, ჯვარედინად იდებოდა ერთი მორი, ხოლო მასზე ისევ

იმავე დაშორებით ერთმანეთისაგან მორები, ჯერ მარ-
 ჯვნივ და შემდეგ მარცხნივ. ამრიგად, თანდათანობით შე-
 დარებით უფრო წერილი მოკლე მორების დამატებით იქ-
 მნებოდა საფეხურებიანი გვირგვინი, რომელიც ბოლოს
 ვიწროვდებოდა და სინათლისა და საკვამლე ღიობით
 მთავრდებოდა. აღწერილობის თანახმად, გარედან ეს კარ-
 კასი ნაჯახით გათლილი სქელი ფიცრებით იფარებოდა.
 ფიცრებზე სქელი ფენა თივა და ლელქაში, ხოლო ზემო-
 დან მასზე წყალგაუმტარი თიხა იყრებოდა. სახურავი
 ფართო და ბრტყელი კვადრატის ფორმას იღება, რომე-
 ლიც შუა ადგილზე თითქოს წაკვეთილი იყო კონუსივით.
 ორმაგი მორების ქვეშ, კოლონიდან კოლონამდე, ადამიან-
 ნის სიმაღლეზე გაჭიმული იყო თითო ლატანი („სალობ“
 – თათრული დასახელება), რომელთა ბოლოები კაპიტე-
 ლის თავზე გამოჭრილ ღრმულებში მაგრდებოდა. ნაგებო-
 ბას ერთი დაბალი კარი ჰქონდა, რომელიც წინა კედელ-
 ში იყო დატოვებული. კარი ცალმხრივი, მაგრამ სქელი
 უხეშად გამოთლილი ფიცრისა იყო. კარის უკან ტიხარი
 იყო აღმართული, რომ ზამთარში კარიდან შემოჭრილი
 ცივი ჰაერი დაეკავებინა. აქვე ცრუ ბოძი იდგა, რომელ-
 ზეც წარწერა, ჩვეულებრივ საცხოვრებლის პატრონის ან
 ამშენებლის სახელი ან უმეტესად გეომეტრიული ორნა-
 მენტი ამშენებდა. ოთახის ცენტრში, ერდოს პირდაპირ
 ქვემოთ, იატაკზე, მცირე ღრმულში, კერია იყო მოწყობი-
 ლი, რომელსაც გვერდებზე ადამიანების საჯდომად რი-
 ყის ქვები ჰქონდა შემოწყობილი. ყარაბაღში „ტონდირი“
 არ იცოდნენ, რადგან ყარაბაღის მთები და ფერდობები
 ტყეებით იყო დაფარული და მოსახლეობა შემის ნაკლე-
 ბობას არ განიცდიდა. ყარადამებში კედლების გასწვრივ
 ფართო და გრძელი ტახტები კეთდებოდა, რომელიც ჭი-
 ლოფებითა და ნოხებით იყო დაფარული. კარის მოპირდა-
 პირე კედელზე, მის სიგრძეზე ქვის წყობით ნიშა იყო გა-
 კეთებული, სადაც ჭურჭელი, ტომრებით ფქვილი, მარი-
 ლი, ქოთნებით თაფლი და სხვა სურსათ-სანოვაგე ეწყო-
 ბოდა. ყარადამი მოსახლეობისათვის საზამთრო ნაგებობა
 იყო. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ოჯახები
 ღია აივნებზე ცხოვრობდნენ. აივანს 5-7 ბოძი ჰქონდა წინ,

რომელსაც სახურავი ეყრდნობოდა. გვერდით კედელზე, ნახევრადნიშაში კერა ეწყობოდა, რომელზედაც ზაფხულში საკეები მზადდებოდა. მის წინ, ძელებს შორის ტიხარი კეთდებოდა 1 1/2 არშინის სიმაღლის, რომელიც ფიცარი ან წნული კედელი იყო. მთიანი ყარაბახისთვის ბოსლის დამოუკიდებლად, მოშორებით დადგმა წესი იყო. „გომი“ (ბოსელი) ვიწრო შენობა იყო, რომელიც, კედლებში და ბუნებრივ გამოქვაბულებში იდგმებოდა და კედლები თიხით ილესებოდა. სინათლე მასში მხოლოდ კარიდან შედიოდა და კედლის მცირე ღიობიდან, რომელიც დატოვებული იყო იმისთვის, რომ იქიდან ნაკელი გამოეტანათ (Лисициан, ИКИАИ, т. III, 1925: 99-105).

ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული გლეხური საცხოვრებელი სომხეთში, ოთხკუთხა, კვადრატული გეგმის ნაგებობა, ქვის კედლებით და საფეხურებიანი კამარის მსგავსი გადახურვით იყო, რომელიც შიგნით ხის ბოძებს ეყრდნობოდა და „გლხატუნ“ (ერდოიან-გვირგვინიანი სახლი) ეწოდებოდა. გლხატუნ სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს, გლუხ = თავს, ტუნ = სახლს ე.ი. თავი სახლი. ცნობილი იყო ტრადიციული სომხური საცხოვრებლის ორი ტიპი, რომელიც შიდა დაგეგმარებისა და გადახურვის ფორმით თავისებურებებით გამოირჩეოდა. აღმოსავლეთში ეს იყო მიწისზედა, ზოგჯერ მიწაში ნახევრად ჩაღრმავებული ქვის ნაგებობა, საფეხურებიანი ერდოიან-გვირგვინიანი კამარით, რომელიც სინათლის ოთხკუთხა ღიობით ბოლოვდებოდა. ძირითადი კონსტრუქციული თავისებურება საცხოვრებლის გადახურვა იყო. იგი არა კედლებს, არამედ მასიურ ხის ბოძებს („სიუნ“) ეყრდნობოდა. ეს ბოძები კედლიდან პარალელურად, მაგრამ უფრო მოშორებით იდგა. ბოძებზე მსხვილი მორები („გერან“) ეწყობოდა, ხოლო მათ გარდი-გარდმო, ცენტრთან ახლოს ორი სხვა უფრო მოკლე მორი ედებოდა. ესენი ორ პირველ მორთან ერთად კვადრატს ქმნიდნენ. ამ კვადრატს ზემოდან კვლავ უფრო მოკლე და უფრო ვიწრო მორი ემატებოდა. ამრიგად, შემდგომი კვადრატი პირამიდულ კამარას, თაღს ქმნიდა, რომელიც თანდათან ზემოთ ვიწროვდებოდა ხის ძელაკების მატებით. ზემოდან სახუ-

რავზე ფინხს ყრიდნენ, შემდეგ თიხის ფენას ადებდნენ და ამის შემდეგ მიწის სქელ ფენას აყრიდნენ და გარშემო სახურავს ქვის მუთაქით ამაგრებდნენ. იმისათვის რომ სახურავზე მიწა კარგად დაეტკეპნათ, ლატანზე დამაგრებულ ცხერის ან მგლის ტყავს ურტყამდნენ. კედლები გაუთლელი ქვით შენდებოდა, რომლისთვისაც თიხას ან კირხსნარს გამოიყენებდნენ. წინ გამოწეული გვერდითი კედლებით წინკარი („სრახ“, „ერესბაც“, „ეივან“) კეთდებოდა. სახლში წინაკარიდან შედიოდნენ. წლის თბილ დღეებში კი მოსახლეობას აქ საქმიანობა და დასვენება უყვარდა. საცხოვრებლის ცენტრში, ამაღლებულ ადგილზე ღია კერია იყო მოთავსებული. თიხის ღუმელს „ტონირს“ ჩვეულებრივ მიწაში კერიის გვერდით, ხშირად მას სხვა ოთახში, საცხოვრებლიდან გარეთ მიწაში დგამდნენ, ან წინაკარში და მას „ტონრატუნს“ უწოდებდნენ. რაც სიტყვა-სიტყვით = პურის საცხობ ოთახს აღნიშნავდა. გლახტუნის კომპლექსში საკუჭნაოც („მარან“) იყო.

დასავლელი სომხებისათვის საცხოვრებლის ტიპი უფრო რთული იყო დამახასიათებელი. ეს იყო, მრავალსაფეხურიანი ერდო-გვირგვინიანი თაღით, საცხოვრებელი კონუსური ფორმის სახურავით, რომელიც სინათლე-საკვამურის ღიობით მთავრდებოდა. პირამიდული, მრავალსაფეხურიანი თაღი თანდათანობით კუთხეებში გადაჭრილი ძელებით იმართებოდა. ძელები გათლილი იყო და ერთმანეთზე დაწყობილი გვირგვინს ქმნიდა. ასეთ საცხოვრებელს – „ჰაზარაშენკ“ – (=ათას აშენებული) ეწოდებოდა. სწორედ ამ ძელებს სხვადასხვა ფერებში ღებავდნენ ან აპრიალებდნენ. ტონირი სახლის ცენტრში იდგა, მაგრამ ხშირად მიშენებაში (ე.ი. ტონრატუნში), რომელსაც საკუთარი საკვამლე ღიობი ჰქონდა, იგი მაღალი თაღიანი შემოსასვლელით საცხოვრებელს უკავშირდებოდა. საცხოვრებელი ფართობი 25-დან 100 კვ.მ. და ზოგჯერ უფრო დიდც იყო. ტონრატუნს 10-დან 15 კვ.მ. ეკავა. მას ნახევრადმრგვალი გაგრძელებული ფორმა და აწეული იატაკი ჰქონდა. გვერდით კარს საკუჭნაოში („კოს“, „კილარ“) შეჰყავდა ადამიანი, სადაც სურსათ-სანოვაგე და ღვინო იყო შენახული. საცხოვრებელს ფართო და დახურული წინკარი

(„ბაკ“, „შეაკ“) ჰქონდა (Тер-Саркисянц 2008: 495-498; Народы Кавказа 1962: 470-471).

ცხელი კლიმატის და იშვიათი ნალექების, მეზალობისა და მევენახეობის რაიონებში, ერთნახევარ სართულიანი თიხატკეპნილი, სწორკუთხა ფორმის, მიწურ-ბანიანი საცხოვრებლები იყო გავრცელებული. ზემო სართულში, ერთიდან სამი ოთახი საცხოვრებელი იყო, რომელთაც რუსების შემოსვლის შემდეგ ფანჯრებს აყოლებდნენ. ნახევრად სარდაფის პირველ სართულზე მაღალი ნიშნები კეთდებოდა, სადაც მთელ სურსათ-სანოვაგეს ინახავდნენ. საკუჭნაო საცხოვრებელს უმეტესად გარედან მიეშენებოდა (Тер-Саркисянц 2008: 499; Народы Кавказа 1962: 497).

სიუნიკში გავრცელებული იყო ერთ- ან ორსართულიანი ქვის ან ალიზის აგურით ნაშენი საცხოვრებლები, სწორკუთხა ფორმის, მიწურ-ბანიანი გადახურვით. წინ ფასადის მხარეს აივანს უშენებდნენ. ფერდობზე აშენებული ეს საცხოვრებლები უკანა კედლით კლდეში იყო შეჭრილი. ფუნდამენტი და კედლები გაუთლელი ქვით შენდებოდა. მთელი კონსტრუქციისათვის, როგორც გადახურვაზე, ისე კედლების მშენებლობაში თუ შესაღესად თიხას მოიხმარდნენ. კედლებს ერთი მეტრი სისქე, ხოლო სიმაღლე სამ მეტრამდე ჰქონდათ. კედლებს შიგნიდან ღია ფერის კაოლინის ხსნარით ღებავდნენ. მეორე სართულზე თაღოვანი ფორმის ფართო ფანჯრები კეთდებოდა. აივანი ხეზე კვეთით, ორნამენტებით იყო გალამაზებული (Тер-Саркисянц 2008: 499).

შირაკში ჩვეულებრივ ერთსართულიანი ქვის სწორკუთხა საცხოვრებლები შენდებოდა, ბრტყელი მიწურ-ბანიანი გადახურვით. ფუნდამენტისათვის ბაზალტს ხმარობდნენ, ხოლო კედლებისათვის სხვადასხვა ფერის ტუფს, უმეტესად მუქს. სომხეთის სამხრეთში, კერძოდ სასუნში ტრადიციული საცხოვრებელი ფანჯრებით შენდებოდა. მეორე სართულს სათოფურებიც დაყვებოდა. ასეთ სახლში ღუმელი კედელში კეთდებოდა. გლეხები სამეურნეო ნაგებობებს, არანაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. პირვე-

ლყოელისა გომი (ბოსელი) ქვისგან და გრძელი ოთხკუთხა ფორმის შენდებოდა. სომხეთის დასავლეთში საქონლისათვის მშრალ, სინათლიან შენობას აშენებდნენ, რომელიც საცხოვრებელს დერეფნით უკავშირდებოდა. აქ იატაკი გათლილი ქვით იგებოდა და მოსახლეობა ცდილობდა სუფთად შეენახა. გომისაგან ქვის მეტრნახევარი სიმაღლის ტიხარით, გამოყოფილი იყო გომი-ოდა. იგი მამაკაცებისა და სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. გომ-ოდაში გვერდითი კედლების გასწვრივ ორ ფართო ქვისაგან ტახტებს აშენებდნენ ან ხის ტახტებს დგამდნენ, რომელთა შორის დაშორება ერთ მეტრამდე რჩებოდა. გასასვლელი კედლის ბუხართან მიდიოდა. საწოლებს შორის გასასვლელი იატაკი მაღალი იყო, ვიდრე გომისა და წინაკარის. ზამთარში გომი-ოდა მამაკაცთა თავშეყრის ადგილი იყო. იქ იშლებოდა სადღესასწაულო სუფრებიც (Тер-Саркисянц 2008: 500).

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში, XX ს-ის 40-იან წლებში, უძველესი ტიპის მსგავსი საცხოვრებლების მიმართ მ. ილინამ საკმაო ინტერესი გამოიჩინა. მან აღწერა საქართველოში გავრცელებული „ღარბაზის“, „ერდოიანი სახლის“, სომხეთში – „ტუნისა“ და „ხაცატუნის“, მთიანი ყარაბახის – „ყარადამის“ ტიპის საცხოვრებლები და ყურადღებით შეისწავლა ისინი. მისი დასკვნის შედეგად ეს საცხოვრებლები მან გვაროვნული საზოგადოების საცხოვრებლად მიიხნია (Илина 1946: 20-21), რაშიაც მას ვერ დავეთანხმებით. ამ ტიპის საცხოვრებლებში დიდი ოჯახები ცხოვრობდა. დიდ ოჯახს კი კავკასიის ხალხთა ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მისი რღვევის შედეგად, რომელიც ხუთი და მეტი თაობის აგნატებს მოითვლიდა, გაყრის შემდეგ, ახლად წარმოქმნილ ოჯახების ჯგუფს მთელი რიგი ერთობლიობის ნიშნები უყალიბდებოდათ - 1. ეგზოგამია აღმავალი ხაზით IV-V თაობამდე კარგად დაცული გენეალოგია, რომელიც ნათესაური კატეგორიების უფლება-მოვალეობათა ნორმებით განისაზღვრებოდა; 2. ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც გულისხმობდა მამისეული სახლის გვერდით განაყარი ოჯახების განსახლებას; 3. მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში ინტერესების ერთიანო-

ბას, რომელიც სათავეს უდებდა საერთო კოლექტიური შრომის ორგანიზაციას და მატერიალური ურთიერთდახმარების ფორმების ჩამოყალიბებას; 4. ზოგიერთი რელიგიური დღეობა-დღესასწაულების ერთობლივი გადახდის პრაქტიკას; დიდი ოჯახების რეალური ან მითიური ეპონიმი კი საფუძველს უდებდა ამ სოციალური ინსტიტუტის სახელწოდებას, მის იდეოლოგიურ ერთობლიობას. თავისი სტრუქტურითა და ხასიათით ეს რთული ინსტიტუტი (პატრონი-მია) პატრიარქალურ-გეგაროვნულ წყობილებასთან არ არის კავშირში და მისი წარმოშობა კლასობრივ საზოგადოებაში იგულისხმება (ბახია-ოქრუაშვილი 2007: 15-16).

მ. ილინა ფიქრობდა, რომ სამეურნეო განხრა, რომელმაც შექმნა ამ ტიპის საცხოვრებლები ძირითადად მესაქონლეობაზე იყო დამყარებული და მიწათმოქმედება დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ ეს იყო შედეგი, რომ მსგავსი საცხოვრებლები შექმნილიყო (Илина 1946: 18). თ. ჩიქოვანიმა მ. ილინას მიერ გამოთქმულ ვარაუდს ასე უპასუხა – ჯერ ერთი, სომხეთის სოფლის მეურნეობაში, ერდოიან-გვირგვინიანი სახლების გავრცელების ზოლში წამყვან დარგს ისტორიულადვე ზოგან მიწათმოქმედება და ზოგან მესაქონლეობა წარმოადგენდა. მეორე, ზოგიერთ რაიონებში, მეურნეობის ორივე დარგი თითქმის ერთნაირი სიმძლავრით იყო წარმოდგენილი (ჩიქოვანი 1967: 101).

ამავე დროს, ჩვენი ვარაუდით, ასეთი ტიპის საცხოვრებლების გავრცელებას როგორც საქართველოში, ისე სომხეთში ძირითადად ჯერ გეოგრაფიულ-ბუნებრივ პირობებს, შემდეგ მეურნეობის დარგებს, ხოლო შემდეგ სოციალურ ყოფასაც უკავშირებდნენ.

გეგაროვნული წყობის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად მ. ილინას საქართველოსა და სომხეთშიც სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტი მიაჩნია, რომლისთვისაც საქართველოსა და სომხეთშიც გავრცელებული იყო ნაგებობა გომი-ოდა, რომელიც უმეტესად სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი (Илина 1946: 19). ვფიქრობთ ეს ჩვეულება მართალია, საზოგადოების განვითარების საწყის პერიოდში წარმოიქმნა, მაგრამ ეს წეს-ჩვეულება არა მარტო ქარ-

თველი და სომეხი ხალხების, არამედ თითქმის ყველა ხალხისთვისაა დამახასიათებელი. თავისი ბუნებით იგი უნივერსალური მოვლენაა. მისი არსი, როგორც ჩანს, მორალურ მხარეს ეყრდნობა, თუმცა, არ შეიძლება ეკონომიკური საწყისის გამორიცხვაც (ურთიერთდახმარების თვალსაზრისით). ამდენად, ვერ ჩაითვლება იგი გვაროვნული წყობის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად. ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ ძალაუფლება და უხუცესი წევრისადმი პატივისცემა, სპეციალური სავარძელი და ადგილი კერძო ასთან, მაინცადამაინც მხოლოდ გვაროვნული ოჯახისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი. გარკვეული ნათესაური გაერთიანება – დიდი ოჯახი და შემდეგ პატრონიმია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხასიათდებოდა რიგი ერთობლიობის ნიშნებით. ამდენად, „პატრონიმული ორგანიზაციისთვის დამახასიათებელმა ამ ერთობლიობამ შექმნა ილუზია, რომ თითქოს ეს გვაროვნული წყობილების ბატონობის შედეგი ყოფილიყო“ (რობაქიძე 1974: 46-47). იმ დროისათვის, ვფიქრობთ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე უფრო ბევრად მაღლა იდგა, ვიდრე გვაროვნული წყობილება იყო.

გარდა ამისა, მ. ილინა თვით საცხოვრებლების დასახელებებს, ტერმინებს და მათ შიდა თუ გარე მოწყობილობის ჩვეულებებსაც გვაროვნულ წყობასთან აკავშირებდა. ამასთან, ქართლის ერდოიანი სახლის აღწერილობის დროს ტერმინს – „ერდოიანი სახლი“ ოსურს უწოდებს (Илина 1946: 20). ჯერ ერთი, „ერდოიანი სახლი“ ქართული ტერმინია*, მეორე, ასეთი ტიპის საცხოვრებლები ოსებისთვის დამახასიათებელი არ ყოფილა. მესამე – ქართლში და კერძოდ ცხინვალის რაიონში ოსები მცირე რაოდენობით მხოლოდ XIX საუკუნეში დასახლდნენ და მათ მტრისაგან განადგურებული ქართველების უპატრონოდ დარჩენილი საცხოვრებლები აითვისეს და მასთან ერთად ნაგებობის ქართული სახელიც.

* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953.

ამრიგად, დარბაზული ტიპის, ერდოიან-გვირგვინიანი, ყარაღამი, გლახატუნი ბუნებრივია, რომ უძველეს პრიმიტიულ მიწურთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მან გარკვეულ დროთა ვითარებაში, თანდათან მაღალ არქიტექტურულ განვითარებას მიაღწია. კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში დადგენილი მსგავსი ნაგებობები გვაროვნული ტიპის ვეღარ იქნებოდა, რადგან მოსახლეობაც სოციალური ყოფის ბევრად მაღალ საფეხურზე იდგა.

კავკასიის ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლების შესწავლისა და შემდეგ ამ ტიპის საცხოვრებლის თავდაპირველი სამშობლოს დადგენის საქმეში დიდი წვლილი ქართველ ეთნოლოგს თ. ჩიქოვანს მიუძღვის. მან სამხრეთ კავკასიის – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ამ ტიპის საცხოვრებლები თითქმის ერთიან ძველ-კულტურულ სამყაროში აღმოცენებულად მიიჩნია. მისივე აზრით, გარდა საერთო გეოგრაფიული საზღვრებისა, ამ სამი ქვეყნის ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებლებს მსგავსი სამეურნეო ვითარების განვითარებაც ანათესავებდა (ჩიქოვანი 1967: 99).

თ. ჩიქოვანის კვლევის შედეგად – ქართულ-სომხური ერდოიან-გვირგვინიანი სახლების გარეგანი ფორმების მეტ-ნაკლებად ერთიანობის მიუხედავად ორივეს, საკუთარი სპეციფიკური თავისებურება დაჰყვებოდა. საერთო ქართულისაგან განსხვავებით სომხური კომპლექსი უფრო დახშული ნაგებობა იყო. მაღალსომხური სახლის ფასადის მხარეს არსებული კარაპანი (სრახ) ქართულისაგან განსხვავებით ოთხკედლიანი იყო, ყარაბაღულ ყარაღამში ჩარდახი უმეტესად წინიდან ღია და უკედლო იყო. ქართულისაგან განსხვავებით ყარაღამის ჩარდახში, გვერდით კედელზე ღუმელი ჰქონდათ გამართული. ზოგ შემთხვევაში სომხურ ერდოიან-გვირგვინიან კომპლექსში წინკარს (კარაპანს) წინ პატარა ზომის ოთახი ჰქონდა მიდგმული. სევანის ტბის აუზის სოფლებში, როგორც საქართველოში მას ჩარდახს* უწოდებენ. მაღალსომხური ერდოიან-

* ჩარდახი < სპარს. ჩარტახ = ძვ. სასახლის ბანის ნაწილი, სვეტზე დადგმული და გუმბათით დახურული. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბ., 1964, 328.

გვირგვინიანი ოთახის – ტუნის გადახურვას, წახნაგოვანი ფორმის გვირგვინი ჰქონდა და იგი კედლის სვეტებზე (ბოძებზე) იყო აღმართული. ყარაბაღელ სომხებში, ყარაბაღის გადახურვა ოთხკუთხა, პირამიდული მოყვანილობისა იყო და მუდმივად ოთხ დედა ბოძზე აღმართული. ქართულისაგან განსხვავებით სომხური საცხოვრებლის გადახურვაში გამოყენებული იყო ცენტრალური საყრდენები („სუნ“). სომხურ ტუნსა და ყარაბაღში კერა – „თუნირ“ – „თუნდურ“ ქართული დარბაზისაგან განსხვავებით (გარდა წალკურისა), თიხის პატარა ქვევრისებური მოყვანილობის იყო. თუნდური ყოველთვის მიწაში იყო ჩაღმული და ქართული დარბაზის კერისაგან განსხვავებით ერდოს ქვეშ იყო მოთავსებული. ჩრდილო-აღმოსავლური და ყარაბაღელი საცხოვრებლის გადახურვაში გვირგვინის მეორე და მესამე საფეხურს შორის ჰაერის უკეთესი ცირკულაციისათვის, ერდოს გარდა სახურავში დატანებული იყო საკვამური, რომელიც ერთდროულად სინათლის წყაროსაც წარმოადგენდა. „ჰაცატუნი“, რომელიც პურის საცხობი განყოფილებაც იყო, საკუჭნაოს და ზოგჯერ სასადილო ოთახსაც წარმოადგენდა. მას ქვით ამოყვანილი გუმბათიანი გადახურვა ჰქონდა, რომელიც ერდოთი მთავრდებოდა. ჩრდილო-აღმოსავლური და მაღალსომხური ტუნის ერთ მხარეზე ქვითა და თიხით ამოყვანილი იყო ორმოციოდე სანტიმეტრის სიმაღლის ბაქანი – „საკიუ“, რომელიც საძინებელი ტახტის მოვალეობას ასრულებდა. საკიუს ერთი ნაწილი, რომელიც კედელში ნიშასავით იყო შეწყული, ახალდაქორწინებული ცოლ-ქმრის განყოფილებას წარმოადგენდა. მაღალსომხური ბოსლისაგან განსხვავებით, ყარაბაღელი ცალკე მდგომ ნაგებობას წარმოადგენდა და ბრტყელი ბანით იყო მომთავრებული. ანალოგიური ვითარება ჩრდილო-აღმოსავლეთ, სევანის ტბის აუზის სოფლების ყოფაში დასტურდება. XIX ს. სომხური ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის ტერმინოლოგიაში, ქართულისაგან განსხვავებით არასომხური წარმომავლობის ტერმინები ჭარბობენ – ქილარ, ოდა, თოვლა, ყუბე, ქერან, კონდ, ფარდუ და სხვ. (ჩიქოვანი 1967: 126-127; თოფჩიშვილი... 2012: 298).

ქართულ-სომხური ხალხური საცხოვრებლებისა და სამეურნეო ნაგებობების შედარებითმა შესწავლამ მიგვიყვანა აზრამდე, რომ საქართველოსა და სომხეთში, გარდა განსხვავებული ხალხური არქიტექტურული ნაგებობებისა, მათ ჰქონდათ მსგავსი ერდოიან-გვირგვინიანი სახლები. როგორც ჩანს, ოჯახის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების ცენტრის მშენებლობის ხერხები და ტექნიკა, თავისთავად ცხადია, რომ თავდაპირველად გეოგრაფიულ მდებარეობამ და ბუნებრივმა პირობებმა, შემდეგ კი მეურნეობის თავისებურებებმა განაპირობა. როგორც ქართველ, ისე სომეხ ხალხს საცხოვრებლების აშენების საკუთარი გამოცდილება და ცოდნა გააჩნდათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მსგავსი საცხოვრებელი კომპლექსები შექმნეს, თუმცა, სპეციფიკური თავისებურებებით.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცხოვრებისეული გამოცდილების თანდათან გაღრმავებასთან ერთად საცხოვრებელ კომპლექსს გარკვეული ტრადიციული და მყარი ფორმების გარდა ახალი ელემენტები ემატებოდა, ხოლო ზოგიერთი აკლდებოდა.

ამრიგად, ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის ქართულ-სომხური მატერიალური კულტურის ძეგლების, კერძოდ, საცხოვრებელი კომპლექსების შესწავლამ, როგორც განსხვავებები, ისე პარალელების დადგენის საშუალება მოგვცა. ამასთან დაგვარწმუნა, რომ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლა და მსგავსება-განსხვავებების დადგენა ქართულ-სომხური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, ამ განსხვავებებისა და მსგავსებების საფუძველი პირველყოფლისა ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური გარემო პირობები უნდა ვადიაროთ, რადგან სამშენებლო მასალის გაერცელება სწორედ მასზეა დამოკიდებული. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს, იმის გამორიცხვა არაფრით არ შეიძლება, რომ ქართულ-სომხური მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული ურთიერთ-

ბის შედეგად გარკვეული ელემენტების სესხებისა და ურთიერთგაზიარების შემთხვევებიც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ტერმინების სესხების მაგალითები – სომხურში ქართულიდან „ერდი“ (ქართ. ერდო) და ქართ. მარანი*, ხოლო სუმხურიდან „გომი“ ქართულში (ქართ. გომი, გომური), ხოლო ორივე მეზობელ ხალხს თურქულიდან „ოდა“ (თურქ. „ოთახი“, ხის ან ქვის ბოძებზე შედგმული) უნდა შეეთვისებინათ, რაც კულტურულ-ისტორიული გავლენის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ამრიგად, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, მეურნეობის მსგავსებამ და, რაც მთავარია, კულტურულ-ისტორიულმა გავლენამ მეზობელ სამხრეთ კავკასიელ ხალხებს მატერიალური ყოფის ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის მსგავსი კონსტრუქციული ფორმები ჩამოუყალიბა, თუმცა, ამ ნაგებობას ყველა მხარეში თავისი სპეციფიკური თავისებურება და ეროვნული ტრადიციული ფორმა შენარჩუნებული ჰქონდა.

დამოწმებული ლიტერატურა

ბახია-ოქრუაშვილი 2007 – ს. ბახია-ოქრუაშვილი. პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურა და ფუნქცია ქართულ ეთნოლოგიაში, კეკ, X, თბ., 2007.

გიულდენშტედტის 1962 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962.

თოფჩიშვილი 2012 – რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012.

კონფლიქტური 1998 – კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998.

რობაქიძე 1974 – ალ. რობაქიძე, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბ., 1974.

* მარანი – ბ. გიგინეიშვილის ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის (თბ., 2016) თანახმად, ეს ტერმინი პირველად IX ს. სინურ მრავალთავშია დამოწმებული.

- სომეხი ხალხის 2016 – სომეხი ხალხის ისტორია ძველი დროიდან 1921 წლამდე, თბ., 2016.
- ჩიქოვანი 1960 – თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ., 1960.
- ჩიქოვანი 1967 – თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967.
- ჩიქოვანი 1975 – თ. ჩიქოვანი, იდუმალა, თბ., 1975.
- ჩიქოვანი 1976 – თ. ჩიქოვანი, თრიალეთი, თბ., 1976.
- ჩიქოვანი 1982 – თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, თბ., 1982.
- ჩიქოვანი 1987 – თ. ჩიქოვანი, ზემო ქართლი, თბ., 1987.
- Варданян – Варданян Л., Из истории исследования армянского традиционного жилища. <http://shirak.asj-oa.am/125/177-81.pdf>
- Гадло –Гадло А., Этнография народов Средней Азии Закавказья. Традиционная культура, Народы Закавказья, Армяне, <http://www.gurem/info/bibliotek buks/gadlo/08.php>.
- Ерцов 2010 – Ерцов Х.А., Армяне, Кавказ: История, народы, обычай, Нальчик, 2010.
- Илина 1946 – Илина М., Древнейшие типы жилищ Закавказья, М., 1946.
- Культура 1980 – Культура раннефеодальной Армении IV-VII вв., Ереван, 1980.
- Лисициан 1925 – Лисициан Ст., Крестьянское жилище Высокой Армении, Известия КИАИ, Тифлис, 1925.
- Лисициан 1925 – Лисициан Ст., К изучению крестьянских жилищ (Карабахский карадам), Известия КИАИ, т. III Тифлис, 1925.
- Лисициан 1927 – Лисициан Ст., Нор-Базяетский азарашенк и заметки о крестьянских жилищах соседних районов - Памбакского и Даралачязского, Известия КИАИ, Тифлис, 1927.
- Лисициан 1927 – Лисициан Ст., Из материалов по изучению жилищ Армении 1, Крестьянское жилище Мегринского района, Известия КИАИ, т. IV, Тифлис 1927.
- Лисициан 1927 – Лисициан Ст., Историко-этнографические очерки Шатаха, Известия КИАИ, т. V, Тифлис 1927.

Лисициан 1955 – Лисициан Ст., Очерки этнографии дореволюционной Армении, Кавказский этнографический сборник, I, М., 1955.

Меликсет-Беков 1925 – Меликсет-Беков Л.М. О необходимости сравнительного изучения крестьянских жилищ Армении и Грузии, Известия Кавказского историко-археологического института, т. III, Тифлис, 1925.

Народы Кавказа 1962 – Народы Кавказа, II, М., 1962.

Народы и Культуры 2012 – Народы и Культуры, Армяне, М., 2012.

Робакидзе 1964 – Робакидзе А.И., Поселение как источник изучения общественного быта, М., 1964.

Самуелян 1974 – Самуелян Х., Культура древней Армении, т. II, Ереван, 1974.

Тер-Саркисянца 2008 – Тер-Саркисянца, поселения и жилище, История и культура Армянского народа с древнейших времен до начала XIX в., М., 2008.

ბახვა გამყრელიძე

ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში

ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ოსეთთან საქართველოს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა. ამჟამად ოსებს კავკასიონის ცენტრალური ნაწილი უკავიათ და განსახლებული არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე. ეს არის ახლანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. მისი ტერიტორია 8 ათასი კვ. კილომეტრია, აღმოსავლეთით ესაზღვრება ჩეჩნეთ-ინგუშეთი, სამხრეთით – საქართველო, დასავლეთით – ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთით – სტავროპოლის მხარე. მისი ტერიტორიის ორი მესამედი ნაწილი მთიანია.

ამჟამად ოსები განსახლებული არიან მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზეც, ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის გარკვეულ ნაწილს 1922 წლის 20 აპრილს, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული სტატუსი მიანიჭა. შიდა ქართლს, რაჭას და იმერეთს თავისი ორგანული ნაწილები ჩამოათაღეს და მათი ხელოვნური გაერთიანებით, ყოველგვარი ისტორიული და გეოგრაფიული ნორმების დარღვევით, ქართველი ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლად, საქართველოს გულში შექმნეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. 1924 წელს კი დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის საზღვრებში შეიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც შემდგომ რესპუბლიკად გადაკეთდა.

ამგვარად, XX ს-ის 20-იან წლებში შეიქმნა ორი ოსეთი, მათ შორის, ერთი საქართველოში. ეს იყო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა. „საქართველოში არის და მომავალშიც იქნება ქართულ მიწაზე კომპაქტურად მცხოვრები ოსური მოსახლეობა, აღნიშნავდა ლ. თოიძე, მაგრამ არ არის და არც შეიძლება იყოს ოსეთი, არც სამხრეთი, არც არანაირი ისევე როგორც ოსეთში არ არის და არც შეიძლება იყოს არანაირი საქართველო, რუსეთში გერმანია, გერმა-

ნიაში ინგლისი და ა. შ.“ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში „სამხრეთ ოსეთის“ და საერთოდ, საქართველოში ავტონომიების ჩამოყალიბება, ეს იყო აქტი, რომელმაც საქართველო ორგანულად დაშალა და მის ტერიტორიაზე ხელოვნურად შექმნა ეთნოკონფლიქტების კერა.

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომელიც 3,8 ათას კვ. კილომეტრ ფართობს მოიცავდა, 1991 წლის 11 დეკემბერს ოფიციალურად გაუქმდა. თუ როგორ მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე სრულიად ახალი, უცხო პოლიტიკური ერთეულის შექმნა და რა პოლიტიკური სარჩული ედო მას, სათანადოდ აისახა სპეციალურ ლიტერატურაში (თოიძე 1991; Тоидзе 1996: 295; თოიძე 1994: 321; მენთეშაშვილი 1996: 276; Ментешашвили 1994: 249; ქართველი და ოსი ხალხების ..., 1991). შედეგები კი ნათლად დაგვიანახა ჩვენს თვალწინ მიმდინარე ოსურმა სეპარატიზმმა, რომელიც აფხაზეთთან ერთად, რუსეთის იმპერიის სცენარით და მისი აქტიური ჩარევით წარიმართა.

1979 წლის აღწერის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთში 299 ათასი ოსი ცხოვრობდა (საერთო მოსახლეობის 50%). სა-მხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდა 65 ათასი ოსი (მთელი მოსახლეობის 66,4%); მის ფარგლებს გარეთ კი, საერთოდ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში იყო 100 ათასი, საერთო მოსახლეობის 3,2% (Брук 1981: 209-216). ჩრდილოეთ კავკასიაში ოსები ცხოვრობდნენ აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩა-ჩერქეზეთში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში, სტავერო-პოლის მხარეში. ოსების საერთო რაოდენობა, აღნიშნული პერიოდისთვის იყო 542 ათასი სული (Брук 1981: 879), 1989 წლისთვის კი 598 ათასს აღწევდა (თოთაძე 1991).

ოსები (თვითსახელწოდება „ირონ“, აქედან ქვეყნის ოსური სახელწოდება „ირისტონ“) ინდოევროპული ხალხების ჩრდილო ირანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან და ოსური ენაც ირანული ენების ჯგუფში შედის, ლაპარაკობენ ორ დიალექტზე – ირონულზე და დიგორულზე. დიგორული უფრო არქაულია, სალიტერატურო ენა კი ირონულს ეფუძნება. მათი უახლოესი წინაპრები ალანები იყვნენ. მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, ოსები ირანული სამყაროს კუთვნილი სკვითური ტომებიდან იღებენ სათავეს. ოსმა მეცნიერებმა ამ პრობლემის კვლევას პოლიტიკური სარჩული

დაუდეს. ქართველებთან ოსი ხალხის დაპირისპირების მიზნით, დაიწყო ისტორიული ფაქტების გაყალბება, თავიანთი წარსულის გაიდევალება. შემდეგ თავიანთი „ნააზრევი“ თავადვე დაიჯერეს და ისტორიის ლაბირინთებში სრულიად დაიკარგნენ. ამიტომაც არაა მათ კვლევაში თანმიმდევრულობა და ბევრ წინააღმდეგობებში ვარდებიან.

ოსების უახლოესი წინაპრები, ვკითხულობთ ერთ-ერთ გამოკვლევაში, აღანები იყვნენ, რომლებიც სკვითებიდან და სარმატებიდან მომდინარეობენ. სკვითები, როგორც ნომადები, თავის ჯოგებთან ერთად მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ შუა აზიის ველებში, მდინარეებიდან სირ-დარიიდან და ამუ-დარიიდან ჩრდილოეთით. აქედან ისინი ძვ. წ. VII ს-დან იდევნებიან და თანდათანობით იკავებენ კასპიისპირა და ურალს შორის მდებარე ტერიტორიას, შავი ზღვისპირა და აზოვისპირა ველებს. ამ მეჯოგე-მომთაბარე ტომებს არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი და თავის ჯოგებთან ერთად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ (Магомедов 1968: 6).

სკვითურმა ტომებმა, წერს ოსი არქეოლოგი ბ. ტეხოვი, უდი-დესი როლი შეასრულეს ძველი ტომების საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საქმეში აღმოსავლეთ ევროპის, დასავლეთ და ცენტრალური აზიის, ურალის-პირეთის, შუა და ჩრდილო ურალის მთელ ტერიტორიაზე და ამ გავლენის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მთელი ძველი მსოფლიოს (ძვ. წ. VII-VI სს-ების) ისტორიის გაგება (Техов 1980: 5). ძვ. წ. VIII-VII სს-ებში, განაგრძობს ბ. ტეხოვი, ძველი მსოფლიოს ქვეყნებში მწვავე პოლიტიკური მოვლენები მიმდინარეობდა, რაშიც სკვითური ტომებიც მონაწილეობდნენ, აწყობდნენ ლაშქრობებს და ძარცვავდნენ მკვიდრ მშვიდობიან მოსახლეობას (Техов 1980: 11). შემდეგ ავტორი უარყოფს მის მიერ 1966 და 1972 წლებში, სადოქტორო დისერტაციაში და სადოქტორო დისერტაციაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თლის სამაროვანში (დიდი ლიახვის ხეობაში) აღმოჩენილი სკვითური ტიპის ინვენტარი იმ სკვითური ტომების მიერაა დატოვებული, რომლებიც ცენტრალურ კავკასიონზე გადაამავალი გზებით აწყობდნენ ლაშქრობებს წინა აზიაში. ამ დროს ისინი ეცნობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით კულტურას,

თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობაც ითვისებდა სკვითურ შეიარაღებებს. ამის საპირისპიროდ კი გვთავაზობს თეზისს, რომლის მიხედვითაც ეს ინვენტარი ეკუთვნოდა სკვითური ტომების იმ ნაწილს, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდნენ ამიერკავკასიაში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი კიაქსარმა გამოდევნა წინა აზიიდან და იმოწმებს მხოლოდ მ. პოგრებოვას 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიას (Техов 1980: 17).

ბ. ტეხოვს დიდი სურვილი აქვს დაასაბუთოს აღნიშნული პერიოდიდან სკვითური ტომების სამხრეთ კავკასიაში, საკუთრივ საქართველოში დამკვიდრება და მათი თვითმყოფადობის შენარჩუნება. მაგრამ წინააღმდეგობაში ვარდება და ნაშრომის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ ცენტრალური კავკასიის და განსაკუთრებით თლის სამაროვანის, ძვ. წ. VII-VI სს-ების კულტურის შემოქმედი იყო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. ეს ტომები ეწეოდნენ ბინადარ ცხოვრებას, მისდევდნენ ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას, მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას და სხვა საოჯახო ხელოსნობას. ამ პერიოდში აქტიურდება ცენტრალური კავკასიის ავტოქტონი მოსახლეობის კონტაქტები ირანულენოვან ტომებთან, უმთავრესად სკვითებთან, რომელთაც ეკავათ ვრცელი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიის მთისძირებში და მთავარი კავკასიონის ქედზე გადაშავალი გზებით აწვებდნენ ლაშქრობებს წინა აზიაში. ამ გადასვლების დროს მცირეოდენი ჯგუფები შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ ცენტრალური კავკასიის მთის რაიონებში, მათ შორის მის სამხრეთ კალთებზეც. მართალია, სკვითების ეს მცირეოდენი ჯგუფები ადგილობრივ გარემოში სწრაფად ითქვიფებოდნენ, მაგრამ მათი ნაკვალევი მაინც აისახება მატერიალურ კულტურაში (Техов 1980: 84).

როგორც ვხედავთ, ბ. ტეხოვი თავის მსჯელობაში არაა თანმიმდევრული, წინააღმდეგობაში ვარდება და სასურველ დასკვნამდე ვერ მიდის. მას ეს საკითხი მეტისმეტად აწუხებს და ამიტომაც ერთ-ერთ თავის ნაშრომში უკიდურესობაში ვარდება, ცდილობს თლის სამაროვანის ძვ. წ. XVI-XV სს-ების მატერიალურ კულტურაში კატაკომბური კულტურის ელემენტები დაინახოს და ამ გზით ცენტრალური საქართველოს მატერიალური კულტურა ირანულ სამყა-

როს დაუკავშიროს (Техов 1980: 61). ახლა მოეუსმინოთ ივანე ცხოვრებოვს – ავტორი კრიტიკის „ქარცეცხლში“ ატარებს თავის თანამემამულეს ზ. ძორახოხოვს და „ამტკიცებს“ რომ ქვედა პალეოლითის ხანაში, ერწოსა და წონას გამოქვაბულებში მობინადრე პირველყოფილი ადამიანები, ე.ი. ცხოველთა სამყაროდან ახლად გამოყოფილი ჰომონიდები ეთნიკურად უკვე ოსები ყოფილან და ამ სამხრეთელ ოსებს ახლო კონტაქტები და ნათესაური ურთიერთობა ჰქონიათ წრდილოეთ ოსების ოსებთან. ი. ცხოვრებოვი აცხადებს, რომ რუსული და ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამდე არსებობდა ოსური სამეფო (Цховребов 1995). იქნებ ეს სამეფო პალეოლითელმა ოსებმა შექმნეს? ი. ცხოვრებოვი ხომ უკვე ქვედა პალეოლითში გამოჰყოფს სამხრეთ და წრდილოეთ ოსეთს?

1994 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ სქელტანიან წიგნში ვკითხულობთ, რომ სკვითებს შეუქმნიათ უდიდესი ცივილიზაცია ბერძნების შემდეგ; მათ მემკვიდრეებს ალანებს, „მსოფლიოში ამ უკეთილშობილეს და უმამაცეს ხალხს“, თავისი ხმლით შემოუხაზავთ ევროპა, აზია, წრდილოეთ ამერიკა და ყველგან თავისი კვალი დაუტოვებიათ, დაუმკვიდრებიათ თავისი კულტურა; „აზია“ ოსური სახელი ყოფილა, „კავკასია“-ოსებიდან მომდინარეობს, ისინი ყოფილან ამ კუთხის პირველი მაცხოვრებლები, ლონდონიც ოსური ქალაქი ყოფილა. წიგნის შემდგენელი (კ. ჩელქესათი) და რედაქტორი (ლ. ჩიბიროვი) თავიანთ მკითხველებს „მოძღვრავენ“, რომ 406 წლის 31 დეკემბერს ალანების ნაწილი რეინზე გადავიდა და ვანდალებთან ერთად გაღიაში განსახლდა, 409 წელს ესპანეთს მიაღწიეს და შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, 418 წელს კი გარდაიცვალა ალანების უკანასკნელი მეფე აუდაკი და ამით დასრულდა ალანთა სამეფო. ალანთა უმდიდრესი ქვეყანა ყოფილა ოქროთი, ძვირფასი ქვებით, ფოლადის იარაღით, ბრწყინვალე ტანსაცმლით, თავად ალანები კი – კავკასიაში იყვნენ მოდების კანონმდებელნი და ა. შ. (Осетия и... 1994: 8, 23, 33, 52, 56, 63, 75...).

ჩ. ბაგათი ზემოთ აღნიშნულს იმასაც უმატებს, რომ საფრანგეთის ცნობილი ქალაქი ორლეანიც ალანებს დაუარსებიათ და ის ალანთა სამეფოს დედაქალაქიც ყოფილა (Багати 1996). იგივე ავტორი ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში

ანვითარებს აზრს, რომ ოსები „მიეკუთვნებიან ინდო-გერმანულ ხალხებს და ცხოვრობენ ვრცელ ტერიტორიაზე კუნძულ ცეილონიდან ისლანდამდე“ (Багати 1995). ოსი ავტორები ბოლო ხანს გამოცემულ წიგნებსა თუ საგახეთო წერილებში თავიანთ მკითხველებს არწმუნებენ, რომ სკვითებმა შექმნეს უძველესი დიდი ცივილიზაცია; ისინი იყვნენ პირველნი, რომელთაც ჰქონდათ თავისი დამწერლობა; სკვითები პირველნი დამკვიდრდნენ იმიერ და ამიერ კავკასიაში; სკვითები იყვნენ კავკასიის ხალხების წინაპრები, ცხადია, ქართველების გარდა; ისინი იყვნენ მხოლოდ ოსების წინაპრები; სახელოვანი წინაპრების დიდებულმა შთამომავლებმა აღანებმა - „მსოფლიოში ამ უმამაცესმა და უკეთილშობილესმა ხალხმა“ - ხმლით შემოიხაზა მთელი კავკასია და არა მარტო კავკასია, არამედ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტი და ყველგან თავისი კვალი დააჩნის; „გარკვეულია“ ქვედა პალეოლითელი ადამიანის ეთნიკური ვინაობაც, ისინი ოსები იყვნენ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში განსახლებულნი და აქედან ედება სათავე ბრძოლას ორი ოსეთის გასაერთიანებლად; სამხრეთელი ოსების ისტორიული სამშობლო იყო ვრცელი ტერიტორია სოხუმიდან ბაქომდე და ერევნიდან სოფელ თლიმდე; გარდა ამისა, სად არ ვხვდებით ოსთა სამეფოებს: ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, აფრიკაში, სად არ ვხვდებით ოს მოღვაწეებს, უძველესი ხანის ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებს, მხედარმთავრებს, სად არ დამწერალა მათი ხმალი, არ დაფრქვეულა უბადლო ნიჭი და შემოქმედება და ა. შ. ვფიქრობ, ჭეშმარიტი მეცნიერი უხერხულად ჩათვლის თავს, რომ ყოველივე ამას კომენტარი გაუკეთოს. თქმულს ისიც უნდა დეუმატოთ, რომ ბოლო დროს „მეცნიერები“ ოსების წმინდა არიული წარმომავლობის შესახებაც საუბრობენ; „ამტიციებენ“, რომ თითქოს ინდოირანელები ოდითგანვე ცხოვრობდნენ კავკასიონის მთავარი ქედის ორივე მხარეს; ყობანისა და თლის კულტურების შემქმნელიც ირანული მოდგმის ტომები იყვნენ (Техов 1980; Техов 1980: 61).

გარკვეულია ეთნონიმ „სკვითი“-ს საკითხიც. ჰეროდოტეს ცნობების შეჯერების საფუძველზე ჩამოყალიბებულია დებულება, რომ ძველმა ელინებმა „სკვითი“ შეარქვეს კიმერიელთა მიწა-წყალზე, მდინარეების დუნაისა და დონს შო-

რის ძალით დამკვიდრებულ იმ ხალხს, რომლებიც თავის თავს „სკოლოტებს“ უწოდებდნენ (მეფე სკოლოტოსის სახელის მიხედვით). განსახლებული იყვნენ თრაკიასა და სარმატიას შორის. „მდინარე ტანაისს რომ გადაივლი, განმარტავს პეროდოტე, უკვე სკვითია კი აღარაა, აქაა პირველი სავრომატული ქვეყანა. ეს სავრომატული ქვეყნები იწყება მაიეტიის ტბის უკიდურესი წერტილიდან და ვრცელდება ჩრდილოეთის მიმართულებით 15 დღის სავალი გზის მანძილზე. მთელ ამ მხარეში ვერ ნახავთ ვერც ველურ მცენარეს და ვერც ხეხილს“ (პეროდოტე 1975: 257). ადრეულ ანტიკურ ხანაში „სკვითი“ ვიწრო, კლასიკური გაგებით აღნიშნავდა ძველ ელინთაგან სკვითებად პირველწოდებულ სკოლოტებს, ხოლო ფართო გაგებით, ეს ეთნონიმი სკოლოტებთან (ევროპელ სკვითებთან) ერთად შუა აზიაში მობინადრე საკებსაც მოიცავდა (ითონიშვილი 1995: 103). პეროდოტეს თხზულებაში მითითებულია, რომ „სკვითები“ ზოგადი სახელია იმ მოსახლეობისა, რომლებიც იმყოფებოდნენ ისტროსსა და ტანაისს შორის (პეროდოტე 1976: 650). ამგვარად, „სკვითი“ მრავალი არასკვითური მოდგმის ტომთა ზოგად სახელწოდებად იქცა, ე. ი. ესენი იყვნენ ერთნაირი ტომები არა ეთნიკურად, არამედ - ტომები, რომლებიც ერთ კულტურულ სამყაროს ქმნიდნენ.

უდავოა, რომ სკვითები, სარმატული და აღანური ტომები ნომადები იყვნენ და მომთაბარულ ცხოვრებას ეწოდნენ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგენილია, რომ ადრეული მომთაბარეების ყორღანული სამარხები ყოველთვის იმყოფებოდა ზამთრის საძოვრების რაიონებში. მომთაბარეების შედარებით ძლიერი ბელადები არასოდეს არ იმარხებოდნენ იმ ტერიტორიის ცენტრში, რომელიც მათ კონტროლს ექვემდებარებოდა, არამედ კრძალავდნენ კარგ ზამთრის საძოვრებზე. ეს იმ მიზნით ხდებოდა, რომ მათ თვალსაწი-ერში მოხვედრილი სასაძოვრო ფართობები თავიანთ ხელში განემტკიცებინათ. ძვ. წ. VI ს-ში ასეთი ფართობები ყოფილა: სკვითებისათვის, ყუბანისა და დნეპრის პირები; საკებისათვის - აღმოსავლეთ ყაზახეთის ჩილიკის ველები, მდ. ილზე და სირ-დარიის დაბლობები; არიმასკებისათვის - ალტაის მთების ქვაბულში (Черников 1965: 9, 67). ამგვარად, ჩილიკის ყორღანები დაკავშირებულია საკების

ტომთა გაერთიანებასთან, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს აქემენიდური სპარსეთის ცხოვრებაში, საერთოდ კი, ძვ. წ. I ათასწლეულის ყაზახეთის სტეპებში გამოყოფილია სამი ტომობრივი გაერთიანება: საკები – სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით; სავრომატები – დასავლეთით და არიმასპები – ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (Черников 1965: 66).

რაც შეეხება მომთაბარე მესაქონლეობას, ს. ჩერნიკოვის სიტყვით, ის ევროპის სტეპებზე ფართო სარტყელად იყო შემოვლელი. იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მომთაბარეებს ეკავათ, განსახლებული იყვნენ სხვადასხვა ტომები; აქ გამორიცხული იყო ტყის მასივები; მისი ნიადაგები, იმ დროისათვის არსებული პრიმიტიული საწარმოო იარაღებით, შეუძლებელს ხდიდა პირველყოფილი მიწათმოქმედების განვითარებას. სამაგიეროდ, სტეპები, სადაც ჩაისახა და განვითარდა მომთაბარეული მესაქონლეობა, მთის საძოვრებთან ერთად, შესაძლებლობას იძლეოდა მთელი წლის განმავლობაში გამოეკვებათ დიდძალი ჯოგები (Черников 1965: 69).

ძვ. წ. VIII-III სს-ში კიმერიელების და სკვითების ტომთა დიდი კავშირები წარმოადგენდნენ დიდ საშიშროებას მეზობელი და არა მარტო მეზობელი მიწათმოქმედი სახელმწიფოებისათვის. მათთვის დამახასიათებელი იყო დიდ ურდოებად მომთაბარეობა; ძლიერდება ტომთა ბელადების პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები, ეწყობა შორეული ლაშქრობები წინა აზიაში, ისახება საგმირო ეპოსი (Черников 1965: 73).

იმის საილუსტრაციოდ თუ რა საშიშროებას წარმოადგენდნენ ეს ბარბაროსი, ნომადი სკვითური ტომები ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის და წინა აზიის მიწათმოქმედი, ცივილიზებული ხალხებისათვის, ან რა წვლილი შეიძლებოდა შეეტანათ მათ მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში, მოვიტანთ ამონარიდს ძველი ბერძენი ისტორიკოსის, ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს დახასიათებიდან: „დაახლოებით 28 წელი ეჭირათ სკვითებს აზია და ყოველივე გაატიანეს თავისი თვითნებობით და უდარდელობით. გარდა იმისა, რომ სკვითებმა თითოეული ტომი დაბეგრეს და ხარკს ახდევინებდნენ, ისინი ყაჩაღობდნენ და ეზიდებოდნენ

თითოეული ტომისაგან რაც კი რამ ებადათ“ (პეროდოტე 1975: 16).

წიგნში „ოსეთი და ოსები“, რომლებსაც ოსებმა „უნიკალური წიგნი“ უწოდეს, ეკითხულობთ, რომ ევროპის და აზიის ხალხებს არცერთს არ ჰქონდათ თავისი დამწერლობა სკვითების გარდა. ისინი სკვითებთან შედარებით იყვნენ ნამდვილი ბარბაროსები, რომლებიც შეიძლება დავაყენით ზანგებისა და ამერიკელი ინდიელების გვერდით. ოსები იყვნენ არამარტო სკვითების, სარმატებისა და ალანების შთამომავალნი, არამედ მათ თავიანთი დამწერლობით, დამწერლობის კულტურის განვითარებაში ბიძგი მისცეს მთელ რიგ აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს (Осетия и... 1994: 172). ოსი მეცნიერები ისე არიან გადავარდნილი ილუზიებში, რომ ვერ გრძნობენ როგორ ვარდებიან წინააღმდეგობაში, თავადვე სცემენ პასუხს თავიანთ „ნააზრევს“. გავეყვით ტექსტს: პირველი ოსური ხელნაწერები შეიქმნა 1747-1753 წლებში, ეს იყო ოსურ ენაზე ქართული ალფაბეტით ნათარგმნი სასულიერო წიგნები, პირველი ოსური ანბანი კი, ქართული დამწერლობის საფუძველზე, 1820 წელს შექმნა ოსების პირველმა განმანათლებელმა იოანე იაღღუზიძემ (Осетия и... 1994: 177). როგორც ვხედავთ ეს ტექსტი კომენტარს აღარ საჭიროებს.

უკვე ადრეული რკინის ხანაში ნომადი ტომების პოლიტიკური ბატონობა დამყარდა შავიზღვისპირა, სამხრეთ კავკასიისა და დონის ქვედა წელის სტეპებში. მაგრამ საყურადღებოა, რომ სკვითების ყოფნა ჩრდილოეთ კავკასიაში იყო პერიოდული და ხანმოკლე. აქ სკვითური რაზმები გადიოდნენ მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში და წინა აზიაში ლაშქრობების დროს. სკვითების ყოფნა ჩრდილო კავკასიაში დაკავშირებული იყო სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობებთან და არა რომელიმე მომთაბარე ჯგუფის მისწრაფებისკენ დასახლებულიყვნენ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას შორის. ამიტომ სკვითური ტომების შემოჭრას ყუბანისპირებში არ მოჰყოლია მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლა (Федоров 1983: 44). სკვითური კულტურის გავლენა, პირველყოვლისა დაკავშირებული იყო გაცვლა-გამოცვლასთან და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უფრო სრულყოფილი იარაღის შექენასთან. ამიტომ საეჭვოდაა მიჩნეული, რომ სკვი-

თებმა რაიმე გავლენა იქონიეს ოსური ეთნოსის ფორმირებაში (Федоров 1983: 107).

ამგვარად, სკვითები, რომელთაც ოსები თავიანთ წინაპრებად მიიხსენებენ და რომელთა წარსულსაც ასე აიდეალუბენ, კავკასიაში და ცხადია, არც საქართველოში არ დასახლებულან. სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ დიდი ღიახვის ხეობის ზედა წელში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ქართლის მთის სოფლის ცხოვრებას ასახავს (აფხაზავა 1991: 33; აფხაზავა 1996: 62). თუმცა მკვლევართა გარკვეული ნაწილი, ფაქტების აშკარა ფაქტობრივობით ცდილობენ სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომების დამკვიდრებას კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც დრმა საფუძველი მოუძებნონ.

ძვ. წ. III ს-დან სამხრეთ რუსეთის ველებში ჩნდებიან სარმატული ტომები, ხოლო ძვ. წ. II ს-ში სკვითების მთელ საბატონო ტერიტორიაზე კი ცდებიან: დონიდან დასავლეთით – იაზიგები, დნეპრსა და დონს შორის – რასკოლანები, სტეპებში დონიდან კასპამდე – აორსები, ყუბანისპირეთში კავკასიონის ქედამდე – სირაკები. სირაკებმა და აორსებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები, მათი ცალკეული ჯგუფები შევიდნენ მთის წინა ზოლში და მაღალმთიანეთშიც კი შეაღწიეს (Федоров 1983: 107). ახ. წ. I ს-ის ბოლოს კავკასიის ჩრდილო დასავლეთ ველებში შემოიჭრნენ სარმატების მონათესავე ტომები ალანები, რომელთაც დაიმორჩილეს სარმატები, ჩრდილოეთ კავკასიაში დაამყარეს თავისი ჰეგემონია და შექმნეს ტომთა ალანური კავშირი. ამ კავშირში შევიდა ადგილობრივი მოსახლეობაც, მათ შორის, სინდო-მეოტების ტომების ნაწილიც. სინდო-მეოტების ტომები შემდგომში ადიღეველების სახელით გამოდიან. ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიის ველებში შემოიჭრნენ თურქულენოვანი ტომები, ჰუნები, რომელთაც სძლიეს ალანებს, ხელში ჩაიგდეს ტამანის ნახევარკუნძული, გადალახეს ქერჩის სრუტე და გაანადგურეს ბოსფორის სამეფოს დედაქალაქი პანტიკაპეა (История Кабарды... 1957: 20).

ჯერ კიდევ, XIX ს-ის ბოლოს გამოითქვა მოსაზრება, რომ ალანებს, რომლებიც თავისი ძველი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილიდან იქნენ გამოდევნილნი, თავი უნდა მოეყარათ მის სამხრეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის ველებსა და

ხეობებში - მდინარეების ყუბანისა და თერგის აუზების ზედა წელში (Надеждин 1901: 142). იგივე თეზისი ჩამოყალიბდა XX ს-ის ბოლოსაც. სამხრეთ კავკასიის სტეპებიდან ჰუნების მიერ გამოღვენილი ალანები თავშესაფარს ეძებენ კავკასიის მთის წინა ზოლში და აღმოჩნდნენ ცენტრალური კავკასიის მთიანეთშიც: ყუბანისა და თერგის სათავეებში (Федоров 1983: 107). ოსი მკვლევარი ტ. ტურგიევი აღნიშნავს, რომ ალანები ადრეულ შუა საუკუნეებამდე მომთაბარე ტომები იყვნენ და ძირითადად სარმატიის ველები ჰქონდათ დაკავებული. ჰუნების შემოსევების შემდეგ მათი დიდი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის მთისძირა და ნაწილობრივ მთის ადგილებში იხიზნებიან. განსახლდნენ თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩა-ჩერქეზეთის, ზედა ყუბანის მარცხენა შენაკადების ძნელად მისადგომ ხეობებში, ზელენჩუკების ჩათვლით. ჩნდება ალანთა გვაროვნული თუ პატრონიმიული ხასიათის პატარა დასახლებები. ამავ დროს, ალანები შედიან კავკასიონის მთავარი ქედის ყველაზე მაღალმთიან რაიონებში, დიგორის ხეობაში. ამ პროცესებთან დაკავშირებით, ალანები გადადიან ბინადარ ცხოვრებაზე და ითვისებენ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო წყობას (Тургиев 1969: 121-128).

VII-VIII სს-ებში ალანებს ეკავათ ჩრდილოეთ კავკასიის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია მდ. ყუბანსა და თერგისპირა დაბლობებს შორის. ის უპირატესად ჩრდილოეთ კავკასიის ნაყოფიერ ველებს მოიცავდა, მის ფარგლებში ნაწილობრივ შედიოდა მთისწინა და მთის რაიონებიც. IX-X სს-ებში აქ ყალიბდება ადრეფეოდალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება „ალანია“, რომელსაც ქართული წყაროებით „ოვსეთი“ ეწოდება. ცნობილია, რომ ოსებში VI ს-დან ვრცელდებოდა ქრისტიანობა ბიზანტიიდან და საქართველოდან (ქართველი და ოსი ხალხების..., 1991: 5) და ბუნებრივია, ახლადშექმნილი სახელმწიფოებრივი ერთეულის ოფიციალურ რელიგიად, X ს-ის მეორე ნახევარში ქრისტიანობა გამოცხადდა. ამ ალანურმა გაერთიანებამ, უკვე XI საუკუნიდან დაიწყო დაშლა ერთმანეთთან დაპირისპირებულ ფეოდალურ სამფლობელოებად (История Кабарды... 1957: 26).

ამგვარად, ალანები ისტორიის ასპარეზზე ჩნდებიან ახ. წ. I ს-დან, II ს-ში ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ველებში

არიან, V-VI სს-ში იკავებენ იმიერკავკასიის მთისწინეთს, ხოლო VII-IX სს-ში დასავლეთ კავკასიის მთის ნაწილსაც. სწორედ ამ დროიდან იწყება მათი „კავკასიელებთან“ აქტიურად შერწყმის პროცესი, რის შედეგადაც, ძირითადად, ორი კომპონენტის – მოსული ირანულენოვანი ალანების და კავკასიურენოვანი ტომების შერწყმის შედეგად მივიღეთ თვისობრივად ახალი, ანთროპოლოგიურად და კულტურულად კავკასიური ეთნიკური ერთეული ოსი ხალხის სახით. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც X-XII სს-ში დასრულდა. ამ დროიდან გამოიკვეთა ოსური ეთნოსის პირველი იერსახე, დასრულდა თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრების ჩამოყალიბება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზნეულია, რომ სკვითები, სარმატები და თვით ალანებიც კი არ შეიძლება ოსების უშუალო წინაპრებად ჩაითვალოს, რადგან ოსი ხალხის გენეზისი, ისევე როგორც ყველა ხალხისა, რთული და მრავალსაუკუნოვანი პროცესია. ოსი ხალხის ორ მთავარ კომპონენტთაგან ერთი ალანთა მოდგმას ეკუთვნის, მეორე – კავკასიურს. მათი შერწყმა მოხდა VI-X სს-ში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ მთისწინეთში. აქ გაიმარჯვა კავკასიურმა ელემენტმა, რის გამოც, მიუხედავად იმისა, რომ ალანები ოსების წინაპრები იყვნენ (მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი), I-II საუკუნეების ალანებსა და XVI-XVIII სს-ის ოსებს შორის პირდაპირი ტოლობის გავლება არ შეიძლება (აფხაზავა 1991: 8, 16, 54; აფხაზავა, 1996: 45).

ალანები კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო ყოფიდან ითვისებენ რა მიწათმოქმედებისა და ადგილობრივი მესაქონლეობის ტრადიციებს, მეურნეობის ფორმით, ცხოვრების წესით, ყოფითა და კულტურით კავკასიელებად, ახალ კავკასიურ ეთნიკურ ერთეულად ოსებად ყალიბდებიან. კავკასიურმა კულტურამ განსაზღვრა მათი თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ფორმები; ტანსაცმლის, საკვების, საოჯახო ინვენტარის, სახვითი ხელოვნების, სულიერი კულტურის, საოჯახო ყოფისა და სხვათა თავისებურებები (Очерки истории.. 1985: 55). ოსური ენის განვითარებაზეც დიდი გავლენა იქონია კავკასიურ ენებთან მისმა მრავალსაუკუნოვანმა კონტაქტებმა. როგორც ვ. აბაევი აღნიშნავს, ოსურში კავკასიური ელემენტი შევიდა არა რო-

გორც გარეგანი, მსგავსად თურქულისა და არაბულისა, არამედ როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი, როგორც მისი მეორე ბუნება (Абаев 1949). ბუნებრივია, ოსი ხალხის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა ქართულმა ენამ და კულტურამ, რომელიც უძველესი დროიდან მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ინერგებოდა.

ვინ იყო აღანებადელი კავკასიის მოსახლეობა, რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს ოსი ხალხის ეთნოგენეზში? ცნობილია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში დასავლეთ საქართველოში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მძლავრი, თვითმყობადი „კოლხური კულტურა“, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა. მას ჰქონდა თავისი განშტოებები და განვითარების ძირითადი კერები ლოკალური თავისებურებებით. ძვ. წ. XV-XIV სს-ში, განმარტავს ო. ლორთქიფანიძე, კოლხური ბრინჯაოს კულტურის ყველა განმსაზღვრელი ელემენტი კლასიკური სახითაა წარმოდგენილი. დადგენილია კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის სამი ძირითადი კერა: ჭოროხის აუზი, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია და რაჭა-ლეჩხუმი (Лорткипанидзе 1989: 185-200).

ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში ყალიბდება კულტურა, რომელიც „ეობანური კულტურის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კულტურამ თითქმის მთელი დასავლეთი და ცენტრალური კავკასიის ტერიტორია მოიცვა. მასში გამოიყოფა ორი ლოკალური ჯგუფი: 1. ყაბარდო-პიატიგორსკის, რომელიც მოიცავდა პიატიგორსკის რაიონს, მის მომიჯნავე სტავროპოლის მაღლობსა და ყაბარდო-ბალყარეთის მთისწინა ზოლს. ამ ვარიანტის მატარებელ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ სტეპების ტომებთან; 2. დიგორის ჯგუფი, დღევანდელი ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომელიც ძირითადად მოიცავდა მთისძირა და მთის რაიონებს. ამ ჯგუფის არქეოლოგიური მასალის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ის ჩრდილო-ცენტრალურ კავკასიონს აახლოევებს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიონთან; და მეორე, ეობანური კულტურის დიგორული ჯგუფის მატარებელი ტომები ახლოს დგანან დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, რაჭის მოსახლეობასთან. ვ. მარკოვინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ

რაჭის რაიონის კულტურა ახლოსაა დიგორულთან და საჭიროდ მიიჩნევენ ამ მიმართებით კვლევის გაფართოებას. იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფს ა. იესენი უწოდებს დიგორულ-რაჭულს. ჩამოყალიბებულია თეზისი, რომ დიგორული ჯგუფის მატერიალური კულტურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ჩრდილოეთ ცენტრალური კავკასიონის ტომების გასაოცარ მჭიდრო კავშირებს ამტკიცებს თანამედროვე რაჭის და იმერეთის, კერძოდ, საჩხერის ძველ მოსახლეობასთან (Марковин 1960: 125).

როგორც აღვნიშნეთ, რაჭა-ლენხუმი იყო კოლხური კულტურის განვითარების ერთ-ერთი კერა. საერთოდ, ყობანური კულტურის მსგავსება კოლხურ კულტურასთან იმდენად შთამბეჭდავია, რომ მას კოლხური კულტურის სინქრონულად მიიჩნევენ. დადასტურებულია ყობანური კულტურის გენეტიკური კავშირი კოლხურ კულტურასთან (Лорткипанидзе 1989: 185-200). უჩვეელია, ყობანური კულტურა იყო კოლხური კულტურის ერთ-ერთი განშტოება და კოლხური კულტურის განვითარების კერები განეფინებოდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან ჩრდილოკავკასიური კულტურის მატარებელი ტომები ყუბანისპირებში ითქვიფებიან კატაკომბური კულტურის, მოსულ მომთაბარე ირანულენოვან ტომებში. შედარებით დიდხანს „სუფთა სახით“ შემონახეს თავი ამ კულტურის ცენტრალური ვარიანტის მატარებელმა ტომებმა. ვ. მარკოვინის აზრით, ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იმიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში მკვიდრი, აბორიგენული ტომები ცხოვრობდნენ სტეპებიდან მოსულთათვის ძნელად მისადგომ მთის რაიონებში და მეორეც, მტკიცე კავშირებს ინარჩუნებდნენ ძველი მეტალურგიული ტრადიციების მატარებელ საქართველოს მოსახლეობასთან. ამ კავშირებმა საკუთარი ადგილობრივი მეტალურგიული ბაზის შექმნამდე მიგვიყვანა (Марковин 1960: 125-129).

არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ი. ფეოდოროვი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შორეულ წარსულში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დასავლეთ და ცენტრალურ იმიერკავკასიის ფარგლებში და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ საერთო

ეთნიკური სუბსტრატიდან აღმოცენებული ტომები, აქ სუფევდა ერთიანი ენობრივი სისტემა, კულტურა, იყო ერთი ანთროპოლოგიური ტიპი. ამდენად, კოლხური და ყობანური კულტურები გენეტიკურად ახლოს მდგომი ტომებისაგან უნდა ყოფილიყვნენ შექმნილი. ზემოთ აღნიშნული გარემოება იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ კოლხურ კულტურას თავისი კერები ჰქონდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმიერკავკასიაშიც. ერთ-ერთ ასეთ კერად შეიძლება ჩრდილოეთ ცენტრალურ კავკასიაში დიგორიც ვიგულვოთ, რომლის ისტორიული ბედი შემდგომ სხვა გზით წარიმართა. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დიგორისა და რაჭის მატერიალური კულტურის მსგავსება კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილების მოსახლეობის ეთნოკულტურული ერთობის ერთ-ერთი მანკენებელია. ეს ერთობა იქმნება მაშინ, როდესაც მოხდა დასავლეთ კავკასიიდან ტომთა განსახლება აღმოსავლეთით და ბრინჯაოს ეპოქის მთელ პერიოდში ფიქსირდება. უფრო მეტიც, დიგორის ხეობებში შუა საუკუნეებამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – ჭიათურისა და საჩხერის რაიონების ქართველებში ჩვენს დრომდე შემოინახა პონტოური ანთროპოლოგიური ტიპის ვარიანტი (Марковин 1960: 125-129).

ვფიქრობთ, დასმულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთიანეთში და მათ შორის, რაჭაშიც, ქრისტიანობის გავრცელების მიზნით ყალიბდება საეპისკოპოსო ეპარქიები, რომელთა პირველი კონტურები VI ს-ის მეორე ნახევარში, „სირიელ მამათა“ მოღვაწეობის პერიოდში უნდა მოხაზულიყო. ამათგან ერთ-ერთ ეპარქიაში – ნიქოზელის სამწყსოში შედიოდა „კავკასიანი, დვალნი და მთის რაჭა“ (მუსხელიშვილი 1980: 20). ცხადია ეს იყო ის პერიოდი, როდესაც რაჭის მომიჯნავე დასავლეთი და ცენტრალური იმიერკავკასიის მთიანეთი ჯერ კიდევ ქართველური ტომებით იყო განსახლებული.

უფრო ნათელი რომ გახდეს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მიგრაციული და ეთნოსოციალური პროცესები, კიდევ ერთ საკითხს შევეხებით. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომების შორეულ შთამომავლებად და აღიღვევლთა ასევე შორეულ წინაპრე-

ბად მეოტებისა და სინდების ტომებს მიიჩნევენ. ძვ. წ. III-I ათასწლეულებში ეს ტომები ერთი კულტურული ერთეულია, თუმცა მათ ერთმანეთში არ აიგივებენ. მეოტები განსახლებული იყვნენ აზოვის ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ხოლო ქვედა ყუბანისპირეთი, ტამანის ნახევარკუნძული და შავი ზღვის სანაპიროები თანამედროვე ანაპამდე სინდებს ეკავათ. ანაპასა და ნოვოროსიისკს შორის ცხოვრობდნენ კერკეტები და ტორეტები. მათ შექმნეს სინდო-მეოტების გაერთიანება, რომლებიც ძვ. წ. I ათასწლეულში განიცდიდნენ შემდეგ მოსული სკვითების, ბერძნების, სარმატულ-ალანური ჯგუფების გავლენას. ჩვენი ერის დასაწყისში აღიღვევლებს შორის იყვნენ ტომები: სინდები, კერკეტები, ტორეტები, პსესები, ფატები და სხვა, რომელთა ნაწილი ცნობილი იყვნენ საერთო სახელწოდებით „მეოტები“ (История Кабарды...19-22). როგორც აღვნიშნეთ, სინდო-მეოტების ნაწილი შევიდა ალანების ტომთა გაერთიანებაში, ძირითადად კი მათ შესძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმიკური მასალის ანალიზის საფუძველზე ზ. რატიანი ადგენს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, მდინარე ყუბანის სათავიდან შესართავამდე, ამ მდინარის მარცხენა ნაპირის მხარეში და მის მიმდებარე შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ სონის შემოგარენიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე, აღიღეური მოდგმის ხალხებამდე ქართველი ტომები – სვანები და მეგრელები – ცხოვრობდნენ. მკვლევარის ფორმულირებით, ეს იყო ქართველი ტომების არა განსახლების ტერიტორია, არამედ „პირიქითი საქართველო“, ქართველთა პირველსაცხოვრისი, მათი დედასამშობლო, რაც შეეხება აღიღეულ ტომებს, ზ. რატიანის სიტყვით, აღიღეურ-აბაზა-აფსურის და თურქული ან ყარაჩა-ბალყარული ეპოსები ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ვოლგადონის ტრამალებში უნდა ჩასახულიყო. ეს იყო ამ ტომების პირველსაცხოვრისი ან, უფრო სწორად, ნართული ეპოსის ჩასახვის პერიოდში მათი სამომთაბარო მიწა-წყალი. ნართული ეპოსი ჩერქეზული და ოსური მოდგმის ხალხების საერთო შემოქმედებაა, რაც ამ ხალხების შორეული საერთო წინაპრის არსებობის დასტურია. ვოლგა-დონის შუამდინარეთი კი იყო ის ტერი-

ტორია, სადაც ათასეული წლების განმავლობაში ირანული და თურქული მოდგმის სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები, ხაზარები, პაჭანიკები, ყივჩაღები და სხვა მრავალი ტომები მომთაბარეობდნენ; ეს იყო დერეფანი, რომლიდანაც აზიელი მოხეტიალე-მეჯოგე ტომები ევროპისაკენ მიისწრაფოდნენ.

ადიღეულთა წინაპარი ტომები ჯერ ყუბანის აუზში დამკვიდრდნენ, შემდეგ კი გადმოდგა შავი ზღვის სანაპიროზე „პირიქით საქართველოში“ გადმოვიდნენ. ყუბანის გადმა ტრამალებიდან მონღოლთაგან დევნილი ადიღეულთა პირველი ტაღლა XIII ს-ის მეორე ნახევარში შემოიხიზნა, XV ს-დან, თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ აქ მტკიცდებიან, ხოლო XVI ს-ში ეს კუთხე მთლიანად მოსწყვეტეს საქართველოს. პირიქითა საქართველოდან, აღნიშნავს ზ. რატიანი, ქართველობა თანდათან იდევნება (რატიანი 1995: 35, 61).

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ სვანები ძველთაგანვე სარგებლობდნენ ჩრდილო კავკასიის საზაფხულო საძოვრებით. აქ ისინი ჯერ კიდევ დროებით ბინებს იხენდნენ, შემდეგ კი ამ სამეურნეო ბაზებზე „ლაბავ“-ებზე მუდმივად მკვიდრდებოდნენ. ასე ხდებოდა სვანთა განსახლება მდინარეების: ყუბანის, თებერდის, ჩეგემის სათავეებში – ყარაჩაის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეგემის, სელიმ-ბეზინგის, დიგორის უკიდურეს მთიან ნაწილებში, რაც ჩრდილო კავკასიელი ტომების უკმაყოფილებას იწვევდა. მიგრაციულ პროცესებს განაპირობებდა მეურნეობის წარმოების ტრადიციული ფორმა – სვანური „ლაბავ“-ების სისტემა (კვიციანი 1973: 753). აღნიშნული გარემოება იმის დასტურია, რომ სვანებს ჩრდილოეთ კავკასიის სამეურნეო ფართობებით სარგებლობის დიდი ტრადიციები ჰქონდათ. შესაძლებელია, მათ შეგნებაში ეს ფართობები კვლავ მათი კუთვნილი, საქართველოს ნაწილი იყო და პირიქით საქართველოში განსახლების სრული უფლებაც ჰქონდათ.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ალბათ იმის თქმაც შეიძლება, რომ დავით აღმაშენებელს დიდი სახელმწიფოს შექმნით „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, სხვისი ტერიტორიები კი არ დაუპყრია და არც იმპყრია შეუქმნია, არამედ ქართველთა საცხოვრისი შემოიფარგლა. საქართველოს, აღნიშნავდა პ. ინგოროყვა, არასოდეს არცერთი გოჯი მიწა სხვისი არ მიუტაცებია. საქართველოს ტერიტორია ეს არის

ბუნებრივი საზღვრებით შემოფარგლული, ბუნებისგან გამოკვეთილ მიჯნებში ერთ ორგანულ სხეულად ჩამოქნილი, კლასიკურად დამთავრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული; მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით შეკავშირებული ისტორიული ქვეყანა, რომლის საზღვრები ოცი საუკუნის ისტორიამ ამოხაზა (ინგოროყვა 1990).

ამგვარად, ადრეულ შუა საუკუნეებში, ყობანური კულტურის ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ სამხრეთ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას შეერია სტეპებიდან მოსული, მეჯოგემოხეტიალე ირანულენოვანი ტომები. ამ ორი კომპონენტის მოტანილისა და დამხვდურის ურთიერთ შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ეთნიკური ერთეული ოსების სახით, ენით ირანული და კულტურით კავკასიური. როგორც აღვნიშნეთ, ოსები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე ირანულზე და დიგორულზე. დიგორული უფრო არქაულია, მან შემოგვინახა არქაული ელემენტები, ტოპონიმები რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ირანულენოვან სამყაროსთან. 1971 და 1975 წლებში ქ. ორჯონიკიძეში, რუსულ ენაზე, ორ წიგნად გამოიცა ა. ცაგაევას „ნრდილოეთ ოსეთის ტოპონიმია“, რომელშიც ტოპონიმების 8326 ერთეულია შესული. აქედან 721 ერთეული ამოუხსნელია. ავტორის განმარტებით, გეოგრაფიული სახელწოდების უმრავლესობა განეკუთვნება არა მარტო ოსთა უძველეს ფენას, არამედ მათაც რომლებიც აქ სახლობდნენ ირანულენოვანი ტომების მოსვლამდე. მაგრამ ვინ იყო ეს მოსახლეობა და რა ლინგვისტური სიტუაცია სუფევდა მაშინ დღევანდელ ნრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე? ეს ცალკე პრობლემაა, რომლის შესწავლაში ტოპონიმოკას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მ. სანაყოთი ყურადღებას ამახვილებს ნრდილოეთ ოსეთის, ა. ცაგაევას მიერ გაუშიფრავი ტოპონიმების ხუთ ერთეულზე („პერანი“, „ღორღიანი“, „ნაღორა“, „სათუმე“, „საჭერფაი ქომ“). ჩატარებული ენათმეცნიერული ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ყველა ეს ტოპონიმი ქართული ენის მეშვეობით იხსნება (სანაყოთი 1987: 154). აღნიშნულ რეგიონში ქართული წარმომავლობის ტოპონიმები სხვაც ბევრია.

ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ღურძუკეთი და ისტორიული დეაღეთის ტერიტორია – ალაგირის ხეობის ზედა წელში ნარ-მამისონის ქვაბული, ძვ.

წ. IV ს-ის ბოლოდან საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების „პირველ ხანებშივე შემოყვანილ იქნენ დურძუკები, რომელთაც ქართლის მთიანეთი დაიჭირეს („სევანეთამდე“) და „ქართველობას“ ეზიარენ“ (ბერძენიშვილი 1990: 260). რაც შეეხება დვალებს, ისინი ქართველთა ლოკალურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. 1859 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ეს კუთხე ჩამოაცილა საქართველოს და ახლად ჩამოყალიბებულ თურგის ოლქს მიაკუთვნა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში მოექცა.

სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ დვალები I-XII სს-ში განსახლებული იყვნენ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, რომელიც ნარ-მამისონის ხეობებს მოიცავდა (ალაგირის ხეობის ზედა წელში). ის ჩრდილოეთით კასრის კარით იმიჯნებოდა ჩრდილო კავკასიის მთისწინეთისაგან, სადაც ირანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც ოსები შევიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, დაიწყო დვალთა გაოსება და დვალების მიგრაციული პროცესები არაგვისა და დიდი ღიახვის ხეობათა სათავეებში. XIII ს-ის ბოლოს დვალები ჩნდებიან დიდი ღიახვის ხეობის სათავეებში, სადაც ყალიბდება ტერიტორიული ერთეული მაღრან-დვალეთი. ამდენად, დვალეთი უძველეს პერიოდში ადრე, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეების დასაწყისში ეთნიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად ქართული ქვეყანაა. XVII ს-ში ოსები დვალეთში ახდენენ დვალების ასიმილაციას და შემდეგ ქართლის მთიანეთში იჭრებიან.

დვალების პრობლემასთან დაკავშირებით მოვიტანთ ორიოდ კონკრეტულ მაგალითს. როგორც აღვნიშნეთ, ოსები XIII-XIV სს-დან იწყებენ ცენტრალური სამხრეთ კავკასიის მთიანეთის ათვისებას. შედიან დვალეთშიც, იწყებენ ოსთაგან დვალთა აღანიზაციის პროცესი. დვალების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ ამ პროცესებს, სამხრეთით იფანტებიან, სხვა ქართველ მთიელებს ერწყმიან ან ქართველ მთიელთაგან შეთხელებულ და მიტოვებულ ტერიტორიებს იკავებენ. ასე ჩნდებიან დვალები XIII-ის ბოლოს დიდი ღიახვის ხეობის სათავეებში, რის საფუძველზეც ყალიბდება ტერიტორიული ერთეული „მაღრან-დვალეთი“. დვალე-

ბის კვალდაკვალ, XVII ს-დან აქაც მოდიან ოსები და უეჭველია, მათთან ერთად დვალეთში ოსთაგან ასიმილირებული დვალეებიც. ამჯერად უკვე აქედან ილტვიან ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა და შემდგომ მოსული დვალეები. ვინ იყვნენ ისინი? ეს ცალკე კვლევის საგანია, ამჯერად გვინდა მხოლოდ რამოდენიმე დეტალს გავუსვათ ხაზი. ჩვენს მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ხადურებს ადრე მადრან-დვალეთის სოფელ ედისში უცხოვრიათ, მაგრამ ეს ადგილი მიუტოვებიათ, პატარა ღიახვის ხეობაში გადმოსულან და ახლანდელ სოფელ ხადურიანთკარში დასახლებულან. ეს ფაქტი, გვაფიქრებინებს, რომ მაშინ, როდესაც ხდება ოსთაგან მადრან-დვალეთის ათვისება, აქედან ღტოლვილი მკვიდრი ქართული მოსახლეობა, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, პატარა ღიახვის ხეობასაც აფარებს თავს (გამყრელიძე 1996: 184).

ვახუშტი ბაგრატიონი ორი ღიახვის ხეობის გვერდით აყენებს თრუსოს ხეობას. მისი დახასიათებით, ეს უკანასკნელი სამ ხეობად განიყოფება, აღმოსავლეთით ესაზღვრება „ხევი, დასავლეთით ზახა და მადრან-დვალეთი, სამხრეთით მთიულეთი, ჩრდილოეთით ქურთაული და მოზღუდვილ არს კავკასით თვინიერ ხევიდამ. მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“ (ვახუშტი 1973: 357). აქ საყურადღებო ისაა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მკვეთრად ავლებს ხაზს ოსსა და დვალს შუა, მათ ერთმანეთისაგან ეთნიკურად განასხვავებს. იმ დროისათვის ოსთაგან დვალთა ასიმილაციის პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ოსს და დვალს ეთნიკურად განასხვავებს ქართული ფოლკლორიც. მაგ., რაჭულ ფოლკლორში: „ქდელეს ჩამოდგა დიდი ღაშქარი, ოსი და დვალი...“ ეს უნდა იყოს შექმნილი იმ პერიოდში, როდესაც ოსთაგან დვალთა ასიმილაციის პროცესი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. ის დასრულდა კიდევ და „დვალი“ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში, ეთნონიმებმა და ტოპონიმებმა შემოგვინახა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მდ. ღარულა, რომელიც სოფელ ღართან უერთდება მდ. რიონს, „საქართველოს ნამდვილი საზღვრიდან ქდელეს მთიდან იღებს სათავეს“ და ამ ფოლკლორული მასალის შექმნის დროისათვის აქ ოსების და ოსთაგან თითქმის უკვე ასიმილირებული დვალეების ჩამოდგომა საქართველოს საზღვრების დარღვევას ნიშნავდა.

1981 წელს, როდესაც პატარა ლიახვის ხეობაში ვკრეფდით ეთნოგრაფიულ მასალას, ვანათს ზემოთ (ლიახვის აყლებით) მდებარე სოფელ საცხენეთის მოსახლეობა მთლიანად ქართული იყო. აქ ცხოვრობდნენ ელიზბარაშვილები, ხადურები, ჯანაშვილები. ამათგან ყველაზე ადრეთგანნი მაცხოვრებლები ელიზბარაშვილები არიან, რიგი ინფორმაციით, მათი წინაპარი ჩრდილოეთ ოსეთიდანაა მოსული. ამ გადმოცემასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჩრდილოეთ ოსეთიდან“ მოსულობა არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად ოსი უნდა ყოფილიყო. ასეც რომ იყოს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეროვნებას ძირითადად, განსაზღვრავს არა წარმომავლობა, არამედ ენა და კულტურა და აქედან ჩამოყალიბებული ეთნიკური თვითშეგნება. კონკრეტულად ელიზბარაშვილებზე გვქონდა საუბარი და მათ ქართველობაში დაეჭვებაც არ შეიძლება, მათი შორეული წინაპარი საიდანაც არ უნდა იყოს მოსული.

ჯანაშვილების წინაპარი ანდრო ისტორიული დვალეთიდან – ნარიდან გადმოსულა (მთხრობელის დათა ჯანაშვილი პაპა. დაბ. 1902 წელს) და ორტევში დასახლებულა. იმ დროისათვის, ორტევში უკვე ოსები ცხოვრობდნენ, ანდრო როგორც ნარიდან გადმოსული, აქ ნარივეად მიიღეს და ის და შემდგომ მისი შთამომავლობა 1921 წლამდე გვარად ნარიევს ატარებდნენ. ანდრო ნარიევი ორტევშიც ოსურ გარემოში მოხვდა, რასაც, როგორც ჩანს, ვერ შეეგუა, იქაობას მალე გამოეცალა, საცხენეთში ამოინაცვლა და ქართულ გარემოში ელიზბარაშვილებისა და ხადურების გვერდით დაიდო ბინა. როდესაც მენშევიკებმა ოსებს მოსთხოვეს თავიანთ სამშობლოს დაბრუნებოდნენ, ნარიევებმა გვარი შეიცვალეს და ჯანაშვილებად დაეწერენ. შემდგომში ჯანაშვილების ამ შტოს წარმომადგენელთაგან ორი ოჯახი ქართლის ბარში ჩასახლდა, საცხენეთში კი ოთხი კომლი დარჩა.

მოტანილი მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჯანაშვილები დვალური წარმომავლობის არიან, ნარაში ანდრო იყო დვალების ის ნაწილი, რომლის გაოსებაც ოსებმა ვერ შეძლეს. უკიდურეს შემთხვევაში ის მაინც იძულებულია მიატოვოს თავისი საცხოვრებელი, გამოიქცეს და ამით თავი დაადწიოს დვალეთში მიმდინარე ასიმილაციის პროცესებს. მოდის ორტევში, მაგრამ აქაც ოსურ გარემოში აღმოჩნდა და ამიტომაც მალე ქართულ გარემოში, სოფელ

საცხენეთში ინაცვლებს. მითუმეტეს, თუ ჩვენი მთხრობელის გენო გათაევის ინფორმაციას გავიზიარებთ, რომ ელიზბარაშვილებიც ჩრდილოეთიდან არიან მოსული, ისინიც დვალური წარმომავლობის უნდა იყვნენ. ალბათ ამიტომაც მოაშურა ანდრომ საცხენეთს. ბუნებრივია, ეს პროცესები მხოლოდ პატარა ღიახვის ხეობაში არ მიმდინარეობდა.

დვალთა და შემდეგ ოსთა განსახლების ერთ-ერთი ობიექტი იყო კუდაროს ხეობაც. რაჭაში (სოფ. ცხმორი) ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, კუდაროს ხეობის ოსები ორად განიყოფებიან: 1. დვალეთის ოსები – ერწოს ტბიდან ბაჯიხევამდე, მათი საძოვრები ემიჯნებოდნენ ერთმანეთს და 2. ჩასაველის ოსები – ამათი საძოვრები ესაზღვრებოდა სოფლების წედისისა და ქვედის საძოვრებს. ეს მასალაც აშკარად უჩვენებს, რომ რაჭის მოსახლეობა მკვეთრად ავლებს ხაზს ოსსა და დვალს შუა, ლოკალიზაციას უკეთებს იმ ტერიტორიას, სადაც მოხდა დვალთა განსახლება. ცხადია, შემდეგ აქაც დაიწყო დვალების გაოსების პროცესი და მათი გარკვეული ნაწილი ილტვის, თავს აფარებს ქართულ სოფლებს. ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო მათ მეზობლად მდებარე მაღალმთიანი სოფელი ბაჯიხევი, სადაც უკვე ცხოვრობდნენ დებიდან გადმოსული ლობჯანიძეები. ამის დასტურია დვალძეები, რაც უთუოდ ეთნიკური წარმოშობის გვარია და ლობჯანიძეების შემდეგ ბაჯიხევის უძველეს მოსახლეობად მიიხნევიან და ტოპონიმი „სადვალო მთა“ – ბაჯიხევის საერთო სათიბ-საძოვრები.

ამგვარად, საისტორიო წყაროები, ფოლკლორული მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალა ეთნიკურად ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნავს ოსსა და დვალს. არც იმას ხდის საეჭვოდ, რომ დვალი ქართული წარმომავლობის თემი იყო. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ მოტანილი ორიოდე მაგალითიც ამის დასტურია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ შორეულ წარსულში დასავლეთ და ცენტრალური კავკასიის ფარგლებში, იმიერ და ამიერ კავკასიაში, საკუთრივ სამხრეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – რაჭასა და იმერეთში, მკვიდრობდნენ საერთო ეთნიკური სუბსტრატიდან აღმოცენებულნი, რომელთაც კქონდათ საერთო ენობრივი სისტემა და კულტურა. კავკასიის ამ ნაწილების ეთნოკულტურული ერთობის ერთ-ერთ უტყუ-

არ ნიმუშად კი დიგორისა და რაჭის მატერიალური კულტურის გასაოცარი მსგავსებაა მიჩნეული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური იმერკავკასიის მთიანეთი უძველესი დროიდან ქართული ეთნიკური ელემენტით იყო განსახლებული. ბუნებრივია, სუფევდა ქართული ენა მისი დიალექტური თავისებურებებით. დიგორის, რაჭისა და ზემო იმერეთის ტერიტორიაზე განსახლებული მკვიდრი მოსახლეობის ეს ერთობა კულტურულად, ანთროპოლოგიურად და უნდა ვივარაუდოთ ენობრივადაც შედარებით დიდხანს შემოინახა. ეს იმან განაპირობა, რომ ცენტრალური იმერკავკასიის მთიანეთი, მისი ხეობები, სტეპებიდან მოსული, მომთაბარე ირანულენოვანი ტომებისათვის დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი იყო, შემდეგ კი ამ ტომების ისტორიული ბედი სხვა გზით წარიმართა.

უფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ჩრდილოეთ კავკასიაში ოს-ალანების მიგრაციულ და ეთნოსოციალურ პროცესებზე. ადრეულ და შუა საუკუნეებში ალანებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ ვიდრე თანამედროვე ოსებს, ყარაჩაელებს და ბალყარელებს. მათი დასახლებები მოიცავდა სტეპებს, მთის ძირებს და ნაწილობრივ მთის ზოლს. ჩრდილო აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ხაზართა კაგანატს, ცხოვრობდნენ ყივჩაღების მეზობლად. მთიელი ალანები ცხვრის ფარებს გამოსაზამთრებლად კასპიისპირა სტეპებში მიერეკებოდნენ. შუა საუკუნეებში ალანია ორ ნაწილად იყოფა – დასავლეთად, რომლის ცენტრი იყო არხიზთან ახლოს ყარაჩა-ჩერქეზეთში და აღმოსავლეთად – მდებარეობდა თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე იყო მისი ცენტრიც მდ. სუნჯაზე. შემდეგ დასავლეთ ალანიის მთიანეთში, თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ალანების და მათთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის თურქიზაციისა და მის საფუძველზე ბალყარელი ხალხის ფორმირების პროცესი (Федоров 1983: 108).

XIII ს-ის დასაწყისიდან კავკასიაში მონღოლები გაბატონდნენ. ალანთა მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, ნაწილი გაიფანტა ყირიმში, მოლდავეთში, უნგრეთში, სადაც შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას. დანარჩენები კი პი-

რიქით კავკასიის მთიანეთს შეეფარენ, რომელთაც მტკიცედ შერჩათ ქართველების მიერ შერქმეული სახელი „ოსი“ (История Кабарды: 26). დასავლეთ ალანიის მოსახლეობა ზედა ყუბანისა და მისი შენაკადების ხეობათა სიღრმეში მოექცა, აღმოსავლეთ ალანია კი სასტიკად განადგურდა. ალანებმა კიდევ ერთი მძიმე ზარალი განიცადეს XIV ს-ის ბოლოს. თემურ-ლენგის ურდოებმა გაანადგურეს ალანები მდ. ყუბანის სათავეებში, გააუკაცრიელეს ალანური სოფლები თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთში, გადალახეს ჯვრის უღელტეხილი და დარიალის ვიწროებით შეიჭრენ თერგის ხეობაში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ალანები ცემტრალური კავკასიონის დასავლეთ ნაწილში – დიგორელები, აღმოსავლეთის ალანებმა – ირონებმა, თერგის ზედა დინების მიუდგომელ ხეობებს შეაფარეს თავი (Федоров 1983: 109).

ამგვარად, ჯერ მონღოლების, ხოლო შემდეგ თემურ-ლენგის შემოსევებით დარბეული ალან-ოსები ცენტრალური იმიერკავკასიის მაღალმთიან ხეობებს შეეხიზნენ, მათ მიერ მიტოვებული ბარის ზოლი კი დასავლეთ სამხრეთ კავკასიიდან დაძრულმა ადიღური მოდგმის ყაბარდოელებმა დაიკავეს (მონღოლების წასვლის შემდეგ). ხეობათა გამოსასვლელებში ჩნდება ყაბარდოელთა დასახლებები, ბარში დატარეშობდნენ ბანდიტური ჯგუფები და ოსები აღმონდნენ მთებში მკაცრად ჩაკეტილნი (Красницкий 1981: 164). XV-XVIII სს-ები ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია ოსების ისტორიაში. გარეშე მტერთა შემოსევებმა მთის ზოლში ჩაკეტილობამ, მძიმე ბუნებრივმა პირობებმა, მასზე დართულმა სტიქიურმა უბედურებამ, შიმშილობამ და ეპიდემიებმა განადგურების პირამდე მიიყვანა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ თემებად დაშლილი ოსები (თოგოშვილი 1969: 5; Магомедов 1968: 30). ცხადია, ამანაც განაპირობა მათი ლტოლვა საქართველოსაკენ.

სწორედ აქ, ცენტრალური ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, ძირითადი ხეობის მიხედვით ხდება ოსთა სასოფლო-ტერიტორიული ერთეულების, სათემო გაერთიანებების ჩამოყალიბება: მიმდინარეობს ალან-ოსების მიერ ქართველი მთიელების – დვალეების და სხვა ადგილობრივი კავკასიური ეთნიკური ერთეულების ასიმილაცია და სრულდება ოსური ეთნოსის ფორმირება. ამდენად, ზემო აღნიშნული ისტორიუ-

ლად მიმდინარე ეთნიური პროცესების შედეგად, რაჭას ერთი მხრივ გაუმეზობლდა ირანულენოვანი ოსეთი და მეორე მხრივ – თურქულენოვანი მთიანეთი, დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორია, სადაც დასრულდა ოსური ეთნოსის ფორმირება, არის ოსების სამშობლო.

როგორც აღნიშნეთ, ცენტრალური კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობებზე, ძირითადი ხეობების მიხედვით ჩამოყალიბდა ოსთა ქურთათის, ალაგირის, თაგაურის და დიგორის ტერიტორიული ერთეულები. ყველა მათგანი მცირე ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდა: ზარმაგის, ნარის, ზურგის, მამისონის (ალაგირის ხეობის ზედა წელში, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე); დონიფარსის, სტურ-დიგორას, ტაფან-დიგორას, ლესგორის (დიგორში) და სხვა. XIX ს-ის პუბლიკაციებში დასახელებულია თაგაურის, ქურთათის, ალაგირის, დიგორის, ნარის, მამისონის, ზურის, დონიფარსის, ლესგორის საზოგადოებები. რუსი მოხელე კ. კრასნიცკი, რომელიც იმპერიული პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, საგანგებოდ სწავლობდა კავკასიას, ოსების აღნიშნულ საზოგადოებებს მმართველობის მიხედვით სამ ნაწილად ყოფს: 1. თაგაურ-ქურთათის ხეობები; 2. ალაგირის, ნარის, მამისონის, ზაკის და ზურგის ხეობები; 3. დიგორი. როგორც ვხედავთ, **კ. კრასნიცკისათვის ოსეთი მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე მდებარეობს. მართალია, იგი ისტორიულ დვალეთს ოსეთის სხვა საზოგადოებებთან ერთად განიხილავს, მაგრამ იმასაც მიუთითებს, რომ ის ძველთაგანვე საქართველოს განმგებლობაში იმყოფებოდა.** (ვალკეულ პირებს ქართველი მეფეებისა და უფლისწულების მიერ სიგელებით დამტკიცებული ჰქონდათ მაღალი სოციალური წოდებები და ჯამაგირი წელიწადში 50 მარხილის ოდენობით (Красницкий 1981: 160, 164, 171). ეს გარემოება ოფიციალური დოკუმენტებითაა დადასტურებული.

რამდენადაც ოსთა საზოგადოებრივ ყოფას შევხებით ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სახეუო ანუ სათემო გაერთიანებებიდან სახელმწიფოებრივი სტრუქტურა არ ჩამოყალიბებულა. საზოგადოება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გზით მიდიოდა. ამ მხრივ ოსეთის ყველა კუთხე ერთნაირ დონეზე არ იდგა. მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი ყველაზე ღრმად დიგორში

იყო წახული, ყალიბდებოდა გარკვეული სოციალური ფენები, მაგრამ ფეოდალიზმს აქაც არ მიუღია დასრულებული სახე. დადგენილია, რომ ოსეთში – დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში, იქ არსებული თავდაცვითი ნაგებობების ფორმირების პროცესში, ჩამოყალიბებული ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონე ადრეულ (ქურთათი) და განუვითარებელ (დიგორი) ფორმებს შორის მერყეობდა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ეს პროცესი სამხედრო არისტოკრატიული წყობილების აქტიური მოქმედების პირობებში მიმდინარეობდა (Робакидзе 1975: 183). ოსი მკვლევარების კვალიფიკაციით, XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ოსთა საზოგადოებრივი ყოფა ხასიათდება: Переплетением разновременных социальных элементов, сосуществованием феодального и первобытнообщинного укладов с наличием патриархального рабства – (Магомедов 1974: 87). ავტორის განცხადებით, ეს არის საერთოდ აღიარებული ფაქტი და ამჯერად არავითარ დავას არ იწვევს.

ამგვარად, გასაგებია თუ სად არის ოსეთი, ცნობილია მისი პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობათა განვითარების დონეც. XIX ს-ის რუსული პუბლიკაციების მიხედვით, რომ აღარაფერი ვთქვათ კ. კრასნიცკის გამოკვლევაზე, ოსეთი მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზეა. რუსების კავკასიაში მოსვლამდე, 1774 წლამდე, სანამ ოსები რუსეთის მფლობელობაში შევიდოდნენ, ისინი მხოლოდ სამხრეთ კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ, მათი ბარის ტერიტორია კი ყაბარდოელებს ეკავათ. აღნიშნული პერიოდიდან იწყებენ ბარში გასვლას, მოიცვენ ფართობები: კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობები, ამ ქედებსა და ყაბარდოს მთებს შორის მდებარე დაბლობები და ამ ტერიტორიულ ერთეულს „ელადიკაეკაის ოკრუგი“ ეწოდა (Из этнографического очерка..., 1982: 160.)

ოსი ავტორები თავიანთ მკითხველებს არწმუნებენ, რომ XVIII ს-ში „ოს ხალხს რუსეთთან შეერთების დროისათვის უკვე აღარ ჰქონდათ თავისი სახელმწიფო და თავისუფალ საზოგადოებებად იყვნენ განსახლებული კავკასიონის ქედის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებზე“, რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში ოსი ხალხის წინაშე დადგა ორი ალტერნატივა, პირველი – ყველა ოსური საზოგადოებების

ერთ სახელმწიფოებად გაერთიანებისა, მაგრამ თავად ოსურ საზოგადოებებში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული საამისო პირობები (Из истории осетино-грузинских..., 1996: 5). ეს აბსურდია, **ზემოთ აღნიშნულ ოსურ საზოგადოებებს არასოდეს ერთიანი, ორგანიზებული, სახელმწიფოებრივი წყობილება არ ჰქონიათ და არც ორი ოსეთი არსებულა.** საქმე იმაშია, რომ მათ სურთ ოსურ საზოგადოებებს საქართველოში მცხოვრები ოსები უნდათ მიატმასნონ ჩვენივე ტერიტორიით მეორე ალტერნატივა, რომელიც ოსების წინაშე მდგარა, ყოფილა რუსეთთან შეერთება. ისინი სწორედ ამ გზას დადგომიან XVIII ს-ის პირველ ნახევარში და საწადელისათვის მიუღწევიან. XVIII ს-ის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1774 წელს ეს იდეა განუხორციელებიათ (Из истории осетино-грузинских..., 1996: 6). ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ ავტორთა მსჯელობაში ოსეთად მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაა შემოფარგლული.

ამ ე. წ. ალტერნატივებს თავი რომ დავანებოთ, ოსებს მართლაც ჰქონდათ საზრუნავი: 1815 წელს დიგორელი „თავადები“ ბადელიძეები, ჩერქეზიძეები და ყუბადიშვილები საქართველოს მთავარმმართველისადმი წარდგენილ, ქართულად დაწერილ წერილში, ხალხის სახელით ითხოვენ რუსეთის მფარველობაში შესვლას და აცნობენ თავიანთ გასაჭირს: „რადგან არ გექონდა ღვთისადმი არავითარი შეგრდომა... ჩვენ, თავაურნი, ქურთათნი და ცუმეთნი უქმნიდით ერთმანეთს ზიანს როგორც მტერნი“. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს კი მათ ტერიტორიაზე რუსის ჯარის ჩაყენებასა და საგანგებო წესების შემოღებაში ხედავდნენ. ჯარის ჩასაყენებელ ადგილსაც მიუთითებენ - „არდონის მდინარის პირზედ, რომელიც არის დიგორსა და თავაურს შორის“ (სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. №473, ს. ფ. 3). შემდგომშიც, 1838 წელს ნარის, ზარამაგის, ზრუგის, დვაღეთ-მამისონის და ზაკის საზოგადოებები მთავარმმართველისადმი წარდგენილ განცხადებებში, ოსი სტარშინების ჩვენებებში ჩანს მოსახლეობის დესტაბილიზაცია რასაც იწვევდა შინაგანი შეუთანხმებლობა, შფოთვა, ხალხში მტკიცედ გამჯდარი სისხლ-მესისხლეობა და ყოველივე ამის მოსაგვარებლად თხოულობენ ზარამაგის ხეობაში რუსის ჯარის ჩაყენებას და საგანგებო წესების შემოღებას. და კიდევ ერთი დაინტერესება – საქართვე-

ლოს სამხედრო გზას მათ მიწაზე გაეწელო (სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. № 6855, ს. ფ. 5-6). როგორც ვხედავთ, მოტანილ საარქივო დოკუმენტებში ნათლადაა ნაჩვენები სადაა ოსეთი, ოსური საზოგადოებები და ოსთა სატკივარი.

რამდენადაც შეეხეთ ოსთა მიგრაციულ და ეთნოსოციალურ პროცესებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსური ეთნოსის ჩამოყალიბებას და მათ საზოგადოებრივ ეოფას, სასურველად მიგვანჩნია გადავაველოთ თვალი ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ჩვენს მიერაა შეკრებილი ჩრდილოეთ ოსეთში 1957-1969 წლებში. პირველ რიგში კი გადავხედოთ ვახუშტი ბაგრატიონს.

ლეგენდარული თარგამოსის შვილმა კავკასოსმა „დაიპყრა ქვეყანა ლეკანის საზღვრიდან, ვიდრე პონტოს ზღვამდე, კავკასიის მთის ჩრდილოთი ველითურთ და ამისგან ეწოდა მთასა კავკასი და ველსა ოსი“ (ვახუშტი 1973: 632). აქ ზუსტადაა ლოკალიზებული – აღანები კავკასიაში შემოდინან, იკავენენ ჩრდილოეთ ველებს და ამიტომაც ეწოდა „ველსა ოსი“.

„შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დუაღეთი, და სხუანი ხევნი ივინი დაშთნენ მეფეთა ოსთასა და იწოდნენ ხევნი ივინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“ (ვახუშტი 1973: 633). ამაზე ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, მხოლოდ ერთი შეიძლება შევნიშნოთ, ლეონტი მროველი ოსებს ხაზარებთან აიგივებს. შემდგომ, ვახუშტი ბაგრატიონი აბსოლუტური სიზუსტით გამიჯნავს ერთმანეთისაგან დვალეთს და ოსეთს: „დვალეთიცა განიყოფების ხევ-ხევად და იწოდებიან ხევნი ესრეთ: კასრის ხევად, ზრამაგად, ეღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად“. ხოლო ის ტერიტორია რომლებიც დარჩათ ოსებს, მას შემდეგ რაც „ბათო ყაენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა“, ეს იყო „ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბნებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან“ (ვახუშტი 1973: 633).

როგორც ვხედავთ, ოსები შემოვიდნენ ცენტრალური სამხრეთ კავკასიის მთიანეთში და „დაიუფლეს“, მაგრამ დვალეთი ოსეთად მაინც არ იწოდება, ადმინისტრაციულად მის ფარგლებში არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ ოსებმა

მოახდინეს მისი ოკუპაცია, ადგილზე დარჩენილი დეალები დაიმორჩილეს და მათი ასიმილაცია მოახდინეს. როდესაც ვახუშტი ეხება ოსურ გეარებს აღნიშნავს, რომ „უწარჩინებულესნი გუარით არიან ოსნი და გუარიანი ოსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახელიძე. ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოსეთად, რამეთუ აწცა გუარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა – კუალად დულადვე“ (ვახუშტი 1973: 634). სავსებით ბუნებრივია, ოსები, როგორც დამპყრობლები, იყვნენ გაბატონებული ფენა. „გუარიანნი“. ხოლო დეალები – ოსთაგან დაპყრობილნი და დამონებულნი. „სხვანი უგუარონი“, სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგარნი ანუ „შავი ხალხი“ - „საუ ადამ“ («Сая адæм») როგორც მათ ოსები უწოდებდნენ, როგორც აღვნიშნეთ, ყოველივე ამ პროცესებმა განაპირობეს დეალების ლტოლვა თავიანთი სამკვიდროდან.

ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორიული ერთეული იყო ქურთათის ხეობა, მდ. ფიაგდონის აუზში. ეს არის საკმაოდ ჩაკეტილი ხეობა. მას დასავლეთიდან საზღვრავს მთა „ტეპლი“-ს აღმოსავლეთი კალთა, რომელიც მიემართება მდინარე ფიაგდონის დინების პარალელურად; აღმოსავლეთ საზღვარია მთა „სირხი-ბარზდონ“-ის ჩრდილოეთი განშტოების დასავლეთი კალთა, რომელიც ასევე ფიაგდონის პარალელურად მიემართება; ჩრდილოეთ სოფელ ძივლისთან კლდოვანი ქედების ვიწროებით იკეტება. აქ იქმნება გვერდითი კედლებით გადმოხურული, ვიწრო, არა უმეტეს 3040 მეტრის სიგანის ნაპრალი; სამხრეთით ხეობას კეტავს მთა „ზავხოხ“-ი. ხეობის საზღვრები ზუსტად მიუყვება ზემოთ აღნიშნულ მთების ქედებს, რაც მისი მოსახლეობის ბუნებრივ სიმაგრეს ქმნიდნენ (Робакидзе 1975: 157). ამდენად, ბუნებრივი საზღვრებით ზუსტად დგინდება ქურთათის ხეობის ტერიტორიული ერთობის ჩარჩოები, რაც სავსებით შეესატყვისებოდა მისი ძველი მოსახლეობის სამეურნეო ერთობას (Робакидзе 1975: 169).

ქურთათის ხეობაში, ქვემო წელიდან ზემოთ თანმიმდევრულად განლაგებულია სოფლები: ძივლისი, აუნატ, გუ-

ლი, ძუარიყაუ, ბარზიყაუ, ციმიტი, ურიყაუ, კადათ, ლაც, ხი-
დიყუსი, დალაყორა, გუტიათიყაუ, ანდიათიყაუ, ბოლოლოთი-
ყაუ, კალოითიყაუ. ფიაგდონზე იქმნება პატარა ხეობათა გან-
შტოებები: „ლაცქომ“, ამ ხეობის ბოლოში მდებარეობს სო-
ფელი ლაცი; „ყორაიქომ“, აქ არის სოფლები: ხარისკინი,
დალაყორა და უალაყორა; ფიაგდონის ზედა წელში - „ხი-
ლაკქომ“ რომელიც აერთიანებს სოფლებს: გუტიათიყაუს,
ანდიათიყაუს, ბოლოლოთიყაუს და კალოითიყაუს.

სოფლები მოსახლეობის ოდენობით მცირერიცხოვანი
იყო, ყველაზე მეტი აღწევდა 100, ხოლო ყველაზე მცირე 4
ოჯახს, საშუალო სიმჭიდროვე კი იყო 30-40 ოჯახი (Робак-
дзе 1975: 151). XIX ს-ის ბოლოს ა. როსიკოვის მიერ მოპოვე-
ბული მასალების მიხედვით, სოფელ ძიღვისში, მთა „ყარიუ-
ხოს“-ის კლდოვანი ფერდობის ძირში, ქვაბულის შესასუ-
ფელთან ახლოს თავშეფარებულ პატარა ტერასაზე, რომე-
ლიც „ქვების გროვას“ უფრო წააგავდა, ვიდრე ადამიანთა
საცხოვრებელს – ცხოვრობდა 25 ოჯახი და მთლიანობაში
362 სულ მოსახლეს მოითვლიდა. სოფელს 2-3 ადგილს შე-
მორჩენილი პქონდა სათოფურებიანი კედლის ნანგრევები.
მცხოვრებთა გადმოცემით, რომელიც ა. როსიკოვმა ჩაიწერა,
კედლის იქით იყო იდუმალი გამოქვაბული, საიდანაც შეიძ-
ლებოდა გასვლა მეზობელ არდონის ხეობაში. შემორჩენილი
იყო გადმოცემა ვინმე სახას თუ შახ-აბასის შემოსევაზე,
რომელსაც ციხეები დაუნგრევია. საერთოდ კი მკვლევარს
ეჭვი არ ეპარება, რომ ძიღვისი, როგორც განაპირა სოფელი,
მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქურთათის ხეობის ჩაკე-
ტის საქმეში. სოფლის ზემოთ, პატარა შვერილზე იყო ქვის
კედლით შემოვლებული ძველებური ქართული ეკლესია, რო-
მელიც თავისი აგებულებით „ძველ აკლდამას“ წააგავდა. ამ
ეკლესიის აგებას მაშინ თამარ მეფის დროს მიაკუთვნებ-
დნენ, ადგილობრივი მცხოვრებნი კი რომელიც ქართველ
უფლისწულს მიაწერდნენ (Росси́ков 1894: 313). გვერდით ხეო-
ბის სიღრმეში, დამრეც ფერდობზე გაშენებული იყო დიდი
სოფელი ძუარიყაუ. მასზე გადიოდა ერთადერთი საურმე
გზა, რომელიც ქურთათის ხეობას თავაურის ხეობასთან
აკავშირებდა (Росси́ков 1894: 315). მდ. ფიაგდონის ორივე ნა-
პირზე იყო გაშლილი მთიანი ოსეთის ერთ-ერთი დიდი სო-
ფელი დაყაუ, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის მოით-

ვლიდა 54 ოჯახს, 536 სული მოსახლით. აქ იყო ორი ეკლესია, ერთი სამრევლო და მეორე – ძველი ქართული (Россигов 1894: 316). დაღაყაუდან 4 ვერსზე იყო დიდი სოფელი ლაცი, რომელსაც ჰქონდა ძველი ეკლესია და დიდი სასაფლაო, მის ახლოს აღმართულია ვიწრო ხეობით დაღარული, შესანიშნავი სუბალპური მცენარეულით დაფარული მთა „გახინ“ (Россигов 1894: 320). ჩვენი ექსპედიციის მონაცემებით, ადრე აქ 90 ოჯახს უცხოვრია, ჩვენს იქ ყოფნის პერიოდში 1967 წელს 16 ოჯახი იყო დარჩენილი, დანარჩენები თანდათანობით ბარში გადასახლდნენ.

ქურთათის ხეობის სოფლებიდან გამოჰყოფდნენ ლაცი და ციმიტს, რომლებშიც მათი განვითარების საუკეთესო პერიოდში 100-დან 150-მდე ოჯახი ცხოვრობდა. ლაცი ხეობის ცენტრალურ ნაწილში კომუნიკაციების გზასაყარზე მდებარეობს, აქ იყო კანცელარია, სტარშინა, „ნართნიხასი“, სავაჭრო დუქნები. სხვათა შორის, სავაჭრო დუქნები ჰქონდათ ქართველებსაც. ამიტომაც მას მიიწვევდნენ უახლოესი სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრად და ქალაქადაც. ა. რუსიკოვი თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებებში წერს, რომ ის შევიდა ქურთათის ხეობის ცენტრში, იქ სადაც ოსეთის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარის აზრით, XI ს-ში იქმნებოდა ოსეთის სამეფო. აქ იყო მისი დედაქალაქი, მეფეთა რეზიდენცია, ვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა. ამ სამეფომ XI ს-ის ბოლოს მიაღწია თავისი ძლიერების ზენიტს, რომელსაც დიპლომატიური და ნათესაური კავშირი ჰქონდა დამყარებული ისეთ უდიდეს სახელმწიფოებთან, როგორც იყო ბიზანტია და საქართველო (Россигов 1894: 317). შემდგომი დროის გამოკვლევებით და ჩვენი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაცემებითაც დასტურდება, რომ ლაცი ქალაქი არასდროს არ ყოფილა. ვ. აბაევი, ფ. მილერის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ოსები დიდ ქალაქებს არასოდეს არ აგებდნენ, ყოველ შემთხვევაში ოსურმა ენამ ქალაქის აღმნიშვნელი ძველი ტერმინი არ შემოგვინახა (Робакидзе 1975: 154, 157, 158).

რაც შეეხება „ნართნიხასს“ – ოსური «ныхас» იყო სოფლის თავშესაკრები ადგილი; მამაკაცების საერთო სასოფლო შეკრება; სოფლის თემისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ორგანო, რომელიც სოფლის მმართველობას-

თან იყო დაკავშირებული და გენეტიკურად გვაროვნულ ორგანიზაციამდე დადის. მისი მიზანი იყო ადამიანთა სამართლისა და შარიათის ურთიერთშერწყმის სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება. სოფელ ლაცში გ. ჩიკოვანის მიერ დაწერილია ლეგენდა, რომ ამ ადგილებში მცხოვრებმა ნარტებმა მოაწყეს შეჯიბრება ქვის ტყორცნაში, სადაც გაიმარჯვა ურიზმაგმა. მან 4 ფუთიანი ქვა 4 მეტრზე სტყორცნა, შემდეგ მასზე დაჯდა, ურიზმაგის სიმძიმით ქვა ჩაიხნიქა და სავარძლის ფორმა მიიღო, აქვე მოაწყეს ნიხასიც. ამ ქვის სავარძელში იჯდა ურიზმაგი ნიხასზე, ამიტომაც ეწოდა მას «нарты ныхас». მას შემდეგ, რაც აქ თანამედროვე ოსების წინაპრები მოვიდნენ, ნიხასი მათ გამოიყენეს (Чиковани 1979: 29).

ქურთათის ხეობაში XIX ს-ის ბოლოს ყველაზე დიდი სოფელი იყო ხიდაყუსი, აქ ცხოვრობდა 68 ოჯახი, 708 მოსახლე (Россигов 1894: 121); ამავე დროს, ხარისკინში იყო 18 ოჯახი, 170 სული მოსახლე (Россигов 1894: 323). ა. როსიკოვის აღწერილობით, ხარისკინიდან 8 ვერსზე არის ვიწრო ხეობა „ზილაკქომ“, რომლის შესასვლელში შემორჩენილი იყო სამი კოშკის კედლის ნანგრევები. ეს კოშკები ოდესღაც მთელ სიგანეზე კეტავდა ხეობას (Россигов 1894: 324). სოფელ გუტიათაყაუში ცხრა ოჯახი ცხოვრობდა, 79 სული მოსახლით. აქვეა გვერდითი ვიწრო ხეობა „დამარათიქომ“ სადაც მოედინება პატარა მდინარე „დამარათიდონ“ (Россигов 1894: 326). ხეობის ბოლო სოფელია კალოთიყაუ, მდინარის პირას მაღალი ხრამის წვერზე. ეს იყო თერგის ოლქის ყველაზე მაღალი და განაპირა პუნქტი, რომლის იქითაც კულტურული მცენარეულობა აღარ იზრდება, იშლება მხოლოდ სუბალპური ველები. XIX ს-ის ბოლოს აქ ცხოვრობდა 26 სული მოსახლით (Россигов 1894: 342).

სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე დგინდება, რომ ქურთათის ხეობის და, საერთოდ, ჩრდილოეთ ოსეთის მთური სოფელი ხასიათდება კომპაქტურობით, სადაც სახლები ერთმანეთის მიჯრით იყო განლაგებული. სოფლის ბუნებრივი ზრდის შედეგად ხდებოდა სოფლის შიგნით ახალი სოციალური უჯრედების და პატრონიმიული უბნების ფორმირება. ხოლო სოფლის გარეთ განსახლებით საფუძველი ედებოდა ახალი დასახლებული ერთეულების, სოფლების

ჩამოყალიბებას. მაგალითად, სოფლები: კადათი, ურიყაუ და ხიდიყუსი ციმიტის განსახლების შედეგად შეიქმნა. განსახლების სტრუქტურა პატრონიმიულ პრინციპებს ემყარებოდა. რაც საერთოდ დამახასიათებელი მოუღენა იყო კავკასიის მთური ტრადიციული დასახლებისათვის (Робакидзе 1975: 151). იყო მონოგენური სოფლებიც, რის ტიპიურ მაგალითადაც მიხნეულია ხილაქკომში მდებარე სოფლები, რომელთა პირველი დასახლება მოსული ელემენტებით მოხდა და ჩვენი ინფორმატორების მეხსიერებაშიც კარგად შემოინახა. ტრადიციული სოფლები კი ჩამოყალიბებული პოლიგენუროთ ხასიათდება. ეს იმაზე მეტყველებს, აღნიშნავს ალ. რობაქიძე, რომ აქაც, ისევე როგორც კავკასიის მთიანეთის სხვა რაიონებში, განსახლების გეარობრივმა პრინციპმა დიდხანია დაკარგა თავისი მათგანისებელი მნიშვნელობა და ადგილი დაუთმო დასახლების უფრო პროგრესულ ფორმას (Робакидзе 1975:151).

ალ. რობაქიძე ეხება ტოპონიმ „ქურთათა“-ს ეტიმოლოგიას და მას ტერმინ «каерта»-ს მეშვეობით ხსნის. ოსური ტერმინი «кæрта» „ეოს“ მნიშვნელობით, აღნიშნავს ის, თავისი ძირებით ირანულ ტერმინოლოგიამდე დადის და საკუთრების ფორმებთანაა დაკავშირებული; მასში, როგორც თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ისე გვიანდელი გაგებით, კავკასიის სხვადასხვა ხალხებში მიწაზე ადრეუყოფილი საკუთრების ფორმები აირეკლება. აქედან გამომდინარე, ტოპონიმ „ქურთათა“-ს საფუძველში სწორედ ეს ტერმინი უნდა იყოს ჩადებული (Робакидзе 1975: 182). ქურთათის ხეობა, განაგრძობს მკვლევარი, მეზობელი რაიონებისათვის საქონლის საზაფხულო სამოვრებად გამოიყენებოდა. აქ ეწეობოდა მათი პარალელური სამეურნეო ბაზები, დროებით სადგომები - «кае рта» რომლებიც თანდათანობით მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდა და სოფლად ყალიბდებოდა. ამ პროცესებთან დაკავშირებით აღნიშნულ ტერმინზე მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსის «тае»-ს დამატებით მივიღეთ ხეობის როგორც ჩამოყალიბებული დასახლებული პუნქტის სახელწოდება «Куртатае» (Робакидзе 1975: 184).

ეს არის საგვებით ჩამოყალიბებული დებულება, რომელიც ჩვენს წინაშე დასმულ პრობლემატიკიდან გამომდინარე

რე, ყურადღებას იმით იქცევს, რომ მასში აისახება ქურთათის ხეობაში მეზობელი რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის სამეურნეო ფაქტორი. საინტერესოა, რომელი მეზობელი რაიონებიდან ხდებოდა აქ განსახლება? ეთნოგრაფიული მასალა პირველ რიგში აყენებს ალაგირის ხეობას. უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს იყო ალაგირის ხეობის ქვედა წელი. ზედა წელში კასრისხევი გამოჰყოფდა მას ისტორიული დეაღეთიდან. კასრისკარიდან ჩრდილოეთით მდ. არდონს მიჰყვება გზა, რომელიც შედის ალაგირში და აქედან უკავშირდებით ოსეთის ბარის რაიონის სხვა პუნქტებს, სადაც განსახლებული იყო ირანულენოვანი მოსახლეობა - ალანები. მათი მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მესაქონლეობა. მესაქონლეობის „მთა-ბარული“ სისტემა, რომელიც კარგად აითვისეს ოსებმა კავკასიის ავტოქტონი მოსახლეობისაგან, მტკიცედ იყო შერწყმული მთურ მიწათმოქმედებასთან, ერთ მთლიანობაში წარმოსახავდა მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსებს. ჩრდილოეთ კავკასიის და საქართველოს მთიანეთში და მთისწინა ზოლში, სწორედ მეურნეობის წარმოების მთა-ბარული სისტემა იყო მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. ეს პროცესები აისახება მეურნეობის ამ სისტემასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაშიც: ქართული „ორხელაობა“, „ორგანობა“, „ორკომობა“, „ორწილობა“ და სხვა; ოსური «дыуаеран». ვ. აბაევის განმარტებით «дыаер – двойной» (Абаев 1958: 385).

ბუნებრივია, ალაგირის ხეობის ქვედა წელში, ბარსა და მთის წინა ზოლში განსახლებული ალან-ოსებისათვის საზაფხულო სამეურნეო ბაზების მოსაწყობად ყველაზე ხელმისაწვდომი იყო ქურთათის ხეობა. როგორც აღვნიშნეთ, ეს სამეურნეო ბაზები «кæрта» დროთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდა და ამდენად, ქურთათის ხეობა ალაგირის ხეობიდან მოსახლეობის მიგრაციის უპირველესი ობიექტი ხდებოდა. XX ს-ის დასაწყისში გ. ვერტეპოვი სწორედ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით იზიარებდა იმ დებულებას, რომ ალაგირის ხეობა მთიელი ოსების აკვანი იყო (Вертепов 1903: 119).

ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, ქურთათის ხეობაში თავდაპირველად ბერძნებს უცხოვრიათ, შემდეგ მოსულა ვინმე ქურთა. ოსთაგან პირველად მისმა შთამომავ-

ლობამ დაიწყო ამ ხეობის ათვისება, ამიტომაც ეწოდა ამ ხეობას ქურთას სახელი „ქურთათი ქომ“, ხოლო მის ბინადართ - ქურთათელები „ქურთათა“.

აღ. რობაქიძე კარგად იცნობს ტოპონიმ „ქურთათა“-ს ამ ხალხურ ეტიმოლოგიასაც. მის მიერ ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით, სიღამონის შვილის შვილიშვილები, ძმები ქურთა და თაგა, რაღაც მიზეზის გამო ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ მეზობელ ხეობაში. შემდეგ ძმებს შორის მოხდა უთანხმოება, რის გამოც თაგამ სხვა ხეობაში გადაინაცვლა, რომელსაც მისი სახელი „თაგაური“ ეწოდა, იმ ხეობამ კი სადაც ქურთა დარჩა „ქურთათი“-ს სახელი მიიღო. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს ეტიმოლოგია არის გულუბრყვილო, შაბლონზე აგებული, მიუხედავად ამისა, მასში აირეკლება აღნიშნული ხეობების ოსეთის მეზობელი რაიონებიდან და არა მარტო ოსეთიდან გადმოსახლებულთაგან დასახლების ობიექტურად მიმდინარე პროცესები (Робакидзе 1975: 184).

ქურთათელების და თაგაურელების წარმომავლობის შესახებ XIX ს-ში რამდენიმე ლეგენდა ყოფილა გაერცვლებული და მათ შორის იმის ერთ-ერთი ვარიანტიც, რომლებზეც ახლა გვქონდა საუბარი. XIX ს-ის 60-იან წლებში ვ. პუაფის მიერ ჩაწერილი გადმოცემით, ძმები თაგაური და ქურთათი „ვალაჯიერელები“ ქურთათის ხეობაში დაესახლენ. ორივემ აიშენა „გალუან“, ზედაში ცხოვრობდა თაგაური, ქვედაში – ქურთათი. მათ ირგვლივ დაესახლენ ვალაჯირიდან და სხვა ადგილებიდან გამოსულნი. მაგრამ თაგაურის შვილებმა დაიპირისპირეს ადგილობრივი მოსახლეობა და ისინი სახალხო სასამართლოზე გაიყვანეს. თაგაურმა დაიწყო თავისი შვილების დაცვა, რის ნიადაგზეც მოხდა დაუნდობელი შეტაკება და თაგაურელების მთელი შემადგენლობა ხეობიდან განდევნეს, ეს უკანასკნელნი გიზელდონის ხეობაში, დარგავსსა და სხვა სოფლებში განსახლდნენ (Паф 1871: 81).

ამავე პერიოდში, ქურთათელების და თაგაურელების წარმომავლობის შესახებ გაერცვლებული ყოფილა კიდევ ერთი ლეგენდა, რომელიც ჯ. შანაევმა ჩაიწერა: ოდესღაც, რაღაც მიზეზის გამო, სომხეთიდან გამოქცეულა თავადი თაგაური (ოსურად თაგა) ერთი ქურთით, რომლისგანაც

თითქოს წარმოიშვნენ ქურთათელები და კავკასიის მთებისკენ გაუწევია, სადაც ველური ირები ცხოვრობდნენ. ისინი მივიდნენ ალაგირის ხეობის სოფელ ქსურტაში, ააგეს „გალუან“ ციხით და თავამ, როგორც თავადმა, გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. ავტორის ცნობით თავას სახლის ნანგრევები კიდევ იყო შემორჩენილი და მას ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებდა. თავასს შეეძინა სამი შვილი: კამბია, თოთიკი და ზაგა, რის შემდეგაც თავისი შვილებით და ყველა ქურთით დარგავსში გადასახლდა. კამბიას და თოთიკის დიდმა შთამომავლობამ შექმნა თავაურელების ფენა „თაგიათა“, რომლებიც XIX ს-შიც ოსებს შორის თავს კუთილშობილებად მიიხნევენ, მაგრამ მალე თავას შთამომავლობის ამ ორ შტოს შორის მოხდა დაპირისპირება. კამბიას შთამომავლობამ გადაწყვიტა მოესპო თოთიკი და მისი შთამომავლობა, რისთვისაც დახმარება სთხოვეს ქურთას. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლა, სადაც მთლიანად ამოწყვიტეს თოთიკის შთამომავლობა, მხოლოდ თოთიკმა მოასწრო ციხეში ჩაკეტვა. ალყაში ყოფნის დროს მას შეეძინა შვილი სანა, რომელიც ვინმე ხუცისტას დახმარებით გააპარა ციხიდან. ხუცისტამ ბავშვი ყაბარდოში გადაიყვანა და ყველაზე ძლიერ გვარს, დოხშუკოვებს დაუტოვა გასაზრდელად, რომ მომავალში მათი მხარდაჭერა ჰქონოდა. როდესაც სანა გაიზარდა, დაწერილებით გაიგო თავისი წარსული და გადაწყვიტა წინაპართა სისხლის აღება. გადასახლდა დარგავსში და შექმნა დიდი შთამომავლობა. სანაითები მოსვენებას არ აძლევდნენ თავაურელებს. მათგან კატეგორიულად მოითხოვდნენ მოეწვიათ ყველა მათი მოსისხლე ქურთათელები. სანაითებმა შური იძიეს, სასტიკად გაუსწორდნენ ჯერ თავაურელებს, შემდეგ ქურთათელებს, რის შემდეგაც კანში გადასახლდნენ. მათ ზემო კანში ააგეს „გალუანი“, ქვემო კანში შექმნეს სამეურნეო ბაზა და საბოლოოდ მთელ ამ მხარეს დაეუფლნენ. (Шанаев 1870: 35-38).

ზემოთ მოტანილი გადმოცემები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ XIX ს-ის შუა ხანებშია ჩაწერილი, მაშინ როდესაც ხალხის მეხსიერებაში ისინი უფრო სრულყოფილად იყვნენ შემორჩენილი. ჩვენამდე მხოლოდ ნაწილმა მოაღწია და ისიც ფრაგმენტული სახით. მიუხედავად ამისა, ყველა ვარიანტში, ახალშიც და ძველშიც აირეკლება

ცენტრალური იმიერკავკასიის ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარე მიგრაციული, ეთნიკური, მწვავე პოლიტიკური და სოციალური პროცესები.

ვ. პფაფი ეხება რა თაგაურისა და ქურთათის საზოგადოებებს, აღნიშნავს, რომ თაგაურელები ცხოვრობენ მდ. გიზელდონზე, ქურთათელები – მდ. ფიაგდონის აუზში. ქურთათის ხეობაში, მისი ინფორმატორების ცნობით, ადრე იქ ოსების სხვა ტომს «Будурт»-ს უცხოვრია, რომლებიც რაღაც მიზეზების გამო თრუსოს ხეობის მიმართულებით გადასახლებულან. ავტორის ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს XV-XVI საუკუნეებისა, რის გამოც მათ თითქმის არაფერი იციან ოსეთის ფეოდალური ხანის ისტორიაზე, რაც ხალხის მეხსიერებაში კარგად არის შემორჩენილი ქურთათის ხეობაში (Пфаф, 1871, გვ. 79).

საინტერესოა, ვინ იყო ე.წ. ოსური ტომი „ბუდურთე“? მის ეთნიკურ ვინაობაზე ძნელია რაიმეს თქმა. რაც შეეხება თავად ტერმინს „ბუდ-ურ-თე“, „თე“ (т) სუფიქსი თავიდანვე შეიძლება გამოვირიცხოთ, მასზე არაერთხელ იყო ზემოთ აღნიშნული. „ბმდ“//”ბოდ“. ვ. აბაევის განმარტებით, ოსურად ნიშნავს „სურნელებას“, „კეთილსურნელებას“, „საკმეველს“ და მომდინარეობს ირანული სიტყვიდან „ბაუდა“ - სუნი. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ „ბუდ-“ ძირი გვხვდება ძველ ქართულში: ქართ. „ბუდ-“, „ბუდ-ე“. სვან. „ბუდ“//„ბიდ“. სვანური „ბუდ-“ქართული „ბუდ-ე“ ფუძის შესატყვისადაა მიჩნეული (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 63); „-ურ“ - უქონლობის მაწარმოებელი სუფიქსი ქართული ენის ინგილოურ დიალექტშია შემოინახული. მას კანონზომიერად შეესატყვისება სვანური „-ურ“. მაგალითად, „კუდ-ურ“ – უკუდო (ინგ.), „ხეხ-ურ“ – უცოლო, „დიდ-ურ“ – უდედო (სვან.) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ. 309); „-არ“ – ქართულში მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსია, გამოიყოფა ტოპონიმში „გომ-არ-ეთ-ი“. ქართულ „-არ“ სუფიქსს უკავშირდება სვანური მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი „-არ“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 36).

ცხადია, ამით არ ვაპირებთ დავსვათ საკითხი „ბუდურ“-ების ქართულ წარმომავლობაზე. ეს ჯერ კიდევ სადისკუსიოა. მაგრამ ზემოთ აღნიშნულს გარდა, ერთ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი, „ბუდურთე“ იყო ქურთათელე-

ბისაგან განსხვავებული, „ოსების სხვა ტომი“, რომელიც ამ ხეობაში ქურთათელებამდე ცხოვრობდა. „ბუღურები“ თრუსოს ხეობაში გადაიხვეწენ და მათ მეხსიერებას ოსების წარსულ ცხოვრებაზე არაფერი შემოუნახავს. მერთალი კვალი მათ თრუსოს ხეობაშიც დატოვეს, სოფელ უხათში ფიქსირებულია ტოპონიმი „ბიდარათა“ (სადოვარი) (ითონიშვილი 1971: 12). მასთან ერთად, ჩვენს ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელი ბიდარა. ეს იყო პიროვნება – ბიდარა ბოცოითა, რომელსაც თრუსოს ხეობის სოფელ ჯიმარაში უცხოვრია. აქედან გარკვეული მოსაზრებებით, მეფე ერეკლემ გადმოიყვანა და ჯვრის უღელტეხილზე დაასახლა. ერეკლე II-ის მიერ 1794 წელს გაცემულ სიგელში დასახელებულია ორი სახელი: ბათი და ბიდარა, რის საფუძველზეც ნაშრომებში აისახა: ბათი ბიდარიშვილი ან ბათი ბიდაროვი (ითონიშვილი 1971: 45). სხვათა შორის, საქართველოში დღესაც გვხვდება გვარი ბიტარიშვილი ქართული ეთნიკური თვითშეგნებით.

აღანებს არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აღნიშნავს ვ. პფაფი ერთ-ერთ თავის ნარკვევში, კავკასიონის ერთ მხარეს დამარცხებულნი მეორე მხარეში გადადიოდნენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ცდილობდნენ დაეცვათ შუა კავკასიონში მდებარე ხეობები, კერძოდ, ვალაჯირისა და ქურთათის ხეობები, რომლებიც ყოველი მხრიდან იყვნენ ნაკეტილნი უზარმაზარი მთებით და მათთვის კარგ თავშესაფარს წარმოადგენდა. დროდადრო აქ თავსდებოდნენ აღანები, მაგრამ მათ არ შეეძლოთ დაეტიათ დიდი რაოდენობით ხალხი. შიმშილი აიძულებდათ აღანებს იარაღისთვის მოეკიდათ ხელი და ბარში გამოსულიყვნენ. დარიალის ხეობა, როგორც ცენტრალურ კავკასიაში გამავალი ერთადერთი გზა, ადრეულ პერიოდსა და შუა საუკუნეებში მეომარი ტომისთვის არ იყო ხელსაყრელი საცხოვრებლად, მაგრამ მიზანშეწონილი იყო მის სიახლოვეს ყოფნა, რომ ამ გზაზე მოძრაობისთვის კონტროლი გაეწიათ (Материалы для древней... 1870: 12).

XIX ს-ის ბოლოს ევგ. მაქსიმოვი სრულიად გარკვევით შემოსახლდერავდა იმ ტერიტორიას, სადაც ხდებოდა ოსთა განსახლება; ტერიტორიის გადანაწილება; ცალკეულ ჯგუფებს შორის მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლები ცენტრალური იმიერკავკასიის ამა თუ იმ მონაკვეთში დამაგრე-

ბის მიზნით. ალანების მრავალსაუკუნოვანი ისტორია, აღნიშნავს ავტორი, ეს არის გაუთავებელი ომების, თარეშის, დარბევების, გამარჯვებების და დამარცხებების აღნუსხვა. დამარცხებული ალანები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის მიუღვამელ ხეობებს აფარებდნენ თავს. ყველაზე ადრე ალაგირის ხეობაში შევიდნენ, შემდეგ ქურთათის ხეობა და იკავეს, ამის შემდეგ თავაურის ხეობაში მდ. თერგზე და მდ. ურუხის აუზში განსახლდნენ. მდ. თერგის ხეობაში პრივილეგირებული გვარები თავაურის „აღდარ“-ებად იწოდებიან და თავიანთ შორეულ წინაპრად სომხეთიდან გამოქცეულ რომელიღაც სომეხ უფლისწულს თავაურს მიიხნევენ (Максимов, Максимов 1892: 7, 12).

ჩრდილოეთ ოსეთში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ ჩატარებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე აღ. რობაქიძე წერდა, რომ ქურთათის ხეობა ხშირად იქმნებოდა ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლების არენად იმისათვის, რომ აქ შექმნილიყო სტაბილური მოსახლეობა. მებრძოლი მხარეების სწრაფი ცვალებადი უპირატესობები განაპირობებდნენ აქ მოსახლეობის ნაკადის შემოსვლას ან გასვლას, შემოღწევას, დამკვიდრებას და ამ უკანასკნელთაგან სხვა ეთნიკური ელემენტების ასიმილაციას. ცოტათ თუ ბევრად მოსახლეობის სტაბილურობა, განმარტავს მკვლევარი, მიღწეულ იქნა კავკასიის „დამშვიდების“ შემდეგ. ცხადია, „დამშვიდებაში“ იგულისხმება კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების განმტკიცება, მაგრამ ამის შემდეგაც ადგილი ჰქონდა ცალკეული ეთნიკური ელემენტების გადაადგილებას, რასაც განაპირობებდა სისხლ-მესისხლეობა, ფეოდალური დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა და სხვა, რომელთა ლიკვიდაცია ბოლომდე ვერ მოხერხდა (Робакидзе 1975: 151).

როგორ აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქურთათის ხეობაში თავდაპირველად „ბერძნებს“ უცხოვრიათ. შემდეგ მოვიდა ვინმე ქურთა, რომლის შთამომავლობამაც შექმნა აქ პირველი ოსური მოსახლეობა. მაგრამ საინტერესოა, ვინ იყვნენ ეს ე.წ. „ბერძნები“ ან სად წავიდნენ ქორთას მოსვლამდე? ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით,

პირველად ალაგირის ხეობიდან მოვიდნენ ქურთა და თაგა, აიგეს ციხე-გალაენიანი კომპლექსები და მათ გარშემო განლაგდა ალაგირის ხეობიდან გადმოსული მოსახლეობა. ამ ვარიანტის მიხედვით, ოსთა ამ ფენამ სრულიად უმტკივნეულოდ დაიუფლა სრულიად უკაცრიელი ტერიტორია. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვითაც ქურთათის ხეობაში პირველად შემოვიდა ქურთაული. მისი სახელით მიიღო ხეობამ ეს სახელწოდება და ეს იყო ოსთა შორის ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარი. ვახუშტი არ ეხება საკითხს, ქურთაულის მოსვლამდე იქ ცხოვრობდა ვინმე თუ არა.

მთხრობელთა გადმოცემით, სოფელ ლაცში რვა გვარს უცხოვრია. ამათგან ყველაზე ადრე, ალაგირის ხეობიდან მოსულებად მიიხნევიან დუღაევი, ქებიევი და ქოლიევი. დუღაევის წინაპარს, რომელიც პირველად მოვიდა ლაცში, თარამონი ერქვა. ჩვენს მიერ 1967 წელს შედგენილი გენეალოგიური სქემის მიხედვით, ჩვენი მთხრობელი ყაშია დუღაევი (დაბ. 1909 წ.) თარამონის მეშვიდე თაობაა. გადმოცემათა ტრადიციული სქემის მიხედვით, დუღაეეების, თებიეეების და ქოლიევის წინაპრები ქურთათის ხეობაში, სადაც მაშინ ყაბარდოელები ცხოვრობდნენ, სანადიროდ წამოვიდნენ, ეს ადგილები მოეწონათ, ამიტომ უკან გაბრუნებულებმა დარაზმეს ალაგირელები, ლაციდან ყაბარდოელები განდევნეს და მათ საცხოვრისს დაეუფლნენ. ახალმოსახლე ოსებს ციხეები მზამზარეულად დახვდათ, მხოლოდ სახლების აშენება დაჭირდათ. თარამონს ჰყავდა ხუთი შვილი: დულა, ხაბა, ეზი, ეხო და ჰუმარიტი. ამათგან უფროსი დულა იყო – დუღაეეების საგვარეულოს მამამთავარი, რომელიც მამასთან ერთად ლაცში დარჩა საცხოვრებლად; ხაბა დარგავსში გადასახლდა; ეზი და ეხო ალაგირში დარჩნენ; ყველაზე უმცროსი ჰუმარიტი კი საქართველოში, „სამხრეთ ოსეთში“ გადმოსულა.

ერთ-ერთი ინფორმატორის ინფორმაციით (ვანო დუღაევი, დაბ. 1864 წ.), ლაცში პირველი მოვიდა დულ, საქართველოს სამხედრო გზატკეცილთან მდებარე სოფელ ვოლგოვიდან, შემდეგ – თებიევი. ლაცში ყველაზე ძლიერი გვარები იყვნენ დუღაევი, თებიევი და ქოლიევი, ისინი ერთმანეთს ზურგს უმაგრებდნენ, რაც შეეხება სხვა გვარებს, ხადიკოვი ერთი ოჯახი იყო, შანიბადან მესისხლეობის ნიადაგზე გამოქცეული ლაცში დუღაეეებმა და თებიეეებმა შეიფარეს.

სოდოევი 1948 წელს გადმოსახლდა ხარისკინიდან, გაჯინოვი – 1955 წელს ბარზიყაუდან, ბზიკოვი – 1965 წელს ციმიტიდან.

სოფელ კადათში პირველად დამკვიდრებული კულადან იღებს სათავეს გვარი კულოვი. ეს გვარი თავისი აღმავლობის ზენიტში 50 ოჯახს აღწევდა და სამ პატრონიმიულ ჯგუფად იყოფოდა: 1. ჩერხუათა – ქვედა უბანში, დასახლებების ცენტრში კულოვების მიერ აღმართული იყო კოშკი, გვარის ძლიერების სიმბოლოდ; 2. ყასჯერიათა – ქვედა უბანში ხეეს გაღმა, კლდის ძირში, სადაც იდგა ოსების მოსვლამდე „ბერძნების“ მიერ აგებული კოშკი; 3. ბისკუათა – ზედა უბანში, სოფლის განაპირას იდგა კულოვების მიერ აგებული ორი თავდაცვითი კოშკი. კულოვებს მოგვიანებით შემოემატენ ნალდიყოეები; ბარსიეეები და კალმანოეები, ორივე მათგანი კულოვების მესისხლეები გახდნენ და აქედან გადაიხვეწენ.

ანდიათიყაუ ერთ-ერთი მონოგენური სოფელი იყო, სადაც მხოლოდ ანდიეველები ცხოვრობდნენ, სულ რვა ოჯახი. მოგვიანებით მათ დაემატა ელოეეების ერთი ოჯახი. 1967 წელს, ჩვენს იქ ყოფნის პერიოდში, სოფელი მიტოვებული იყო და სახლები – ნანგრეეებად ქცეული. ორივე გვარი ვეინახური წარმომავლობისაა, ინგუშეთიდან არიან მოსულნი და ადგილობრივ ნიადაგზე ასიმილირებულნი. გადმოცემით, რომელიც ცოცხლად არის შემონახული ქურთათის ხეობის მოსახლეობაში, ანდიეეების წინაპარი «МЪ ЛЪХ ЛОН» (ასე უწოდებენ ოსები ინგუშებს – „ძერახიდან მოვიდა“). იქ დიდ სოფელში ცხოვრობდა და, გადმოცემათა სტანდარტული მოდელის მიხედვით, მესისხლეობის ნიადაგზე გამოიქცა. ოსების მიერ დასახელებული „ძერახში დიდი სოფელი“ არის ჯარიახის ხეობის ცენტრალური, დიდი სოფელი ერზი, სადაც ზემოთ დასახელებული ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1962 წელს ფიქსირებულია იანდი ტეიპას მაღალი პირამიდულსახურავიანი („ვოუ“) და ციხესახლი („ღალ“) (Робакидзе 1968: 41). აქვე მიღებული ინფორმაციით, იანდიეეები ანდიური წარმოშობის არიან და მათ აქედან მიიღეს გვარი. აქედან გამომდინარე, ოდესღაც ანდიური ეთნიკური ელემენტი მოხვდა ინგუშეთის ტერიტორიაზე და ამ ნიადაგზე მოხდა მისი ასიმილაცია.

შემდეგ იანდი ტეიპას ერთ-ერთი ინგუში წარმომადგენელი გადავიდა ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც უკვე ახალ ნიადაგზე განიცადა ასიმილაცია და საწყისი მისცა ოს ანდიათებს (Робакидзе 1975: 151).

ანდიელების მაგალითთან დაკავშირებით, ალ. რობაქიძე პარალელს ავლებს ხევსურ ვეშაგურებთან, რომელთაც სათავე დაუდეს ქართველ მთიელ და ინგუშეთში ინგუშ ვეშაგურებს. ორივე მხარეს დღემდე კარგად ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა. ასევე შეიძლება ითქვას ინგუშ მაღსაგოეებზე, რომელთა ასიმილაცია მოხდა ხევის ნიადაგზე საქართველოში და სათავე დაუდეს ქართველ მარსაგიშვილებს. ზოგიერთი ნამატი ოჯახი შემდგომ დაუბრუნდნენ ინგუშეთს და ამჯერად უკვე მათ პირველყოფილ ნიადაგზე მოხდა მათი რეაბილიტაცია (Робакидзе 1975: 152).

გადმოცემა მოგვითხრობს გუტიელების ინგუშურ წარმომავლობაზეც. გუტიათიყაუსა და ბულულთიყაუს შორის მდებარე მთელი ტერიტორია, დამცველი კედლებით, მხოლოდ ინგუშებით ყოფილა დასახლებული. ეთნოგრაფიულ მასალაში აისახება ქურთათის ხეობაში ქართული ეთნიკური ერთეულის არსებობაც. გადმოცემა მას უკავშირებს კალოთიყაყს მოსახლეობას კალოეებს – „კალოთა“, რომელიც ქართული სიტყვიდან „ქალი“-დან იღებს სათავეს (Робакидзе 1975: 152).

ინგუშეთში ჩვენს მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, მდ. ასის ხეობის მთავარი სოფლის თარგიმის ფუძემდებელი იყო ვინმე ნერთი, რომელიც თითქოს, ოდესღაც საქართველოდან გადავიდა და ააგო ციხე-სახლი „ღალ“. მაშინ ამ სოფელში და საერთოდ ხეობაში არავინ არ ცხოვრობდა, იგი მხოლოდ ნერთი თავისი „ღალ“-ით. მას შემდეგ გაჩნდნენ სოფლები. მაშინ სოფელს ეწოდებოდა „ღალ“ და ციხე-სახლიც იყო „ღალ“, იკითხავდნენ ვისი ღალ არისო, ხალხს კი „ღალ“-იდან გამოსული უწოდებდნენ. მთხრობლის განმარტებით, ინგუშები ვლადიკავკაზს უწოდებდნენ „ბრუ ღალ“-ს; გროზნოს – „შოლუ ღალ“-ს (შოლუ არის მდ. სუნჯა); გროზნოს აქეთ არის „სიფოი ღალ“ – სიფსო გენერალი იყო და მან ააგო ღალ; თარგიმშიც პირველი მოვიდა ნერთი და აიგო ღალ. თარგიმიდან გამოსული ყველა იყო ნამდვილი „ღალღაი“, დანარჩენები კი მოსულნი „ფიაპი“. აქედან

წარმოდგა ასის ხეობის მოსახლეობის სატომო თვითსახელწოდება „დალღაი“, რომელთაც ქართველები „ღლიღვებს“ უწოდებდნენ. სხვათა შორის, ასის ხეობის ზედა წელში არის ხეობა „დალღაი ჭოჟ“ (დალღაის ხეობა) და მის ზემოთ – „ფხი ჭოჟ (ხევსურეთის ხეობა). შემდეგ ხეობაში ტერიტორიული ერთეულები გამოიყო, რომლებიც მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს ერთმანეთისაგან განაცალკევებდნენ. ასეთი იყო „თარგიმხოი“ – თარგიმელები, „ჩულხოი“ – ჩულხოელები და ა. შ. მთხრობლები „თარგიმხოი“-ში ვიწრო გაგებით, გამოჰყოფენ მხოლოდ ერთი სოფლის მოსახლეობას, ხოლო ფართო გაგებით – თარგიმინდა განსახლებული სოფლების და მთელი ხეობის საზოგადოებასაც აერთიანებენ. ასის ხეობის ზედა წელშია აგებული ქართული მაგერი-ალური კულტურის ძეგლი, X საუკუნის ტაძარი „ტყობაერდი“, ქართული წარწერებით. მთხრობელთა გადმოცემით, ის ქართველების მიერაა აშენებული და ბოლო დრომდე იქ მოძღვარი „მოზღარ“ ხევსური იყო.

ჩვენ ასის ხეობა მთლიანად უკაცრიელი და ნანგრევებად ქცეული დაგვხვდა; მოსახლეობამ დიდი ხანია დასტოვა ის და ბარში განსახლდა, სადაც გვიხდებოდა მთხრობლების ძებნა. ერთ-ერთი ჩვენი მთხრობელი ბეისულთან ცოროევი (დაბ. 1889წ.) არის ხეობის სოფ. ცორიდან იყო – „ცორი დალ“-იდან ცორი ტეიპა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ქართული „სახლი“ გვარის მნიშვნელობით. მთხრობელი გენეალოგიურ სქემაში ასახელებს ვინმე *ყურეშს*, რომლის მე-15 თაობა თვითონაა. *ყურეში* ცორში „არაბიდან“ მისულა. მანამდე იქ ბერძნებს და ქართველებს უცხოვრიათ და კოშკებიც მათ აუშენებიათ. ყურეში „აბრეკი“ იყო, ადგილობრივ მოსახლეობას დაუპირისპირდა და ამიტომ ყაბარდოში გაიქცა, მისი შთამომავლები ყაბარდოელები არიან. ცორიდან ყაბარდოში მიგრირებას შემდგომაც ჰქონია ადგილი და ოსეთშიც ყოფილან აქედან წასული ცორიელები. თარგიმიდან წასულან ოსეთში დუდაროეები და ციცქიეეები, ისინი „თარგიმხოი“ იყვნენ. სხვათაშორის, საქართველოშიც არის გვარი ციცქიშვილი.

ზემთ მოტანილ გადმოცემებში რამოდენიმე მომენტზე შეიძლება შევანეროთ ყურადღება: 1. მათში უნდა დავინახოთ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარე რთული ისტორიული პროცესები და მიგრაციები, კავკასიის

ცალკეული ტომების და ხალხების ფორმირების პროცესები; საქართველოს ადგილი და მისი ისტორიული მისია კავკასიურ სამყაროში.

2. თქმულებებში აირეკლება ჩრდილოეთ კავკასიაში ქართულ ეთნიკური ერთეულის მიგრაციები, მიუხედავად იმისა, რომ „ნერთი“ არ უნდა იყოს საქართველოდან გადასული. შესაძლებელია ის იყო ნართი და გადმოცემა ასახავს იმ პერიოდს, როდესაც ალანები ფართოდ იყვნენ მოდებული ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიას. იქნებ ციციქიეების გვარის მამამთავარი გადავიდა საქართველოდან? „ციციქ“-ი ფართოდ გავრცელებული სიტყვაა ქართულში და ის არაერთი მნიშვნელობით განიმარტება: „ციციქა“ – დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიში; „ციციქვი“ – მარდი, ცქვიტი; „ციციქნა“ – ნამცეცვა, ძალიან პატარა და ა. შ. (ქეგელი VIII, 1964: 635); „ციციქ/ცუციქ“ არაერთ ფართოდ გავრცელებულ გვარსახელს ედება საფუძვლად. არა გამორიცხული, რომ ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოხვდა ინგუშეთში, აქედან – ოსეთში და ბოლოს კვლავ საქართველოში, ყველა ნიადაგზე განიცადა ასიმილაცია და ბოლოს რეასიმილაცია.

3. ვინ იყო ყურეში? ალბათ ყაბარდოელი „აბრეკი“, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას. ჯარიახის ხეობის ეთნოგრაფიული მასალითაც ირკვევა, რომ სოფელ ერზის დაარსებამდე იქ ყაბარდოელები იყვნენ გაბატონებულნი, ინგუშები კი ერზის ზემოთ მიუვალ მთებში იყვნენ ჩაკეტილნი.

4. ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის მოსახლეობაში შემორჩენილ გადმოცემებსა და თქმულებებში, ჩვენს მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებში ჩანს მოსახლეობის ადრეული ფენები: „ბერძნები“, „ბერძნები და „ქართველები“, რომლებიც ოსების მოსვლამდე იქ აგებდნენ ციხეებს და ეკლესიებს ყაბარდოელები. ყოველივე ეს იმის დასტურია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, კონკრეტულად კი, ცენტრალური ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, საუკუნეების განმავლობაში იყო გამუდმებული შფოთვა, შიდა თუ გარე დაძაბულობები, დაუნდობელი სისხლისმღვრელი ბრძოლები, მოხდა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის არაერთი ცვლა. ამასთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გავისვათ იმასაც, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე და მათ შორის

ოსეთშიც, ფართოდ იყო განფენილი ქართული საკულტო ნაგებობები და ციხეები, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა სვენს დრომდე „თამარის ციხის“ სახელით შემონახა თავი.

რიგი წერილობითი წყაროებისა აღ. რობაქიძეს საშუალებას აძლევს ივარაუდოს ოსთა შორის ადიღური ელემენტის შედწევა და ადგილობრივ ნიადაგზე მათი ასიმილაცია. ამის საფუძველზე ყალიბდება დებულება, რომ ქურთათის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის ფორმირებაში მონაწილეობას დებულობდნენ უცხო ეთნიკური ელემენტები. ამ ელემენტების ინკორპორაციის უსიტყვო პირობა იყო ადგილობრივ ნიადაგზე მათი სრული ასიმილაცია. ამ თვალსაზრისით, ქურთათის ხეობის მოსახლეობა, თავისი ეთნიკური შემადგენლობით იყო ერთგვაროვანი; ჩამოყალიბდა საზოგადოება მაღალი ეთნიკური თვითშეგნებით, რომელიც მოწოდებული იყო ადგილობრივ ნიადაგზე მოეხდინა ნებისმიერი სხვა ეთნიკური ერთეულის ასიმილაცია (Робакидзе 1975: 153).

მიგრაციულ და ეთნოსოციალურ პროცესებთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ქურთათის ხეობა, ოსეთის მთიანეთის სხვა რაიონებთან და განსაკუთრებით დიგორთან შედარებით, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დაბალი დონით გამოირჩეოდა. ეს გარემოება მატერიალური კულტურული თავისებურებებითაც დასტურდება (Робакидзе 1975: 68-69). აღ. რობაქიძე განიხილავს, რა ჩრდილოეთ ოსეთის ციხე-სიმაგრეთა კომპლექსებს, გამოჰყოფს ორ ტიპს, რომელთაგან ერთი იწოდებოდა ქართულიდან შესული ტერმინით „გალუან“, ხოლო მეორე – ციხის ტიპის კომპლექსი – ოსური ტერმინით «фæдæр». ისეთი დიდი მასშტაბის კომპლექსებს, როგორც იყო „გალუან“, ვხვდებით დიგორში, სადაც ყველაზე მეტად იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა (Робакидзе 1975: 72).

ოსეთში უცხო ეთნიკური ელემენტების შეყვანის ერთ-ერთ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ტყვეთა მოტაცება, რასაც მასიური ხასიათი ჰქონდა. ოსთა ხელში ჩაგარდნილ ტყვეთა კონტიგენტს, პირველ რიგში ქართველები ავსებდნენ. გერმანელი გიულდენშტედტიც ხომ აღნიშნავდა: „კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში, არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს. ამასთან დაკავშირებით, სავსებით ლოგიკურად

არის ჩამოყალიბებული თეზისი, რომ აქ იგულისხმებიან ოსთა და ლეკთა მიერ მოტაცებული ქართველების შთამომავლები ან ტყვეობაში მყოფი ქართველთა დიდი ჯგუფი, რომლებიც უცხო ეთნიკურ გარემოში იძულებით აკულტურაციას და სრული უფლებობის პირობებში ინტენსიურ ასიმილაციას განიცდიდნენ. ამ ტყვეთა საფუძველზე ყალიბდებოდა ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგარი სოციალური ფენა – მონები, რომლებიც ოსეთში „გურზიაკ“-ების სახელით იყო ცნობილი. «Гуырძиаг» ოსურად ნიშნავს ქართველს და აქედან იწარმოება სოციალური ფენის აღმნიშვნელი ტერმინი «Грузиак» (ითონიშვილი 1995: 49).

აღ. რობაქიძე განიხილავს რა ოსთა საზოგადოებრივ ყოფას, აღნიშნავს, რომ მათში ჩამოყალიბებული სოციალური ინსტიტუტები სამხედრო დემოკრატიული წყობიდან იღებენ სათავეს. ამის ერთ-ერთ მახევენებლად კი მიხნეულია ის გარემოება, რომ ოსეთში, ისევე როგორც კავკასიის მთიანეთის სხვა რაიონებში, ნადავლის მოპოვების მიზნით პერიოდულად ეწეობოდა შორეული ლაშქრობები, რომელთა ჯგუფებიც მცირერიცხოვანი, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული მხედრიონებისაგან შედგებოდა. ეს სამხედრო ოპერაციები ოსეთში „ბალც“-ის სახელწოდებით იყო ცნობილი. მათი მიზანი იყო საქონლის, იარაღის, ხალხის, უმეტესად ბავშვების და მაღალი სოციალური ფენის ადამიანების მოტაცება. ტყვეს, მისი ბედის გადაწყვეტამდე, ეწოდებოდა «Уацайраг» იმ შემთხვევაში თუ მას დაიტოვებდნენ და მეურნეობაში დაასაქმებდნენ, ხდებოდა «æрхæст лæнну, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მოტაცებულ ბიჭს“. ეს მოთარეშებები - „ბალც“, განმარტავს მკვლევარი, მოიპოვებდნენ რა ტყვეებს და მათზე თავიანთ უფლებებს ავრცელებდნენ, თანდათანობით მაღალ სოციალურ საფეხურზე ექცეოდნენ (Робакидзе 1975: 79).

ბოლოხანს გამოცემულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ქურდების, ავაზაკობის, კაცისკვლის „ტრადიციები“ ყველაზე ექსპრესიული ფორმით, ყველა მომთაბარეთა შორის, ოსების ეთნოგრაფიულ წარსულში იყო წარმოდგენილი და კულტის დონემდე აყვანილი. ქურდების, ყაჩაღების, მკვლელების და ყველა ჯურის ავაზაკების მფარველმა ღვთაებამ, იგივე „მგლების მბრძანებელმა“, შავი

მხედრის ჯვარმა «Дауар Саубар», ალაგირის თემის სოფელ ბიზში, უპოპულარესი სასოფლო საღოცავის რანგში, XX ს-ის დასაწყისამდე შემოინახა თავი (ითონიშვილი 1995: 45). საყურადღებოა ჩრდილოეთ ოსეთში, XIX ს-ის მიწურულს ფიქსირებული „ფარნიჯი ძუარ“ («Фарниджи Дзуар») – ყოველთა მკვლელთა მფარველი ჯვარ-საღოცავი (ითონიშვილი 1995: 46) და ა. შ. აღ. რობაქიძე ეხება რა აღნიშნულ პრობლემას, მიიხნევს, რომ ეს ნიშნები ოსთა საზოგადოებრივ ყოფაში, მათი ისტორიის განთიადზე ყალიბდებოდა და დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებად იქცა; აკრიტიკებს იმ ავტორებს, რომლებიც მიიხნევენ, რომ ავაზაკობა და შეიარაღებული თავდასხმები XIX ს-შიც ოსების საყვარელი საქმე იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად გარკვეულ გარემოებათა გამო, ბატონ აღ. რობაქიძეს სხვა დასკვნის გაკეთება არც შეეძლო (Робакидзе 1975: 81).

გადავხედოთ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ჩვენს მიერ იქნა მოპოვებული 1968 წელს ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე, პირველ რიგში ვნახოთ მთხრობლები როგორ ახდენენ დვალეთის ლოკალიზაციას: არდონის ხეობას ახლაც ეძახიან „თუალთა“-ს (დვალეთს), ბურონიდან მამისონის და ზრუგის გადასასვლელამდე „თუალთა“ ეწოდება. მოსახლეობა: ადრე აქ ბერძნებს უცხოვრიათ, შემდეგ – ქართველებს. „ქართველებს გაუღვენიათ ბერძნები, როდესაც ოსები საქართველოს დაემორჩილენ“. შემდეგ მოდიან ოსები „მიზურიდან, როდესაც კავკასიას მონღოლები შემოესიენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან გამოქცეულან და ამ ადგილებისთვის შეუფარებიათ თავი“.

ამ მასალის მიხედვით, **დვალეთის ტერიტორიაზე რამოდენიმეჯერ მოხდა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლა**. ვფიქრობთ, „ბერძნები“ ქრისტიანების სინონიმია. ეს უნდა იყოს კავკასიის ავტოქტონი ფენა, რომელმაც კავკასიის უძველესი ტრადიციული კულტურის შემდგომ განვითარებას ქრისტიანობა დაუდო საფუძვლად. კავკასიის მთიანეთში კი ქრისტიანობა ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა. ეთნოგრაფიულ მასალაშიც ეს თანმიმდევრობა უნდა აისახებოდეს. მაგრამ ვინ იყვნენ აქ მყოფი ქართველები? მივყევთ ეთნოგრაფიულ მასალას.

სოფელი ცმი მდებარეობს არდონის ხეობის სათავეებში, სოფელ ქვემო ზარამაგის მოპირდაპირე მხარეს, იქ სადაც ნარდონი, ცმიაქომდონი და მამისონდონი ერთდებიან. არდონიც მდინარეთა ამ შესაყარიდან ღებულობს სახელწოდებას „არდონი“. სწორედ აქ, ვიწრო ხეობის „ცმიაქომ“-ის ბოლოში არის სოფელი ცმი. ძველი ცმი კლდის თხემზე იყო გაშენებული და მჭიდროდ შეკრული ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას სტოვებს, ახალი ცმი კი კლდოვანი მასივის ძირშია, სადაც ამჟამად მოსახლეობა ცხოვრობს, აქვეა სოფლის სალოცავი. ცმის პირველი მოსახლე იყო ბიგულა – ბერძენი, რომელიც ბერძნების წასვლის შემდეგ აქ დარჩა საცხოვრებლად და აქედან მომდინარეობს გვარი ბიგულოვი. მთელი ხეობა ბიგულოვებს ეკუთვნოდათ, აქ იყო მათი საძოვრები.

ჩვენს ყურადღებას იქცევს გვარი ბიგულოვი, მთხრობელის გადმოცემით, ბიგულა კაცის სახელი იყო, საიდანაც წარმოსდგა გვარი ბიგულოვი. ამ საკუთარ სახელს და გვარ-სახელს საფუძვლად უდევს სიტყვა „ბიგ“, რაც ქართულად ნიშნავს რისამე გასამაგრებლად შეყენებულ კეტს ან ძელს – ბოძი (ქეგლი, I, 1950: 1056). „ბიგ“-ი, „ბიდა“ – ფშაურ, იმერულ, გურულ დიალექტებზე არის რაიმეს გასამაგრებლად შეყენებული ხის ნაჭერი; ორ ან სამითა ფინალი; მეგრულ, ჭანურ დიალექტებზე – ჯოხი (ქართულ კილოთქმათა... 1984: 73). გარდა აღნიშნულისა, მეგრულში „ბიგ//ბიჯ“ არის ეპონიმი, მოხუცი რომელიც ქმნის სახლს და საფუძველს უყრის თავის შთამომავლობას.

„ბიგ“-ს ახლავს სუფიქსი „ულ“, „ულ“-ა – „ბიგ-ულ-ა“. „ულ-ა“ ქართულში რთული სუფიქსია, რომელიც აწარმოებს არსებითი სახელის კნინობით ფორმებს: წაღღუ-ულ-ა (მღრ. წაღღ-ი), თუნგ-ულ-ა (თუნგ-ი)... შეიცავს კნინობითობის „-ულ“ და „ა“ სუფიქსებს; კნინობითობასთან ერთად შეუძლია გამოხატოს რისამე მსგავსების ფუნქცია: კუნწ-ულ-ა (მღრ. კუნწი//ყუნწი); „ულ-ა“- „ურ-ა“ სუფიქსის სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა „რ“ – ნარვე ფუძეებთან: ჯრუჭ-ი – ჯრუჭ-ურ-ა-ჯრუჭ-ულ-ა, ასევე: სურამ-ულ-ა; „-ულ-ა“ სუფიქსი, რომელიც ქართული ენის დიალექტში (ჯავახურში...) გამოიყენება „-ურ-ა“ სუფიქსის ფუნქციით (და არ ივარაუდება, რომ ფონეტიკური ცვლილების საფუძველზეა მიღწეული): ჩუნჩხ-ულ-ა „სოფელ ჩუნჩხიდან გამოთხოვილი ქალი“,

„ქუნც-ულ-ა“ „სოფელ ქუნციდან გამოთხოვილი ქალი“, ჯავახი-ულ-ა- „ბჯის დიდი ურემი“... (ჯორბენაძე 1988: 392).

საქართველოში გვაქვს გვარები: ბიგვა - „ბი-გვა“ მეგრული გვარის მაწარმოებელი „ვა“ სუფიქსით, ბიგვავა - „ბიგ-ვა-ვა“ გაორებული „ვა“ სუფიქსით, ბიგანიშვილი - „ბიგ-ანი-შვილი“ - „ანი“ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი და „შილი“ ქართული გვარის მაწარმოებელი სუფიქსებით. ახლა შევადაროთ ზემოთ აღნიშნულს ოსური საკუთარი სახელი ბიგულა „ბიგ-ულ-ა“ და გვარ-სახელი ბიგულოვი „ბიგ-ულ-ოვ“-ი, „ოვ“ - გვიან მიღებული რუსული გვარის მაწარმოებელი ფორმანტია. რაც შეეხება ბიგულოვების ბერძნულ წარმომავლობას, „ბერძენი“ აქ ქრისტიანს უნდა ნიშნავდეს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ოსი ბიგულოვები თავიანთი ძირებით ქართულ ეთნიკურ ერთეულთან არიან დაკავშირებული. თუ ინფორმატორის მონათხრობიდან იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ბიგულა იყო „დვალეთის პირველი მოსახლე“, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს მოსახლეობის უძველეს ფენასთან; ფენასთან, რომელიც ოდესღაც დაიძრა კოლხეთიდან, სადაც ერთხანს მძლავრად ჰქონდათ ფეხი გადგმული ბერძნებს, გადმოიტანეს და თავის ლოკალურ ვარიანტებში განავითარეს ყობაზური კულტურის სახელით ცნობილი კოლხური კულტურა.

ჩვენი მთხრობელის სერგო ხეთაგუროვის (დაბ. 1907 წ.) გადმოცემით, ბიგულოვების შემდეგ ნარში და საერთოდ არდონის ხეობაში, დვალეთში „თუალები“ (დვალეები) მოსულან. „თუალ, განმარტავს მთხრობელი, ადამიანის სახელით, საქართველოდან მოსულა, ქართველი ყოფილა“. როგორც ვხედავთ, დვალეები ქართველები იყვნენ, მთხრობელთა გაგებით, თუალ ქართველი იყო და ამიტომ უნდა ყოფილიყო საქართველოდან მოსული. იგივე მთხრობლის გადმოცემით, თუალის შემდეგ ნარის ხეობაში მოვიდა ხეთაგი, რომელიდანაც მომდინარეობს გვარი ხეთაგუროვი. ხეთაგი ყაბარდოელი იყო, მაჰმადიანი, მან აქ სარწმუნოება გამოიცვალა, ქრისტიანობა მიიღო რისთვისაც ძმები მოკვლით დაემუქრნენ. ამიტომ გამოიქცა, აქ მოვიდა და ბიგულოვებს შეაფარა თავი. ხეთაგი სამი წელი ემსახურებოდა ბიგულოვებს, რის შემდეგაც სთხოვა მათ სახლის აშენების ნება მიეცათ. ბიგულოვებმა შესთავაზეს გაეკლო ხეობაში და რომელი

ადგილიც მოეწონებოდა იქ დასახლებულიყო. მასაც გაუფლია, ნადირობის დროს შეუგუღლეებია ერთი ადგილი, სადაც ეხლა სოფელი ნარია, საცდელად დაუთესია ხორბალი და რომ დარწმუნებულა მისი ნიადაგის ნაყოფიერებაში იქ დასახლებულა. მაშინ მთელი ხეობა ტყით იყო დაფარული, პირველად ხეთაგმა დაიდო ბინა. ამის შემდეგ ბიგულოვებმა ხეთაგს თავიანთი უფროსი ქალიშვილი მიათხოვეს და მათ შორის ნათესაური კავშირი გაიბა. ხეთაგუროვიდან გამოვიდნენ მთელი რიგი გვარები და განსახლდნენ ნარის ხეობის სოფლებში: ბალაევი - ნარსა და სასებში; გიოევი - ფალაკკომში, საუბანში, რეტახში; გაგიევი - ნარსა და სლასში; ჯანაევი - გურქუნდიქომის სოფლებში ელტონა, სირნათ; ოთაროვი - გურქუნდიქომის სოფელ გინათში. ამავე სოფელში განსახლდნენ გუშაევეები; ძიდახანოვები და ზაფაროვები - გურქუნდიქომის სოფელ სკასანში; ბურნასოევი - სოფელ გინათში; ხუბეცოევი - გურქუნდიქომის სოფელ სახსატში; თოთიევი - ზრუგქომის სოფელ ზასიხში; ბერიევი - სოფელ წებათში. ადრე ეს გვარები ერთმანეთში არ ქორწინდებოდნენ და ეს აკრძალვა ხეთაგუროვებმა და ოთაროვებმა ბოლომდე შემოინახეს.

რა შეიძლება ითქვას ამ მასალასთან დაკავშირებით. მთხრობელში ასოცირებულია, რომ რადგან ხეთაგი ყაბარდოდან მოვიდა, ის ყაბარდოეული უნდა ყოფილიყო, მუსულმანი. ჩვენ კი ასე შეიძლება გავიგოთ, ხეთაგს ძმები კი არ დაუპირისპირდნენ, არამედ მოსული უცხო ეთნიკური ერთეული მკაცრი ზედწოლით ცდილობდა ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობისათვის თავს მოეხვია თავისი ენა და სარწმუნოება, მოეხდინა მათი სრული ასიმილაცია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მოექცა მათ გავლენაში, მაგალითად, ხეთაგის „ძმები“, ხეთაგი კი არ გატყდა, გამოიქცა და დვალეთს შეაფარა თავი, იმ კუთხეს სადაც ცხოვრობდნენ მისი თანამოძმენი, სუფევდა მისი ენა და სარწმუნოება. თუ ჩვენი დებულება სწორია, არ შეიძლება ხეთაგი ეთნიკურად ყაბარდოელად მივიჩნიოთ. დასავლეთ იმიერკავკასიის სტეპებიდან დაძრულმა უცხო, უხეშმა ძალამ, გამოიწვია კავკასიის მკვიდრი, ქრისტიანული მოსახლეობის ლტოლვა მთის ზოლში, მათ შორის იყო ხეთაგიც. ის შეერწვა ადგილობრივ დვალურ მოსახლეობას და მათი გვარი ქართული გვარის მაწარმოებელი „ური“ სუფიქსით ხეთაგურად გაფორმდა.

შემდეგ კი მათ მოჰყენენ ალან-ოსები. იმ პერიოდში, როდესაც დვალეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა დვალელების ალანიზაციის პროცესი, ხეთაგურები სავსებით ჩამოყალიბებული დვალეები იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ, სხეებთან ერთად მათაც განიცადეს ასიმილაცია. „ნარის ხეობის ოსებს ხეთაგურებს, ასე რომ, ძველადაც სახასონი ყოფილიყავით“ (Из этнографического очерка..., 1982), ასე მიმართავს მათ თეიმურაზ პირველი XVII ს-ის დასაწყისში.

როგორც აღვნიშნეთ, ხეთაგურებს გამოეყვენ მთელი რიგი გვარები, მათ შორის, ოთაროვები ანუ, როგორც იმ დროს მათი გვარები იწარმოებოდა, ოთარაშვილები და ჯანაშვილები. 1812 წლის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩვენ აღრჩეულნი ნარის უმფროსნი: ხამათა ჯიდაშვილი, გერი ჯიდაშვილი, ყანჩა ოთარაშვილი, გუთა ხახიშვილი, გოლეთა მამიაშვილი, თაგი ბუბაშვილი, მახათე კახიშვილი, ბალათა ყოჯახიშვილი, ხოსრო ბეგაშვილი წარმოგზავნილი ვართ უწყებისამებრ გორის ოკრუჟნის ნაჩაღნიკის უფლისა პოდპოდკოენიკისა რეინერისა მიერ... ზრუგის ხეობიდან უმფროსნი დეთე კოზაშვილი და ბეპო კოზაშვილი მოვიდნენ ჩვენთან.“ (Из этнографического очерка... 1982). დოკუმენტი ქართულადაა დაწერილი და ხელმოწერებიც ქართულადაა შესრულებული. ანდრო ჯანაშვილი, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში ამ გვართ ცხოვრობდა, მის შთამომავლებს ჯანაშვილი კი არ მოუგონიათ, არამედ დაიბრუნეს ის გვარი, რომელიც მათ წინაპრებს ნარში ჰქონდათ.

გაფრთხილებით კვლავ ეთნოგრაფიულ მასალას. „არხონსკის ხეობიდან“ მოვიდნენ ხურუმოვები, ხოლო „გინათიდან“ გუბაევი. ისინი ბიგულოვებმა მიიღეს და ცმიაქომში დაასახლეს. ამ ხეობაში თანმიმდევრულად ჩნდება სოფლები: უაღასეხ, თობორზა და საგოლ. მამისონის ხეობის სოფელ ბოციოთაყაუში მარტო ბოციევიც ცხოვრობდნენ. მათი გვარის ფუძემდებელი ბოცი „ალაგირიდან მოვიდა, იმ დროს ამ ხეობაში უკვე ცხოვრობდნენ ქუჩიევი და ბოციც მათ დაასახლეს“. სხვა ინფორმატორის ცნობით, **ბოცი და ქუჩი ძმები იყვნენ და ერთად მოვიდნენ მიზურიდან, მაშინ როდესაც კავკასია მონღოლები შემოესიენ.** პირველიდან მომდინარეობს გვარი ბოციევი, მეორედან – ქუჩიევი. როგორც ვხედავთ, ამ მასალაში აისახება ნარ-მამისონის ქვაბულის, ის-

ტორიული დვალეთის ოსთაგან თანმიმდევრულად ათვისების პროცესი. პირველად მოსულნი დიდ ფართობებს ეუფლებოდნენ, ეკონომიურადაც მომძლავრებულნი იყვნენ და შემდგომ მოსულებზე თავიანთ უფლებებს ავრცელებდნენ. სოფელ ზემო ზარამაგში ყველაზე ძლიერ გვარად ასახელებენ მამითოვს. მათ შეეძლოთ მიეღოთ უცხო და მოეყვანათ ტყვე-როგორც აღვნიშნეთ, ზემო ზარამაგში ასეთი გვარი იყო მამითოვი „უზდენ მკაგ“. აქვე ასეთები ყოფილან სიკოევი, აბაევი, კაიზმატოვი, ქუძაევი. მათზე შედარებით დაბლა იდგნენ ლაპინაგოვეები და თუაევეები. სოფელ „ქალაქ“-ში (მამისონის ხეობის სათავეებში) ყველაზე დიდი, მრავალრიცხოვანი გვარი იყო გაევი – მკვიდრი „ბნათუნ“, დანარჩენები (თედეევი, თუაევი, გამაევი, ქუჩიევი, ელოევი) – გვიან მოსულნი, დროებითი „არცაუვაგ“ და ა. შ.

ამგვარად, ამოდიან ოსები და თანდათანობით ამყარებენ თავის უფლებებს, ბატონდებიან, ადგილობრივი დვალური მოსახლეობა კი, სავსებით ბუნებრივად, დამონებულნი აღმოჩნდნენ. ჩვენი ინფორმატორების ცნობით, „თუალები სხვა ოსებთან შედარებით ყველაზე დაბლა დგანან, ბარში მათ აჯავრებენ კიდევ – თქვენ თუალები ხართ“. ოსები დვალებს, მათი სრული ასიმილაციის შემდეგაც კი სრულფასოვან ოსებად არ მიიჩნევენ. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ აღნიშნული „თუალ კაცის სახელია, ის საქართველოდან მოვიდა, ქართველი ყოფილა“.

დვალეთში, დვალთა ასიმილაციის პერიოდში, ქართული ეთნიკური ერთეული ტყვეების სახითაც შედიოდა. გაბო მამითოვის (დაბ. 1918 წ.) გადმოცემით, „**ოსები გზებზე იყვნენ ჩასაფრებულნი, გამველლებს იჭერდნენ, პირზე ჯოხს მიაბავდნენ რომ არ ეყვირა, მოყავდათ და შემდეგ ყიდდნენ**“. ერთხელ მამამისს სახლში გაუგონია ყვირილი „მიშველეთო“, გამოსულა გარეთ და დაუნახავს ხუთ კაცს ტყვე მოყავდა, მამისონზე დაჭერილი. ზედა ზარამაგში ტყვეები მამითოვებთან მიყავდათ გასაყიდად.

ზარამაგში სერგო ხეთაგუროვი გვიამბობს თავის წინაპართა გადმოცემას; როდესაც „თუალეთის ხეობა“ ხალხმრავალი იყო, ქვედა ზარამაგში ადრე შემოდგომაზე, იმართებოდა დიდი ბაზრობა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. ბაზრობაზე მთელი „თუალეთის ხეობა“ და ქართველობა მო-

დიოდა, ვაჭრობა მხოლოდ მათ შორის ხდებოდა, იყიდებოდა მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, მარილი, პროდუქტები და ა. შ. ალბათ შეიძლება ეს მივიჩნიოთ დვალეებისა და პირაქეთა ქართველების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ერთ ეტაპად.

ვლადიმერ ბოცივევის გადმოცემით, ზარამაგში ბაზრობა ეწყობოდა სექტემბერში, თოვლის მოსვლამდე და 5-6 დღეს გრძელდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის გარდა სავაჭროდ მოდიოდნენ ლეკები და ქართველები, ლეკებს მოჰქონდათ იარაღი, ქართველებს მარილი, ოსებმა დუღაბიც ქართველებისგან შეითვისეს. ვაჭრობდნენ ტყვეებით ლეკები, ოსები და ქართველებიც, ტყვეებს პირდაპირ ცვლიდნენ იარაღსა და საქონელზე, გოგონაში აძლევდნენ კარგ ცხენს, ბიჭში კარგ იარაღს. ამ ხეობაში, სოფელ ტიბში მცხოვრები მოურავოეების წინაპარი, „მორავას“ სახელით მიყვანილი ქართველი, „ორ ვედრო“ ქერად გაუყიდიათ. მათ ეხლაც „გურზიაკებს“ ეძახიან და დიდ შეურაცხყოფად დებულობენ. ასევე „გურზიაკებს“ უწოდებენ თოქოეებს და დარჩიეებს. დარჩიეების წინაპარი მეგრელი ყოფილა გვარად დარჩია, ისინი ლისრში ცხოვრობენ და ამ სოფლის ყველაზე ძველი და მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა.

მამისონის ხეობაში ყველა გვარიდან არჩევდნენ თითო ჯანიან ვაჟკაცს და მათგან ქმნიდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს „ყალაღურ“-ებს. ისინი იცავდნენ ბაზარს, რომ თავს არავენ დასხმოდა, ტყვეები და საქონელი არ გაეცადათ. ტყვეს რომ იყიდდნენ მას უკან ხელებს გაუკრავდნენ, ტყავის ტომარაში წააყუდებდნენ და ისე მიყავდათ. მყიდველებს ტიბამდე ყალაღურების ერთი ჯგუფი მიაცილებდა, ტიბში კი სხვები შეცვლიდნენ.

ეს უკვე შეიძლება მივიჩნიოთ ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების, კერძოდ, ქართველებისა და ოსების სავაჭრო ურთიერთობის მეორე ეტაპად.

ტყვეებს ყიდულობდნენ საქართველოშიც. მაგალითად, ბოცივეებს საქართველოში უყიდიათ ტყვე და მამისონის ხეობის სოფელ ბოთიყაუში მოუყვანიათ. მათი გვარი არის ძექალოვი „ძექალოთა“, მათ ნაყიდს „ალხად მკაგ“-ს უწოდებდნენ, ნაყიდი ხუთი წლის განმავლობაში ბოცივეების სრულ განკარგულებაში იყო, პატრონი სურვილისამებრ იმსახურებდა, დღესასწაულებსა და შეკრებებზე ახლოს არ გაიკარებ-

და, ნიხასზე თავის გვერდზე არ დასვამდა. ხუთი წლის შემდეგ ბოციევებმა ძექალთას გამოუყვეს სამოსახლო ადგილი, სოფლიდან 400-500 მეტრის დაშორებით, საძოვარ ფართობებზე, რომელსაც ეწოდებოდა „ვანთა“. შემდეგ აქ შეიქმნა სოფელი „ვანთაყაუ“. მას შემდეგ რაც ძექალთა ცალკე დასახლდა, საკუთარი ოჯახი და მეურნეობა გაიზინა, ბოციევებისთვის კვირაში ორ დღეს მუშაობდა. თუ ბოციევეები გააფრთხილებდნენ ამა და ამ დღეს დახმარება მინდაო, უარს ვერ ეტყოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოციევეებს შეეძლოთ მათთვის დაღი დაედოთ – ყური მოეჭრათ, თვალებში ნაცარი შეეყარათ და სხვა. არ ჰქონდათ ციხის აგების უფლება, მხოლოდ ერთსართულიანი სახლი და ბოსელი უნდა ჰქონოდათ, საქონელთან ერთად ცხოვრობდნენ. საქონლიდან უნდა ყოლოდათ მხოლოდ ორი ძროხა, ვერ იყოლიებდნენ ხარს, ცხენს და ძაღლს. იტყოდნენ ხარი თუ ყეოლა ჩვენ აღარ მოგვემსახურებო. ჩაცმულობითაც გამოირჩეოდნენ, დადიოდნენ ქალამნებით და არ ატარებდნენ იარაღს. მათ ქალიც თავიანთ წრეში ნაყიდებში უნდა ეძებნათ. მამისონის ხეობაში ასეთები იყვნენ დარჩიევეები – ცხოვრობდნენ სოფელ ღისრში; ტოკაევეები – სოფელ ყლიადში, სულ შვიდი ოჯახი იყო და შემდეგ ბარში გადასახლდნენ; გაცოევეები – სოფელ თიბში, ბოციევეები თავის მხრივ იცავდნენ ძექალოებს ომიანობისა და სხვა თავდასხმების დროს. დროთა განმავლობაში ეს ნაყიდებიც თავისუფლდებოდნენ ბეგარისაგან და ციხეებსაც იგებდნენ.

ზოგჯერ მყიდველი ნაყიდ ტყვეს თავის გვარს აძლევდა. ქუჩის საქართველოში უყიდია ბიჭი სახელად სხაი, ის ქუჩისთან გაიზარდა, მას ემსახურებოდა, შემდეგ სხაი ქუჩიევეად დაეწერა, სახლი აიშენა და ოჯახი შექმნა. ქუჩიმ მას სამოსახლო გამოუყო ადგილზე „თიბწნა“ სადაც შემდეგ გაჩნდა სოფელი „თიბწნაყაუ“. აქ მხოლოდ სხაის შთამომავლობა ცხოვრობდა – ქუჩიევეების ერთი შტო „სხაითა“, „სხაი ფრთა“. მათ თიბწნაყაუში აიგეს სახლი, შემდეგ კოშკიც, საბოლოოდ სამი კოშკი ჰქონდათ. ნარის ქვაბულის სოფელ სლასში, ოჯახში სადაც ერთად ცხოვრობდნენ ძმები ალექსი, პავლე და ნესტორ გაგიევახში გაიზარდა, სამწყესურში დადიოდა, შემდეგ გვარი შეიცვალა, გაგიევად დაეწერა, დაქორწინდა და ცოლი ამ ოჯახში მოიყვანა.

თუაევები ზარამაგში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ მამითოვებთან, იყო მამითოვების სტუმარი, მათთან შეხიზნული და ყველა საქმის შემსრულებელი „არცაუკვავ“. მამითოვებმა დაასახლეს დღევანდელ სოფელ სათათში (ზარამაგიდან დაახ. ორ კილომეტრზე) და ისინი უკვე აქედან ემსახურებოდნენ მამითოვებს. შემდეგ თუაევებმაც გაიზინეს ტყვე, ერთ-ერთი მათგანი ქართველი ყოფილა სახელად ქუდი. მთხრობლები თუაევების ასეთ დაქვემდებარებულ მდგომარეობას იმით ხსნიან, რომ ისინი გვიან არიან მოსული თუ მოყვანილი, მაგრამ საიდან, როდის ან რატომ პასუხს ვერ სცემენ. ერთ-ერთი მთხრობელის გადმოცემით თუაევები ნუზალიდან მოვიდნენ, ამ კუთხეს აღბათ იმიტომ, ასახელებენ რომ ოსების ძირათადი მასა, რომელთაც დვალეთის ოკუპაცია მოახდინეს, ნუზალიდანაა ამოსული. პირველად მოსულნი პრივილიგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, შემდგომ შემომატებულებს თავიანთ უფლებებს ახვევდნენ თავს. გურზიაკებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დვალეები მთლიანად დაიმონეს. გურზიაკებიც და დვალეებიც, ცალკეული პიროვნებები და მათი შთამომავლები უმძიმეს პირობებში იმყოფებოდნენ სრულ ასიმილაციამდე.

მას შემდეგ რაც ოსებმა დვალეთი დაიკავეს და იქ რთული სოციალური პროცესები წარიმართა, საზოგადოება გარკვეულ კატეგორიებად დაიყო: მდიდრებად „ყაზნიგ ლაგ“ და ღარიბებად „მაგურ ლაგ“. იურიდიულად ფორმირებული სოციალური ფენები კი, როგორიც იყო მაგალითად დიგორში „აღდარ-ები-უმაღლესი ფენა „თავადები“ და „ქავდასარდ“-ები-უმაღლესი ფენა, დვალეთში არ ყოფილა. ამ კუთხეში, მთხრობელთა ინფორმაციით, უფრო მაღალი წოდების იყვნენ ნარის, ზარამაგის და ნუზალის მცხოვრებნი – „ოზდან“, „ოზდან მკავ“. **ზროვოსა და მამისონის ხეობები ქართველ თავადებს მაჩაბლებს ემორჩილებოდნენ.** მაჩაბლები გადმოდიოდნენ, ხარკს კრებდნენ და ახალგაზრდა გოგობიჭები მიყავდათ. ესენი იყვნენ უმაღლესი წოდების ხალხი.

სხვა ინფორმაციით (სოფ. ტიბი, ბაგრატი ქუჩიევი, დაბ. 1888 წ.), ოსები საქართველოზე იყვნენ დამოკიდებული, ისინი ონს უფრო ადვილად უკავშირდებოდნენ ვიდრე ალაგირს და ვლადიკავკაზს. ონში იყო მათი ძირითადი ბაზარი, მარლი, პური და ყველაფერი რაც კი სჭირდებოდათ საქართვე-

ლოდან გადმოქონდათ. ქართველებთან ოსებს ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ, უკავშირდებოდნენ ქორწინებით, ნათლობით და სხვა. **ადრე ოსებს ქართულიც კარგად სცოდნიათ.** 1882 წელს ზემო თიბში ქართველი მღვდელი ყოფილა. ოსების საოლქო სასამართლო ონში იყო, ყველა საქმე იქ ირჩეოდა და სასამართლო ქართულად წარიმართებოდა. მამისონის ხეობიდან დილით ცხენით გასული სადამომდე უწერაში იყვნენ, იქ თავის ახლობლებთან, მეგობრებთან გაათევენ და მეს და მეორე დღეს ონში ჩავიდოდნენ.

დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით უნდა დავიმოწმოთ კ. კრასნიცკი: **დეალეთი – ნარის, მამისონის, ზახას და ზროგოს საზოგადოებები უძველესი დროიდან საქართველოს მფარველობაში შედიოდნენ, რაზეც აქვთ ქართველი მეფეებისა და უფლისწულების სიგელები. საქართველოს სამეფო ხელისუფლებისადმი გაწეული ერთგული სამსახურისთვის ცალკეული პირები ღებულობდნენ აზნაურის წოდებას და ჯამაგირს** (Красницкий 1981: 160). 1611 წლით დათარიღებულ თეიმურაზ პირველის მიერ გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „... ესე წყალობის სიგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს სახასო ყმათ, ნარის ხეობის ოსებს ხეთაგურებს. ასე, რომ ძველათაც სახასონი ყოფილიყავით, ახლაც ჩვენის სახასოდ უნდა იყვნეთ და როგორითაც თქვენს მამა-პაპაი ერთგულად ემსახურებოდით და ერთგულნი ყოფილიყვნენ, ისრე თქვენ ჩვენი ერთგულნი უნდა იყვნეთ და რაც იმათ ბატონებისაგან წყალობად ჯამაგირი ქონდა, ჩვენს ჯამაგირს მივცემთ“ (სცხსა, ფ. 2, ან. 1, საქ. № 322, ს. ფ. 5).

როგორც ვხედავთ, ნარის ხეობანი ხეთაგურები, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სახასო ყმები, იყვნენ მეფეთაგან ხელდასმულნი და მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი, მთელ ხეობაში მიმდინარე პროცესებზე, როგორც ამ სიგელიდან ვეცნობით, აღნიშნულ პერიოდში, როდესაც საქართველო უაღრესად მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ნარელებმა შეუწყვიტეს ხარკის გადახდა, ექვსი წელიწადია ხარკი არ გადაუხდიათ. საქართველოს სამეფო ხელისუფლებამაც სათანადოდ ვეღარ მიაქცია ყურადღება, მათ სამსახურში მყოფ პირებს ჯამაგირი შეუწყვიტა. თეიმურაზი მოუწოდებს ხეთაგურებს აღადგინონ მათი საქართვე-

ლოსადმი ტრადიციული დამოკიდებულება და დაიცვან ურთიერთი ვალდებულებები. საქართველოს მხრიდან ამის გარანტი თავად მეფეა.

1780 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი სიგელს აძლევს „ოსეთის თავადს“ ყაის თუაშვილს. „საქართველოს მეფის ბაქარის ძემან ალექსანდრემ, და ძისა ძემან მეფის ვახტანგისაგან, გიბოძეთ ეს წყალობის წიგნი შენ ოსეთის თავადს თუაშვილს ყაისს, ამისთვის, რომ შენს მამას ჩვენის მამისათვის ბევრი უმსახურია და ამ ნამსახურობისთვის ყოველთვის ჩვენ და ყოველწლივ ასი მარჩილი გაგვიჩენია; ჩვენთან ჩამოხვიდოდე და მოგუცემოდეს ჩვენგან შენ და შენს შვილებსა და ჩვენის შვილისა და შვილის შვილისაგან შენს შვილსა და შვილიშვილს, სანამდინ ჩვენი გვარი იყოს, მიუშლელათ (Тоидзе 1994: 49). იმავე წელს ალექსანდრე ბატონიშვილი ასეთივე სიგელს აძლევს „ნარელს აზნაურიშვილს ეფხის შვილს ჯაშეს“ და უნიშნავს ჯამაგირს წელიწადში 50 მარჩილის ოდენობით მასზედ, რომ „ჩვენის მამათა და პაპათათვის დიდათ თავდადებულნი და ნამსახური ყოფილან შენი მამა-პაპანი და ჩვენი ოჯახი ახლაც თქვენის ერთგულობითა და ნამსახურობითა დგას“ (Межкавказские политические... 1980: 50).

ცხადია, აღნიშნული სიგელების გაცემა დაძაბულმა სიტუაციამ განაპირობა, ამიტომ მას პოლიტიკური მნიშვნელობა აქონდა. თეიმურაზ პირველი და შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი ხეთაგურებს, ყაის თუაშვილს, ჯაში ეფხიშვილს და მათთან ერთად მთელ ოს ხალხს არწმუნებენ, რომ ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული ერთგულება და ურთიერთინტერესებისათვის თავდადება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს: მათ შორის კეთილგანწყობილება და ურთიერთ თანადგომა ქართველი და ოსი ხალხების საერთო ინტერესებში შედის (გამყრელიძე 1996: 186).

ვფიქრობთ, ოსი თუაშვილები, შემდგომში თუაყვები, დვალური წარმომავლობის არიან. გვარი თუაშვილი ეთნიური წარმოშობისაა და „თუალ-თანაა დაკავშირებული, ისევე როგორც ქართული დვალი, დვალაძე, დვალიშვილი. ერთმა განიცადა აღანიზაცია, მეორემ ქართიზაცია. ასეთი გვარები აქონდა მხედველობაში მთხრობელს როდესაც ამბობდა „ოზდან მკაგ“. დვალეთში წოდებრივი ფენები არ გამოიყოფოდა.

მართალია, საზოგადოება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გზით მიდიოდა, მაგრამ მან დასრულებული სახე ბოლომდე ვერ მიიღო, სოციალური ფენები იურიდიულად არ ყოფილა ფიქსირებული. ეს ასახულია სპეციალურ ლიტერატურაში და გარკვევით მიუთითებენ მთხრობლებიც. თუაშვილი და ეფხიშვილი იყვნენ არა ოსეთის, არამედ ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლები, ამ სიგელუბით და წოდებებით ისინი ქართულ ფეოდალურ სამყაროში შემოვიდნენ. აი რას წერს გენერალი კნორინგი 1802 წელს თავის მოხსენებით ბარათში «... дворянина грузинского Ивана Ялгузидзе, который будучи родом осетинец» (Акты... I, 1866: 587). კომენტარს აღარ საჭიროებს, გენერალი კნორინგი შესანიშნავად ერკვეოდა ეთნიკურ პროცესებში, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს ოს კოლეგებზე.

გვარი „ძექალთა“ – ქართული წარმომავლობის რომაა ეს გარკვევით ჩანს ეთნოგრაფიულ მასალაში. ის ქართული ფუძით „ქალ“-ითაა ნაწარმოები, დართული აქვს ქართული გვარის ნაწარმოები ფორმანტები „ძე“ თავსართად და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი „თა“ ბოლოსართად. ქართული „ქალ“ უღევს საფუძვლად გვარს „კალაევი“. ანალოგიურია ქართული გვარი ქალიაშვილი. ბუნებრივია, დღეს კალოითა და ძექალთა ოსობაში, მათ ოსურ ეთნიკურ თვითშეგნებაში ეჭვი არ გვეპარება.

დაბოლოს გვინდა მხოლოდ რამოდენიმე ტოპონიმზე შევაჩეროთ ყურადღება. ზემოთ დავასახელეთ ნარის ქვაბულში, „გურქუნდიქომ“-ის სოფელი „შინდისარ“, ა. ცაგაევას ეს ტოპონიმი დამოწმებული არ აქვს. ეს უნდა იყოს ქართული „შინდისი“, სადაც ცხოვრობდნენ ხეთაგურებიდან გამოსული ჯანაშვილები. ეს კიდევ ერთი ელემენტია იმისა, რომ ხეთაგურების და ბუნებრივია, მათთან ერთად ჯანაშვილების ენა ქართული იყო და ქართულ სოფელ შინდისში ცხოვრობდნენ. არ გამოვრიცხავთ დიალექტურ თავისებურებებს. შემდგომ ამ ტოპონიმის სახელობითი ბრუნვის მაწარმოებელი სუფიქსი ქართული „ი“ ოსური სიტყვის მაწარმებელმა პრეფიქსმა «аар» –მა შესცვალა, სუფიქსად დაერთო და მივიღეთ «шиндисаар».

ა. ცაგაევა განიხილავს ტოპონიმს „ნარ“-ი. აბაევი მას ხსნის მონღოლური „ნარან“-დან, „ნარ//ნარე“ – „მზე“ და

აქედან გამოსდის „მზის სოფელი“. კალოევი კი ოსების მითურ წინაპრებს ნართებს უკავშირებს. ა. ცაგაევა არცერთ მათგანს არ ეთანხმება და საამისოდ მოჰყავს სათანადო არგუმენტები. მისი აზრით, ტოპონიმი ნარი ეთნიური წარმოშობისაა, მასში უნდა დავინახოთ ტომის „მარდი“, „ნარდი“, „მარი“ ეთნონიმი და იმოწმებს ბ. ალბოროვს, რომელმაც ეს აზრი ჯერ კიდევ 1930 წელს გამოთქვა (Цагаева 1975: 283). ავტორი მიიჩნევს, რომ ეს ტოპონიმი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე კავკასიაში მონღოლთა შემოსევები მოხდებოდა. თუ აქ მართლაც ოდესღაც ცხოვრობდა ტომი, რომლის სახელწოდება იყო „მარდი“, მაშინ ის ქართული ენით უნდა აიხსნას. „მარდი“ – ქართულად ნიშნავს მარდს, სწრაფს, ცქვიტს და ა. შ.

„აბანა“ – სოფელ ნარის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება, ა. ცაგაევას განმარტებით, „ქართულიდანაა ნასესხები“ და ნიშნავს „აბანო“-ს, რაც იმას მოწმობს, რომ ოდესღაც აქ მიწერალური სამკურნალო წყალი უნდა ყოფილიყო და მას ადგილობრივი მოსახლეობა აბანოდ იყენებდა (Цагаева 1975: 178).

„ხიდიყაუს“ – სოფლის სახელწოდება ზრუგის ხეობაში, რომელიც ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული, ქართულ „ხიდი“-ს ემატება ოსური სუფიქსი „ყუს“ (თან? და ვლებულობთ „ხიდიყუს“, რაც ზუსტად ნიშნავს „ხიდთან“ (Цагаева 1975: 287). მდ. მამისონის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ „თლი“-ს სახელწოდება ახსნილია ქართული სიტყვით „ეთლი“ (Цагаева 1975: 285). „თიბ“ – სოფელი; „თიბსილი“ – სოფელი მდ. ნარდონის მარჯვენა მხარეს, ზარამაგის სასოფლო საბჭოში შემავალი, ახსნილია ქართული სიტყვით „თბილი“ (Цагаева 1975: 286). ალბათ განმარტება არ სჭირდება ისეთ ტოპონიმებს, როგორცაა: „ქალაქი“ – სოფელი მამისონის ხეობის სათავეებში (Цагаева 1975: 181); „მაღალი“ – სოფელ ვარცას ერთ-ერთი უბანი (Цагаева 1975: 282); სოფელი „გორი“ – და იქვე „გორი ხუიმ“ – სახნავი ფართობი (Цагаева 1975: 229). „ხუიმ“ ოსურად ნიშნავს სახნავ ფართობს, „გორი ხუიმ“ – გორის სახნავს; „დედაბერი“ – მდელი მამისონის ხეობის გვერდით მდებარე ბუბის ხეობაში (Цагаева 1975: 233) და სხვა მრავალი.

საყურადღებოა მდ. მამისონის მარჯვენა მხარეს, ტყეში მდებარე სალოცავი „სანიბა“. ა. ცაგაევას ეჭვია არ ეპარება,

რომ ეს არის „სამება“, რაც მთავარია, ეს იყო თუაევების საერთო საგვარო სალოცავი (Цараева 1975: 284). თუაევებთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ის ამ კუთხეში ოსების მოსვლამდე დვალეების საერთო სალოცავი იყო. „აზილან“ – არის ზარამაგში ციხისა და ეკლესიის ნანგრევები, როგორც ა. ცაგაევა აღნიშნავს, მოხუცები ირწმუნებიან, რომ იქ სალოცავად ქართველები მიდიოდნენ (Цараева 1975: 278).

„ვანთა“ – ადგილი სადაც ძექალთა წინაპარი დაესახლა და ჩამოყალიბდა სოფელი „ვანთაყაუ“. ა. ცაგაევას ეს ტოპონიმი დამოწმებული არა აქვს. „ვან-თა“ – „თა“ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია; „ვან-თა-ყაუ“ – „ყაუ“ ოსურად სოფელს ნიშნავს, ამ ტოპონიმის ფუძე კი ოსური ენით არ იხსნება. „ვან“-ი ძველ ქართულად ნიშნავს სადგომს, ბინას (ქეგლი IV, 1955: 17); „სავანე“- „სა-ვან-ე“ ძველ ქართულში: 1. ბინა, სადგომი, სადგური, სამყოფელი; 2. იგივეა, რაც მონასტერი (ქეგლი, VI, 1960: 577). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ვანა“, „ვანი“ – სადგომი (ლექსიკონი ქართული, I, 1991: 253); „დაივანა“ – დაისადგომა (ლექსიკონი ქართული, I, 1991: 190); - დასადგურებული (ლექსიკონი ქართული, I, 1991: 26). „სავან“-ი ქართლურ დიალექტზე განიმარტება როგორც ქონება, ცხოვრება, სახსარი (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984. გვ. 461). „სა-ვან-ე“ პირდაპირი მნიშვნელობით არის დასასვენებელი, დასავენებელი ადგილი. დასაველეთ საქართველოში – ქვემო იმერეთში გვაქვს სოფელი ვანი, ზემო იმერეთში – სოფელი სავანე. ამავე რეგიონში „სავანე“-ს სახელწოდებით დამოწმებულია სასაფლაო, სახნავი და სხვა (ქეგლი, 1964: 170). ამგვარად, ოსეთის „ვანთა“, „ვანთაყაუ“-ს ქართული ძირი აქვს, აქ ხომ პირველად ქართველმა კაცმა დაივანა, რომლის შთამომავლობა (ძე-ქალ-თა) გაოსდა.

ზოგიერთი ტოპონიმის ახსნაში შეიძლება არ დავეთანხმოთ ა. ცაგაევას. მაგალითად, „გომლათი“ – ზარამაგთან ახლოს მდებარე პატარა ხეობა. აღნიშნავს, რომ მის საფუძველში დევს სიტყვა „გომ“, რაც ნიშნავს „ღია“-ს (Цараева 1975: 196). ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ამ ტოპონიმის საფუძველში დავინახავდით ქართულ „გომ“-ს, „გომი“, „გომური“ – მსხვილფეხა საქონლის საზამთრო (მიწური/სადგო-

მი) (ქეგლი, II, 1951: 1470). მისი მეშეუბით საქართველოში საკმაოდ ბევრი ტოპონიმი იწარმოება – სოფლები გომი, ნადგომარი და ა. შ. „ბორანი ხიუმათა“-სახნავი ფართობი სოფელ თიბში. ავტორის აზრით, „ბორანი“ შეიძლება საკუთარი სახელი იყოს, რადგან ოსეთში – დიგორში და მოზდოკში არის გვარი ბორანოვი (Цагаева 1975: 226). უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ბორანი“ ქართული სიტყვაა. თიბი მდინარის პირას მდებარე სოფელია და იქ შეიძლებოდა ბორანი კქონოდათ, „ბორანი ხუიმათა“ კი ნიშნავს ბორანთან მდებარე სახვან ფართობებს. აქ ქართულ ბორანს დაემატა ოსური „ხუიმათა“. რაც შეეხება გვარს ბორანოვი, ის მეტორნიდანაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო.

ტოპონიმ „ლებირდეთ“-ს (Лѣбирдѣтѣ) ა. ცაგაევა უკავშირებს ტერმინ „მეწყრებს“. მისი განმარტებით лѣбирд ნიშნავს მეწყერს. ეს არის სოფლების თიბსა და ლისრს შორის მდებარე ოსეთის სამხედრო გზის მონაკვეთი, სადაც ნიადაგი ძალიან ფხვიერია და ამიტომ შეიძლებოდა მისთვის მეწყერები ეწოდებინათ (Цагаева 1975: 182). შეუძლებელია ვინმეს გზის მონაკვეთისთვის სადაც შედარებით ფხვიერი ნიადაგია, მეწყერები ეწოდებია. გავითვალისწინოთ, რომ ეს არის თიბსა და ლისრს შორის მდებარე გზის მონაკვეთი. ლისრში ყველაზე ადრინდელი და მრავალრიცხოვანი გვარის არის დარჩიევი, მათი წინაპარი კი ქართველი იყო, მეგრელი, გვარად დარჩია. ამდენად, აქ არის გადმოტანილი სამეგრელოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის სახელწოდება „ლებარდე“.

თავად სოფლის სახელწოდებაც „ლისრი“ ა. ცაგაევის განმარტებული არა აქვს, მხოლოდ მიუთითებს, რომ ის მდებარეობს მდ. მამისონდონის მარცხენა მხარეს, ოსეთის სამხედრო გზის ქვემოთ და შედის ტიბის სასოფლო საბჭოში (Цагаева 1975: 282). ცხადია, ის ოსური ენით არ განიმარტება. რაჭაში (ჭიორა) ამ სოფელს „ლესრეე“-ს უწოდებენ. „ლის-რი“, „ლეს-რ-ეე-ი“, „ლის“, „ლლეს“, „ლას“ ოსური ენის საფუძველზე არ აიხსნება და მას ამიტომაც უვლის გვერდს ა. ცაგაევა. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ვეცნობით: ქართული „ლეს“-ი – „აღ-ი-ლეს-აე-ს“; „ლეს-ე-ა“; „ლეს-ულ-ი“... მეგრული „ლას“-, „ლას-უნ-ს“, „ლას-უ-ა“ ნიშნავს „ლესვა, ხესვა“; „ლას-ირ-ი“- გახეხილი; „ლას-ირ-ელ-ი“ გაღვსილი. ლაზური „ლას“, „ო-ლას-ირ-უ“ – ლესვა. დასტურდება ძველ

ქართულ წერილობით ძეგლებში: „ადილესნენ ენანი მათნი ვითარცა გუელისანი“; „მახვილი მისი ღესულ არს“... მეგრული „ლას“-ი და ლაზური „ლას“-ი ზუსტად შეესატყვისება ქართულ „ღეს“ ძირს. მეგრულში „ლას“ ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებს აქვს როგორც ღესვის, ისე ხეხვის მნიშვნელობა. ქართული „ღეს“- მო-ღეს-ვა, „მოსპობა“. მეგრული „ლას“- ლას-უ-ა, მო-ლას-უ-ა „მოსპობა, განადგურება“... (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 200). გარდა აღნიშნულისა, „ღე“, „ღი“ – მეგრული სიტყვის მაწარმოებელი პრეფიქსია. ქართული „სრ“ ვ-სრ-იალ-ებ, სრ-იალ-ი; მეგრული „რს“- რს-იოლ-ი „ტრიალი“. ქართული „სრ“- ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული „რს“- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 273). „ღისრი“ ანუ „ღესრევი“, როგორც მას რაჭაში უწოდებენ, შევადართო ქართულ ტოპონიმებს, სოფელთა სახელწოდებებს რაჭაში: ღესორა, სორი, სორგითი; სამეგრელოში: ღესა, ღესეჭინე.

დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე და კერძოდ, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე ქართულძირებიანი ტოპონიმები სხვაც ბევრია. ამჯერად ამ მცირედით უნდა დაგეგმაყოფილდეთ. ვფიქრობთ, ესეც საკმარისია დავინახოთ, ამ კუთხეში ქართული ელემენტი, ის საკმაოდ ფართოდ აისახება ტიპონიმიაში, გვარებში, საკულტო ნაგებობებში.

დიგორი მოიცავს მდ. ურუხის აუზს მრავალრიცხოვანი შენაკადებით. ურუხი მთა ხარიეზიდან მოედინება და მის ზედა წელს სოფელ ჩიკოლამდე ირაფი ეწოდება. ჩიკოლიდან კი, როდესაც ის ბარში ჩამოდის, განიერდება და უფრო მდორედ იწყებს დინებას, ღებულობს სახელწოდებას ურუხი. მთხრობელთა გადმოცემით, „ურუხი“ ოსურად განიერ მდინარეს ნიშნავს. როგორც აღვნიშნეთ, ამ კუთხეში სამი ძირითადი რაიონი გამოიყოფა: სტურ-დიგორა, დონიფარსი და ტაფან-დიგორა, კუთხის მთავარი მდინარეების არტერიებზე.

ირაფის სათავეებში მდებარე სოფლები, ზემოდან ქვემოთ თანმიმდევრულად: ყუსუ, ხიზალა, სტურ-დიგორა, ახსარგინ, დალაფარგ და მოსკა; მათთან ერთად, სოფელთა ჯგუფი ირაფის შენაკად ყარაუგომზე: ძინაგა, ნოგყაუ, გულარი და ღუათა ქმნიდნენ სტურ-დიგორას თემს და ხეობაც ამავე სახელწოდებას ატარებდა – „სტურ-დიგორა ქომ“. სოფელ ყუსუდან გზა გადადიოდა საქართველოში – სოფელ

„რეხვათაში“, ე.ი. რაჭის სოფელ ჭიორაში, რომლის ძირითადი მოსახლეობა რეხვიაშიელები არიან. საქართველოს დიგორი მრავალი გზებით უკავშირდებოდა, გარდა აღნიშნულისა, იყო წუხბუნის, სტულის, ყარაუგომის და სხვა უღელტეხილები.

სოფელთა ჯგუფი რომლებიც განლაგებული არიან, უმთავრესად სონგუდონის მარჯვენა მხარეს, სოფელ ზადალესკამდე (ხანაზ, ნარა, მახნესკი, ქარცათა, ფარასქათა, კაზახთაყაუ, თავითთა, მსტინოქა, ქალნახთა, ფასნალ, ვაკაც, უახაცა, ზადალესკ) ქმნიან ტაფან-დიგორას (ბარის დიგორას) თემს.

სოფლები, რომლებიც განლაგებული არიან მდ. ურუხის მარცხენა მხარეს, იქიდან სადაც მას უერთდება მდ. სონგუთიდონი, სოფელ ზადალესკის ქვემოთ: დონიფარსი, კუმბულთა, ღესგორი და ფასტაგდაყ დონიფარსის თემში ერთიანდებოდნენ. დონიფარსიდან თათორსის მთაზე (ეს იყო ამ თემის საერთო მთა) გზა გადადიოდა ბაღყარეთში.

დადგენილია, რომ თავდაპირველად დონიფარსად იწოდებოდა ურუხის ხეობის მთელი ზედა წელის აუზი, აქ იყო ერთი ერთობა თემის სახით, მაგრამ კუთხის განვითარების შედეგად მოხდა მისი გაყოფა ორ ნაწილად, დონიფარსს ცალკე თემად გამოეყო სტურ დიგორა. ასევე ტაფან-დიგორას, როგორც ცალკე სასოფლო-ტერიტორიული ერთეული გამოეყოფა უაღაგქომ სოფლებით: გალიათა, კამუნთა, დუნთა, სონესერ, ოკაიათა და სხვა. ეს არის დიგორის განვითარების ერთი ეტაპი. შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა მისი სეგმენტაცია: სტურ-დიგორას გამოეყოფა გულარის სოფელთა ჯგუფი: გულარი, ძინაგა, ნოგყაუ და ღაქათა (Робакидзе 1975: 175-177). ერთ-ერთი მთხრობელის ინფორმაციით, ტაფან-დიგორა არის „საზოგადოება“ რომელიც რამოდენიმე თემს აერთიანებს: ნარის (ზემო და ქვემო ნარი), მახნესკის და გალიათის.

მთხრობლის განმარტებით, სოფელი მახნესკი მდებარეობს „მახნესკიქომ“-ში, სადაც დუნთას გადასასვლელიდან მოედინება სურგუთიდონ და სოფელ მაცუტასთან ერთვის ირაფს. ამ მდინარის ზემო წელს ეწოდა „სუნგუთიქომ“, ქვემო წელს – „მახნესკიქომ“. ამ უკანასკნელის სოფლები აბესალოვების კოშკით იწყება, მასში ერთიანდება: მახნესკი,

დალაკამთა, უალაკამთა, უახაცა, ქარცათა, ფარასქათა, კახახთაყაუ, თავითთა, მასთინოჭა, ქაღნახთა, ფასნაღ. მდინარის სათავეებში გზა გადადის ღუნთამდე და აქედან სადონის გადასასვლელით „სადონიავეცაგ“ – არდონის ხეობაში მიზურში, კერძოდ, ზედა ზგილში.

ამგვარად, დიგორი, რომელიც თავდაპირველად ერთ განუყოფელ თემს წარმოადგენდა, განვითარების პროცესში, რთული პოლიტიკური და სოციალური პროცესების შედეგად, დიფერენციაციას განიცდის, ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა. ამ ერთეულებში განსახლდნენ სხვადასხვა დროს მოსული ტომები, რომლებიც ეთნიკურად არ იყვნენ ერთგვაროვანში და ერთმანეთისაგან გაიმიჯნენ. მაგრამ ამავე დროს დიგორის მოსახლეობაში მიმდინარეობს სოციალური დიფერენციაციისა და სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების კონსოლიდაციის პროცესი. საზოგადოება მიდიოდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გზით. როგორც ბ. კალოევი აღნიშნავს, XV ს-ის ბოლოს დაიწყო დიგორის საზოგადოების ფორმირება (Калоев 1967: 29). XVI ს-ში დიგორის მოსახლეობაში ორი საზოგადოება გამოიყოფა: დიუ-გორ და სიურ-დიუ-გორ (ოტურ-დიგორ). მკვლევარი იშველიებს ვახუშტი ბაგრატიონს და მის საფუძველზე აღნიშნავს, რომ XVII ს-ში მთელი დიგორი ორ ფეოდალურ საგვარეულოს ჩერქეზიძეს (ვარგასათა) და ბადელიძეს (ბადილათა) შორის იყო გაყოფილი (Калоев 1967: 34). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა დიგორის საზოგადოების ფორმირებაში რა ეთნიკური ჯგუფები იღებდნენ მონაწილეობას.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, რომელიც 1870 წელს ჩაიწერა პჟაფმა, დიგორელები ვინმე დიგორადან მომდინარეობენ. დიგორის შვილი ძამბულათი დაესახლა ურუხის შენაკად მდინარე დიგუდონზე, ხოლო ძამბულათის შვილმა ასტანამ ციხე აიგო მთაზე მახჩესკის დასავლეთით (გეასალია 1982: 31).

როგორც ვხედავთ, ამ გადმოცემაში ჩანს დიგორელების მამამთავარი დიგორა, ე.ი. დიგორის მოსახლეობის უძველესი ფენა, მხოლოდ არაფერია ნათქვამი დიგორას ეთნიკურ კუთვნილებაზე; აირეკლება დიგორელთა განსახლების თანმიმდევრული პროცესები – ჯერ დიგუდონზე, ხოლო შემდეგ მახჩესკის მხარეს სუნგუთიდონზე. ხაზი გაუსვათ იმა-

საც, რომ ამ გადმოცემის თანახმად, ასტანა არის დიგორას შთამომავალი.

ბ. კალოევი ეხება რა დიგორის უძველეს მოსახლეობას აღნიშნავს, რომ ეს კუთხე, კერძოდ, ულაგქომ – გულარის თემი, მჭიდროდ დასახლებული რეგიონი უნდა ყოფილიყო ალანურ ეპოქაში. აქ უნდა ეცხოვრა რომელიღაც ალანურ ტომს – დიგორის ძირძველ მოსახლეობას, დიგორელების წინაპრებს, რომლებიც შემდეგ სადღაც გაქრნენ. ულაგქომ, აღნიშნავს მკვლევარი, იმით გამოირჩევა, რომ იქ თითქმის აღარ დარჩა ძველი მოსახლეობა – თანამედროვე დიგორელების წინაპრები. შესაძლებელია კავკასიის ძველი გზით, რომელიც აქ გადიოდა, მოხდა მათი მიგრაცია ოსების სხვა რაიონებში. გასაგებია ბ. კალოევის სურვილი, დიგორის უძველეს მოსახლეობად, თანამედროვე დიგორელების წინაპრებად დაინახოს რომელიღაც ალანური ტომი, მაგრამ რა საბუთი აქვს ხელთ საამისოდ? მისი აზრით, ეს მტკიცდება მატერიალური კულტურის ძეგლებით, კერძოდ, სოფელ გალიათის ახლოს დგას შუა საუკუნეების ქართული ეკლესია „ავდ-ქუარ“ («семибожие»), ხოლო სოფლის განაპირას – ხუთსართულიანი ალანური ციხე ქრისტიანული ჯვრის გამოსახულებით. გადმოცემით ეს ძეგლები ეძიეების აგებულია, რომლებიც ალაგირის ხეობიდან მოვიდნენ, მაგრამ მკვლევარს ეს ცნობა სარწმუნოდ არ მიაჩნია, რადგან ამ ძეგლებში უფრო ძველს, ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის, დიგორელების წინაპარი ალანების ნაკვალევს ხედავს. თავის დებულების დასამტკიცებლად იმოწმებს ვ. აბაევს, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ეკლესია მიეკუთვნება მატერიალური კულტურის იმ ძეგლებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ალანების ქრისტიანულ რწმენასთან, რომელიც მათ დიგორში შემოიტანეს (Калоев 1967: 34).

საინტერესოა, რა ელემენტები აქვთ მხედველობაში დასახელებულ ავტორებს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მოვიდნენ ალანები და შემოიტანეს ქრისტიანული რწმენა, ააგეს ქართული ეკლესია, კოშიკი ჯვრის გამოსახულებით და სადღაც გაქრნენ ისე, რომ ამ ნაგებობათა მეტი ნაკვალევი არ დაუტოვებიათ. რამ აიძულა ალანების ტომი აქედან გადახვეწილიყო? ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ქრისტიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ბიზანტიიდან და სა-

ქართველოდან. VI ს-ის მეორე ნახევარში ნიქოზელის ეპარქიაში შედიოდა „კავკასიანი, დვალნი და მთის რაჭა“. ცხადია, „კავკასიანი“ დიგორსაც მოიცავდა. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმეთ ოსი მეცნიერი ა. ცაგაევა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთის ტოპონიმების უმრავლესობა განეკუთვნება მოსახლეობის იმ ფენას, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ ირანულენოვანი ტომების მოსვლამდე (Цагаева 1971: 161). იგივე შეიძლება ითქვას მატერიალურ კულტურაზეც.

ბ. კალოევი, ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, დონიფარსში ხედავს დაღესტნის თავისუფალ საზოგადოებას, რომელიც სოციალურად არ იყო ერთგვაროვანი. მათ ყავდათ თავისი ფეოდალები გაგუათა, რომელთა შორეული წინაპარი იყო ვინმე გაგუა – სოფელ დონიფარმის პირველი მოსახლე. გაგუათაგან შეიქმნა პრივილიგირებული გვარები: კანუკოვი, კაბანოვი, კაბეკაევი და სხვა, რომლებიც ფლობდნენ საუკეთესო მიწებს. მოგვიანებით დონიფარსის მოსახლეობა შეივსო დიგორის სხვადასხვა კუთხეებიდან გადმოსახლებულებით – მოვიდნენ ქამბოლოეები, ელბიეეები, ასაეეები; ბალყარეთიდან – ბაზიეეები და ჯერაეეები (Калоев 1967: 30).

ამ მასალაში აისახება მიგრაციები, სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების შერწყმისა და მის საფუძველზე დიგორის საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. თავს იჩენს დონიფარსის პირველი მოსახლაც გაგუა, ეპონიმი, რომელაც საფუძველი დაუდო „გაგუათა“ ოსურ საგვარეულოს და საიდანაც ხდება მთელი რიგი გვარების ჩამოყალიბება. საინტერესოა, რომელ ეთნიკურ ერთეულს მიეკუთვნებოდა გაგუა? თუ მოვიშველიებთ ქართულ მასალას დაეინახავთ, რომ გაგუა ნაწარმოებია სიტყვიდან „გაგ“, რომელსაც ერთვის ქართული, მეგრული გვარის მაწარმოებელი სუფიქსი „უა“. ოსურ გვარს „გაგუათა“ ასევე ერთვის სუფიქსი „უა“ და ოსთაგან გათავისებული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი, სადღეისოდ ოსური გვარების მაწარმოებელი სუფიქსი „თა“. ქართულში გვაქვს საკუთარი სახელები: გაგი, გაგა; აქედან ნაწარმოები გვარები – გაგუა, გაგნიძე, გაგაშვილი. ვფიქრობთ, „გაგუა“-ს ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ მოტანილი მასალაც გასათვალისწინებელია.

დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, ბ. კალოევი ეხება გადმოცემებს ბადილაზე. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რომელიც ფ. მილერმა და მ. კოვალევსკიმ ჩაიწერეს, ბადილა და ბასიათი ძმები იყვნენ. ბადილა ბალყარეთიდან მოვიდა და საფუძველი დაუდო აბესალოვების ფეოდალურ გვარს, ხოლო ბასიათი ბალყარეთში მდ. წერეკის ნაპირას სოფელ კუნძიმას ახლოს დასახლდა და აქედან მომდინარეობენ თაუბიევიებიდან შტონაყარი მთელი რიგი გვარები.

აღ. რობაქიძე და ბ. კალოევი ეხებიან ი. სობიევის მიერ ჩაწერილ გადმოცემას ბადილაზე. როგორც აღ. რობაქიძე გვაცნობს, დიგორელები წარმოიშვნენ ვინმე ასტანასა და დიგორასაგან. ამ ძმების შთამომავალს ძამბულათს ყავდა სამი შვილი: გაგუ, არცოვ და კიდევ ერთი, რომლის სახელი ავტორმა ვერ დაადგინა. გაგი დაესახლა დონიფარსში და მისგან წამოვიდა შთამომავლობა „გაგუათა“; არცოვმა დაიკავა ადგილი, რომელსაც ახლა ტაფან-დიგორა ეწოდება; ერთი მისი შთამომავალი მახნესკში დაესახლა. ი. სობიევი, აღნიშნავს აღ. რობაქიძე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მახნესკს, როგორც დიგორელების სამშობლოს საწყის კუთხეს; როგორც გამორჩეულს თავისი არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებით; ციხე-სიმაგრეებით; სოფელს სადაც იყო დიგორელების მამამთავრის ასტანას ციხე-სიმაგრე (Робакидзе 1975: 178).

ბ. კალოევის ინტერპრეტაციით, ი. სობიევის მიერ ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, დიგორელების წინაპარი იყო ასტანა და არა დიგორა. ასტანას უფროსმა შვილმა გაგუმ საფუძველი დაუდო დიგორის ფეოდალურ საგვარეულოს გაგუათას, ხოლო არცოვისა და გუონისაგან წარმოიქმნა ტაფან-დიგორას საზოგადოება. ამასთან, მკვლევარი გეთავაზობს მის მიერ ჩაწერილ ვარიანტს, რომელშიც ლაპარაკია მასზედ, რომ დიგორელების მამამთავარი ასტანა მახნესკში დაესახლა და მიზოკოვების გვარის ქალისაგან, რომელიც სოფელ ნუზალიდან ყავდა წამოყვანილი, შეეძინა რვა შვილი, რომლებიც ტაფანდიგორას სოფლებში განსახლდნენ (Калоев 1967: 32).

მოყვანილ მასალასთან დაკავშირებით, აღ. რობაქიძე დაასკვნის, რომ ის მიეკუთვნება წყაროების იმ კატეგორიას, რომლებიც იქმნებიან ცალკეული გვარების განსახლების

განსამარტავად, ამიტომ არ შეიძლება საიმედო საფუძველი იყოს ისტორიის სრული სურათის აღსადგენად. თუმცა მახნესკში მსხვილმაშტაბიანი თავდაცვითი ნაგებობების არსებობა არ შეიძლება გამოირიცხოს დასახლების ძველი სტრუქტურის გამოვლენისას. ეს ძეგლები უეჭველად მიუთითებენ სოფლის დიდ მნიშვნელობაზე. მახნესკი ოდესღაც დიდი მასშტაბის თემის ცენტრი იყო, რომელიც რამოდენიმე სოფელს აერთიანებდა (Робакидзе 1975: 178).

გადმოცემის მიხედვით, აღნიშნავს ბ. კალოევი, ბადილა დიგორელების მიერ იყო მიწვეული მათი მიწების დასაცავად. თავდაპირველად ის სოფელ მახნესკში დამკვიდრდა. მახნესკი იყო რა ტაფან-დიგორას საზოგადოების ცენტრი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთელ დიგორში. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ სოფლის მნიშვნელობა დიდი იყო ჯერ კიდევ ალანების დროს, რაზეც მეტყველებს ალანების ძეგლების დიდი რაოდენობა, მათ შორის, ცარციათების სასაფლაოები და დიდი მასშტაბის სიმაგრე, რომელსაც აბესალოვების გვარს მიაწერენ. ამ ციხე-სიმაგრეთა კომპლექსში დასახლებულა ბადილა. ბადილას ყავდა სამი შვილი: აბესალ, ტუგან და ყუბადი, რომელთაც სათავე დაუდგეს ფეოდალურ საგვარეულოებს – აბესალოვებს, ტუგანოვებს და ყუბადიელებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევარი ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ XVII ს-ში აქ უკვე იყო ფეოდალური ფენა – ბადელიათები (გვასალია 1982: 31).

1901 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა გადმოცემა აკოეების სასწაულმოქმედ ხმალზე, რომელიც დიგორში დიდებით იხსენიებოდა. ხმალი აკოეების ერთ-ერთ ოჯახში იყო „საიდუმლოდ და ხელუხლებლად დაკრძალული, როგორც წმინდა ნაწილი“. ყოველ წლიურად, მაისის თვეში, მინდვრად „ნებითი-ქრისტიან სოფელში“ აკოეები მსხვერპლს სწირავდნენ ამ ხმალს და გარკვეულ რიტუალს ასრულებდნენ. ამ გადმოცემაში ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ აკოეების გვარის წინაპარი „აკო“ დიგორელი არ იყო, ის თავის ძმასთან ბადილასთან ერთად მოვიდა სხვა კუთხიდან, „ამბობენ საქართველოდან“. აკო უფროსი იყო და ცხენზე იჯდა, უმცროსი ბადილა კი ჯორით მიჰყვებოდა. როდესაც ძმები დიგორს მიუახლოვდნენ, ბადილამ ცხენი სთხოვა

ძმას. აკო ვერ მიუხვდა ეშმაკობას და ცხენი ჯორში შეუცვალა. ასე შევიდნენ სოფელში, ნიხასზე მსხდომი მოხუცები სტუმრებს ფეხზე ადგომით შეხედნენ, დიდი პატივით მიიღეს ბაილა „როგორც ცხენზე მჯდომი და უფროსი“, აკოს კი ყურადღებაც არ მიაქცევს. ბაილა დიგორელებს მცველად დაუდგა, გარეშე მტრებისაგან უნდა დაეცვა ისინი, აკომ კი საწყლად დაიწყო ცხოვრება, მას ერთი ძროხის მეტი არაფერი გააჩნდა. ამ გვარის წამოწევა უკვე სასწაულმოქმედ ხმალთანაა დაკავშირებული (ქართველი ოსებში... 1901: 388).

უჩუკელია, ამ გადმოცემებში აისახულია ცალკეულ გვართა განსახლება, შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, რის საფუძველზეც ხდებოდა დიგორის საზოგადოების ფორმირება. მასში მონაწილეობას ღებულობდა როგორც დიგორის მოსახლეობის უძველესი ფენა, ისე შემდგომ შემომატებული ელემენტები. შენიშნულია, რომ კავკასიაში მონღოლთა გაბატონების შემდეგ დიგორის მოსახლეობის შემადგენლობა გამუდმებით იცვლებოდა. ერთნი მოდიოდნენ ახალი ადგილების საძებნელად, მეორენი კი პირიქით, აქედან ხდებოდა მიგრირება. მოდიოდნენ ოსეთის აღმოსავლეთის რაიონებიდან, ბალყარეთიდან, საქართველოდან. დიგორში ირონელების განსახლებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX ს-ის დასაწყისიდან. ამ პროცესებს ხელი შეუწყო ჯერ დიგორელების ბარში ჩასახლებამ, შემდეგ კი ამავ საუკუნის შუა ხანებში, დიგორის ფეოდალების ნაწილის თურქეთში გადასახლებამ. მიგრაციების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო სისხლ-მესისხლეობა. თავშეფარებულნი ხშირად გვარსაც იცვლიდნენ. XIX ს-ში, ისევე, როგორც ადრე, აღნიშნავს ბ. კალოევი, დიგორელების ეთნიკურ შემადგენლობას ერწყმოდნენ ქართული, ბალყარული და გასაკუთრებით ირონული ელემენტები. მისი მასალებით სოფელ მახნისკში ძირეულ მაცხოვრებლებად მიიჩნევენ თავს გეცოეები, ბაბილოეები და ძაგოეები, დანარჩენი გვარები მოსულეები არიან: რაონოეები მამისონის ხეობიდან, იკაეები ალაგორის ხეობის სოფელ სადონიდან, მიტციეები (ჯაფარიძე) დასავლეთ საქართველოდან და სხვა. გადმოცემით, ირონელების გადმოსახლება XVII ს-ში დაიწყო, XIX ს-ში კი ისინი უალაგქომის ყველა სოფელში ადმატებოდნენ დიგორელებს.

ყველა ამ მოსულებს დიგორელები „ხეხეუ“-ებს უწოდებდნენ (Капов 1967: 32).

მიიჩნევენ, რომ დიგორში ხდებოდა ქართული ეთნიკური ერთეულის მიგრაციები ამ კუთხის ისტორიის მთელ მანძილზე. ეს სათანადოდ აისახა ეთნოგრაფიულ მასალაში, ტოპონიმიკაში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ტოპონიმები, სოფელთა სახელწოდებები: ძინაგა, ლეზგორ, მაცუტა. „ძინაგა“-ს საფუძველში ა. ცაგაევა ხედავს სვანურ სიტყვას „ჟინაგ“, რაც ნიშნავს კრავს, ბატკანს. მკვლევარს შესაძინევედ მიაჩნია, რომ ეს ადგილები იყო ყარაუგომის იქით მცხოვრები ქართველების წერილფეხა საქონლის საძოვრები და ტიპონიმიც აქედან განიდა (Цагаева 1975: 382). სავსებით შესაძლებელია, ზემოთაც აღვნიშნოთ, რომ სვანები უძველესი დროიდან სარგებლობდნენ დასავლეთ და ცენტრალური იმერკავკასიის მთის საძოვრებით. ეს ტერიტორია მათი განსახლების ობიექტიც ხდებოდა. ამ გარემოებას არ შეიძლება თავისი კვალი არ დაენიხა და ეს ტოპონიმებში არ ასახულიყო. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართულში გვაქვს ძირი „ძინ-ი“, „ძინ-ა“, მო-გუ-ძინ-ა „მოგეხედა“, ის დასტურდება ადიშის ოთხთავში. ქართულ „ძინ-“ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული „ჯინ-“, „ჯინ-ა“ – „ყურება; ლოდინი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 433).

ქართული, კერძოდ, სვანური ენითაა ახსნილი მომდევნო ტოპონიმებიც: „ლეზგორ“ – სვანური „ლესგურ//ლესგარ“ და „მაცუტა“ – სვანური „მუნწვე// მანწივა“ (Цагаева 1975: 385, 387). „ლეს//ლას//ლის“-ზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, სოფელ ლისრთან დაკავშირებით. ამას შეიძლება დავემატოთ სვანური „ლე-სკუ-ერ“-თოკი. სვანური „სკუ“ შეესატყვისება ქართულ „სკუ“-ს, მეგრულ „სკუ“-ს, ლაზურ „სკვ“-ს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 272).

ვალკეულ გვართა მოსვლის, აქ დამკვიდრებისა და განსახლების პროცესები აისახება გადმოცემებში, რომლებიც დიგორში ჩვენს მიერაა ფიქსირებული. მოკლედ შეგვხებით ზოგიერთ მათგანს: ძმებს მალის, ბუზის და ბალოს ალაგირში სოფელ ახსაუში უცხოვრიათ. ერთხელ ბალო სანადიროდ წამოსულა და გზაში დაუდგენია, რომ დედინაცვალმა მოწამლული ნამცხვარი გამოატანა. ამიტომ უკან აღარ დაბრუნებულა და მოსკაში ბორცვზე დასახლებულა. ამ დროს

მოსკაში არავინ არ ცხოვრობდა, მთელი მიდამო ტყით იყო დაფარული. ბალო იყო მისი პირველი მოსახლე და მისგან მომდინარეობს გვარი ბალოითა. მალე ბალო ძმებმა მოძებნეს, მის კვალს მიაგნეს და რომ გაიგეს საქმის ვითარება, აღარც ისინი დაბრუნდნენ უკან. ბუზი ახსაუში დასახლდა და საფუძველი დაუდო ბუზითა გვარს, ბალო – ახსარგინში და მისგან მომდინარეობს გვარი ბალოითა. ძმები აბაი და ორთაბაი ყაბარდოდან გამოქცეულან მესისხლეობის ნიადაგზე. მათგან წარმოიშვა გვარები აბაევი და ორთაბაევი. მიზურიდან მოსულა ხოს, ხოსოვების გვარის მამამთავარი და სოფელ კამათაში დასახლებულა, აქედან ნაწილი მახნესკში განსახლდა. მახნესკიდან განსახლდნენ კაზახ და თემირ-კაზახოვების და თემიროვების მამამთავრები, პირველი – კაზახთაყაუში, მეორე – ფარასკათაში. ორივე სოფელი მანამდე დაუსახლებელი ყოფილა. მათი ძმები საუქი და ძანქი კი ბარში ჩასახლებულან.

გადმოცემებში ჩანს ქართული ეთნიკური ელემენტიც. ელმზა ჩეგაევის (დაბ. 1916 წ. სოფ. კუსუ) გადმოცემით, მათი წინაპარი ქართველი იყო გვარად ჩეგოშვილი და დიგორში საქართველოდან, რაჭიდან გადავიდა. ჩვენს მიერ შედგენილი გენეალოგიური სქემა აღმაავალი ხაზით ხუთ თაობას მოიცავს. ხუთი თაობის თავში ზის გეკი, აქ წყდება მთხრობლის მეხსიერება, მისი რწმუნებით გეკი ქართველი იყო გვარად ჩეგოშვილი. შესაძლებელია ამ ნათესაური ჯგუფის რომელიმე წარმომადგენელი, კერძოდ, აბესალის (მთხრობლის) უფროსი ძმის შვილთაგან ერთ-ერთი დაუბრუნდა საქართველოს, ზემო რაჭის სოფელ საკაოში განიცადა რეასიმილაცია და მიიღო გვარი აბესალაშვილი.

მთხრობლები ირწმუნებიან, რომ დიგორელი (სტურ-დიგორელი) გობეელების წინაპარი ქართველი იყო, საქართველოდან, რაჭიდან მოსული, სადაც ისინი გობეჯიშვილები ყოფილან. როგორც ჩანს, გობეჯიშვილების რომელიმე წარმომადგენელი კვლავ უბრუნდება საქართველოს, ხდება მათი კვლავ გაქართველება. ამან გობეჯიშვილებში შექმნა წარმოდგენა, რომ რადგან მათი წინაპარი ან ერთ-ერთი წარმომადგენელი ოსეთიდან გადმოვიდა, წარმომავლობით ოსები უნდა იყვნენ.

დაუბრუნდეთ ზემო მოყვანილ ლეგენდებს, რომლებიც ძირითადად ბაღილას ეძღვნება. ამ გადმოცემათა ვარიანტებ-

ში ბადილა ერთგან უნგრული წარმომავლობისაა, მეორე ვარიანტით ბალყარეთიდან მოვიდა. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ბადილა ქართველი იყო, თავის ძმასთან აკოსთან ერთად საქართველოდან გადავიდა. გ. კოკიევის აზრით, უალაგქომში და სტურ-დიგორაში ნოღაელები ცხოვრობდნენ და მათაც მიიღეს მონაწილეობა ოსების ეთნოგენეზში. ეს მათ ფიზიკურ ტიპშიც აისახა, ზოგიერთ გვარს – აბესალოვებს, კანოკოვებს, ტუგანოვებს, კუბატიევეებს აქვთ თურქებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ეს არის დიგორის ფეოდალური საზოგადოება – ბადელიატები. ამდენად, აქ ბადელიატები ნოღაური წარმომავლობისად არიან მიხნეული. ფ. განი ვარაუდობს, რომ დიგორში ცხოვრობდნენ მაღიარებიც, „დიგორელები და მაღიარები ახლო ნათესავეები არიან“ (Калоев 1967: 29-34).

ამგვარად, ბადილა ეპონიმი, იყო პიროვნება, რომელიც სხვაზე ამადლდა, პიროვნების სახელი უმადლესი სოციალური ფენის „ბადელიატის“ აღმნიშვნელად იქცა. გადმოცემით, ბადილა უცხო კუთხიდან მოვიდა და მახსენებში დამკვიდრდა. მისი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობათა დიდი კომპლექსი, რომელსაც აბესალოვებს მიაწერენ და მოვალეობა – კუთხის გარეშე მტერთაგან დაცვა. ამიტომ შეიქმნა მთელი რიგი გადმოცემები ბადილაზე, მის წარმომავლობაზე. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, უმთავრესად, თავიანთ თავს სხვა ეთნიკურ ერთეულს მიაკუთვნებენ, ეს ერთი კომპონენტია იმისა, რომ მოსწყდნენ მოსახლეობის ძირითად მასას, დაბალ ფენებს. სოციალური აღმავლობის გზაზე შემდგარნი ქალს თავიანთ წრეში ექებდნენ ან შორი კუთხიდან მოჰყავდათ. ამ ფენის ძირითადი საყრდენი იყო იარაღი, რაც ლეგენდებშიც აისახა – უნდა დაიცვას კუთხე მომხვედურთაგან, მაგრამ ძალის პოლიტიკას ადგილობრივ მოსახლეობაზეც ატარებდნენ. მეორე მხრივ, მოსული ელემენტი ბატონდება ადგილობრივზე და ბოლოს, არც ისაა გამორიცხული, რომ ადგილობრივი ძველი მოსახლეობიდან მომხდარიყო სოციალური დაწინაურება, მისი სრული ასიმილაციის შემდეგ. საინტერესოა, როგორ იწარმოებოდა მაშინ მათი გვარები. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს: ბადელიძე (ვახუშ-

ტი 1973: 634), „ხოლო კასრის ხევის დასავლეთ არს დიგორი, რომელი განიყოფების ორად – ჩერქეზიძედ და ბადელიძედ“ (ვახუშტი 1973: 649). ამ მონაცემებით ბ. კალოევი მიიხსენებს, რომ დიგორში ფეოდალური ფენა XVII ს-ში უკვე ფორმირებული სოციალური ერთეულია. რაც შეეხება მისი განვითარების დონეს, ამაზე უკვე გექონდა აღნიშნული. 1815 წელს დიგორელი „თავადები“ ბადელიძეები, ჩერქეზიძეები და ყუბადიშიძეები საქართველოს მთავარმმართველისადმი წარდგენილ საბუთს, სადაც უკვე რუსული მმართველობა და საქმის წარმოებაა დაკანონებული, ქართულად ადგენენ და ხელმოწერებიც ქართულადაა შესრულებული (Цховребов 1996).

ბ. კალოევის განმარტებით ჩერქეზიძე (ვარგასათაა, ბადელიძე – ბადილათა (Капоев 1967: 34). ბ. სკიტსკიზე მითითებით აღნიშნავს, რომ XVII ს-ის დოკუმენტებში იხსენიება ვარგასათას ფეოდალური გვარები: ყარაბულაევი, თაითმაზოვი და კანტემიროვი. ხალხურ გადმოცემებს სტურ-დიგორას ვარგასათას ფეოდალურ გვარებზე დიდი მსგავსება აქვთ გადმოცემებთან ბადილაზე. ვარგათასაზე გადმოგვცემენ, რომ ისინი გადმოვიდნენ მამისონიდან, ე.ი. საქართველოდან და მაღალ კლდეზე „ვარგასა“-ზე დაესახლენ, თავიანთი სახელწოდებაც აქედან მიიღეს. გადმოცემათა მეორე ვარიანტით, ვარგასათას საგვარეულოს მამამთავარი არ იყო ოსი, ის მოვიდა შავი ზღვის ნაპირებიდან, სადაც თავის ძმებთან შარვაშებთან ცხოვრობდა. შარვაშებიდან კი, ბ. კალოევის აზრით, წარმოიშვა აფხაზური თავადების გვარი შარვაშიძე, რაც შუა საუკუნეებში ოსურ-აფხაზურ ურთიერთობებზე მეტყველებს (Капоев 1967: 35). ბ. კალოევის ამ დებულებასთან დაკავშირებით ერთ საკითხზე უნდა შევხერდეთ.

დიგორი თავდაპირველად ერთ განუყოფელ თემს წარმოადგენდა. ამ დროს დიგორის მოსახლეობა ეთნიკურად, ძირითადად ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო. გადმოცემების თანახმად, დიგორა იყო პიროვნება რომელმაც სათავე დაუდო დიგორის მოსახლეობის უძველეს ფენას. მაგრამ ვინ იყო დიგორა, რომელ ეთნიკურ ერთეულს მიეკუთვნებოდა? ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ზემოთ აღნიშნული, რომ ყოვანური კულტურის დიგორული ჯგუფის მატარებელი ტომები ახლოს იყვნენ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, რა-

ჭის და ზემო იმერეთის მოსახლეობასთან. შორეულ წარსულში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, დასავლეთ და ცენტრალურ ჩრდილოეთ კავკასიის ფარგლებში და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ საერთო ეთნიკური სუბსტრატიდან აღმოცენებული ტომები, აქ სუფევდა ერთიანი ენობრივი სისტემა, კულტურა, იყო ერთი ანთროპოლოგიური ტიპი. დასავლეთ ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას ადრე შეეერთა ირანულენოვანი ტომები, დიგორის მოსახლეობამ კი ერთობლიობის ეს ნიშნები შუა საუკუნეებამდე შემოინახა.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება დავიმოწმოთ ა. ცაგაევა. მისი განმარტებით ტოპონიმი „დუნთა“ (სოფელი უალაგქომში), „დუნთა//დუმთა“-ს სახელწოდებას გადმოცემა უკავშირებს მის პირველ მოსახლეს, გვარს დიმონბასილს, „ბასილი დუმის გვარიდან“ (Цагаева 1975: 382). ამ ტოპონიმმა ჩვენი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონში გვაქვს სოფელი დუნთა. ფიქრობ, შეიძლება აქაც დავინახოთ დიგორისა და ზემო იმერეთის ძველი მოსახლეობის ურთიერთობის, იმ ერთობის ერთი ელემენტი, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი.

„გალიათ“ – სოფელი უალაგქომში. ა. ცაგაევა მის განმარტებისას ეხება ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ძველად აქ უცხოვრია რომელიღაც მითიურ ხალხს „ცარცა“-ს, მაგრამ ცარციებმა დიგორთი განარისხეს და ყველანი განადგურდნენ (Цагаева 1975: 381). საინტერესოა ვინ იყვნენ ცარცები, მართლა „დიგორთი განარისხეს და განადგურდნენ“, წავიდნენ თუ მოხდა შემდგომ მოსული ეთნიკური ერთეულის მიერ მათი ასიმილაცია? ბუნებრივია, ყველა პროცესები ერთად მიმდინარეობდა, მაგრამ აქ კიდევ ისმის კითხვა, უკვალოდ გაქრნენ ცარცები? მათ შემდეგ, განაგრძობს მკვლევარი, *ნისან აეცაზე* დეალები დასახლდნენ, მაგრამ ისინი განადგურდნენ, რადგან ბეჯითად არ ღოცულობდნენ დიგორთსა და სალოცავებს. ბ. პფაფი გალიათელებს ევროპულ ტომად მიიხსენებს. ე. ი. მიაკუთვნებს მათ, რომელთაც მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოს ზემოთ აღნიშნული რაიონების მოსახლეობა. ბ. პფაფის დაკვირვება, რომელიც XIX ს-ის შუა ხანებში დაიბეჭდა, ამის დასტურია. ისტორიულ წყაროებში, განაგრძობს ა. ცაგაევა, კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში იხსენიება ტომი

(თუ ხალხი) „გალათი“, „გათი“. „გალათ“-ისთან დაკავშირებით მკვლევარი მიუთითებს დიგორში სოფელ „ყლიად“-ზე და აღნიშნავს, რომ მას საერთო ძირი უნდა ჰქონდეს „გალიათ“-თან, რომელიც ეთნონიმიდან ამოდის. ხალხური გადმოცემა სოფლის სახელწოდებას „გალიათ“ გვარიდან წარმომავლობისად მიიჩნევს, სოფელი გალიათ დაასახლა გალიაონ გაუსმა, „გალიაონ გავის“, ე. ი. გავისმა გალას გვარიდან (Цараева 1975: 381).

ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ ტოპონიმი „გალიათ“ ეთნიური წარმომავლობისად არის მიჩნეული, მასში დანახულია დიგორის მოსახლეობის გარკვეული ფენა, ჩრდილოკავკასიური ეთნიკური ერთეული, ტომი, რომლის სახელწოდება იყო „გალიათი“. მაგრამ ა. ცაგაევასათვის უცნობი რჩება თუ ვინ იყვნენ ისინი, რომელ კავკასიურ ეთნიკურ ერთეულთან გვაქვს საქმე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის „გალა//დალა“ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი „თი“ სუფიქსით. გავისხენოთ ჩვენს მიერ ინგუშეთში გაკეთებული ექსკურსი და ბუნებრივად მივალთ იქამდე, რომ „გალიათ“-ში დავინახოთ ვეინახური ეთნიკური ერთეული „დალა“-ები, რომლებიც ისევე გაქრნენ დიგორიდან, როგორც ვარციები და დვალეები. მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს ქართული სიტყვები: „დალა“ (ქეგლი 391), „გალ“, „გალა“, „გალია“, (ქეგლი 640), რომელთაც დიდი განმარტება არ სჭირდება, მათგან ბევრი სიტყვები იწარმოება. და ბოლოს, სამურზაყანოში გვაქვს სოფელი „გალი“. შესაძლებელია, ოსური „გალი-ათ“ სწორედ აქედან იღებდეს სახელწოდებას, მითუმეტეს, დიგორის მოსახლეობის უძველესი ფენა, თავისი ძირებით, შავიზღვისპირეთთან, კერძოდ, კოლხურ სამყაროსთან არის დაკავშირებული.

ვ. აბაევი და ბ. კალოევი დიგორის საზოგადოების უძველეს პერიოდად მიიჩნევენ ალანურ ეპოქას. მათი აზრით, აქ უნდა ეცხოვრა რომელიღაც ალანურ ტომს – თანამედროვე დიგორელების წინაპრებს, რომელთაც დიგორში შემოიტანეს ქრისტიანული სარწმუნოება და შემდეგ სადღაც გაქრნენ. როგორც აღვნიშნეთ, ეს ჩვენთვის დაუჯერებელია.

ბ. კალოევი, ხალხური გადმოცემების მიხედვით, დონიფარსის პირველ მოსახლედ ასახელებს გაგუას. ხსენებული ავტორისათვის გაგუა შეუცნობელი რჩება. ჩვენი აზრით,

„გა-გუა“ თავისი ძირებით ქართულ ეთნიკურ ერთეულს, კერძოდ, კოლხურ სამყაროს უკავშირდება.

დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, კვლავ გავუსვავთ ხაზი ცარგასათა ფეოდალურ საგვარეულოს. მათი წინაპარი ცარგასა არ იყო ოსი; ის საქართველოდან გადავიდა დიგორში; დიგორში მივიდა შავი ზღვის ნაპირებიდან, სადაც ის თავის ძმებთან შარვაშებთან ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, ბ. კალოევი ცარგასათებს ძირეულად უკავშირებს შარვაშიძეების საგვარეულოს და აქედან სურს დაინახოს ოსურ-აფხაზური ურთიერთობები.

გადმოცემებში არაერთხელ ფიგურირებს „ცარცა“. ა. ცაგაევა მათ მიიხსნევს მითიურ ხალხად, რომლებიც განადგურდნენ. ხალხური გადმოცემები „ცარციად“ (ანუ „შარშიად“), აღნიშნავს ბ. კალოევი, იყენენ ლეგენდარული ხალხი, რომლებიც წარსულში ცხოვრობდნენ და რაღაც საშინელი ავადმყოფობით ამოწყდნენ, „უძველესი ხანის“ სამარხ აკლდამებს ხალხი სწორედ მათ მიაკუთვნებს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სიტყვა „ცარციათ“ ეტიმოლოგიურად არ იხსნება, მაგრამ ხალხურ გადმოცემებში ჩანს რომელიღაც ტომი, რომლებიც მონღოლთა შემოსევების დროს განადგურდა. დიდი სურვილი აქვს ამ „რომელიღაც“ ტომში აღაზნური ტომი დაინახოს, მაგრამ ხელთ ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა. ერთადერთი არგუმენტი, რომელსაც ის ეჭიდება არის ზემოთ დასახელებული სასაფლაოები. მთხრობლები მათ ლეგენდარულ ხალხს „ცარციად“-ებს მიაწერენ, რომლებიც ოსების მოსვლამდე ცხოვრობდნენ დიგორში, ბ. კალოევი კი მიიხსნევს, რომ ეს ლეგენდარული ხალხი იყო ალანური ტომი, რომელიც VII-IX ს ს-ში ავიდა კავკასიის მთიანეთში და ეს სასაფლაოებიც მათი დანატოვარი უნდა იყოს (Калоев 1967: 19). მისი მსჯელობიდან გამომდის, რომ სწორედ ამ ალანურ ტომს უნდა აეტიანა დიგორში ქრისტიანული სარწმუნოება, აეგოთ ქართული ეკლესია, კოშკი ჯვრის გამოსახულებით და შემდეგ აღიგავენ პირისაგან მიწისა. როგორც ვხედავთ, ბ. კალოევის არგუმენტაცია არაა დამაჯერებელი.

მეორე მხრივ, „ცარციად“ (ანუ „შარშიად“)-ზე მსჯელობას ბ. კალოევი ცარგასათამდე მიჰყავს: ცარგასა დიგორში მივიდა შავიზღვის სანაპიროებიდან, სადაც ის ცხოვრობდა

თავის ძმებთან შარვაშებთან ერთად. შემდეგ შარვაშებიდან ჩამოყალიბდა აფხაზური ფეოდალური გვარი შარვაშიძე, ცარგასაგან კი - ოსური ფეოდალური გვარი - ცარგასათა. „ცარგასა“ („შარვაშ“-ას და „ცარცა“//„შარშა“-ს კი საეკლესიო ბუნებრივად მიყვავართ საერთო ძირებამდე. ეს ვერსიაც ბ. კალოევისთვის მისაღებია, რადგან მასში ხედავს ოსურ-აფხაზურ ურთიერთობებს. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ამ მასალის მიხედვით, არავითარ ოსურ-აფხაზურ ურთიერთობებზე ლაპარაკი არ შეიძლება. ქართულ გვარებში გამოიყოფა კოლხური ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ში“ (იშ-ი): მენიში-ში, ხალვა-ში, ჯა-ში, („ხისა“), გეგე-ში-ძე („წმინდა გიორგისა“), გურე-ში-ძე, დათე-ში-ძე, კვატა-ში-ძე, ნაკა-ში-ძე („ვაკისა“), ყიფ-ში-ძე, ღამბა-ში-ძე, ჭუმბურიძე 57), შაორ-შა-ძე, შარვა-ძე და სხვ. ორივე ეს უკანასკნელი გვარი გადმოცემით, შარვაშიძედან იღებს სათავეს.

რაც შეეხება გვარს, „შარვაშიძე“, ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ის „აშკარად მეგრული წარმოშობისაა: „შარვაში“ პლუს ქართული „ძე“ (Джигоева 1995: 605). სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სოციალურად დაწინაურებული გვარების: დადიან-ბელიანების, შარვაშიძეების და ვარდანიძეების წარმოჩენა XI-XII სს-დან ხდება. ისინი ძირძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს მარუშიანების წრიდან უნდა მომდინარეობდნენ, მარუშიანებმა კი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და განვითარების საქმეში. მარუშიანებს/მარუშისძეებს/მარშანიებს, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს პატრიოტიზმში ვერავინ შეეცვილებოდა და არაა გამორიცხული, რომ ეს გვარი ძირეულად დალი-წებულდის სვანები ყოფილიყვნენ (ბერძენიშვილი 1990: 607). შარვაშიძეები, ეთნიკური თვითშეგნებით ბოლომდე ქართველებად დარჩნენ, თავიანთი „აფხაზობა“ „ქართველობის“ სინონიმური მნიშვნელობით ესმოდათ. 1870 წლის 23 მარტს შედგენილ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ აფხაზეთის თავად-აზნაურები: ბ. ემხვარი, ტ. მარღანია, გ. მარშანია და კ. ინალ-იფა ნათქვამია: მთელ აფხაზეთს სათავეში ედგა აფხაზეთის მბრძანებელი უძველესი ქართული მოდგმის გვარი შარვაშიძე (სცსსა). დადგენილია - ქართული „ას-“, მეგრული „ოშ-“, ლაზური „ოშ-“, სვანური „აშ-“, არქეტიპები

ურთიერთკანზომიერ შესატყვისებს წარმოადგენენ. ეს არქეტიპები საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზეა აღდგენილი (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990: 39). აქედან გამომდინარე, გვარი შარვაშიძის და საერთოდ, აღნიშნული არქეტიპებით ნაწარმოები, პრეფიქსებად თუ სუფიქსებად დართული, გვარების, ტოპონიმების, ეთნონიმების ეტიმოლოგია ქართულ და ქართული ენის ძირძველ მეგრულ-სვანურ დიალექტებში უნდა ვეძიოთ. რაც შეეხება აფხაზეთს, მოკლედ აღვნიშნავთ – ის აფხაზეთი, რომელიც ბ. კალოევს აქვს მხედველობაში, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და მის მიერ მოტანილი არგუმენტი ოსურ-აფხაზეთ ურთიერთობებზე საუბრის არავითარ საფუძველს არ იძლევა.

ზემოთ მოყვანილი ყველა მონაცემების საფუძველზე, შეიძლება აღვნიშნოთ: უალაგქომში ცარგასას მთაზე ოდესღაც დამკვიდრებული ტომი ე. წ. „ცარგასათა“ ძირეულად კოლხურ სამყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამავე სამყაროს მიეკუთვნება „გაგუა“-ც, რაც შეეხება ტოპონიმს „გალიათ“, რამდენადაც ის იმ ტომის სახელიდან მომდინარეობს, რომელიც იქ ცხოვრობდა – „გალ//ღალ“-იდან, მასში უნდა დავინახოთ ვეინახური ტომი „ღალღა“ („ღალ-ღა“), ქართული წყაროებით „ღლიღვი“. საინტერესოა გადავხედოთ აღნიშნულ ტერმინთა ძირებს ქართველურ ენებშიც: ქართული „გალ“-ის (ა-გან-გალ-ობ-ა „საბავშვო თამაში“) შესატყვისია სვანური „გალ“- (გან-გალ „კოდნა“); ქართული „გალ-//გლ“- (ღა-გალ-ა „დაამტვრია“), სვანური „გილ-//გლ“- (ლი-გლ-ე „დამტვრევა“, გილ-ე „ამტვრევს“) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 72). ქართული „ღალ-//ღლ“- (ღა-ე-ი-ღალ-ე, ღა-ღლ-ა), მეგრული „ღოლ“- (ქმნა და დაღლა) და სვანური „ღლ“- (ლი-ღლ-ი „ღლოდინი“, ხ-ო-ღლ-ი „ველი“). ეს ურთიერთშესატყვისი არქეტიპები საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზეა აღდგენილი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 342). და ბოლოს ესეც მივუთითოთ – ქართული „გალ“, „გალავანი“ – ზღუდე, გალავანი, საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობათა გალავნიანი კომპლექსი, რომელიც ოსურში შევიდა სახელწოდებით „გალუან“. ინგუშეთშიც, მას შემდეგ, რაც საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ დიფერენციაციასთან ერთად, ციხე-სახლს „ღალა“ და კომქს „გოუ“ გაუჩნდა გალავანი, ამ კომპლექსების აღმნიშვნელად დამკვიდრდა

ტერმინი „გალან“ (Робакидзе 1968: 44). ამასთან, ეთნონიმ „ღაღლა“-ს კავშირი საცხოვრებელ ნაგებობებთან „ღაღლა“-სთან არაა დამაჯერებლად მიჩნეული, რადგან კავკასიის მთიანეთში ასეთ კომპლექსებში ცხოვრება არ არის მხოლოდ ინგუშეთისთვის დამახასიათებელი და ამიტომაც არ შეიძლება იმის საფუძვლად დასდებოდა ეთნონიმის წარმოქმნას. უფრო სარწმუნოდ მიიჩნევენ ამ ეთნონიმის კავშირს სტრახონისეულ „გერგარ//გარგარ“-თან (Харадзе 1968: 21). ასეა თუ ისე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ტოპონიმი „გალიათ“, მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით შეიძლება აიხსნას. არაა გამორიცხული, რომ ის „გალავან“-თან იყოს დაკავშირებული. შევადაროთ, რაჭაში სოფელ ღების უძველესი უბნის სახელწოდება „ციხიკარი“, შიდა ქართლში „მცხეთის რაიონი“ - სოფელი „გალავანი“ და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, ის სამურზაყანოს „გალ“-თანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, ბ. კალოევი პარალელს ავლებს გადმოცემებში აღილისა და ცარგასათებზე, ისინი ანალოგიურად მიიჩნევიან. ცარგასათებზე მსჯელობას კი ე. წ. ლეგენდარულ ტომამდე თუ ხალხამდე „ცარცა//შარშა“-მდე ანუ „ცარციათ“-მდე მივყავართ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნულს უნდა დაუმატოთ: გარდა იმისა, რომ დიგორშიც და ზემო იმერეთშიც გვაქვს სოფელი „ღუნთა“, ზემო იმერეთში, მდ. ყვირილას აუზის ზედა წელში ერთ-ერთი გავრცელებული გვარია ცარციძე. აქვე გვაქვს ტოპონიმები: „ცარციღელე“ - ღელე სოფელ შომახეთში, „ცარციძეების ვენახები“ - სოფელ ჭალაში, „ცარციძეების ნამოსახლი“ - მინდორი სოფელ ჯვარში, „ცარციძეების უბანი“ - სოფელ პერევისაში, „ცარციძეების ჭალა“ - სოფელ ურუნაში და ა. შ. (საქართველოს ტოპონიმია, 1987: 228). ვფიქრობ, ესეც უნდა იყოს დიგორისა და ზემო იმერეთის მოსახლეობის ადრინდელი ფენის ეთნიკური ერთობისა და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ერთი ელემენტი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ რწმენას გვინმტკიცებს ზემოთ მოტანილი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალა და ის გადმოცემები რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

სოფელი „სტურ-დიგორა“ ა. ცაგაევას განმარტებით, მდებარეობს დიგორის ხეობაში, მდ. „სტურ-დიგორი დონ“-ის მარცხენა მხარეს და არის სტურდიგორას სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი. საკუთრივ ტოპონიმთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ის თანამედროვე ოსურ ენაზე ნიშნავს „დიდ-დიგორა“-ს, მაგრამ მასში სხვა შინაარსი უნდა იყოს ჩადებული. ისტორიულ ცნობებში, განაგრძობს მკვლევარი, უკიდურესი დასავლეთის აღანები „აშ-ტიგორა“-დ იწოდებიან. ამ სახელწოდების მეორე ნაწილში გვაქვს „დიგორ“ – ოსი ხალხის იმ ნაწილის სახელწოდება, რომლებიც დიგორულ დიალექტზე ლაპარაკობენ. ტოპონიმის პირველი ნაწილი – „ას//აშ“ ელემენტი, როგორც ჩანს, გამომდინარეობს რომელიმე ადგილის სახელწოდებიდან, სადაც დიგორელები ცხოვრობენ, ან კიდევ, დიგორელთა ერთ-ერთი ტომის სახელწოდებიდან. ამ ვარაუდის საბაბს (ვ. აბაევზე მითითებით) აძლევს ერთ-ერთი ირანული ტომის სახელწოდება „ას სარმატ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ცაგაევა აყალიბებს თეზისს, რომლის მიხედვითაც „ას//აშ“-ში გვაქვს თანამედროვე დიგორელების ის შტო, რომელთაც ადრე ეკავათ მაქსანისა და „ელბრუსის“ დაბლობები. მოგვიანებით ეს სახელწოდება გადავიდა ბალყარელებზე, რომელთაც ოსები „ას“-ებს უწოდებენ. ვიფიქროთ, რომ ის დიგორელები, რომელთაც ამჟამად მდ. ირაფის სათავეები უკავიათ, ბაქსანისა და „ელბრუსის“ დაბლობებიდან მოვიდნენ. სხვები კი ბარიდან ამოვიდნენ, რისთვისაც უწოდებენ «Тъапан дигора»-ს, – პირდაპირი მნიშვნელობით „ბარის დიგორელებს“. მათ ბარიდან მოსულობას მოწმობს თანამედროვე აბაზური ტომის სახელწოდება «Тъа пантә», რომელსაც დაეფუძნა ოსური გეოგრაფიული ტერმინი «Тъа пәт» – „სწორი“, „დაბალი“, „დაბლობი“, „ბარი“. ცხადია, ამ მიმდინარე მიგრაციული და ეთნიკური პროცესების შედეგად, თანდათანობით სიტყვა „ას//აშ“-ის მნიშვნელობა გაუგებარი გახდა და ის შეიცვალა უფრო გასაგები სიტყვით „სტურ//ასტურ“, რამდენადაც ამ თემში სტურ-დიგორის ყველაზე დიდი დასახლებული სოფელი იყო (Цагаева 1975: 388).

შევეცდებით ა. ცაგაევას დებულებაში რამოდენიმე საკითხი დავაზუსტოთ: 1. ტოპონიმ „სტურ-დიგორას“ მეორე ნაწილი „დიგორა“ ქართულად არის „დიდი გორა“ (დიგორა, დიდი გორა). მას შემდეგ, რაც მოხდა მისი ძველი მოსახლეობის ალანიზაცია, მოსახლეობის ადგილობრივი ფენის ენა შესცვალა მოსული ელემენტის მიერ მოტანილმა, „დიგორა“-ს ანუ „დიდ გორას“-ს დაემატა ოსური სიტყვა „სტურ“ – დიდი და მივიღეთ „სტურ-დიგორა“, სტურ-დი/დი-გორა – „გორა“ ერთი და იგივე მნიშვნელობის ორი/ოსური „სტურ“ და ქართული „დი“ ანუ „დიდი“ თავსართით. 2. „სტურ-დიგორა“-ს ადრინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო „აშ-დი-გორა“. „დიგორა“ არის იგივე „დი-გორა“ (დიდი გორა). რაც შეეხება მის წინა ნაწილს, „ას//აშ“-ს, მკვლევარს აქ ორი ვარიანტი აქვს: პირველი – ეს უნდა იყოს იმ ადგილის სახელწოდება, საიდანაც თავდაპირველად დიგორელების წინაპრები წამოვიდნენ; და მეორე – იმ ტომის სახელწოდება, რომლებიც პირველნი ამოვიდნენ და მდ. ირაფის სათავეები დაიკავეს. ავტორი მეორე ვერსიისაკენ იხრება და თანამედროვე დიგორელების წინაპართა ამ შტოში – „ას//აშ“-ებში ალანური ტომი უნდა დაინახოს. სავსებით ბუნებრივია, აქ მიმდინარე მიგრაციული და ეთნო-სოციალური პროცესების შედეგად, დიგორის უკვე ჩამოყალიბებული ფენისათვის „ას//აშ“ გაუგებარი უნდა ყოფილიყო, ის როგორც ეთნიკური ერთეული აღარ არსებობს, მათ თავისი ადგილი დაიკავეს ოსების ეთნოგენეში და ზემოთ აღნიშნულმა ტოპონიმმა ცვლილება განიცადა.

ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, რომ „ას//აშ“-ები გარდა დიგორისა, განსახლებული იყვნენ დასავლეთ იმერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მთიანეთში. აქ მოხდა მათი თურქიზაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ბალყარელები, რომელთაც ოსები „ას“-ებს უწოდებდნენ. როგორც ა. ცაგაევას მსჯელობიდან ირკვევა, „ას//აშ“-ებს ენაც განსხვავებული ჰქონიათ მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომლებიც დიგორულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ან რომელ ეთნიკურ ერთეულს მიეკუთვნებოდნენ? ამაზე პასუხის გაუცემლობა საფუძველს ართმევს ოს მეცნიერებს „ას//აშ“-ები, „ცარცა//შარშა“-ები ანუ „ცარციათ“-ები, „ცარცასათ“-ები, „გაგუა“-თები, „გალიათ“-ელები და სხვა ალანურ ტომებად მი-

ინიონ. ამაზე დაკავშირებით ჩვენი პოზიციაც ნათელი უნდა იყოს. ზემოთ მოტანილი ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მონაცემები სრულ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი ქმნიდნენ დიგორის მოსახლეობის უძველეს ფენას; ძირეულად დაკავშირებული იყვნენ ძველი კოლხეთის სამყაროსთან. მათში უნდა დავინახოთ კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატარებელი ტომების ის ნაწილი, რომელთაც რიონის ხეობის გავლით ცენტრალური იმპერკავკასიის მთიანეთში გადაიტანეს და განავითარეს ეს კულტურა. მიუხედავად აღნიშნულისა, მეტი დამაჯერებლობის მიზნით, კვლავ გადავაგვლოთ თვალი ეთნოგრაფიულ მასალას.

გადმოცემათა ერთი ვერსიით, დიგორელების წინაპარი იყო დიგორა. უნდა მივიხნოთ, რომ დიგორას შთამომავლობა მოიცავს დიგორის მთელ საზოგადოებას; მასში უნდა დავინახოთ დიგორი – უკვე ფორმირებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი. მასთან ერთად ყალიბდება დიგორის საზოგადოება, დიგორელები – ოსური ეთნოსის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი თავისი ლოკალური თავისებურებებით, რომელთაც უნდა ვთავიანთი საერთო წინაპარი. ასეთი წინაპრის არსებობას მოითხოვს ყველა ჩამოყალიბებული სოციალური ერთეული.

დიგორას ყავდა შვილი ძამბულათი, ძამბულათს – ასტანა; სხვა ვერსიით დიგორელები წარმოიშვენ ასტანასა და დიგორისაგან, მათი შთამომავალი იყო ძამბულათი, ძამბულათს ყავდა შვილი გაგუა; დიგორელთა წინაპარი იყო ასტანა, ასტანას უფროსი შვილი იყო გაგუა, როგორც ვხედავთ, გადმოცემათა მთელ რიგ ვარიანტებში ასტანა წინა პლანზეა წამოწეული. ალბათ იმიტომ, რომ ასტანას შთამომავლობა მოიცავდა არა მთლიანად დიგორის საზოგადოებას, არამედ მხოლოდ მის უძველეს ფენას. ასტანაში აისახება დიგორის მოსახლეობის ის ფენა, რომელმაც თავდაპირველად მდ. ირაფის ხეობის სათავეები დაიკავა – „ასტიგორელები“ ანუ დიგორელი ას/აშ-ები. ასტანას შვილი გაგუა იყო დონიფარსის პირველი მოსახლე. აქ უკვე აირეკლება დიგორის შიგნით, მოსახლეობის ამ ფენის განსახლების პროცესები. შემდეგ მოდის მოსახლეობის ახალი ნაკადი ბარის რაიონებიდან, იკავებენ შედარებით დაბალ ზოლს

და იღებენ სახელწოდებას „ტაფან-დიგორა“ ანუ ბარის დიგორელები.

სტურ-დიგორაში ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, იქაური გობევეების წინაპარი ქართველი იყო, საქართველოდან გადასული, რაჭველი გობეჯიშვილების განყოფი. რაჭაშიცაა შემორჩენილი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც გობეჯიშვილების წინაპარი დიგორიდან გადმოვიდა. ამან რაჭაში და მათ შორის, გობეჯიშვილებშიც ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ გობეჯიშვილები ოსური წარმომავლობის არიან. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, რომელიც ბ. კალოევის მიერაა ჩაწერილი, სტურ-დიგორას პირველი მოსახლე ხამიცი ხამიცაევი წარმომავლობით ქართველი იყო, დიგორში დასავლეთ საქართველოში გადასული. გადმოცემათა ერთ-ერთი ტრაფარეტული ფორმის მიხედვით, ხამიცი სანადიროდ გადავიდა დიგორში, დარჩა იქ სადაც მანამდე არაფერს სახლებულა. აქედან ედება სათავე სტურ-დიგორას, როგორც დასახლებულ ერთეულს. მისი პირველი მკვიდრი იყო ხამიცი, რომელმაც სათავე დაუდო ხამიცაევეების გვარს. ეს გადმოცემა XIX ს-ში ჩაწერილი აქვს ფ. მილერს. ბ. კალოევი მიიხნევეს, რომ ეს არის გადმოცემის სხვა ვერსია, რადგან ფ. მილერს ხამიცის ნაცვლად ჩაწერილი აქვს სახელი ხოი. ხოი გადავიდა საქართველოდან, ეროვნებით ქართველი და ამის შემდეგ შეიქმნა სოფელი სტურ-დიგორა. ხამიცაევეების გარდა, განაგრძობს ბ. კალოევი, საქართველოდან მოსულებად მიიხნევენ ბიაზაროეებს, გაბეეეებს, ხაილონოეებს და სხვა. სტურ-დიგორას საზოგადოების ერთი ნაწილი, ყარაუგომის ხეობაში, მყინვარის ძირში განლაგებული სოფლები: ძინაგა, გულარი, ნოგყაუ მკაცრი კლიმატური პირობების გამო ყველაზე გვიან დასახლდა. მისი მოსახლეობა, აღნიშნავს ბ. კალოევი, ძირითადად დიგორელებისგან დაკომპლექტდა, მაგრამ მათ შორის იყვნენ ირონელებიც – ოსეთის სხვა და სხვა კუთხიდან მოსულნი, ქართველები – ხამიკაეეები და ბალყარელები – გაცალაეეები. დასახლებული ავტორის მიხედვით, დიგორის საზოგადოებაში მრავლადაა ისეთი გვარები, რომლებიც თავიანთ წინაპრებად ქართველებს მიიხნევენ, რაც ამ კუთხის საქართველოსთან ახლო მეზობლობით უნდა აიხსნას (Калоев 1967: 35).

დაუბრუნდეთ გადმოცემას ხამიც ხამიცაეუზუ. ფ. მილე-რისა და ბ. კალოევის მიერ ჩაწერილ თქმულებებს შორის არავითარი ვერსიები არ ჩანს. მხოლოდ ერთი ასახელებს სახელად ხოის, მეორე – ხამიცს. ორივე ვარიანტში ხოი და ხამიცი ქართველია, დასავლეთ საქართველოდან გადასული, სოფელ სტურ-დიგორას პირველი მოსახლე, მისი ფუძემდებელი. სახელი ხოი ერთ ვარაუდს გვიქმნის: „ხოი“ ვეინახურში არის ატრიბუტივი სუფიქსი (ჭუმბურიძე 1992: 15). „ხელ“ ჩეჩნეთ-ინგუშეთში ნიშნავს უხუცესთა შეკრებას, ხოლო ამ შეკრების მონაწილე უხუცესები არიან „ხელ-ხოი“ (Харадзе 1968: 186); „ღამარხოი“ – მთიელები, „ტერგისტხოი“ – თერგისტპირელები (ჩეჩნეთში); „ხულხოი“ – ხულელები, „ჩულხოი“ – ჩულხოელები, „ხამხოი“ – ხამხოელები (ინგუშეთში) და სხვა (გამყრელიძე 1990: 163; გამყრელიძე 1987: 19). ალბათ შეიძლებოდა მთხრობელს ფ. მილერისთვის ეთქვა, რომ იქ პირველი მოსახლე იყო „ხოი“, ე. ი. „სტურ-დიგორა ხოი“, სტურ-დიგორელები. მითუმეტეს თუ მთხრობელი ვეინახური წარმომავლობის იყო. ამით შეიძლება სტურ-დიგორას და საერთოდ დიგორის მოსახლეობის უძველეს ფენაში ვეინახურიც ვიგუვლოთ. მაგრამ მთხრობელს არც ის რჩება მხედველობიდან, რომ ხოი საქართველოდან იყო გადასული და ქართულ ეთნიკურ ერთეულს მიეკუთვნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, გადმოცემის მეორე ვარიანტშიც ხამიცა ქართველია, დიგორში დასავლეთ საქართველოდან გადასული, რომელმაც სათავე დაუდო ხამიცაეუბების გვარს. უეჭველია, აქ ბგერა „ც“ ჩაენაცვლა ბგერას „შ“ და უნდა იყოს ხამიშ ხამიშაევი. ისიც გასათვალისწინოთ, რომ „ევი“ – გვარის მაწარმოებელი რუსული ფორმანტი გვიან ჩნდება ოსურ გვარებში. ეს გადმოცემა გვაგონებს საქართველოში შექმნილ ლეგენდას, რომ ხამიშა (ს. მაკალათიას მასალებით ხამიჯა), გობეჯა და ია ძმები იყვნენ. ისინი დიგორიდან მესისხლეობის ნიადაგზე გამოიქცენ, მივიდნენ რაჭის მთავარ წერეთელთან და თავშესაფარი სთხოვეს, მასთან მისვლამდე კი იამ გზაზე წაინადირა. წერეთელმა ისინი პატივით მიიღო და ღამეც გაუთევია. მეორე დღეს წერეთელმა მათ ჰკითხა თუ სად უნდოდათ დასახლება. იამ უთხრა – დაესახლებოდა იქ „სად მელა მოკლა“ ამიტომ სადმელში დაასახლა და აზნაურობა უბოძა, რადგან ღამე თავადურ

პოზაში ეძინა, მისი შთამომავლები იაშვილები არიან; გობეჯა ღებში დასახლდა და მისი შთამომავლები გობეჯიშვილები არიან; ხამიჯა დიგორში დაბრუნდა და მისი შთამომავლები ხამიჯაევეები ღებულ გობეჯიშვილების დეტუენტო შთამომავლობას დღესაც თავიანთ ნათესავეებად თვლიან (მაკალათია 1987: 27).

ეს გადმოცემა ჩვენც ჩავიწერთ. მისი ვარიანტები დამოუკიდებლად შეიქმნა დიგორში და რაჭაში. ყველა მათგანი ერთ პიროვნებაზეა აგებული: დიგორულ ვარიანტებში ხოი (ფ. მიღერთან), ხამიშ (ბ. კალოვეთან); ქართულ ვარიანტებში ხამიჯ (ს. მაკალათიასთან), ხამიშ (ჩვენს მასალებში). ბუნებრივია, ჩვენამდე მან ფრაგმენტული სახით მიაღწია, ბევრი ახალი ელემენტები დაემატა, მაგრამ ძირითადი არსი მაინც გასაგებია. ზემოთაც აღვნიშნეთ, აქაც ბგერა „შ“-ს ინფორმატორთა საუბრის დროს უნდა ჩანაცვლებოდა „ც“. ამ რწმენას გვიმტკიცებს ბ. კალოვეი, როდესაც ის მსჯელობს ცარციათებზე: „ცარცი“- „შარში“, „ცარციათ“ / (ანუ „შარშიათ) და აქედან დადის შარვაშიძემდე (Жалоев 1967: 19). „იშ“, „ში“ არქეტიპებზე უკვე გვქონდა საუბარი და აღარ გავიმეორებთ, შეიძლება დაეუმატოთ რამოდენიმე მაგალითი: „ღუდაშა“ – თემი ზემო სვანეთში, „ადიში“ – სოფელი ზემო სვანეთში, დადეშქელიანი - სვანეთის ფეოდალური საგვარეულო, „ოდიში“ – სოფელი სამეგრელოში, ოდიშარია – გვარი სამეგრელოში და ა. შ. ამ მასალების ანალიზი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ხამიც/ხამიჯ/ხამიშ ერთი და იგივე პიროვნებაა, მასში უნდა დავინახოთ საზოგადოების ძველი ფენა, რომელიც ძირუელად, გენეტიკურად ძველ კოლხურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული.

ამგვარად, ეთნოგრაფიულ მასალებში, გადმოცემებსა და თქმულებებში აისახება დიგორი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე, მეტად რთული შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, ეთნო-სოციალური პროცესები, რის საფუძველზეც ყალიბდებოდა დიგორის საზოგადოება. იმ მრავალრიცხოვან ტომთა შორის, რომელთაც დიგორელების ეთნოგენეზში მიიღეს მონაწილეობა, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულმა ეთნიკურმა ერთეულმა

დამოწმებული ლიტერატურა

- აფხაზავა 1991 – ნ. აფხაზავა, აღანები და საქართველო. – „მაცნე“, 1991, №4.
- აფხაზავა 1996 – ნ. აფხაზავა, კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. წიგნში „ოსთა საკითხი“, თბ., 1996.
- ბერძენიშვილი 1975 – ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
- ნ. ბერძენიშვილი 1990 – ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990.
- გამყრელიძე 1996 – ბ. გამყრელიძე. ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში. წიგნში „ოსთა საკითხი“, თბ., 1996.
- გამყრელიძე 1990 – გამყრელიძე, ჩენჩეთის მესაქონლეობა და მთიელთა მიგრაციის საკითხები. – „მაცნე“, 1990, №4.
- გამყრელიძე – ბ. გამყრელიძე, მესაქონლეობა მთა ინგუშეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1968.
- გვასალია – ჯ. გვასალია. ღიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982.
- გვასალია – ჯ. გვასალია. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის (1917-1920 წწ.). უზრნ. „მაცნე“, 1990, №3.
- ვახუშტი 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
- დოკუმენტები 1940 – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, თბ., 1940.
- თოგოშვილი – გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVII სს. თბ., 1969.
- თოიძე 1996 – ლ. თოიძე. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991.
- თოიძე 1996 – ლ. თოიძე, ოსური ავტონომიის შექმნა საქართველოში. წიგნში „ოსთა საკითხი“, თბ., 1996.
- ითონიშვილი 1971 – ვ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმია, თბ., 1971.

ითონიშვილი 1995 – ვ. ვ. ითონიშვილი. ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995.

ინგოროყვა 1990 – პ. ინგოროყვა. საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ. თბ., 1990.

კვიციანი 1987 – ი. კვიციანი. განსახლების ძველი ფორმისა და ლაბაყების სისტემის შესახებ სვანეთში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 69, №3, 1973.

მაკალათია 1987 – ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ., 1987.

მენტეშაშვილი 1996 – ა. მენტეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. წიგნში „ოსთა საკითხი“, თბ., 1996.

მუსხელიშვილი 1980 – დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.

რატიანი 1995 – ზ. რატიანი. წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995.

სანაყოთი 1987 – მ. სანაყოფი. ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ. ონომასტიკა, I, თბ., 1987.

საქართველოს... 1987 – საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, თბ., 1987.

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქართულ კილო... 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

ჭუმბურიძე 1992 – ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? თბ., 1992.

ჯორბენაძე 1998 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდელური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

პეროდოტე 1975 – პეროდოტე. ისტორია, ტ. I, თბ., 1975.

Абаев 1949 – В. Абаев. Осетинский язык и фольклор, т. I, М., 1949

Акты – Акты собрание кавказского археографического комиссии..

Ч. Багати 1996 – Ч. Багати. Из жизни предков осетин. Газ. «Южная Осетия», 20/IX - 1996.

Багаты 1995 – Ч. Багаты. Еще раз об единой Осетии и ее границах газ. «Южная Осетия», 12/IX-1995.

Брук 1981 – С. Брук. Население мира. Этно-демографический справочник, М., 1981.

- Гамкрелидзе 1984 _ Б. Гамкрелидзе. К вопросу о расселении осетин в Грузии. В кн. Осетинский вопрос, Тб., 1984.
- Вертепов 1903 _ Г. Вертепов. В горах Кавказа. Терский сборник, вып. VI, Владикавказ, 1903.
- Гамрекели 1961 _ В. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. Тб., 1961.
- Джигоева 1995 _ В. Джигоева. Таков Акакий Бакрадзе. А как же, газ. «Южная Осетия», 1/XI, 5/XI -1995.
- Из истории 1996 _ Из истории осетино-грузинских взаимоотношений, Цхинв. 1996.
- Из этнографического 1982 _ Из этнографического очерка И. С. «Осетины», Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, II, Цхинвали, 1982.
- История Кабарды 1957 _ История Кабарды с древнейших времен до наших дней, М., 1957.
- Калоев 1967 _ Б. Калоев. Осетины, М., 1967.
- Каргинов 1982 _ С. Каргинов. Война и осетины. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, II, Цхин. 1982.
- Красницкий 1981 _ К. Красницкий. Кое-что об осетинском округе и о правах туземцев его. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, I, Цхин. 1981.
- Лорткипанидзе 1989 _ О. Лорткипанидзе. Наследие древней Грузии, Тб., 1989.
- Магомедов 1968 _ А. Магомедов. Культура и быт осетинского народа. Ордж. 1968.
- Магомедов 1974 _ А. Магомедов. Общественный строй и быт осетин (XVII-XIX вв.), Ордж. 1974.
- Максимов 1892 _ Евг. Максимов. осетины. Терский сборник. Приложение к терскому календарю на 1892 год.
- Мансуров 1982 _ Н. Мансуров. «Обычный суд у осетин», историко-юридический очерк. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, II, Цхин. 1982.
- Марковин 1960 _ Марковин. Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), М., 1960.
- Межкавказские ... 1980 _ Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии, Тб., 1980.
- Ментешашвили 1994 _ А. Ментешашвили. Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. В кн. «Осетинский вопрос», Тб., 1994.

- Надеждин 1901 _ П. Надеждин. Кавказский край. Природа и люди, Тула, 1901.
- Очерки истории 1985 _ Очерки истории Юго-Осетинской области, I, М., 1985.
- Осетия и...1994 _ Осетия и осетины. Владикавказ-Санкт-Петербург, 1994.
- Осетинская легенда 1982 _ Осетинская легенда «Черный всадник», записанная В. Потто. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, II, Цхин. 1982.
- Пфаф 1871 _ В. Пфаф. Батериалы для истории Осетии. Сборник сведения о кавказских горцах, вып. V, 1871.
- Россигов 1894 _ А. Россигов. В горах и ущельях Куртатии и истоков реки Терека (Из путевых воспоминаний о горной Осетии). Записки Кавказского отдела императорского русского географического общества, кн. XVI, Тифл. 1894.
- Робакидзе, Г. Гегечкори 1975 _ А. Робакидзе, Г. Гегечкори. Формы жилища и структура поселения горной Осетии, _ Кавказский этнографический сборник, V, I, Тб., 1975.
- Робакидзе 1968 _ А. Робакидзе. Жилища и поселения горных ингушей. Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968.
- Техов 1980 _ Б. Техов, Бронзовые молоточковые булавки из Тлийского могильника (к вопросу о приникновении элементов катакомбной культуры на южные склоны Главного Кавказского хребта). Северный Кавказ в древности и в средние века, М., 1980.
- Техов 1980 _ Б. Техов. Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н. э. М., 1980.
- Тоидзе 1994 _ Л. Тоидзе. Образование осетинской автономии в Грузии. В кн. «Осетинский вопрос», Тб., 1994.
- Тургиев 1969 _ Т. Тургиев. О скотоводстве у алан. Материалы археологии и древней истории Северной Осетии, т. II, Ордж., 1969.
- Федоров 1983 _ Я. Федоров. Историческая этнография Северного Кавказа, М., 1983.
- Харадзе, А. Робакидзе 1968 _ Р. Харадзе, А. Робакидзе. К вопросу о нахской этнонимике. Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968.
- Харадзе 1968 _ Р. Харадзе. Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей. Кавказский этнографический сборник. II, Тб., 1968.

- Цагаева 1975 _ А. Цагаева. Топонимия Северной Осетии, II, Ордж., 1975.
- Цагаева 1971 _ А. Цагаева. Топонимия Северной Осетии, I, Ордж., 1971.
- Цховребов 1996 _ И. Цховребов. Лож и правда грузинских цченых, газ. «Южная Осетия», 19/VII- 1996.
- Черников 1965 _ С. Черников. Загадка золотого кургана, М., 1965.
- Чиковани 1979 _ Г. Чиковани. Осетинский ныхас. Кавказский этнографический сборник, V, 2, Тб., 1979.
- Шанаев 1870 _ Дж. Шанаев. Народные сказания кавказских горцах, вып. III, 1870.

როზეტა გუჯეჯიანი

აღექსი რობაქიძე და სვანეთის ეთნოგრაფიის საკითხები

წელს დიდი ქართველი ეთნოლოგის აღექსი რობაქიძის დაბადებიდან 110 წლისთავია¹. აღექსი რობაქიძის დიდი ღვაწლი წარმოჩენილია ქართველ ეთნოლოგთაგან. აღექსი რობაქიძის დამსხურებას ეძღვნება ვახტანგ შამილაძის, თამაზ ფუტყარაძის, ნუგზარ მგელაძის, სულიკო ბახია-ოქრუაშვილის სტატიები და სხვა არაერთი მეცნიერის ნაშრომი თუ მოგონება

აღექსი რობაქიძის კვლევის თემატიკა და არეალი უაღრესად ფართო და მასშტაბურია. იგი შეისწავლიდა ქართველთა ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებსა და ინსტიტუტებს, მთის საზოგადოების განვითარების დინამიკას, საცხოვრებელ, თავდაცვით და სამეურნეო ნაგებობებს, მეურნეობის დამხმარე დარგებს – მეფუტკრეობასა და მონადირეობას, ჩრდილოკავკასიელთა განსახლების ტიპოლოგიასა და მორფოლოგიას და ა. შ. ამ ვრცელ ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის ამსახველი ინფორმაციის ანალიზს.

სვანეთის ყოფა და კულტურა, იქ მიმდინარე სოციო-კულტურული პროცესები ყოველთვის შედიოდა ქართველ

¹მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად ივანე ჯავახიშვილის ეთნოლოგიისა ისტორიის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილებამ გამოსცა „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, ტ. X, თბ., 2007. კრებულის რედაქტორია პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი. კრებულის წინასწიტყვაობაში როლანდ თოფჩიშვილი წარმოაჩენს აღექსი რობაქიძის დამსახურებას ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ ეთნოსთა ეთნოგრაფიული შესწავლის საქმეში. ამავე კრებულში დაბეჭდილია სალომე ბახია-ოქრუაშვილის ვრცელი წერილი მიძღვნილი აღექსი რობაქიძის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი (თოფჩიშვილი, 2007; სალომე ბახია-ოქრუაშვილი 2007).

ეთნოლოგთა კვლევის სფეროში. ამ კუთხით ერთ-ერთი პირველი იყო ალექსი რობაქიძე, რომელმაც სვანეთში შეკრიბა დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა და შემდეგ რამდენიმე მონოგრაფია და სტატია მიუძღვნა სვანეთის ტრადიციული სოციალური და სამეურნეო ყოფის კვლევას.

ალექსი რობაქიძის სვანეთის თემატიკის მონოგრაფიათაგან უდიდესი მნიშვნელობისაა რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნაშრომი „სვანეთის სამეურნეო ყოფის ძირითადი მახასიათებლები“. ნაშრომში შესწავლილია ზემო (როგორც ბაღსზემო, ასევე ბაღსქვემო) და ქვემო სვანეთის სამეურნეო ყოფის თავისებურებები, ყურადღება გამახვილებულია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების დინამიკასა და ეტაპებზე, მიწისმფლობელობის ფორმებზე და სხვა. ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიისა და გადმონაშთების თეორიის საფუძველზე გაანალიზებულია საკუთრების ფორმების ჩამოყალიბების ისტორია. ზოგიერთ შემთხვევაში მეცნიერს განსხვავებული მოსაზრებები აქვს და არ ეთანხმება მაგალითად, მიხეილ გეგეშიძისა და სხვათა ნააზრევს, ზოგადად, ქართველ მთიელთა და, კერძოდ, სვანთა განვითარების ისტორიის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად, ამ საკითხთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობისა, ალექსი რობაქიძის ნაშრომი მრავლმხრივ საყურადღებოა და საეტაპო მნიშვნელობისაა მთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების კვლევის მხრივ (Робакидзе 1990).

ქართული ეთნოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მუძღვის რუსუდან ხარაძისა და ალექსი რობაქიძის მონოგრაფიას „სვანეთის სოფელი ძველად“. ეს არის ვრცელი მონოგრაფია, საგულისხმო სტრუქტურითა და უამრავი ეთნოგრაფიული მასალით. ნაშრომი შესრულებულია ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე. წიგნში წარმონეწილია სვანეთის რამდენიმე სოფლის (ბაღსზემო, ბაღსქვემო, ქვემო სვანეთში) არქიტექტონიკა: დასახლების ფორმები და განსახლების ტიპოლოგია, აგრეთვე, საგვარეულო ისტორიები (რუჩეგიაწე-

ბისა), საკუთრების ფორმები, მეურნეობის ძირითადი მახასიათებლები, ხალხური თვითმართველობის როლი მთიულთა ყოფაში, სასოფლო ცენტრის (სვიფ) სოციალური თუ სულიერი ფუნქცია, განხილულია რამდენიმე ტრადიციული სოაცილური ინსტიტუტის არსი, ამა თუ იმ სოციალური წოდების (მაგალითად, „ვარგ“-ის) დეფინიციადა სხვა (ხარაძე, რობაქიძე 1964).

სვანეთის სოციალური განვითარების შესახებ მსჯელობა გაშლილია ალექსი რობაქიძის რეცენზიებშიც. მაგალითად, ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული წიგნების – „სვანეთი I“-სა და „სვანეთი II“-ის – გამოქვეყნების შემდეგ ალექსი რობაქიძემ დაწერა რეცენზია „სვანეთი ძველად და ახლა“ (რობაქიძე 1980). საყურადღებოა ალექსი რობაქიძისა და ბახვა გამყრელიძის რეცენზია დ. ონიანის წიგნზე „სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1850-1921 წლებში“ (რობაქიძე 1977). რასაკვირველია, ორივე რეცენზია შეიცავს ერთგვარი სქემატური მიდგომის ნიშნებს საკვლევი თემისა და არეალისადმი, მაგრამ, ამასთანავე, რეცენზიებში გამოთქმულია ბევრი არგუმენტირებული მოსაზრება, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას.

ალექსი რობაქიძეს ეკუთვნის ერთი შედარებით მცირე მოცულობის, მაგრამ დიდად საყურადღებო სტატია სახელწოდებით „სვანური ქალაქოლის საკითხისათვის“. სტატიაში ბევრი მნიშვნელოვანი მოსაზრებაა გამოთქმული. კვლევის ობიექტი არის ქვემო სვანეთის ერთი კონკრეტული ტოპონიმი „ქალაქოლ“, რომელიც მდებარეობს ზუღარეშთან. მკვლევარი განიხილავს სხვა მსგავს ტოპონიმებსაც, როგორებიც არის: „ქალაქ ზაგარ“, „ნაქალაქე“... ყოველი მათგანი შემონახულია ქვემო სვანეთში. ალექსი რობაქიძე ამ ტერმინებს იკვლევს არა მხოლოდ ეთნოგრაფიული გადმოცემების მიხედვით, არამედ საისტორიო წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დასკვნებიც საყურადღებოა. მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ ტოპონიმებში, შესაძლოა, თავს იხენდეს 1503 წლის „ჯაფარიძეთა სასისხლო სი-

გელში“ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ადგილების სოციალური კონტექსტი (რობაქიძე 1962-ბ).

რუსუდან ხარაძისა და ალექსი რობაქიძის თანაავტორობითაა შესრულებული ნაშრომი „სვანური „ლამტყვიარის“ მნიშვნელობის საკითხისათვის“ (ხარაძე, რობაქიძე 1966). სტატაში განხილულია საქართველოს გვიანფეოდალური ხანისათვის დმახასიათებელი ტყვეთა სყიდვის ერთი ლოკალური ვარიანტი: სვანეთის კოშკების დილეგის (ლამტყვიარის) დანიშნულება.

ალექსი რობაქიძემ სიღრმისეულად გამოიკვლია ქართული ტრადიციული მეფუტკრეობის ეთნოგრაფიული ასპექტები. ტრადიციული ქართული მეფუტკრეობის შესწავლის შედეგად ალექსი რობაქიძემ დაასკვნა, რომ კავკასიურ ფუტკარს ახასიათებს შედარებით უწყინარობა, ხორთუმის განსაკუთრებული სიგრძე, არაჩვეულებრივი ნაყოფიერება და გამძლეობა. ამ თვისებათა შორის უმნიშვნელოვანესად ითვლება ხორთუმის სიგრძე, რომლის მიხედვით კავკასიურ ფუტკარს და, პირველ ყოვლისა, მის სვანურ, მეგრულ და აფხაზურ პოპულაციებს, მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავთ (რობაქიძე 1960: 67), რომ მეფუტკრეობა საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ადრეულ ხანაშივე და მას ჰქონდა როგორც საოჯახო, ასევე, სამრეწველო მნიშვნელობა, რაც დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითა და წერილობითი წყაროებით. მრავალფეროვანი და საყურადღებო ეთნოგრაფიული მონაცემებით კი მეურნეობის ეს დარგი თვით ბოლო დრომდე მეფუტკრეობის სამივე ფორმით (ტყიური, ნახევრად შინაური, შინაურ-მეფუტკრეობა) დასტურდება საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, მათ შორის, სვანეთშიც (რობაქიძე 1960: 69). უმნიშვნელოვანესია ალექსი რობაქიძის დაკვირვება, რომ მეფუტკრეობის განვითარების სამი ძირითადი და თანამიმდევრული საფეხურის არსებობა ერთ კულტურულ-ეთნიკურ სამყაროში და მისი შინაური ფორმის წარმოქმნა უძველეს ხანაში, მიუთითებს მეურნეობის ამ დარგის ადგილობრივ, ლოკალურ ნიადაგზე აღმოცენებასა და განვითარებაზე (რობაქიძე 1960: 86). მას განხილული აქვს საქართველოს ტრადიციულ ყოფაში სასკეების

მრავალგვარი ფორმები (გეჯა, კოკოზა, ხოკერა, კოდი), მათი კლასიფიკაცია და შედეგი: ინტენსიური მეფუტკრეობის განვითარება (რობაქიძე 1960: 91-95). ალექსი რობაქიძე სვანეთის მეფუტკრეობას მეურნეობის განვითარებულ დამხმარე დარგად მიიჩნევს, როგორც ზემო და ქვემო სვანეთში, ასევე, დაღის ხეობის სვანებშიც. ის სვანეთში მეფუტკრეობის სამივე ტიპს ადასტურებს: ტყიურს, გარდამავალს და შინაურს. ტყიურ ფუტკარს ზამთრობით, ძლიერი ყინვების ან ფუტკრის ყრის პერიოდში აგნებდნენ. ნაპოვნ ხეს ნიშანს დაადებდნენ („დაჯვარავდნენ“, ჯვარს ამოკეუთდნენ) და მას სხვა ვერაფერს მიეკარებოდა. ხეს ფრთხილად მოჭრიდნენ, თოკის დახმარებით ძირს დაუშვებდნენ, ბუდის კვალობაზე გადაჭრილ ხის ღია ბოლოებს ფიცრებს დააკრავდნენ და შინ მარხილით მიიტანდნენ. ფუტკარს ახალ გეჯაში მოათავსებდნენ. გეჯას თელისა და თხმელისგან ამზადებდნენ. გეჯა სვანეთშიც ორნაწილედია. მას ღებ/ღებ ჰქვია (ლატალში ა. რობაქიძემ წახნაგოვანი ექვსკუთხა ღებიც აღწერა). გეჯა მრგვალია. ერთ-ერთ თემში – ლატალში დამოწმდა გეჯის სხვა ფორმაც ე. წ. ბუყუნი-ი. მას ფუტკრის მოსაშენებლად იყენებდნენ. გეჯა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ულაგიათ ფიცრებზე საფუტკრეებში (ლალობა) ან სახლის ერთ ნაწილში (დეფან). სვანეთში პირველ თაფლს მარიამობას იღებენ. სკის საბოლოო გასინჯვა და ფუტკრის სახლში დასმა იცოდნენ გიორგობას (ნოემბერში). თაფლის დაწურვის ასეთი წესი ჰქონდათ: სარაჯს კარდალში ჩაყრიდნენ და ცეცხლზე წამოადუღებდნენ, სანთელს ხელით მოხდიდნენ და მეორე ქვაბში გადაიტანდნენ. თაფლს „ძაბრში“ გაატარებდნენ, რომელსაც მთის ბაღახი – წერქვა ჰქონდა დაფენილი (რობაქიძე 1955-ბ: 86-129). ალექსი რობაქიძეს განხილული აქვს თაფლის ნაწარმის რაობა, დანიშნულება ყოფაში, როგორც გამოყენებითი, ასევე სავაჭრო და საკრალური. გამოვლენილი აქვს, რომ თაფლი და ცვილი გამოიყენებოდა შრომის ანაზღაურებისათვის, სათაენოდ, ჩვეულებითი სამართლის აღსრულების პროცესში (მას იხდიდნენ სისხლის საფასად) და ა. შ. მსჯელობს მეფუტკრეობის პროდუქტის სამკურნალო მიზ-

ნებზეც. ამავე დროს, ყოველი მეფუტკრე, გარკვეულ შესა-
წირავს აძლედა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესი-
ებს. მაგალითად, სვანეთში მეფუტკრე ერთ გეჯათაფლს სწირავდა ღვთისმშობლის ეკლესიებს ყოველ მა-
რიამობას. მეფუტკრისა და ფუტკრის მფარველად მთელ
საქართველოში წმინდა გიორგი ითვლებოდა. სვანური მა-
სალით, ეს ფუნქცია ბაღსხემო სვანეთში, ლენჩაშში აღ-
მართულ წმიდა გიორგის ეკლესიას ეკისრებოდა. ჯგირაბ
ლენჩაშ-ში ყველა ღოცვასა და მიძღვნა-შეწირულებაში იხ-
სენიებოდა. ქვემო სვანეთში ხშირად იხსენიებდნენ ბავა-
რის წმიდა გიორგის საყდარს (რობაქიძე 1951: 26).

ალექსი რობაქიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართუ-
ლი მონადირეობის ტარდიციების შესწავლის საქმეში,
მართალია, მან კონკრეტულად გურიისა და რაჭის მონა-
დირეობის ფორმები შეისწავლა, მაგრამ გაანალიზა სვა-
ნეთის ეთნოგრაფიულ მასალაც და გამოთქვა ფრიად სა-
ყურადღებო მოსაზრებები (რობაქიძე 1941; რობაქიძე 1949).

ალექსი რობაქიძეს შესწავლილი აქვს ქართული
ხალხური ცოდნა ფიზიკური აღზრდის თაობაზე (თამაშო-
ბანი და ვარჯიშობანი) და განიხილავს სვანურ გამოცდი-
ლებასაც (რობაქიძე 1955-ა).

ალექსი რობაქიძეს, როგორც კავკასიოლოგს, აქვს
სიღრმისეული ნაშრომები ბალყარელთა ტრადიციული
ყოფის, დასახლების ტიპისა და სამეურნო ყოფის შესახებ
და ეს მასალა შედარებული არის სვანეთის ტრადიციულ
ყოფასთან (რობაქიძე 1960; რობაქიძე 1963, რობაქიძე 1964).

ამავე დროს, ალექსი რობაქიძემ დიდი ამაგი დასდო
დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის სახელის უკვდავყოფას, მი-
სი სტატიების შეკრებისა და მონოგრაფიად გამოცემის
საქმეს. ალექსი რობაქიძე არის რედაქტორი და წინასიტ-
ყვაობის ავტორი ბესარიონ ნიჟარაძის ორტომეულისა „ის-
ტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ (ნიჟარაძე 1962; ნი-
ჟარაძე 1964).

ბუნებრივია, ალექსი რობაქიძის სამეცნიერო მემკვიდ-
რეობა დღესაც აქტუალურია და მნიშვნელოვანი. ამაგდარ-
ი მეცნიერის სახელი და მის მიერ დაუნჯებული ეთნოგ-
რაფიული მემკვიდრეობა მონაცემთა მდიდარი ბაზაა ქა-

როული ტრადიციული კულტურით დიანტერესებული მკვლევარებისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

სალომე ბახია-ოქრუაშვილი 2007 – ალექსი რობაქიძე – 100 – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, X, თბ., 2007.

თოფჩიშვილი, 2007 – რედაქტორისგან, – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, X, თბ., 2007.

ნიჟარაძე 1962 – ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ., I, თბ., 1962.

ნიჟარაძე 1964 – ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ., II, თბ., 1964.

რობაქიძე 1960 – ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმები ბალყარეთში, I, დასახლების ტოპოგრაფია, – კრებული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის“, ტომი, XI, თბ., 1960.

რობაქიძე 1963 – ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმები ბალყარეთში, II, დასახლების მორფოლოგია, – კრებული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის“, ტომი XII–XIII, თბ., 1963.

რობაქიძე 1964 – ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, – კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტომი I, თბ., 1964.

რობაქიძე 1941 – ალ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბ., 1941.

რობაქიძე 1951 – ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, მსე, V, თბ., 1951.

რობაქიძე 1953 – ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა კახეთში, მსე, VI, თბ., 1953.

რობაქიძე 1955-ბ – ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა სვანეთში, მსე, VII, თბ., 1955.

რობაქიძე 1960 – ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960.

რობაქიძე 1949 – აღ. რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, მიმომხილველი, I, თბ., 1949.

რობაქიძე 1980 – აღ. რობაქიძე, ბ. გამყრელიძე, სვანეთში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თავისებურებათა საკითხისათვის, – მაცნე, №1, თბ., 1977.

რობაქიძე 1977 – აღ. რობაქიძე, სვანეთი ძველად და ახლა, რეცენზია „სვანეთი“-ს I და II ნაკვეთის გამოქვეყნების გამო, – მაცნე, №1, თბ., 1980.

რობაქიძე 1962 – აღ. რობაქიძე, სვანური ქალაქოლ-ის საკითხისათვის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №3, თბ., 1962.

რობაქიძე 1955-ა – აღ. რობაქიძე, ქართული ხალხური სპორტის შესახებ, თბ., 1955.

ხარაძე, რობაქიძე, 1964 – რ. ხარაძე, აღ., რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.

ხარაძე, რობაქიძე 1966 – რ. ხარაძე, აღ., რობაქიძე, სვანური „ლამტყვიარის“ მნიშვნელობის საკითხისათვის“ – კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

Робакидзе 1990 – А. Робакидзе, Основные черты хозяйственного быта сванов, Тб. 1990.

В. Шамиладзе, Н.Мгеладзе, А. И. Робакидзе и грузинское кавказоведение (к 100-летию со дня рождения), «Археология, этнология, фолклористика Кавказа (новейшие археологические и этнографические исследования на Кавказе)», Махачкала, 2007.

როლანდ თოფჩიშვილი

ილია ჭავჭავაძე და ეთნოლოგია

XIX საუკუნეში ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის წინაშე დადგა. სწორედ ამ დროს ქვეყანას მოეკლინა ილია ჭავჭავაძე. მინავლებული ეროვნული ცნობიერების აღსადგენად საჭირო იყო ბრძოლა და ამ ბრძოლას, ოღონდ კალმით, სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის მოქმედების არეალი მხოლოდ მწერლობა არ იყო. ის თავისი პუბლიცისტური წერილებით ერის კონსოლიდაციის, ქართული ეთნიკური ცნობიერების აღდგენისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების გამომზეურება-შესწავლას.

1887 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს საპროგრამო წერილს „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ამ წერილით ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ეთნოგრაფიული/ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებას, რითაც მოუწოდებდა თანამემამულეებს შეეკრიბათ ხალხში შემორჩენილი საუნჯე. ასეთი მონაცემები კი მწერლის აზრით, დიდ გავლენას მოახდენს „ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ“ (ჭავჭავაძე 1987: 162). ილია შეაგონებს თანამემამულეებს, რომ კარგია ხალხური პოეტური ნაწარმოებების შეკრება და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ „სხვა საგნები-კი ხალხის ნაწარმოებებისა“, რომელიც „სრულიად დავიწყებული გვაქვს“. პირველ რიგში ის ხალხის ეკონომიკური და იურდიული ურთიერთობების ამსახველი მონაცემების შეკრებას გულისხმობდა: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს – რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიკურ და იურდიულ ურთიერთობების შესახებ. ეს ხფერა

ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვიანებებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთის დამოკიდებულებაზედ და სხვა“ (ჭავჭავაძე 1987: 163). ილიას სიყვების ინტერპრეტირებას სჯობს ისევ ამონარიდი მოვიყვანოთ: „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრებას ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერსა სტოვებენ“ (ჭავჭავაძე 1987: 163). დიას, ილიამ იცოდა, რომ ხალხის მიერ შექმნილ ტრადიციებს, ეთნიკურ კულტურას მოწინავე ხალხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რადგან ამგვარ შეკრებასა და კვლევას „მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმის წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ – რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ (ჭავჭავაძე 1987: 163). ილია მოუწოდებდა „ნასწავლ საზოგადოებას“ პროგრამა შეედგინა ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ საისტორიო წყაროებში დადასტურებული მთელი რიგი მოვლენების აღდგენა ეთნოგრაფიული ფაქტების საშუალებით უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებით კი ხალხში შემონახული იმ ტრადიციების საშუალებით, რომელიც სამეურნეო-ეკონომიკურ, სოციალურ და სარწმუნოებრივ საკითხებს ეხებოდა („ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებით ნაწარმოები უნდა შეეკრიბოთ“). ამის შესახებ გიორგი ჩიტაიაც აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძე აღიარებდა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლად საქართველოს ისტორია ვერ დაიწერებოდა, ის ამ მასალის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ მეფეების ისტორია იქნებოდა. ამიტომ ის მოითხოვდა ეთნოგრაფიული მასალე-

ბის შვეროვებას. საგულისხმოა, რომ თვით ილია „მეზაურის წერილებიდან“ დაწყებული, ეთნოგრაფიულ მასალას გულმოდგინედ აგროვებდა... ამით აიხსნება, რომ ილია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალის შვეროვებას და ამიტომ იყო, რომ მან შექმნა შესანიშნავი კადრი ეთნოგრაფიული მასალის შემგროვებლებისა, რომელთა მიერ შეკრებილ მასალებს სისტემატურად ივერიაში კბეჭდავდა (ჩიტაია 1940: X)“.

მაღევე ილია ჭავჭავაძემ თავად გამოძებნა ის განათლებული ადამიანები, რომლებსაც დაავალა საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ეთნოგრაფიული მასალების შეკრება. ესენი იყვნენ: ვაჟაფშაველა, (წერდა შესანიშნავ წერილებს ფშავისა და ხევსურეთის შესახებ), ნიკო ხიზანიშვილი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ), ალექსანდრე ყაზბეგი (მოხევეების ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ ნარკვევენს), ნიკოლოზ აბაზაძე (შემოგვინახა ეთნოგრაფიული რეალიები ქართლის შესახებ). საინგილოს შესახებ მასალებს კრებდნენ დიმიტრი და მოსე ჯანაშიელები, კახეთში – ზაქარია გულისაშვილი, სამცხე-ჯავახეთში – ივანე გვარამაძე, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში – თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, სვანეთში – ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში ეთნოლოგიური კვლევის ორგანიზატორი გახლდათ. ფაქტობრივად ცოტა მოგვიანებით საპროგრამო დოკუმენტში მოცემული მითითებების რეალიზება მოუხდა ივანე ჯავახიშვილს, რომელიც საქართველოს ისტორიის გაბმული თხრობის გადმოცემისას ხშირად იყენებდა ხალხში გაბნეულ მარგალიტებს (წესჩვეულებებს). მანვე ილიას ანდერძის სრული რეალიზება მოახდინა, როდესაც 1930-იან წლებში მთელ საქართველოში პროგრამითა და კითხვარით შეიარაღებული ახალგაზრდა მკვლევარები დააგზავნა, რითაც ქვეყანას გადაურჩინეს სამეურნეო ყოფის, შინამრეწველობის და ეკონო-

მიკის ამსახველი და გაქრობის პირას მისული უნიკალური ტრადიციები.

ეთნოლოგიის სფეროში ილიას ცოდნა იმდროინდელ მეცნიერულ ცოდნას ემყარებოდა (მორგანი, ტეილორი, სპენსერი, ლებოკი...), კარგად ფლობდა მაშინდელ ეთნოლოგიაში დამკვიდრებულ ევოლუციონიზმის პრინციპებს და ისტორიულ-შედარებით მეთოდს. შემთხვევითი არ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების ნამდვილი წევრი გახლდათ. ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძეს ეთნოლოგიური მეცნიერების ცოდნა პეტერბურგში სწავლის პერიოდში აქონდა მიღებული და იქ აქონდა მას შესწავლილი ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი. ამ მეთოდს კი ის ხშირად იყენებდა თავის პუბლიცისტურ თუ საპოლემიკო წერილებში. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების განხილვისას მოიხმობდა მონაცემებს სხვა ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფიდან. უდავოდ ტეილორის გავლენის შედეგი იყო, როდესაც ილია ამა თუ იმ მოვლენის კომპლექსურ შესწავლას მოითხოვდა: „რამდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურ ნაშთსა და კვალს, იმდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადღეუ შედეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ ამჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი – სულ უდიდესს – პროგრესსა“ (ჭავჭავაძე 1987: 57). აშკარაა, რომ ქართველ მოღვაწეს ზედმიწევნით კარგად აქონდა შესწავლილი ევოლუციონიზმის პრინციპები.

ილიასათვის უმთავარესი ეროვნული ცნობიერების აღორძინება იყო, ამიტომაც ის ერის ცნების საკითხს დასტრიალებდა. ამ მიზნით თარგმნა და „ივერიაში“ გამოაქვეყნა ფრანგი მეცნიერის *ერნესტ რენანის* ნაშრომი – „რა არის ერი“. ერის ცნებასთანაა დაკავშირებული მისი

ცნობილი ფრაზა – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – რაც იმდროინდელ მეცნიერებაში ერის ნიშნების – ტერიტორია, ენა, კულტურა – პერეფრაზირება იყო. რა თქმა უნდა, ერს ქმნის საერთო ტერიტორია (მამული), ენა (სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა) და კულტურა (რომელიც საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ნიადაგზე იყო შექმნილი). ქრისტიანობასთან რომ იყო დაკავშირებული ქართველი ერის განმტკიცება, ამის შესახებ ილია გარკვევით და სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა და ხალხის ბრძოლაც მის დასაცავად მეტწილად ამით იყო განპირობებული: *„ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს სვენის ისტორიის დასაბამიდან სასურველი ერთობა დაეღვინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისთვის უფროხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა“* (ჭავჭავაძე 1987: 56). ილია სრულიად მართალი იყო, რადგან ის ქართულ წყაროებს სათანადოდ ფლობდა და მის ანალიზსაც შესანიშნავად ახდენდა. ილიამ კარგად იცის, რომ შუა საუკუნეებში, და უფრო ადრეც, ხალხის კულტურა რელიგიას ეფუძნებოდა. საამისოდ მას ძველი ბერძნების მაგალითი მოჰყავდა: *„განა ძველმა სარწმუნოებამ ძველის ბერძნებისას არ შეჰქმნა იგი მათი ხელოვნება, რომელიც დღესაც ქვეყანას აკვირებს და სახელს ბერძნისას პფენს მთელს ქვეყნიერებაზედ?“* (ჭავჭავაძე 1987: 57).

მაგრამ, როცა საკითხი დადგა მუსლიმი ქართველების ეთნიკური ცნობიერების შესახებ, მათი ქართულ ეთნიკურ სამყაროში დაბრუნების შესახებ, მისთვის სარწმუნოება უკვე აღარ იყო მთავარი. ერთ-ერთ წერილში ილია ერის უმთავარეს ნიშნად კი უკვე ისტორიის მახსოვრობას ასახელებს: *„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს... არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა*

და გვარტომობისა ისე არ შემსჭვალავს ხოლმე ადამიანთ ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთი ღვაწლისა დამდები, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია“. „ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი მკვიდრად დაუვიწყრია“; „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსუღგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეთ არის, საცა ერი ერობს“ (ჭავჭავაძე 1986: 167, 168). დიახ, ილია თანამედროვე მეცნიერების დონეზე იდგა. ზემოთ ერნესტ რენანის ნაშრომი – „რა არის ერი“ – ვახსენეთ. ილიასათვის ფრანგი მეცნიერის დებულებები ქართველი ერის დადგინებისათვის მყარი არგუმენტი იყო. მართალია, ენა, წარმომავლობა და საერთო რელიგია ერის ნიშნებია, მაგრამ მთავარი მაინც საერთო ისტორიაა. დიახ, ქართველ ერს საერთო სალიტერატურო, საღვთისმეტყველო და სახელმწიფო ენა ჰქონდა და აქვს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ქართველთა ზოგიერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს (მეგრელები, სვანები) სალიტერატურო ენისაგან ერთგვარად დაშორებული მეტყველება გააჩნია. აგრეთვე ქართველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გვიან შუა საუკუნეებში სხვა რელიგია-კონფესიები მიიღო. მაგრამ ილია ჭავჭავაძე მეცნიერულ არგუმენტებს ეყრდნობა – მთავარია ერს შენარჩუნებული ჰქონდეს ისტორიის მახსოვრობა; მეგრელებისა და სვანებისაც, ქართველ მაჰადიანთა, ქართველ გრიგორიანელთა, ქართველ კათოლიკეთა წინაპრებს საერთო ისტორია, ამ ისტორიაში საერთო კულტურა ჰქონდათ შექმნილი. სხვათა შორის, ერნესტ რენანი როდესაც ერის განმარტებას აყალიბებდა და ისტორიულ მეხსიერებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, პირველ ყოვლისა, ფრანგულ სინამდვილეს უწევდა ანგარიშს: საფრანგეთის სახელმწიფოშიც ფრანგულენოვანი მოსახლეობასთან ერთად ხომ არაფრანგულენოვანი მოსახლეობაც (პროვანსალები, ბრეტონელები, კორსიკელები...) ცხოვრობდნენ, რომლებიც ფრანგებთან ერთად ქმნიდნენ საფრანგეთის ისტორიასა და ერთიან ფრანგულ კულტურას.

ილია ჭავჭავაძეს სრულყოფილი ცოდნა ჰქონდა იმდროინდელ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში პირველყოფილი რელიგიების, რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ის ქრისტიანობამდე ქართველთა „ღმერთების“ შესახებ საუბრობს. ბუნებრივია, ეს ცოდნა „ქართლის ცხოვრების“ გამოწველილი შესწავლით ჰქონდა ჩამოყალიბებული. ასახელებდა რა არმაზს, გაცხა და გაიმს წერდა, რომ „*ჩვენის ღმერთების პანთეონში ბევრი სხვა ღმერთებიც მოიპოვებიან, მაგალითებრ „ბოჩი“: ... „ამას გარდა, ჯერ კიდევ მამასახლისობის დროს, ყოფილა კერპი „ზადენი“, „აინინა“, „დანინა“* (ჭავჭავაძე 1987: 100-101). ქართველი მოღვაწე იქვე აღნიშნავდა, რომ ჩამოთვლილ ღვთაებათა ფუნქციები გაურკვეველია: „*არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, – თვითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენდნენ*“ (ჭავჭავაძე 1987: 101). იქვე იმასაც აღნიშნავს კერპთთაყვანისმცემლობა თავდაპირველი რელიგია არ იყო ქართველებისა, და, რომ უფრო ადრე, ისინი მნათობებს ეთაყვანებოდნენ: ქრისტეს შობამდე მეცხრე საუკუნიდან „*მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპთმსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე. ჩვენ ლეგბოკი ვიმოწმეთ, რომ კერპთმსახურება ძალიან შორს გაცილებულია პირველდაწყებით სარწმუნოებისაგან და წარმოადგენს უფრო უმაღლესს ხარისხს რჯულის განვითარებისას და წარმატებისას, ვიდრე მნათობთა მსახურება და თაყვანისცემა*“ (ჭავჭავაძე 1987: 104).

ილია წუხდა იმის შესახებ, რომ ქართვეობა სხვადასხვა რელიგია-კონფესიების გავრცელებამ გათიშა და რომ „*შავით მოხილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანუელნი და ერთად მოლხინენი*“. მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ „*სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, რადგან ქართველმა ... იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე*

სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ხევენ შორის მცხოვრებნი, ამაში ხევენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ“ (ჭავჭავაძე 1987: 11). ასე რომ, ილა ჭავჭავაძეს ქართველთა ტოლერანტული და შემწყნარებლური ხასიათიც არ დარჩენია ეურადღების მიღმა.

ილია ჭავჭავაძისათვის, როდესაც ქართველთა შემწყნარებლობაზე საუბრობს, სამაგალითო დავით აღმაშენებელია. ამ შემთხვევაში მწერალი არა ქართულ, არამედ უცხოურ (სომხურ და არაბულ) წყაროებს ეყრდნობა: „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ხევენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოველად შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვრული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“ (ჭავჭავაძე 1987: 154-155). ილიას მოჰყავს სომეხი მემატრიანეების – მათე ედესელისა და ვარდან დიდის სიტყვები დავით აღმაშენებლის შესახებ, მაგრამ აქ უპრიანია მის მიერ მოხმობილი მუსლიმი მწერლის ალ-აინის სიტყვებს მოვუხმოთ: „დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავისი შეილის დიმიტრიოურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავარესს მენეთში, ისმენდა სამეფო ღოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუადინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც უღუფას უნიშნავდა. ... დავითი

უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“ (ჭავჭავაძე 1987: 155-156).

ქვეყნის წინსვლისათვის ილიას აუცილებლად მიაჩნდა პროგრესული იდეების დანერგვა, თუმცა მოითხოვდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციებისათვის ანგარიშის გაწევას, მათ დაცვას, რადგან ქართველმა ხალხმა ისინი ბუნებრივ-გეოგრაფიული და ლანშაფტური ფაქტორების გათვალისწინებით, „გონებით“ შექმნა.

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გადარჩენის პრობლემასაც შეეხო. ამ საკითხის გადასაწყვეტად კი მისთვის მთავარი იყო ეკონომიკიუო წყობის, მიწათმოქმედების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის კვლევა (გუთნისა და ხმლის ერთობლიობა), რაშიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტებს გულისხმობდა. ამიტომაც მისი ხელდასხმით საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დაგზავნილ სწავლულებს სწორედ აღნიშნული მოვლენის აღნუსხვა ევალებოდათ.

XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებას ბრძოლა უხდებოდა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ერთიანი ქართული ეთნიკური ერთეულის დაშლა-დაქუცმაცებას, როდესაც ქართველთა ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს არაქართველებად აცხადებდა. ილია, როგორც ყოველთვის, აქაც პირველი იყო. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა 1877 წელს დაწერილი მისი წერილი „ვიცინოთ თუ ვიტროთ“. წერილში საუბარია იმაზე, რომ გორის საოსტატო სემინარიაში ორმოცდაათი მოსწავლე შესულა, რომელთა შორისაც ოცდაათობმეტი ქართველი იყო და დანარჩენი – სხვა. ქართველთა რაოდენობა კი ცამეტამდე დაუყვანიათ იმით, რომ ქართველთა ერთი ნაწილი არაქართველებად გამოუცხადებიათ: სემინარიის „დირექტორს მოუწვევია საშველად მეცნიერება, გამოუძებნია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანი ექსნი, ქართველები ცამეტი,

იმერლები თორმეტი, სომხები ექვსი, კოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდინი ერთი, სერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამგვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი – ქართველებად არ უცვნიან გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი, – რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ... იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი, რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ, ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივლო. ის არ სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“ (ჭავჭავაძე 1987: 229-230). ასე იბრძოდა, ილია ჭავჭავაძე ქართული ეთნიკური ერთობის ერთობისათვის, ერის კონსოლიდაციისათვის, იმ დროს, როდესაც იმპერიის ხელისუფლება მისი დეზინტეგრაციისათვის ძალებს არ ზოგავდა.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, მწერალი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ისეთ საკითხებსაც კი ეხება, როგორიცაა წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები, რომელიც მაგიის სფეროს განეკუთვნება. კონკრეტულად საუბარია ქართველთა მიერ მოჭრილი ფრჩხილისა და თმის გადამალვის ან დაწვის წესთან. ილია ამ შემთხვევაშიც ფრიად წარმატებით იყენებს ისტორიულ-შედარებით მეთოდს და აღნიშნავს, რომ ასეთი ტრადიცია დამახასიათებელი იყო პირველყოფილი ხალხებისათვის (ავსტრალიელებისათვის, პოლინეზიელებისა და გვინეელებისათვის), აგრეთვე სპარსელებისა და ევროპელებისათვის. რა თქმა უნდა, ავტორი ეყრდნობა იმ დროისათვის ცნობილ ეთნოლოგ-ანთროპოლოგებს. ასევე ქრისტიანობამდელ დროს უკავშირებს მწერალი, ისეთ ჩვეულებას, როგორიცაა შესანდობარის დროს ღვინის მიწახე გადაქცევა და პურზე დაწვეთება. ანალოგიური წესი მქონიათ არაუკანელებს. საამისოდ კი სმიტსა და სპენსერს იმოწმებს, რის შემდეგაც წერს: „განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზე ღვინოს თავს გადაუქცევთ და ხან პურზედ

დავაწვეთ, ხან მიწაზედ, იმისდა მიხედვით, ვდგევართ, თუ ესხედვართ, და პური ხელთა გვაქვს თუ არა სმის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავიდაძვე მომდინარეობს“ (ჭავჭავაძე 1987: 112).

ილიას მსხვერპლთშეწირვის ტრადიციაც არ გამოჩნდა, რისთვისაც იმომწებს ისეთ მეცნიერს, როგორცაა ლებოკი. მეცნიერის ნააზრევის ანალიზის შემდეგ, ის ასკენის, რომ ის ყველა ხალხისათვის იყო დამახასიათებელი. ეყრდნობა რა ტეილორს, მკითხველს აუწყებს, რომ „ევროპაში, მას აქეთ რაკი გადაეარდა ცოლებისა და მოსამსახურეების თან გადაეყოლება, ცხენის დაკვლა მიცვალებულის საფლავზედ და მიცვალებულთან ერთად მისი დამარხვა კიდევ დიდხანს იყო ჩვეულებადო. ამისი მაგალითი ყოფილა ჯერ კიდევ 1781 წელს ინგლისში და ბევრგან სხვაგანაც. დღესაც მიცვალებულს უკან მიაყოლებენ ხოლმე ცხენსა. ეს ჩვეულება ჩვენშიც არის დღეს: ამ შემთხვევისათვის ცხენს უკუღმა შეჰკაზმავენ, ვითომდა მიცვალებულის უკან მოსაბრუნებლად“ (ჭავჭავაძე 1987: 115). ერის უარყოფით თვისებებზე დალაღებდა მწერალი წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ და ძველქართველთა დაღებითი თვისებების გახსენებით თანამედროვეებს ოპტიმიზმს უნერგავდა, გამოღვიძებისაკენ, ცოდნის მიღებისა და ხელებდაკაპიწებული შრომისაკენ მოუწოდებდა.

ილია ჭავჭავაძე წერილში „ერი და ისტორია“ გაკვრით ქართველი ერის ხასიათსაც შეეხო და მისი უარყოფითი ნიშნების თქმასაც არ მოერიდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოურია ისტორიულის ცხოვრებით, ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო დამყარებული მერმისის ამოსაგებად“. გადარსენის ერთ-ერთ ფაქტორად მას საძირკველში ჩადებული მაგარი ქვა მიაჩნდა. „ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“ (ჭავჭავაძე 1987:

116). უფრო დაწვრილებით ქართველი ერის ხასიათზე 1886 წელს დაწერილ სხვა პუბლიკაციაში საუბრობს: „ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გამოიკველიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყენოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგ არია ეს ხასიათი, თითქო ათას-ფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა, ხელგაშლილი, გულახდილი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გეძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით, რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობის მორჩილებით ვნებდებით მის მომხიბლავ ძალას...

ერთის მხრივ ესეა, მეორეს მხრით... ზოგიერთის გრძნობა გარეშე მეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია მღერივ და ხავსით მოსილ ტბას, რომლის ადიდება და აგორება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც ვინდა მრისხანე ცხოვრების გრივალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ქარ-ტეხილსა... ამ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი – მცხედარს ჰგავს, სულგანაბულად მდებარეს, რომელსაც თითქო არც ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არემარეზე...

ამ-გვარი სამარეებური უგრძნობლობა. – თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთაებლო ფულის ფლანგეას, სმას და ქეიფს, არამედ „იმ-თავმომაბეზრებელს“ საგანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან“ (ჭავჭავაძე 1987: 262). იღია ჭავჭავაძეს ზუსტი დიაგნოზი აქვს თავისი ერისათვის დასმული. ეს ხასიათი (ორბუნებოვანება) ქართველთა მთელ ხანგრძლივ

ისტორიას გასდევდა და დღესაც დაღს ასვამს მას და განვითარებასა და წინსვლაში უშლის ხელს.

ილია ჭავჭავაძის ყურადღების მიღმა ქართველი კაცის შემოქმედების თითქმის არცერთი სფერო არ რჩებოდა, მათ შორის, ქართული ხალხური მუსიკაც, რასაც 1886 წელს სპეციალური წერილი უძღვნა. მან მისი რაობის საკითხი დააყენა და ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ხალხს, ისევე როგორც ენა, მუსიკაც თავისი საკუთარი, ორიგინალური აქვს: „*სიმღერა გულის-თქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არ ჰგავს... ამის გამო, გულის-თქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის*“ (ჭავჭავაძე 1986: 133). ახდენს ქართული ხალხური სიმღერების კლასიფიკაციას, გამოყოფს სამხიარულო და სამგლოვიარო, საქორწილო და საგმირორო სიმღერებს: „*სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინ მოდის, როცა გულს მწუხრება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა. სვენებური „ზარი“; ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან დაძმასავით შესისხლხორცებული, იგივე სიმღერაა სვედა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებზე „მაყრული“ – სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც „ორ-პირი“ – ვაეკაცობისა, მეღვრობისა და მხნეობისა*“ (ჭავჭავაძე 1986: 132). ილია კითხვას სვამს: „*რომელს ეკუთვნის ქართული ხალხური სიმღერა – ევროპულს თუ აზიურს?* და, პასუხობს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს „*ისტორია უფრო აზიის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო უკანასკნელ საუკუნემდე*“, ის მაინც დამოუკიდებელია, არც ევროპულია და არც აზიური, მან განვითარების თავისი გზა გაიარა: „*ქართული სიმღერა ხომ ევროპილს სრულებით არ ჰგავს, ჰგავს კი აზიურს?*“ ... *ეს საერო სიმღერა თვით-ნაჩენია თავით, თავისით-მყოფია*“. „*სპარსელს ჩვენი ბანით სათქმელი სიმღერა სულ არ მოსწონს, იმიტომ რომ არ ესმის. რომ ესმოდეს, ეგ იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ძირი ან ფერი ერთი აქვთ აქაურს და იმათ სიმღერებს. ან თუნდაც აზიის სხვა ერი აიღეთ, – განა*

აქაური სიმღერები ჰკვანან რომელსამე ერის სიმღერას აზიაში?“ (ჭავჭავაძე 1986: 135). ილია დასახელებულ წერილში არაერთხელ უსვამს ხაზს ქართული სიმღერების „თვით-ნაჩვენობასა და თვით-მყოფობაზე“. მართალია ილია ჭავჭავაძე წერდა ქართველთა წარსულზე, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც ქვეყნის მომავალი, ქართველი ხალხის გადარჩენის საკითხი იყო. ეს პრობლემა, რომელიც ილიას დროს აქტუალური იყო, დღესაც აქტუალურია. ამ საკითხს მიუძღვნა მან საყოველთაოდ ცნობილი პუბლიკაცია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ თითქოს დღევანდელ ქართველებს მიმართავს: „ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, პავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეუთა-მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ. ვართ-კი ასეთნი?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (ჭავჭავაძე 1986: 174). დიას, წარსულში თუ ვაჟკაცობამ, ხმაღმა გვიხსნა, რომელსაც ქართველები თავად ჭედავდნენ, ილია თანამემამულეებს მოუწოდებს, რომ „წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულობა მანქანისა. ეხლა ... ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი პღვაროს“ (ჭავჭავაძე 1986: 176). იქვე მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ „ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან გაგვატანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ლა გაუძღვებ, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დაუყუენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის

მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ეს ყოველივე ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" (ჭავჭავაძე 1986: 176).

შეიძლება ვინმემ კითხვა დაგვისვას: რა კავშირშია ყოველივე ზემოთ თქმული ეთნოლოგიასთან? – ნამდვილად კავშირშია, რადგან ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ერის გადარჩენის პრობლემა; აგრეთვე: ეთნოლოგია მხოლოდ წარსულში შექმნილი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემსწავლელი მეცნიერება არაა. ის თანამედროვეობასაც სწავლობს, ძველსა და ახალ ყოფას მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავს.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოვლენა რომ იყო საქართველოს ისტორიაში, ეს იმითაც დასტურდება, რომ მისი ნააზრევი თანამედროვეობასაც ეხმიანება. ამიტომ რადგანაც ეთნოლოგიას არა მხოლოდ ხალხის წარწული ყოფა და კულტურა აინტერესებს, არამედ დღევანდელობაც, კიდევ ერთ საკითხს შეეეხებით. ცნობილია, რომ ქართველთა დიდმა ნაწილმა თანამედროვე საქართველოში ასპარეზი ვერ ნახა, ისინი სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად უცხო ქვეყნებში იხიზნებიან, ჩვენი კი უცხო ქვეყნის მკვიდრნი მოდიან. ამ პრობლემაზე განათლებული და გაუნათლებული ადამიანებიც კი ბევრს მსჯელობენ, ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქვეყანაში სიღარიბეა. ახლა ილია ჭავჭავაძის მიერ 1889 წელს დაწერილი წერილიდან „ისევ განათლების შესახებ“ მოვიყვანოთ ამონარიდი: „საკვირველია! თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, კშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა მიწაცა გვაქვს, მამულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვეყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს, ჩვენ საკუთარ სუფრაზედ სხვანი ძღვებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის-კი ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა“ სოფე-

ლი არ აშენდება“ (ჭავჭავაძე 1986: 269). ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებელ წამლად კი ილიას უცოდინრობა და გაუნათლებლობა მიაჩნდა: „ჩვენი უცოდინრობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც კვლარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გეჯობნიან, ყველგან იგინი გეასწრებენ, გამოსარჩენ საქმეს ხელიდამ გეაცლიან. რას იზამთ? – სხვა ვერაფერი გეიხსნის სიღარიბისაგან, თუ არა ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ეჩიოდეთ უცოდინარობას, უეიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურებისა ეგ უეიცობა, ეგ ცოდნის უქონლობა“ (ჭავჭავაძე 1987: 270). დღესაც ქართველები ბეწვის ხიდზე გავდივართ, რადგან თანამედროვეთა ყველაზე დიდი პრობლემა გაუნათლებლობაა, რაშიც უწინდელ ქართველებსავე მთლად ვერ დავადანაშაულებთ – დღეს პრობლემა ხელისუფალთა მიერ განათლების ოპტიმალური ვარიანტის მიუგნებლობაა.

ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებას აშკარად ეტყობა, რომ მან კარგად იცოდა ქართველი გლეხების ყოფა და კულტურა. ცნობილია, რომ ის მუდმივად ხალხში, გლეხებს შორის ტრიალებდა. მოხევეების ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნითი ცოდნა ჩანს „მგზავრის წერილებში“. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ი. ჭავჭავაძემ მკითხველს გააცნო ხევის სამეურნეო პირობები, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, მათი საქმიანობა, ისტორიული ხასიათის გადმოცემები და მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ქართველ თუ რუს ან უცხოელ დამკვირვებელს, რომელსაც ასე ზუსტად და შეუფერადებლად დაეხატოს ხევის იმდროინდელი სურათი მისი ეთნოგრაფიული თავისებურებებითა და ისტორიული ეტიუდებით. სამაგალითოდ იკმარებდა დაკვირვებები გერგეტის სამების (XIII-XIV სს.), მის ერთ მხარეზე მიშენებული სათემო

საბჭოსა და არშის ციხის შესახებ. ამ თვალსაზრისით ასევე შთაბეჭედავი სურათია ასახული პოემა „განდევილში“, რომლის წყაროდ გამოყენებულია ხევში გაგონილი ლექსები გამოქვამულ ბეთლემის შესახებ“ (ოთონიშვილი 1989: 97-98).

„მგზავრის წერილებში“ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მოხვევთა ყოფაში XIX საუკუნიდან წარმოქმნილ ახალ საქმიანობას, როგორც იყო ქირაზე სამუშაოდ სიარული. მწერალი მოხვევ ლელთ ღუნიას პირით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ საუბრობს, რომ საქართველოს მთისა და ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ მთა და ბარი უერთმანეთოდ არ ვარგოდნენ, „ორივენი ერთადა, უერთ-ერთოდ ქვეყანაი გონჯაა“. ილიას შემოქმედებაში ამ ფაქტს ჯერ კიდევ ადრე მიექცა ყურადღება ქართულ ეთნოლოგიაში (შამილაძე, მიმინოშვილი 2009: 254).

ილიას ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა: „ილიას საკმაოდ ხანგრძლივ ყოფნას ხალხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შემოქმედებისათვის. ხალხში, სოფლად ცხოვრება, დაკვირვება და შესწავლა მისი აუკარგისა, შთაბეჭედილებანი ბუნებისა, არავისა და თერგის ხეობისა, უმნიშვნელოდ არ დარჩა ილიას შემოქმედებისათვის. მწერლის შემოქმედება მუდამ რეალურ ცხოვრებაზეა დამყარებული“ (ყიფშიძე 1987: 61).

ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ქართველი ერის ძირითად სამეურნეო საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა, სომხებივით ვაჭრობისათვის რომ მიემართათ, ეს გამოიწვევდა მათ დაქსაქსვას და ეროვნული კონსოლიდაცია შეუძლებელი იქნებოდა – „მარტო ვაჭრობაზე მიქცეული ერი დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული“ და რომ ქართველები სწორედ მიწაზე მიჯაჭვეულობამ გადაარჩინა; ის ხალხები კი რომელიც მხოლოდ ხმაღზე იყვნენ დაყრდნობილი გაქრნენ. საამისოდ კი მონღოლებისა და სხვების მაგალითები მოჰყავს

(შამილაძე, მიმინოშვილი 2009: 255). მწერალი განსაკუთრებით აფასებდა ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციას და ევროპულ წესთან შედარებით მას უპირატესობას ანიჭებდა.

ილიას ერთი საინტერესო ტრადიცია აქვს დადასტურებული, კერძოდ, საქმე ეხება ურმების ქარავანს (მაგალითად, ურმების ქარავნებით მიდიოდნენ ქართველები აღზევანში მარილის მოსატანად). მეურმე-მექარავნები პირველ ურემზე მამალს სვამდნენ, რომელიც საათის ფუნქციას ასრულებდა, მისი ყვილი გათენების მომასწავებელი იყო. წინა ურმის მეურმეობას კარგი ხარ-კამენის პატრონს ანდობდნენ.

XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს მხედველობის არედან არ გამორჩენია ქართველ გლეხთა კატეგორიები და განსაკუთრებით ხიზნობის ინსტიტუტი, რომელიც ფეოდალისა და თავისუფალი გლეხის ურთიერთობის გამომხატველი იყო. ხიზანი თავადის მამულზე იყო დასახლებული, მაგრამ ის მის ყმას არ წარმოადგენდა; ხიზანს შეეძლო თავისუფლად სხვაგან წასულიყო. ხიზანი უმეტეს შემთხვევაში მიგრანტი, შემოხიზნული იყო (ხიზნებს წარმოადგენდნენ შიდა ქართლის მთებში დასახლებული ოსები. ოსების ხიზნობა დადასტურებულია XIX საუკუნის რუსული აღწერის დაუთრებში). ილიას კალამი საქართველოში (განსაკუთრებით კახეთში) არსებულ სათემო მამულებსაც შეეხო. მას არც „საბლის მამულები“ გამორჩენია მხედველობის არედან. როდესაც სათემო მამულებზე საუბრობს ევროპული მაგალითებიც მოჰყავს შესადარებლად, განსაკუთრებით გერმანელთა და დანიელთა ცხოვრებიდან. როდესაც გერმანელებზე საუბრობს, ისტორიის სიღრმეში იხედება და *ტატიტს* იმოწმებს.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს ფაქტობრივად მხედველობის არედან არ გამორჩენია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეთნოლოგიის არცერთი საკითხი. რა თქმა უნდა, ყველა საკითხს ის ჩაღრმავებულად არ შეხებია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მოვლენებზე გარკვე-

ული კომენტარი, მეცნიერული ახსნა აქვს მოცემული. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ქართულ ეთნოლოგიაში გამოთქმულ თვალსაზრისს: „ილიას შეხედულებანი ხალხის ადათ-წესებსა და წვეულებებზე, ხალხური სამართლის ტრადიციულ ფორმებზე, მის ადგილსა და როლზე ცხოვრების ქართული წესის ფორმირების პროცესში ეპოქალური თეორიული კვლევა-ძიების დონეზეა წარმოჩენილი. ასევე მეცნიერული ანალიზის ფონზეა გააზრებული ილიას მსჯელობა ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფობის, ეთნოსისა და მისი სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნების ... შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილიას დაკვირვებები და დასკვნები ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხებზე“ (შამილაძე, მიმინოშვილი 2009: 267). თქმულს დავამატებთ, რომ ილია ჭავჭავაძის ყველა მსჯელობა ქართული ეთნოსის, მისი განვითარების, ქართველი გლეხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ეთნიკური/ხალხური კულტურის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ მომავალი საქართველოს შენების, ქართველი ერის კონსოლიდაციის სურვილით იყო განპირობებული.

დამოწმებული ლიტერატურა

- ითონიშვილი 1989 – ვ. ითონიშვილი. ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989.
- შამილაძე, მიმინოშვილი 2009 – ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 2009.
- ციფშიძე 1987 – გ. ციფშიძე. ილია ჭავჭავაძე. – წიგნი „ილია“, თბ., 1987.
- ჩიტაია 1940 – გ. ჩიტაია. წინასიტყვაობა ნიკო ხიზანიშვილის წიგნზე „ეთნოგრაფიული ნაწერები“, თბ., 1940.
- ჭავჭავაძე 1986 – ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი III, თბ., 1986.
- ჭავჭავაძე 1987 – ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, თბ., 1987.

Roland Topchishvili

Ilia Chavchavadze and Ethnology

In XIX century the Georgian nation faced the problem of to be or not to be. Just at that time Ilia Chavchavadze appeared. It became necessary to fight for revival of the dormant national consciousness. Ilia Chavchavadze headed this fight, but with his pen. Area of activities of the flag-bearer of the national-independence movement was not only literary work. With his publicist letters he served consolidation of the nation. Revealing and study of the traditions, habits and customs of people was of great importance in this respect. Ilia Chavchavadze's knowledge in the sphere of ethnology was based on the scientific knowledge of that period (Morgan, Taylor, Spencer, Lebok ...). He was well-acquainted with the principles of evolutionism established in the then ethnology and historical-comparative method. It was not by chance that Ilia Chavchavadze was the true member of the natural science, anthropology and ethnology lovers' imperial society at the Moscow University.

Ilia Chavchavadze considered that restoration of a whole number of events unconfirmed in the historical sources should be conducted by means of ethnographic facts, particularly, through those traditions preserved by people, which concerned people's household-economic, social and religious issues ("we should study people's life comprehensively and harmoniously; we should collect all their mental work").

Revival of the national consciousness was of the greatest importance, and that was why he studied deeply the issue of the nation's concept. With this aim in view he translated and published in "Iveria" the work of French scholar Ernst Renan "What is Nation?" His famous phrase – "Homeland, language, religion" is connected with the concept of nation, and was a paraphrase of the signs of nation, existing in the science of that period – territory, language, culture. The nation, of course, is formed by common territory (homeland), language (state, literary language) and culture (which was formed in Georgia on the Christian ground). But, when the issue

was put of return of Muslim Georgians into the Georgian ethnic world, for him religion was no longer main issue.

For advance of the country Ilia considered obligatory to introduce progressive ideas, though he demanded to take into account the traditions established for centuries, to protect these traditions, because the Georgian people formed them by considering the natural-geographical factors.

Ilia also tackled the problem of the Georgian nation's survival. Research of economic order, land cultivation, land ownership and land land use was for him the main thing for settlement of this problem (unity of plow and sword), in which he implied historical-ethnographic aspects. That was why with his support the scholars were sent to different historical-ethnographic parts to register just the mentioned events.

ახალი ხევის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება (XX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით)¹

ხევი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ყაზბეგის რაიონს ეკუთვნის, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ანანურის მაზრაში იყო მოქცეული, რაც მოგვიანებით დუშეთის მაზრად გადაკეთდა. 1929 წლიდან დუშეთის მაზრაში შეიქმნა სამი რაიონი: დუშეთის, მცხეთის და ყაზბეგის. ამდენად, 1930 წლიდან, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ყაზბეგი დამოუკიდებელ რაიონად ჩამოყალიბდა. ამჯერად საკვლევ საკითხს ყაზბეგის მოსახლეობის, იგივე ახალი ხევის სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა წარმოადგენს, სადაც მეგზურობას საარქივო მასალები გაგვიწევენ.

საქართველოში მაზრების რაიონებად ჩამოყალიბებამდე ადგილი ჰქონდა მაზრების, თემების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვალებადობა-გადაჯგუფებას, რაც შემდგომშიც არ შეწყვეტილა. ადმინისტრაციული ცვლილებები ნაკლებად შეეხო ყაზბეგის რაიონს, სადაც ყაზბეგის და კობის თემები გაერთიანდა. მანამდე, 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, თბილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრაში შემავალი ხევის მოსახლეობა, ქვემო და ზემო ხევის მოსახლეობად იყოფოდა. ქვემო ხევის 20 სათემო საბჭოში ძირითადად ქართველები მკვიდრობდნენ (3.763 მცხოვრები), ხოლო ოსებს მხოლოდ 85 ადამიანს ითვლიდნენ. ზემო ხევში პირიქით, 25 სასოფლო საბჭოში ოსები 3.855 მოსახლეს შეადგენდნენ, ხოლო ქართველები 724 ადამიანს (Тифлиская 1917: 476-480).

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ქართულ-ოსური თანაცხოვრების პერსპექტივა ყაზბეგის რაიონში“. ხელმძღვანელი დ. ჯანიაშილი.

ამრიგად, ყაზბეგის მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველი მოხევეები და ოსები. მხოლოდ სოფელ გველეთში მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ ქისტები. სოფლებში ჯუთასა და ართხმოში – ქართველი მთიელი ხევსურები.

ისტორიულად ხევით ხდებოდა საქართველოს დაკავშირება ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებთან. თავისი საკომუნიკაციო და სტრატეგიული დანიშნულების გამო იყო აღბათ, რომ ხევი სოციალურად წინ წასული და განვითარებული იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეები (თოფჩიშვილი 1998: 3). თუმცა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის ხევი მოსახლეობის რაოდენობით ყოველთვის ბოლო ადგილზე იყო. კერძოდ, საშუალო სიმჭიდროვე ძალიან დაბალია (6,7 კაცი 1 კვ. კმ-ზე). ამის მიზეზად უდა დასახელდეს მკაცრი ბუნებრივი პირობები, მიწათმოქმედებისა და მშენებლობისთვის საჭირო ფართობის სიმცირე, რაც ზღუდავს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას... მრეწველობის, სოციალური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, უგზოობა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალაქებისკენ ლტოლვა (ქერიშვილი 2012: 328).

ხევის რაიონის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 10 8086 ჰა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 44,5% ჰა უკავია, დანარჩენი უმთავრესად სამეურნეო საქმიანობისთვის გამოუსადეგარი ფართობია. ვინაიდან რაიონის უმეტესი ნაწილი მთიანია, სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მეცხოველეობა, კერძოდ, მეცხვარეობა წარმოადგენს. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ფართობის უდიდეს ნაწილს საძოვრები შეადგენს (სახოკია 1983: 81). ხევში საკარმიდამო ნაკვეთებზე ძირითადად მოყავდათ კარტოფილი, ქერი... ცხადია მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროდ მეცხვარეობა გვევლინება. უფრო მეტი, ხევი ტრადიციული მეცხვარეობის რაიონს წარმოადგენდა, რომელიც XIX ს-ის II ნახევრიდან ინტენსიურად განვითარდა, როდესაც მოხევეებს ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის შესაძ-

ლებლობა მიეცათ. მანამდე ცხვარს ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ ან საქართველოს ბარში მიერეკებოდნენ (ითონიშვილი 1971: 67).

საარქივო მონაცემების მიხედვით, ხევის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ვითარება შემდეგი თანმიმდევრობით იკვეთება:

XX საუკუნის დასაწყისში, 1902, 1913, 1917 წლებში მესაქონლეობის განვითარება მკვეთრად შენელებულა. შემცირებულა მესაქონლეობის ყველა დარგი, როგორც რიცხოვნობად, ისე თვისობრივად, გარდა მეღორეობისა. მისი მთავარი მიზეზი საძოვარი და სათიბი ადგილების მეტისმეტი სივიწროვეა. მაგ; დუშეთის საზაფხულო საძოვარი 35 000 და ზამთრისა 1820 დესეტინას მოიცავს.

დაწყებული 1919 წლიდან, როდესაც პურისა და სიმინდის კრიზისმა სასოწარკვეთილებაში ჩააყენა ჩვენი მთიელები, მათ დაიწყეს თითქმის ყველა თავისუფალი ადგილების მოხვნა, სადაც თესავენ ქერს, რომლის მოსავალი ვერც კი ანაზღაურებს გაწეულ შრომას. ამ ადგილების დახვნამ მინიმუმამდე დაიყვანა საძოვრები და სათიბი ადგილები, რამაც საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა მესაქონლეობა. მთის იქაური საქონელი თითქმის მთელ ზამთარს იკვებება ნეკერით (ხის ტოტებით), რაც ხელს უწყობს სასარგებლო დამცველი ტყეების განადგურებას და უკვე დამუშავებული ადგილების ჩამორეცხვას (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე №567).

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის დემოგრაფიასთან. ჭარბი მოსახლეობის მთიდან ბარში გადასახლებას, მიწის სივიწროვისა და ეკონომიური იძულების გარდა, აგრეთვე სხვა ფაქტორები იწვევს შიგა თუ გარე მოგრაციებს. მაგ; ყაზბეგის რაიონში, ჯვრის უღელტეხილის საგზაო მშენებლობამ, საქართველოს სამხედრო გზის გაყვანამ დიდი ცვლილებები შეიტანა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში. მთის სოფლების მოსახლეობამ გზასთან ახლოს იწყო ჩამოსახლება, შეიცვალა მათი ეროვნული სტრუქტურა და საქმიანობა (საქართველოს 1981: 50). ინტერესმოკლებული არ იქნება 1926-1927 წწ. ჩა-

ტარებული საქალაქო და სათემო საბჭოების ცნობები მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე. 1926 წელს დუშეთის მაზრაში თემების რიცხვი 20. თემთა საბჭოში ქართველი 478 - 83,1%, სომეხი - 21 - 3,7%, თურქი - 2-0,3% და ოსი 68 -12,0%. ხოლო საქალაქო საბჭოში დუშეთის მაზრაში: ქართველი 28-93,4%, სომეხი 1-3,8%, ოსი 1-3,8% [სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე №583].

1927 წლის სრულიად საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფით, დუშეთის მაზრის თემებია: მისაქციელი, მუხრანი, მჭადიჯვარი, საგურამო, ჭოპორტი, ანანური, უინვალი, ბაზალეთი, ფასანაური, მღეთის, კობის (ცენტრი სოფ. კობი), ყაზბეგის (ცენტრი სოფ. ყაზბეგი), მაღაროსკარი, ბარისახო. დუშეთის მოსახლეობა სოფლისა და ქალაქის ერთად 61263 ადამიანს შეადგენს. მიწის მთელი ფართობი 4755. დასახლებული სექტორი 2104 (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე 585).

1927-1928 წწ. მაღალმთიან ზონაში მოქცეულია სამი ერთეული: თრიალეთის ოლქი, დუშეთის ოლქი და სამხრეთ ოსეთის, ე.წ. ავტონომიური ოლქი. სამხრეთ ოსეთის და დუშეთის ოლქი არ წარმოადგენენ წმინდა სოფლის მეურნეობის რაიონებს. დუშეთის პროვინციაში არის პერსპექტივა სოფლის მეურნეობის გვერდით ფართო მასშტაბით განვითარდეს მინერალურ სიმდიდრეთა ექსპლუატაცია, ხოლო სამხრეთ ოსეთში - სატყეო მეურნეობა. დუშეთის პროვინცია ერთადერთი მხარეა მთელ საქართველოში, სადაც შესაძლოა ფართო მასშტაბით განვითარდეს სპილენძის წარმოება. სპილენძის მადნის დიდ მარაგს იძლევა დევდორაკ-ყაზბეგის რაიონი, გარდა სპილენძისა, დუშეთის პროვინციაში ჩვენ გვაქვს აგრეთვე სხვა მადნეულობანი: სურმა და სურმის ნაეღვი ხევის სოფლებში: სნოსა, სიონსა და ტყარშეთში. ლითოგრაფიის ქვა - ანანურის რაიონში, გოგირდი თრუსოში (ხევი). სამთო მრეწველობა დუშეთის პროვინციაში, სავსებით უზრუნველყოფილია თეთრი ნახშირის დიდი მარაგით.

დუშეთის პროვინციის მინერალურ სიმდიდრეთაგან ცალკეა აღსანიშნავი კობის ნახშირმუყავიანი წყარო, ნარზანის ტიპისა... საერთოდ, ყაზბეგის რაიონის და განსა-

კუთრებით თრუსოს ხეობის ღირსშესანიშნაობად ითვლება ვეძები (მინერალური წყაროები). სახელდობრ, სოფელ ქეთრისის მინერალური ვაკლუზი, რომელიც სოფლიდან 0,5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, დღე-ღამეში იძლევა 25-30 მილ. ლიტრ ჰიდროკარბონატულ კალციუმიან წყალს (ჩქარეული 1989: 3).

დიდი მომავალი აქვს დუშეთის პროვინციაში სამთო მრეწველობის საქმეს, რომლის ხვედრითი წილი, პერსპექტივის მიხედვით გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლის მეურნეობისა (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე №599). მთელ საბჭოთა კავშირში, დუშეთის მაზრის ყაზბეგის თემში არის ცეცხლისგამძლე ქვის და მჟავბადის გამძლე ტალახის მადანი, რომელსაც დიდ მოთხოვნილებასთან ერთად დიდი ფასიც აქვს (ცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №695).

საკავშირო მასშტაბით ფასდაუდებელი იყო ანდეზიტის ნედლეული, რომელიც ყაზბეგის გარდა სხვაგან არსად არ მოიპოვებოდა და ადრე საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. მის დამუშავებაში დასაქმებული ყოფილა (1930-იან წლებში) 2500 მუშა (მარუაშვილი 1932: 9). ხევი, თრუსოს ხეობაში აღმოჩენილი იყო წითელი ქვა, რომლის მოპოვება მთების აფეთქებების გზით ხდებოდა. სამწუხაროდ, ნედლეული ადგილობრივ წარმოებას არ ხმარდებოდა.

1932 წელს ანდეზიტის დამუშავების ტერიტორიიდან ყაზბეგის რაიონის სოფელ არშაში მოსახლეობის გასახლების საკითხი დაწყებულია, გამოყოფილია დასახლებელი ადგილი. გადასახლების საქმე ფერხდება იმის გამო, რომ მოახალშენეთათვის არ არის აშენებული სახლები (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე № 3306).

საარქივო მასალებში საინტერესოა საქართველოს ცეკასთან არსებული ნაცუმცირესობის კომისიის ოქმებში (1928 წელი) დაცული ცნობები, ნაცუმცირესობის სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაზე, მათ შორის წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვის შემცირებაზე და კადრების მომზადებაზე, აგრეთვე მშობლიურ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაზე, კოოპერატივებში და მეურნეობებში მათი და საქმების ხვედრითი წი-

ლის გაზრდაზე, მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე და ა.შ. (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე №1187).

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა სამეურნეო და კულტურული განვითარების შესახებ გასატარებელი ღონისძიებები საარქივო მასალებშიც აისახა. კერძოდ, საქართველოში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ სომხები, რუსები, ოსები, ბერძნები, ებრაელები და სხვა. ბერძნებს, ასირიელებს და ოსებს, სადაც ბინადრობენ, ყველა დასახლებულ პუნქტში აქვთ სკოლები, მაგრამ არ აქვთ პედაგოგები და არც სახელმძღვანელოები აქვთ მშობლიურ ენაზე. ოსურის სკოლების რიცხვი საქართველოში, სამხრეთ ოსეთის გამოკლებით არის 26, ოსები საუბრობენ მშობლიურ ენაზე, მაგრამ პედაგოგიური პერსონალი და წიგნები-სახელმძღვანელოები პრობლემად რჩება. სამხრეთ ოსეთზე ვამყარებთ იმედებს, მაგრამ უშედეგოდ... пока не может удовлетворить своих нужд (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №1802). ნიშანდობლივია, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების შედეგად, 1940-იან წლებში, საქართველოს მოსახლეობა განათლების მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე იდგა, ხოლო წერა-კითხვის ცოდნეთა მიხედვით, ჩვენს სამშობლოს, რსფსრ-სა და უკრაინის შემდეგ, მესამე ადგილი ეჭირა (Грузинская 1941: 97).

1933 წ. ყაზბეგის რაიონში კვლავ სოფლის მოსახლეობაა, ქალაქური ტიპის დასახლება ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ყაზბეგის რაიონიც საქართველოს 46 რაიონში შედის 6 სასოფლო საბჭოთი. სულ საქართველოში ამ დროს 925 სასოფლო საბჭო იყო. ყაზბეგის რაიონის კობის სასოფლო საბჭოში საქმის წარმოება მიმდინარეობდა ოსურ ენაზე. ღუდის სასოფლო საბჭოს მოსახლეობასაც ეთნიკური ოსები შეადგენდნენ. სხვა დასახლებულ პუნქტებზე დოკუმენტში ცნობები არ არის დართული (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე 2542). ნიშანდობლივია, რომ 1930 წლისთვის ხევში საქმის წარმოების ენა ქართულ-რუსულია, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური სსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საქმის წარმოების ენა უკვე

ორივეგან რუსულია (სცსს ფ. 600, აღწერა 1, საქმე №1700).

აღსანიშნავია ცნობები საქართველოში არსებული ვარგისი მიწების რაოდენობაზე და საქართველოში მიმდინარე გადასახლება-გადმოსახლების შესახებ. ცნობები მიწით უზრუნველყოფის შესახებ შედგენილია 1917-1923 წლებში. სოფლის მოსახლეობა სულ დუშეთის მაზრაში 69 074 მცხოვრებია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 39.486 დესეტინა. სჭირდებათ სულ 66.193 ათასი დესეტინა, რომ კომლს ჰქონოდა საშუალოდ 3,5 და ერთ სულზე 0,5 დესეტინა. არ ჰყოფნიოთ 26 707 დესეტინა. ასეთი მიწის ნაკლებობაა მთლიანად მთელ დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში ახალციხის და გორის მაზრებს გარდა (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №231).

1925 წელს სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა გაიმართა, რომელმაც დაამტკიცა სოფლისმეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ყაზბეგის რძის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა (შემდგომში ეს ქარხანა ძირითადად ყველსა და კარაქს ამზადებდა). საარქივო ცნობების მიხედვით, ყაზბეგის რაიონში ყველისა და კარაქის დასამზადებელ ქარხნის ასაგებად საგეგმო კომისია უპირატესობას ანიჭებდა აჩხოტთან შედარებით სოფელ სიონს, შემდეგი მოსაზრებების გამო: სიონი აჩხოტთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია, როგორც მოსახლეობის, ისე მსხვილფეხა საქონლის რაოდენობით. სიონი არის ხევის ცენტრი და აერთებს ხევსურეთს ყაზბეგთან და კობთან. ამ და სხვა მიზეზებით, სიონი აურჩევიათ ყველისა და კარაქის დასამზადებელი ქარხნის ასაგებად (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №981).

ნიშანდობლივია 1925 წლის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საერთო განყოფილების ერთ-ერთი ამონაწერი, რომელიც იუწყება, რომ ყაზბეგისა და კობის თემების მოსახლეობისათვის სოფელ ყაზბეგში დაარსებულ იქნა სახელმწიფო ხარჯზე სახალხო სასამართლო, რასაც ადგილობრივი მცხოვრებნი დაბეჯითე-

ბით მოითხოვენ. მითუმეტეს ზამთრის პერიოდში მაზრის ცენტრიდან დიდი თოვლის გამო მოწვევებიანი არიან რამდენიმე თვით და მცხოვრებლებს ძალიან უჭირთ მათი საქმეების გასარჩევად დუშეთის სახალხო სასამართლოში გამოცხადება (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №390).

შემდგომში, როდესაც ყაზბეგი რაიონულ ცენტრად გადაიქცა, თანდათან აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღი, სკოლები, კულტსახლი, ბიბლიოთეკა, აფთიაქი, საავადმყოფო, კავშირგაბმულობის განყოფილება, რაიკომი, ტურბაზა და ა.შ.

1924 წელს (ყაზბეგში) ხევში დაარსდა მეცხვარეთა ამხანაგობა „თერგისხევი“, რომლის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა იყო მეცხოველეობის პროდუქტების გადიდება და საწარმოო-სამომხმარებლო საგნებით მოსახლეობის მომარაგება; მის მთავარ ფუნქციად მაინც მატყლის დამზადება რჩებოდა. 1928-1929 წლებში აღნიშნულ ამხანაგობას პრობლემა შექმნია. სახელდობრ, მეცხვარეთა ამხანაგობა „თერგ-არაგვის ხევი აკავშირებს ყაზბეგისა და ფასანაურის მეცხვარეებს და უკვე რამდენიმე წელია, რაც ამხანაგობა აწარმოებს მატყლის დამზადებას. ყაზბეგის რაიონში არის ოსებით დასახლებული კობის თემი, სადაც წევრები ჰყავს „თერგ-არაგვისხევს“. ეს რამდენიმე წელია, რაც ჩრდილოეთ ოსეთის მეცხვარეთა კავშირი იღებს ზომებს კობის თემის მეცხვარეებს დაუკავშირდეს და აწარმოოს მატყლის დამზადება. ... ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა უნდა შეწყვიტონ თერგის ხევის ამხანაგობისათვის ხელის შემშლელი და საზარალო მუშაობა. ეს ორგანიზაციები ცდილობენ მოიკიდონ ფეხი ჩვენი ძირითადი მეცხვარეთა ამხანაგობების სამოქმედო რაიონებში, მატყლი დააგროვონ და გარეთ გაიტანონ (სცსა ფ. 600, აღწერა 1. საქმე №1541). ამავე საკითხს ეხება 1929 წლის მასალა საქართველოში მეცხვარეობის განვითარების შესახებ. დუშეთის მაზრაში მეცხვარეობის ამხანაგობა „თერგისხევი“ აერთინებდა 1056 წევრს და 21.0000 ცხვარს 1927 წელს, ხოლო 1929 წელს – 370.000 ცხვარს. სამრეწველო მეცხვარეობა წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების მოსახ-

ლეობის ბიუჯეტის ძირითად ელემენტს და საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ბაზას. 1928 წლიდან დაწყებული, ცხვრის რაოდენობა მცირდება. ამის მიზეზები ასეთია: საძოვრების ფონდის შემცირება – საძოვრების ნაწილის გადასვლა ჩრდილოკავკასიის მეზობელი რესპუბლიკის ხელში, მოუწესრიგებელი საიჯარო ქირა, საქონლის გასარეკი გზები და ა.შ. (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №1605).

1930 წელს ყაზბეგში დაარსდა პირველი კოლმეურნეობა – ყაზბეგის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, ხოლო 1933 წელს – სოფელ გორისციხეში მეცხოველეობის კოლმეურნეობა (გზამკვლევი 1971:37). მოგვიანებით მიემატა სიონის, კობის და სნოს კოლმეურნეობები. საარქივო ცნობების მიხედვით, სულ რესპუბლიკაში 3453 კოლმეურნეობაა (1933 წელს). მრეწველობა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის ეკონომიკაში შედარებით ნაკლებ როლს ასრულებდა. აქ ფუნქციონირებდა საშენი და მოსაპირკეთებელი ქვის მასალების დასამუშავებელი საწარმოები და კვების მრეწველობის (რძის ნაწარმის) კომბინატი.

ამრიგად, 1921-1935 წლების განმავლობაში საქართველოს სსრ-ში მოსახლეობამ იმატა 900 000 მცხოვრებით და ამასთან ერთად პარალელურად გაიზარდა, როგორც დასახლებული პუნქტების, ისე სასოფლო საბჭოების რიცხვი. ცაკის სანქციის გარეშე რაიონებში ხშირად იცვლებოდა დასახლებული პუნქტების რიცხვი და სახელწოდებები. უმთავრესი ის იყო, რომ რაიონის სახელწოდებებს არ ჰქონოდა ფეოდალური ან რელიგიური შინაარსი. 1930 წელს გაუქმდა საოლქო სისტემა და შემოდებულ იქნა სარაიონო სისტემა, რის შედეგადაც როგორც რაიონების, ისე სასოფლო საბჭოების რიცხვი საგრძნობლად იქნა შეცვლილი (სცსა ფ. 600, აღწერა 1, საქმე №3081).

ყაზბეგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1932 წელს ასეთ სურათს ქმნის: ყაზბეგის სოფსაბჭოს 6 სოფელში 431 კომლი, ანუ 2277 მცხოვრებია; არშის სოფ/საბჭო 549 კომლია, ანუ 3.180 მცხოვრები, სულ 12 სოფელს აერთიანებს; ახალციხის სოფ/საბჭო 6 სოფელში

სულ 376 კომლი ანუ 1839 მცხოვრები; ღუდის სოფ/საბჭოს 8 სოფელში სულ 85 კომლი ანუ 726 მოსახლე. 1926 წელს თუ თრუსოს ხეობის 28 სოფელი კობის თემში იყო თავმოყრილი, 1932 წლისთვის სულ 21 სოფელი დაფიქსირდა, აქედან რვა სოფელი 171 კომლით, ანუ 1.394 მცხოვრებით კობის სოფ/საბჭოში შევიდა, ხოლო თრუსოს სოფ/საბჭოში სულ 13 სოფელია 262 კომლით ანუ 1.867 მცხოვრებით. ყაზბეგის რეგიონში 1932 წლის ცნობით იყო 1.874 კომლი, ე.ი. 11.280 მცხოვრები. თითოეულ სოფ/საბჭოში შემავალ სოფლებში სათითაოდ არის კომლთა და სულთა რაოდენობა აღრიცხული. ნიშანდობლივია, რომ თრუსოს სოფ/საბჭოს ტერიტორია 976 კვ მ, ხოლო კობის 206 კვ. მ-ს მოიცავს (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე №3370). ზემოთ როგორც ავღნიშნეთ, კობის თემში, იგივე თრუსოში, ძირითად მოსახლეობას ოსები შეადგენდნენ. ხევის რაიადმასკომის თანამშრომელთა სიის მიხედვით, კობის, თრუსოს, ღუდის სასოფლო საბჭოების ცხრა თანამშრომლიდან რვა ოსია, ხოლო ყაზბეგის, ახალციხის, არსის სასოფლო საბჭოების 36 თანამშრომლიდან 35 ქართველია და ერთი რუსი (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე 2096).

ცნობილია, რომ 1929 წლიდან ღუშეთის მაზრაში შეიქმნა სამი რაიონი: ღუშეთის, მცხეთისა და ყაზბეგის. 1930 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ყაზბეგის რაიონი ცალკეა. რაიონული ცენტრი – დაბა ყაზბეგი. ფართობი 1081,9 კვ. მ., კვლავ 6 სასოფლო საბჭოა 60 სოფლით, 2.095 კომლით, ანუ 11.090 მცხოვრებით. აქედან ღუდის სასოფლო საბჭოში ცენტრი გუდაური, შედის 10 სოფელი 95 კომლით, 683 ადამიანით. კობის სასოფლო საბჭო, ცენტრი კობი 12 სოფელს აერთიანებს, სულ 213 კომლია, ე.ი. 1370 ადამიანი. თრუსოს სასოფლო საბჭო, ცენტრი აბანო, 14 სოფელს მოითვლის, 283 კომლით, ანუ 1962 მცხოვრებით. მისდევდნენ ძირითადად მესაქონლეობას (სცსა ფ. 284, აღწერა 1, საქმე №1683). ცხადია, ქართველებით დასახლებული სოფლები გაცილებით უფრო მოზრდილი სასოფლო დასახლებებია, ვიდრე ოსური მცირე დასახლებები,

რომელიც სტატისტიკურად ზემოთ აღწერილ შეფარდებას იძლევა.

ძალზე საინტერესოა 1927-1934 წწ. ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის ე.წ. მეტრიკული ჩანაწერები, განსაკუთრებით მცხოვრებთა ბუნებრივი მატების შესასწავლად. სამწუხაროდ, აღნიშნული ჩანაწერები, კობის სასოფლო საბჭოზე, ძალზე დაზიანებული და ნაკლებია. ერთმანეთშია არეული სხვადასხვა სასოფლო საბჭოები და წლებიც გაურკვეველია. ნაწილობრივ ხერხდება მათი აღდგენა შემდეგნაირად: 1928 წელს, კობის თემში 65 ახალშობილის სახელზეა მეტრიკული ჩანაწერები გაფორმებული. სოციალური მდგომარეობით – გლეხები, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახები ყოფილა. უმრავლესობა მე-3, მე-4, მე-6 შვილია ოჯახში. არიან ტყუპებიც (სცსა ფ. 723, ანაწ, 49, საქმე №1). 1929 წ. კობის თემში 61 ახალშობილი ირიცხება, მრავალშვილიანი ოჯახები აქაც თვალშისაცემია. ყველგან გლეხები არიან, ერთგან ან ორგან თუ წერია მოსამსახურე ან შინამრეწველი. 1931-1932 წწ. ღუდის სასოფლო საბჭოში სულ 24 ახალშობილი დაფიქსირდა. ესენია რუბაევა, ჯაბაევა, გარიევი, ძატილოვი, ცაბალოვი, ტოკაევი, პაპაევი, ჯანაევი, სოყუროვა და ა.შ. სოციალური მდგომარეობა: ქალს დიასახლისი, მამაკაცს ინდივიდუალური მეურნე აქვს მითითებული (სცსა ფ. 723, ანაწ, 49/3, საქმე №13) ამავე საბჭოში 1933 წელს 30 ახალშობილი დარეგისტრირებული. ნიშანდობლივია, რომ დაბადების მოწმობა რუსულად არის შევსებული და მცხოვრების სოციალური სტატუსი კოლმეურნეობის ან არტელის წევრზე მიუთითებს. საქმე იმაშია, რომ ამ ხანებში ყაზბეგის რაიონში კოლმეურნეობები უკვე ყალიბდებოდა.

რასაკვირველია, ოსების ერთი ნაწილი ასიმილაციას განიცდის ქართველებთან. მათ შორის შერევა არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. წარსულშიც ხდებოდა. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია ქართველებსა და ოსებს შორის არსებული მსგავსი გვარები (ჯაოშვილი, 1996: 317). მაგ; თოგოშვილი–თოგოევი; ბედოშვილი–ბედოევი; ჯანაშვილი–ჯანაევი; მარსაგიშვილი–მარსაგოვი; კობიაშვილი–კობიევი, ჭილაშვილი–ჭილაევი; ალიბეგაშვილი –

ალიბეგოვი (სცსა, ფ. 489, აღწ. 1, საქმე №95-104). ყადაგოვი – ყადაგიშვილი; ცალაგიშვილი–ცალაგოვი; გუდიშვილი–გუდიევი; ბიზიკაშვილი–ბიზიკოვი; ელოევი–ელოშვილი; სამბეგოვი – სამბეგიშვილი; სალბიშვილი–სალბიევი; ჩეთოევი– ჩეთოშვილი; ყუსაშვილი–ყუსაევი; თიაკაშვილი – თიაკაევი; ბულაციშვილი–ბულაციოვი; ურთაევი–ურთაშვილი; ბირქაშვილი–ბირქაევი, თათაროვი – თათარაშვილი (სცსა ფ. 489, აღწ. I, საქმე №1-№20).

არანაკლებ საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული ხევის 1945, 1966 წლების ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. საინტერესოდ მოვიყვანო სოფელ გველეთში მცხოვრები ქისტი ბეზურტანოვების მოკლე ისტორიას. სულ ძველად ჩვენ ჯარიახის ხეობიდან ვართ გადმოსული. რაც ჩვენ აქ გადმოვსულვართ, აქედან არსად წავსულვართ, იქნება 200-300 წელი, შეიძლება მეტიც. ქისტური ჩვენი დედა ენაა. ქართული და რუსული კარგად არა, მაგრამ მაინც ვიცო. წინათ ეს ხევი ყოფილა საქართველოს ციმბირი. აქ უსახლებიათ ხალხი (მაისურაძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, რეეული 1, 1966, ვ.ბ. №231, გვ. 20).

საინტერესოა 1966 წლის მონაცემები ყაზბეგის რაიონის ზოგიერთ სოფელზე. სახელდობრ; სოფელ ფანშეტში – საბაური 25 კომლია, სამქანაშვილი – 21; ჩონიაშვილი – 3 კომლი, ბაზალი და ჩქარეული თითო-თითო კომლი, სულ 51 კომლი ბინადრობს.

სოფელ ტყარშეთში 36 კომლი ცხოვრობს. მათ შორის უმრავლესობაა მაისურაძე 23 კომლი; ნარიმანიძე 5 კომლი, წიკლაური და ავსაჯანიშვილი 4-4 კომლი; სოფელ კარკუნაში ორი გვარია – ყამარაულები და მარსაგიანები. უფრო მეტი მარსაგიანები გვხვდება, რომლებიც ქისტები არიან (მაისურაძე, ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, რეეული 1, 1966, ვ.ბ. №231, გვ. 52). აქვე საინტერესოა ცნობა გააზნაურებული ყაზბეგის შესახებ, რომელიც XIX საუკუნეში ამოტივტივდა, როგორც ახალი წოდება აზნაურ ყაზბეგის სახით. მათ თვითმპყრობელობის სამსახური იტვირთეს, თემი შიგნიდან გატეხეს, ამის-

თვის ებოძათ აზნაურობა და ყმობას უჩვეულო მოხევეებს ბატონად მოეკლინენ. ხელში ჩაიგდეს უხათი, აჩხოტი, თოთი, ხდე და სხვა მამულები. ხევი უკადრისობდა მათ ყმობას და ურჩობდა. მაშინ ყაზბეგიანთ თავიანთ მამულზე ოსები გადმოასახლეს და ისინი იყმეს (მაკალათია 1934: 61). თუ როგორ წარიმართა ეს პროცესი შემონახულია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში. კერძოდ, „ჩვენს პაპებს წინათ იმ გორაზე ეცხოვრათ, მაგას ძველ ქობს ვეძახდით, ვინაიდან ეხლა ნასახლარებია. იქ ქობში სულ ჩიბაშვილები ეცხოვრობდით... ქობიდან ჩიბეთი (ჩიბაშვილები) გადმოასახლეს გერგეტში იმისთვის, რომ ყაზბეგლები იყვნენ ბატონები და მაგათ უნდოდათ სამხრიანი ხალხი ჰყოლოდათ, როგორც შპიონები. რადგან ქართველი მოხევეები არ დაუდგებოდნენ, ოსები ნაასახლეს ქობში, ჩვენ კი ქობიდან გადმოგვასახლეს. ჩიბეთის მთა, ბარი, სახნაური ყაზბეგმა ოსებს მისცა. მერე ჩიბეთელებმა დუშეთში იჩივლეს, დაიმოწმეს აქავლები გერგეტელები ორი მოხუცი, რომ ქობი (ჩიბეთი) ჩვენ გვეკუთვნისო“. დუშეთის მთავრობა არ აპირებდა მათთვის მამა-პაპისეული ადგილის დაბრუნებას, მაგრამ მუქარის შეეშინდათ, ქალაქში გავასაჩივრებთო. ამიტომ ყაზბეგლებს წერილი გამოუგზავნეს, რომ დაუბრუნონ ეს ადგილი, თორემ თბილისში გაგასაჩივრებენო. იმის შემდეგ ეგ ოსები გაასახლეს და ეს ადგილი წყალგადმა დაგვრჩა ჩვენ (ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ნ. მაისურაძე, რვ. №1, 1966. ვ.ბ. №231, გვ. 155-158)] ასე იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები მშობლიური მიწის დასაცავად, თუმცა სამშვიდობოდ, სამოყვროდ მოსული უცხო ხალხისთვის მუდამ ხელი გაუმართავეთ, შეუფარებიათ, დაუცავეთ და დაუმოყვრებიათ. ამ და სხვა მიზეზით, XX საუკუნის 80-90-იან წლებში ისე სწრაფად გამრავლდნენ ოსები საქართველოში, რომ ბუნებრივი მატება ქართველებში იყო 7,6; ხოლო ოსებში 11,6 (ჯაოშვილი 1996: 205). უფრო მეტი 1970 წელს, ოსებზე მოდიოდა აღმოსავლეთ კავკასიონის მთელი მოსახლეობის 5,3%. ე.ი. ქართველების შემდეგ ოსები ქმნიდნენ სა-

ქართველოში ყველაზე მოზრდილ ეთნიკურ ჯგუფს (საქართველოს 1981: 65).

ამავე ხანებში, უფრო ზუსტად XX ს-ის 60-იანი წლებიდან, ოსები დიდი რაოდენობით მიდიან ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილო ოსეთში, უპირატესად მის დედაქალაქ ორჯონიკიძეში. ეს რაიონი ყაზბეგთან სიახლოვის გამო იზიდავდა ქართველებსაც (ჯაოშვილი 1996: 66), სადაც მოხვევები ვაჭრობასა და ხელოსნობაში იყვნენ ჩართული.

აღსანიშნავია, რომ 1970 წლისთვის ყაზბეგი უკვე ქალაქის ტიპის დასახლებას წარმოადგენს. ყაზბეგის რაიონში კი ამ დროს 5 სასოფლო საბჭო და 43 დასახლებული პუნქტია. აღნიშნული სოფლები სარგებლობდა მაშინდელი ცხოვრების ყველა სიკეთით, მხოლოდ უგზოობა ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩებოდა. ამ ხანებში ტრადიციული მეცხვარეობაც აღმავლობის გზას დაადგა, რომელსაც მეცხვარეების შრომის მტკიცე დისციპლინა და შრომის სწორი ორგანიზაცია განაპირობებდა.

ამრიგად, ხევი, მიუხედავად მკაცრი ბუნებრივი პირობებისა, მაინც მდიდარია. ეკონომიკის გააზრებულად წარმართვის შემთხვევაში მხარეს ალორძინების და განახლების პერსპექტივა აქვს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

თოფჩიშვილი 1998 – თოფჩიშვილი რ., მოხვეური გვარსახელები, თბ. 1998.

ითონიშვილი 1971 – ითონიშვილი ვ., ხევის ტოპონიმიკა, თბ. 1971.

მაკალათია 1934 - მაკალათია ს., ხევი, თბ., 1934.

მაისურაძე – ნ. მაისურაძე. ხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ივანე ჯავახიშვილის ინსტიტუტისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, რვეული 1, 1966, ვ.ბ. №231.

სახოკია 1983 – სახოკია მ., ხევის სათიბ-საძოვრების აგრობოტანიკური მიმოხილვა და გაუმჯობესების ღონისძიებანი, თბ. 1983.

საქართველოს 1981 – საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი, თბ. 1981.

ქერაშვილი 2012 – ქერაშვილი ქ., ხევი და მოხევეები, თბ. 2012.

ჩქარეული 1989 - ჩქარეული მ., თრუსოს ხეობა, გაზეთი „დარიალი“, 1989 2 ნოემბერი.

ჯაოშვილი 1996 - ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996.

Грузинская 1941 - Грузинская ССР за 20 лет, Тб., 1941.

Маруашвили 1932 – Маруашвили Л., Казбек, М., 1932.

Тифлиская 1917- Тифлиская Губерния Душетский уезд, Тиф. 1917.

მზია ტყავაშვილი

ფლავიუს არიანეს ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხების შესახებ

ძვ. წ. VIII საუკუნიდან დაიწყო ბერძნული კოლონიზაცია შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროზე, სადაც ნაოსნობისთვის მოსახერხებელი ყველა ყურე მათი ქალაქიპოლისებით მოიფინა. ყირიმისა და კოლხეთის ბერძნებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სამშობლოსთან და სხვა ბერძნულ ემპორიებთან. მათი მეშვეობით ეს კუთხე ბერძენი ისტორიკოსების ყურადღების არეალში მოხვდა, რომელთა მატრიანეებმა აქ მოსახლე ხალხებზე მრავალი უნიკალური ინფორმაცია შემოინახა.

ფლავიუს არიანე მათგან ერთ-ერთია, რომლის ნაშრომში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ახალი საუკუნის II საუკუნეში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე განსახლებულ ხალხებზე საინტერესო ცნობები მოიპოვება.

ფლავიუს არიანე (დაახლ. 95-175 წ.წ.) 130 წლის ახლო ხანებში რომის იმპერატორის მიერ დანიშნული იყო კაპადოკიის პროვინციის პროკონსულად. თანამდებობრივი მდგომარეობა მას შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს შემოვლას, აქ არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და იმპერატორისთვის დროულ მიწოდებას ავალდებულებდა. სწორედ ამ მიზნით, 131 წელს, მან ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლამდე (სოხუმი) იმოგზაურა და ამ რეგიონში შექმნილ მდგომარეობასა და აქ მცხოვრებ ხალხებზე ოფიციალური ანგარიში იმპერატორ ადრიანეს (117-138 წ.წ.) წარუდგინა. ფლავიუს არიანე თვითმხილველი იყო იმისა, რასაც წერდა. ამავე დროს დაკავებული თანამდებობაც მას თავისი მმართველობის ქვეშ მყოფი სანაპირო ხაზის ობიექტურად აღწერას ავალდებულებდა, რის გამოც აღნიშნული ავტორის მიერ

მოყვანილი ცნობები დიდ ნდობას იმსახურებს და სავსებით უნიკალურია.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოვიყვანთ ვრცელ ფრაგმენტს მისი ნაშრომიდან „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (ე. წ. „პერიპლუსი“). მოსახლეობის ათეულა ხდება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით:

„ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლუსამდე. . . შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსახლენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან. ესენი მეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი. მაგრამ ამის შემდეგ, თუ ღვთის ნება იქნება, ან წესიერად გადაიხდის ეს ტომი გადასახადს, ან მას ჩვენ გავაძევეთ ქვეყნიდან.

ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე (ბასილევსი) ანქიალეა.

მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან.

ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე (ბასილევსი) მაღასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული.

ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფე (ბასილევსმა) იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო.

აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე (ბასილევსი) რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული.

აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ (ბასილევსმა) სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი“ (არიანე 1961: 42).

„დიოსკურიიდან რომ მიდიხარ, პირველი სადგურია პიტიუნტი. აქედან ნიტიკემდე (დღევანდელი გაგრა) ას ორმოცდაათი სტადიონია. აქ ძველად ცხოვრობდა სკვით-

თა ტომი, რომელსაც იხსენიებს ისტორიკოსი ჰეროდოტე. მათ ის გირჩის მჭამელებს უწოდებს (ფთიროფაგებს). ეს აზრი დღემდეა შემონახული მათ შესახებ. . .

მდინარე აქეუნტი ჰყოფს ძილქებსა და სანიგებს. ძილქების მეფე (ბასილევსი) სტაქემფაკია. ამასაც შენგანა აქვს ტახტი მიღებული.

აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე ასორმოცდაათი სტადიონია. აქედან ას ოთხმოცი სტადიონია ბორცვამდე, რომელიც იცავს [მოგზაურს] თრასკიული ქარისაგან და ბორეასაგან. აქედან ძველ ლაზიკედ წოდებულ ადგილამდე ას ოცი სტადიონია. აქედან ძველ აქაიამდე (ტუაფსე) ას ორმოცდაათი“ (არიანე 1961: 51).

აღნიშნული ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ტრაპეზუნტის მეზობლად ქართული წარმოშობის კოლხები და სანები ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელნი, მიუხედავად იმისა, რომ რომაელების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, მათ არ ემორჩილებოდნენ და გადასახადებს არ იხდიდნენ. ფლავიუს არიანე აღნიშნავს, რომ სანები წესიერად თუ არ გადაიხდიდნენ გადასახადს, მათ ქვეყნიდან გააძევებდა.

ამ ფრაგმენტის პათოსიდან შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ხალხის საკუთარი კერიდან მასიური აყრა და გადასახლება რომაელებისთვის დასჯის განსაკუთრებული, უკიდურესი ფორმა კი არ იყო, არამედ იოლად განსახორციელებელი ღონისძიება. თუ იმასაც წარმოვიდგინთ, რომ ამის შესახებ იმპერატორს წერს არა უბრალო რიგითი მოხელე, არამედ შეუზღუდავი უფლებამოსილების მქონე, საკმაოდ ვრცელი ადმინისტრაციული ერთეულის, კაპადოკიის მმართველი (მას ექვემდებარებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც), ცხადი გახდება ის საშიშროება, რომლის წინაშეც იდგა ადგილობრივი მოსახლეობა ნებისმიერი ურჩობის შემთხვევაში. აშკარაა ისიც, რომ მიგრაციული პოლიტიკა სახელისუფლებო პროექტი იყო – არიანე ამის შესახებ იმპერატორისგან კი არ ელოდებოდა თანხმობას, არამედ მხოლოდ ატყობინებდა მოსალოდნელი სადამსჯელო ღონისძიების შესახებ. დაპყრობილი ხალხის ასეთი მეთოდებით მართვას თუ შორეულ კუთხეებში გაგზავნილი ბიუროკრატიული აპარატის უუ-

ნარობასაც დაეუმატებთ (რასაც საუკუნით ადრე სტრაბონი აღნიშნავდა) (სტრაბონი 1994: 471), ვითარების მთელი სერიოზულობა თვალწინ წარმოგიდგება.

ვფიქრობთ, უკვე გამხდარან რომაელთა მიგრაციული პოლიტიკის მსხვერპლნი კოლხებისა და სანების ჩრდილოეთით მცხოვრები ჰენიოხები, რომლებიც უძველესი პერიოდის ავტორების მიხედვით (ძვ. წ. V ს.–ახ. წ. I ს), გაგრიდან მდინარე შახემდე ცხოვრობდნენ (სტრაბონი 1994: 471; ყაუხჩიშვილი, 1977: 38, 116). არიანეს კი ისინი ახ. წ. II საუკუნეში ტრაპეზუნტის სიახლოვეს, მაკრონებთან წყვილში ჰყავს მოხსენიებული. ჰენიოხების გადასახლების ფაქტს არიანეს ნაშრომიდან შემდეგი ფრაგმენტიც ამყარებს: „მდინარე არქაბიდან მოკიდებული ვიდრე ოფიუნტის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ეგრეთწოდებული ეკხირიელების ტომი, ხოლო ამჟამად ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები“ (გეორგიკა 1965: 3). აშკარაა, რომ სამივე ხალხს (ჰენიოხებს, მაქელონებს და ეკხირიელებს) ნებით თუ ძალით განსახლების არეალი შეუცვლია.

საისტორიო თხზულებებში მოიპოვება ცნობა ახ. წ. I საუკუნეში ჰენიოჰების პიტიუნტზე თავდასხმისა და მათ მიერ აღნიშნული ციხესიმაგრის მთლიანად განადგურების შესახებ (სინ, 1970: 370), რაც დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებითაც (დიდი პიტიუნტი 1977: 152). პიტიუნტში ამ დროს რომაული გარნიზონი იდგა. რადგანაც აღნიშნული ფაქტი მაშინდელ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოხვდა, როგორც ჩანს, ეს არ იყო მცირემასშტაბიანი, ძარცვის მიზნით მოწყობილი რიგითი თავდასხმა.

ჩვენ არ ვიცით ჰენიოჰთა უკმაყოფილების ზუსტი მიზეზი. შესაძლოა, პიტიუნტში მდგომ რომაელთა გარნიზონზე მიზანმიმართულ შეტევას ჰქონდა ადგილი, ან ამბოხების დაწყება გადასახლებით დაბეგვრას უკავშირდებოდა, ან ეროვნულ ჩაგვრას, ან სულაც რომაელების მიერ საკუთარი მმართველობისა და კანონების დანერგვას. არ არის გამორიცხული, რომ ყველაფერის ერთად. თავის მხრივ, ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, რომის იმპერია ც განახორციელებდა პერმანენტულ შეტევას ადგი-

ლობრივებზე სხვადასხვა ფორმით. მითუმეტეს, რომ ჰენი-
ოხებთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული მიზეზიც
ჰქონდა – პონტოსა და რომს შორის მიმდინარე ომების
დროს ისინი მითრიდატე VI-ის მოკავშირეები იყვნენ და
მას ხშირად უწვდიდნენ დახმარების ხელს (აპიანე 2005:
§69, §102).

როგორც ჩანს, ადგილობრივები სასჯელს ვერ
ასცდნენ და ისინი სამხრეთში, მაკრონების გვერდით იქ-
ნენ გადასახლებულნი. შესაძლებელია, მაკრონებიც ჰენი-
ოხებივით გაგრის დასავლეთით ცხოვრობდნენ და ორივე
ერთად გადაასახლეს ახალ ადგილებზე. ზოგიერთ წყა-
როში მაკრონები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სა-
ნაპიროზე მცხოვრებ ხალხად მოჩანან (არიანე 1961: 84).
ჰენიოხია კრებსითი სახელი იყო და ჩვენ არ ვიცით ზუს-
ტად ვინ მოიაზრებოდნენ მის ქვეშ (არიანე 1961: 81).

„მაკრონებისა და ჰენიოხების მეფე ანქიალეს“ –
წერს არიანე, თუმცა არ აღნიშნავს რომელმა იმპერატორ-
მა დანიშნა ანქიალეს (სხვა შემთხვევაში ყოველთვის უთი-
თებს). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაკრონები და
ჰენიოხები ერთი ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით
ერთმანეთთან შერეულად ცხოვრობდნენ და არა კომპაქ-
ტურად – ჰენიოხები ერთად და მაკრონები ერთად. უცხო
გარემო და დასახლების ასეთი ტიპი (შერეული) მათი
ეროვნული ენერჯის შესასუსტებლად იყო გამოიზნული.
რომის ხელისუფლების მხრიდან მათზე მეთვალყურეობის
გასაადვილებლად ისინი ისედაც კაპადოკიის მმართველის
რეზიდენციასთან ახლოს გადაასახლეს.

ჰენიოხების გადასახლება მათ დასავლეთით
მცხოვრებ (მდინარე შახედან [აქეუნტიდან] ტუაფსემდე)
ზიგებსა და აქაიებსაც დაასუსტებდა და ადვილად დასა-
მორჩილებელს გახდიდა მათ. ეს სამი ხალხი ყოველთვის
ერთად მოიხსენიებოდა და ერთი ტერიტორიულ-ადმინის-
ტრაციული გაერთიანების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერ-
თიანობა მათ სამხედრო თვსაღსაზრისითაც აძლიერებ-
დათ (ისინი ნავეებით ფლოტილიას ქმნიდნენ და თვით
ქვეყნებსაც ესხმოდნენ თავს) (სტრაბონი 1994: 470), რაც
ძალზე მნიშვნელოვანი იყო მათი თავდაცვისთვის.

ეფიქრობთ, მოვლენები ასეც განვითარებულა. ფლავიუს არიანესთან აქაიებსაც ვერ ვხვდებით. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ, როგორც კაპადოკიის პროკონსული აღნიშნავს, დიოსკურიის დასავლეთით მდებარე სამფლობელოების აღწერა მის მოვალეობაში არ შედიოდა და მხოლოდ ბოსფორის მეფის კოტისის გარდაცვალების შემდეგ გაუჩნდა აზრი ამ ტერიტორიების შესახებ გარკვეული ინფორმაცია მიეწოდებინა რომის იმპერატორისთვის. არიანე წერდა: „დიოსკურიასთან მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის. რადგან გავიგე, რომ კოტისი ეგრეთ წოდებული კიმერიული ბოსფორის მეფე გარდაიცვალა, მე შევეცადე ამეწერა შენთვის გზა ბოსფორამდე, რათა, თუკი რაიმეს მოისურვებ ბოსფორის მიმართ, შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელო ამ გზის ცოდნის საფუძველზე“ (არიანე 1961: 51-52).

ამ ნაწივეტში, ბიზანტიის მხრიდან ბოსფორის სამეფოს მიმართ სამხედრო ძალის გამოყენებაზეა მინიშნება გაკეთებული. ბოსფორი და საერთოდ, ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულები რომის იმპერიისთვის ზურგის როლს ასრულებდა და, აქედან გამომდინარე, რომის იმპერატორის კარზე აღნიშნულ სამეფოში მიმდინარე საშინაო და საგარეო პროცესებით დაინტერესება სავსებით ლოგიკური იყო. სტეპის მომთაბარეები უკვე დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ იმპერიისთვის. ფლავიუს არიანე სწორედ ამ პერიოდში (136 წ.) ქმნის მეორე ნაშრომს „დისპოზიცია ალანთა წინააღმდეგ“ (არიანე 1998), რომელიც ამ უკანასკნელთა თავდასხმების მოგერიების საკითხებს ეხება. ალანთა შეჩერებას კაპადოკიის ლეგატი კოალიციური ლაშქრით ცდილობდა, რომელიც კოლხების, ბოსფორელების, არმენიელების, იტალიელებისა და ა. შ. იმპერიის სხვადასხვა ხალხისგან შედგებოდა. ალანების და სხვა მომთაბარეთა თავდასხმების აღკვეთაში ქართველების მიერ კავკასიის გადასავლელების ჩაკეტვასთან ერთად ბოსფორელებსაც მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეეძლოთ, რადგანაც კქონდათ მათთან ურთიერთობის გამოცდილება, ასევე, მათ შეეძლოთ ალანები სა-

კუთარ სამფლობელოზე არ გაეტარებინათ, საიდანაც ხიფათი იმპერიის დასავლეთ პროვინციებს ემუქრებოდა. ამიტომ რომის უსაფრთხოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ იქნებოდა ბოსფორის სამეფოს სათავეში.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, არიანეს მიერ აქაიების მოუხსენიებლობა, შესაძლოა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ავტორის მიზანი, პიტიუნტიდან ბოსფორის სამეფომდე (არიანეს არაკონტროლირებადი მხარე) მხოლოდ სანაპიროსა და ნავსადგურების მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება იყო და არა აქ მოსახლე ხალხების აღწერა.

საინტერესოა ფლავიუს არიანეს მიერ მოხსენიებული იბერიის მეფის ფარსმანის ქვეშევრდომი ძიდრიტები. გ. მელიქიშვილი წერდა, რომ „ამ ზღვისპირა რაიონს იბერია, ეტყობა, არც თუ დიდი ხნის წინ დაუფლებია. პლინიუსმა (23/24-79), მაგალითად, რომელიც ამ ადგილებს აღწერს, არაფერი იცის იბერიის სამფლობელოების ასე გავრცელების შესახებ. პირიქით, ახსენებს რა ციხე აფსარს, იგი დასძენს, რომ ამ ადგილებში, „მთებს იქით“ არის იბერია, ხოლო სანაპიროზე სახლობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები. ჩანს, ამ დროს, როდესაც წერდა პლინიუსი (I ს. შუა წლებში ან, შეიძლება, 70-იან წლებშიც კი) ქართლის სამეფოს ტერიტორია ძალზე ახლო იყო ამ ადგილებში ზღვასთან, მაგრამ საკუთრივ ზღვისპირა ზოლზე იბერიის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა“ (სინ 1970: 360).

ძიდრიტების შემდეგ ისევ რომაელებზე დაქვემდებარებული ისტორიული საქართველოს ტერიტორია იწყებოდა. ჯერ ლაზები, მათ ჩრდილოეთით აფსილები, შემდეგ კი აბასკები ცხოვრობდნენ. სამივე მათგანს რომის იმპერატორი უნიშნავდა მმართველს – „ბასილევსს“ (თარგმანში „მეფეს“).

აფსილები და აბასკები პირველად ჩნდებიან წერილობით წყაროებში. ისინი სეზასტოპოლისის სამხრეთით, აფსილები მდინარე კოდორის ხეობაში, აბასკები კი მათ ჩრდილოეთით (სეზასტოპოლამდე) ცხოვრობდნენ. ფლავიუს არიანეს ინსპექტირებისას აბასკების დასავლეთით

მდინარე შახემდე მკვიდრობდნენ სანიგები, რომელთა სამფლობელოში მდებარეობდა სებასტოპოლისი. დაახლოვებით ერთი საუკუნის წინ, სტრაბონის დროს, გაგრიდან შახემდე ჰენიოხები იყვნენ მოხსენიებულნი. დიდი ბერძენი გეოგრაფი კი, დიოსკურიისა და დიდი პიტიუნტის კოლხეთის სამფლობელოში მდებარეობაზე მიუთითებდა (სტრაბონი 1994: 471).

ფლავიუს არიანეს ცნობით, გამოდის, რომ მის დროს სანიგები კოლხეთისა და ჰენიოხების ტერიტორიაზე სახლობდნენ. ნიშნავს თუ არა ეს ცნობა იმას, რომ ჰენიოხების სამხრეთით გადასახლების შემდეგ, მათ ტერიტორიაზე სანიგები დაასახლა რომის ხელისუფლებამ? ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ნაკლებ სავარაუდოა. „ჰენიოხია“ ბერძნების მიერ შემოღებული კრებსითი ეთნონიმი იყო, რომლის ქვეშაც უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულები და ეთნონიმები მოიაზრებოდა (მათ შორის შესაძლოა „ჰენიოხებიც“ იყვნენ, რომელთა სახელიც ბერძნებმა სხვებზე გაავრცელეს). ამას ძველი ბერძენი ავტორებიც მიუთითებენ. როგორც ჩანს, რომაელებმა „ჰენიოხთა“ მხოლოდ გარკვეული ნაწილი აყარა მშობლიური ადგილებიდან. რაც შეეხება სანიგების გამოჩენას, რომლებიც ფლავიუს არიანე საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, აბასკიიდან მდინარე შახემდე ათავსებს (სტრაბონის მიხედვით, ჰენიოხები უფრო მცირე მონაკვეთზე, გაგრიდან მდინარე შახემდე ცხოვრობდნენ), ჩვენი აზრით, ისინი აღნიშნული სანაპირო ზოლის აბორიგენი ხალხია, რომლის თვითსახელწოდებასაც ეთნონიმი „ჰენიოხები“ ჰფარავდა. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. I საუკუნეში რომაელების დამკვიდრების შემდეგ ბერძნების მიერ შემოღებული კრებსითი სახელწოდება გაქრა, ადგილობრივი ეთნონიმი კი ოფიციალურ ხმარებაში დამკვიდრდა.

როგორც ჩანს, ახ. წ. I საუკუნეში (სტრაბონის დროს) განსხვავებული ადმინისტრაციული დაყოფა მოქმედებდა. გაგრის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას კოლხეთი ეწოდებოდა, მის დასავლეთით კი ჰენიოხების განსახლების არეალი იყო. თუმცა ორივე ადმინისტრაციულ ერთეულში ქართული წარმოშობის ხალხი ეთნონიმით „სანი-

გები“ ცხოვრობდნენ. ივანე ჯავახიშვილს ჰენიოხები ჭანურ ტომად მიაჩნია, პ. ინგოროყვა კი ერთმანეთთან აიგივეებს ჰენიოხებს, სანიგებსა და სანიხებს (არიანე, 1961: 11; ჯავახიშვილი 1913; 32; ინგოროყვა 1954:122, 124, 135).

სანიგების მეზობლად, მდინარე შახეს დასავლეთით, ფლაიუს არიანე ზიგებს ასახელებს. ზიგები პირველად მი-თრიდატეს ისტორიკოსებთან და არტემიდორესთან ჩნდებიან. სტრაბონი მათ შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის. კაპადოკიის ლეგატი კი აღნიშნავს, რომ ზიგებს, ისევე როგორც ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ხალხს, რომის იმპერატორი უნიშნავდა მმართველს – „ბასილევსს“ (თარგმანში „მეფეს“), რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი რომის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. როგორც წინა შემთხვევაში (სანიგებით ჰენიოხების ჩანაცვლებას ვგულისხმობთ) აქაც აღარ ჩანან მდინარე შახედან გელენჯიკამდე ძველი ბერძენი ისტორიკოსების მიერ მოხსენიებული „აქაიები“. როგორც ჩანს, „ზიგს“ აღნიშნული ეთნონიმი გადაუფარავს. თუმცა შემორჩენილა დასახლებული პუნქტები: „ძველი ლაზიკა“ (შემდგომი პერიოდის ნიკოფსია) და „ძველი აქაია“ (გელენჯიკი), რომლებიც ლაზებისა და აქაიების აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრებას უტყუარს ხდიან.

ისტორიკოსთა შორის მუდმივი კამათის საგანია აფსილების, აბასკებისა და ზიგების საისტორიო წყაროებში გამოჩენის საკითხი. მიჩნეულია, რომ ეს ჩრდილო კავკასიელების კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე გადმოსახლებას უკავშირდება (სინ 1970: 377; ფიფია ნ.). ეფიქრობთ, ეს მოსაზრება არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

თუ დავეუშვებთ ამ ხალხების მიგრაციას, მაშინ ეს ფაქტი, იმავე ლოგიკიდან გამომდინარე (ეთნონიმის გამოჩენა = მათ ჩამოსახლებას), ახალი მომხდარია. ახ. წ. I საუკუნის ავტორები (მათ შორის სტრაბონიც) არც აფსილებს ახსენებენ და არც აბასკებს (თუ არ ახსენებენ, ე. ი. ეს უპირობოდ ნიშნავს, რომ არ ცხოვრობდნენ?). ასევეა, ზიგების შემთხვევაშიც. ისინი მხოლოდ ძვ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში ჩნდებიან საისტორიო წყაროებში. თუ გამოვთქვამთ მოსაზრებას ზიგების ჩრდილო კავ-

კასიიდან თუ სარმატიიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მიგრაციის შესახებ, მაშინ მოგვიწევს პასუხი გავცეთ მრავალ კითხვას, რომელთაგან ერთ-ერთია – სად და როდის ისწავლეს ჩრდილოკავკასიელმა ჯიქებმა ან „სტეპნიაკმა“ სარმატებმა (გააჩნია ამ ორიდან რომელს მივიჩნევთ გადმოსახლებულებად) ნაგების გაკეთება? საერთოდ, როდესაც ვასაბუთებთ გადმოსახლებას, მაშინ პასუხი უნდა გავცეთ კითხვებს: საიდან, როდის და რა მიზეზით მოხდა გადმოსახლება.

ფლავიუს არიანეს მოეპოვება ცნობა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნული ხალხის (აფსილების, აბასკების, ზიგების) ჩამოსახლების საკითხთან. ეს რომის იმპერატორის მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხისთვის „მეფეების“ დანიშვნას და ახ. წ. II საუკუნეში აფშილების, აბაზგიის, ზიგებისა და სხვა სამეფოების არსებობას (ჯანაშია 1952: 309) ეხება. ისტორიკოსთა ნაწილი ამ ცნობაზე დაყრდნობით აფხაზეთის სამეფოს ისტორიას აბაზგიის „სამეფოდან“ იწყებს „და ეწევა „აფხაზური სახელმწიფოებრიობის“ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროპაგანდას“ (ფიფია 2007), მიუხედავად იმისა, რომ ფლავიუს არიანე არსად ახსენებს სიტყვა „სამეფოს“. გამოდის, რომ არიან „მეფეები“, მაგრამ არ არის სამეფოები. ზემოთ აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად კი პირიქით სჯობდა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ სამეფოების წარმოშობა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებულ საფეხურზე ხდება, რომელსაც ზემოთ ნახსენები „პოლიტიკური ერთეულები“ ვერ აკმაყოფილებენ, აღნიშნული მოსაზრება წინააღმდეგობაში მოდის აფსილების, აბაზგებისა და ზიგების ჩამოსახლების თეორიასთან. ერთის მხრივ, ვწერთ, რომ უძველეს წყაროებში (წელთ აღრიცხვების მიჯნა) აბაზგების, აბსილებისა და ჯიქების გამოჩენა შავი ზღვის სანაპიროზე ჩრდილო კავკასიიდან მათი გადმოსახლების შედეგია და მეორეს მხრივ, ვუშვებთ, რომ გადმოსახლებულებმა („სტეპნიაკმა“ სარმატებმა ან ჩრდილო კავკასიის მთის მოსახლეობამ ან მათმა სინთეზმა) მიგრირებისთანავე სამეფოები შექმნეს, მაშინ როდესაც ათა-

სწლეულების განმავლობაში აქ მცხოვრებმა ადგილობრივებმა, რომლებსაც „ტომებს“ ვუწოდებთ, აქამდე ეს ვერ მოახერხეს. თანაც ერთ მათგანს რომ შეექმნა „სამეფო“, შეიძლება რაღაც მიზეზებზე გვემსჯელა, მასობრივ პროცესთან გვაქვს საქმე – არიანე აქ მცხოვრები ყველა ხალხის „მეფეებზე“ საუბრობს. გამოდის რომ „ტომები“, რომლებსაც უკეთეს შემთხვევაში ადგილობრივი მმართველი ჰყავს (არანაირი სტაბილური ეკონომიკური საფუძველი არ აქვთ – ცხოვრობს მეკობრეობითა და მონათვაჭრობით) (სტრაბონი 1994: 471) უცებ „სამეფოები“ ხდებიან. საკმაოდ ბევრი კითხვებია, რომლებზედაც არგუმენტირებული პასუხები არ ჩანს. გამოდის, რომ ახლად ჩამოსახლებულმა აბაზგებმა და ჯიქებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ ერთიდაიგივე განვითარების დონეს მიაღწიეს. ვფიქრობთ, აბსურდამდე მივდივართ. აშკარაა, რომ თუ „გვინდა“ „სამეფოები“, მაშინ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლების თეორიაზე მოგვიწევს უარის თქმა და ამ ხალხის ქართველური წარმოშობა და, მაშასადამე, მათი აბორიგენობა უტყუარ ფაქტად უნდა ვაღიაროთ, ხოლო თუ ამ ხალხის ჩრდილოკავკასიელობა ან სარმატობა უტყუარ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, მაშინ მათი „სამეფოებისა“ და „მეფეების“ არსებობა სათავეშივე უნდა გამოვრიცხოთ (ან ერთ მოსაზრებას უნდა „შეველიოთ“ ან მეორეს (ესეც უკეთეს შემთხვევაში), ჩვენი აზრით, ყველაზე მართებული იქნება თუ ორივეზე ვიტყვით უარს, რადგანაც წყაროების მონაცემებით, არც ერთი მტკიცდება და არც მეორე).

„მეფე“ ბერძნული „ბასილევსიდანაა“ ნათარგმნი (აბსურდული მოსაზრებებისა და დასკვნებიდან გამომდინარე რომელსაც მკვლევართა ნაწილი აღნიშნული ტიტულის ხმარებას უკავშირებს, ჩვენ უფრო მართებულად ნათარგმნი „მეფის“ ნაცვლად დედნისეული ბერძნული ტერმინის „ბასილევსის“ გამოყენება მიგვაჩნია). ბასილევსი საერთოდ კანონიერ ხელისუფალს ნიშნავს (მემკვიდრეობითსაც და არჩევითსაც) და აქედან გამომდინარე, როცა არიანე ამ ტერმინს ხმარობს, ეს უპირობოდ არ ნიშნავს, რომ მაინცადამაინც მემკვიდრეობით მმართველობასთან გვაქვს საქმე

– შესაძლოა მის ქვეშ ხალხის მიერ კანონიერად არჩეული მმართველიც იგულისხმებოდეს. მემკვიდრეობითი ხელისუფლებაც რომ იყოს, არც ამ შემთხვევაშია მართებული ყოველთვის მეფესა და დინასტიაზე ლაპარაკი.

ჩვენი აზრით, ჯერ ბერძნებმა, შემდგომ კი რომაელებმა საკუთარ რეალობაში ადგილობრივი მმართველის ფუნქციის და ტიტულის (შესაძლოა „ერისთავის“, მამასახლისის ან უხუცესის) ზუსტი შესატყვისი ვერ მოძებნეს და მას „ბასილევსი“ მიუსადაგეს.

ვეარაუდობთ, რომ ბასილევსებს (ერისთავებს) რომში კი არ ნიშნავდნენ, არამედ ამტკიცებდნენ (სინ 1970: 377). რომის ხელისუფლება მათი კანონიერების დადასტურებით ამ სამოხელეო ინსტიტუტს ამყარებდა და საშინაო საქმეებში უფლებებს უზრდიდა, ამის სანაცვლოდ მათ რომზე დამოკიდებულებს ხდიდა და მათგან უპირობო ერთგულებას იღებდა, საგარეო პოლიტიკის გატარებას კი მთლიანად თავის ინტერესებს უქვემდებარებდა.

ჩვენ ისტორიკოსთა შორის ფართოდ გავრცელებულ ერთ შეუსაბამობაზეც გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე იმპერატორ ტრაიანეს მიერ „ბასილევსების“ ინსტიტუტის შემოღებას ეხება. ფლავიუს არიანეს მიერ ადგილობრივებისთვის რომის იმპერატორების მიერ „მეფეების“ დანიშვნის ფაქტის აღნიშვნა, რომელიც აქამდე სხვა წყაროებში ნახსენები არ არის, უპირობოდ არ ნიშნავს, რომ რომმა მათი დანიშვნა-დამტკიცება მაინცაღამაინც იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროიდან დაიწყო და ეს რეფორმა გარკვეულმა მიზეზებმა განაპირობა.

„ბასილევსები“ ტრაიანემდეც ინიშნებოდნენ. აპიანეს აქვს ცნობა, რომ პონტოს მეფე მითრიდატეზე გამარჯვების შემდეგ რომმა დამორჩილებული ხალხიდან ზოგს თავისუფლება მიანიჭა, ზოგს ბასილევსები დაუნიშნა, ზოგი კი უშუალოდ რომს დაუქვემდებარა“ (აპიანე 2005: §114). არიანე კი ამაზე გამოკვეთილად იმიტომ წერს, რომ ის იმპერატორისადმი წარსადგენ ოფიციალურ დოკუმენტს – თავისზე დაქვემდებარული ტერიტორიის ყოველმხრივ აღწერას – ამზადებს და არა ისტორიულ თხზუ-

ლებას. კაპადოკიის პროკონსული ფლავიუს არიანე აღწერს იმას, რა სიტუაციაც მის მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის ინსპექტირებისას, იყო. კაპადოკიის ლეგატი ხალხის ჩამოთვლისას მიუთითებს მათი „ბასილევსების“ სახელს და აღნიშნავს ვინ დანიშნა ისინი – უბრალოდ იმპერატორისადმი წარსადგენი ანგარიშის ფორმატია ასეთი. აღნიშნულ ფრაგმენტს თუ დაეკვირდებით, კოლხებისა და მაკრონების ბასილევსის დანიშვნის შესახებ არიანე არაერთარ ინფორმაციას არ გვაწვდის. ირკვევა, რომ აღრიანეს წინამორბედ ტრაიანეს (98-117 წწ.) მხოლოდ აფსილების ბასილევსი იულიანე დაუნიშნავს, დანარჩენი „ბასილევსები“ კი ყველა აღრიანეს (117-136) დანიშნულია. ეს ასეც უნდა იყოს. ტრაიანემ ახ. წ. 117 წლამდე იცოცხლა. დროის გასვლასთან ერთად შემცირდებოდა მისგან დანიშნული „ბასილევსების“ რიცხვიც (ისინი გარდაიცვლებოდნენ). „პერიპლუსიდან“ ირკვევა, რომ მისი სიკედილიდან ოცი წლის შემდეგ „ბასილევსების“ უმეტესობა აღრიანეს დანიშნულია.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს რომის იმპერატორების მიერ „მეფეების“ დანიშვნის მიზეზებიც საკითხიც. რა თქმა უნდა, თუ ჩვენ დაეუშვებით, რომ რომის მიერ აღნიშნული ტერიტორიის დაქვემდებარებიდან ორი საუკუნის შემდეგ საიმპერატორო კარი მმართველობის კუთხით რადიკალურ რეფორმას ატარებს და „ბასილევსებს“ ნიშნავს, მაშინ ამის გამომწვევ მიზეზებზეც უნდა ვიმსჯელოთ (ჩვენ ზემოთ უკვე უარყავით ეს მოსაზრება). ისტორიკოსები ამ მოვლენას გარკვეულ პოლიტიკური პროცესებს უკავშირებენ (ტრაიანეს დამპყრობლური პოლიტიკა აზიაში, ალანთა თავდასხმები, ალგილობრივების განკერძოებისკენ სწრაფვა. . .), რის გამოც საიმპერატორო კარმა ამ ინსტიტუტის შემოღება გადაწყვიტა.

ჩვენი აზრით, რომის ინტერესი წელთ აღრიცხვების მიჯნაზე შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ხალხებისგან მხოლოდ მისი სიუზერენობის ცნობა იყო, რაც საბოლოო ჯამში იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული ტერიტორია მისი პროტექტორობის ქვეშ ცხადდებოდა და სხვა სახელმწიფო რომთან

კონფლიქტის გარეშე, აქ თავის იურისდიქციას ვერ განახორციელებდა. აღნიშნული სამფლობელოები რომმა მითრიდატეს დამარცხების შემდეგ მექანიკურად შეიერთა (აპიანე 2005: §121) და მომდევნო პერიოდში მასზე გავლენის შენარჩუნებას ცდილობდა.

რადიკალურად იცვლება პოლიტიკური ვითარება I საუკუნის ბოლოს და II საუკუნის დასაწყისში, რასაც „დიდ სტეპში“ მომხდარ პროცესებთან აქვს პირდაპირი კავშირი. ჩრდილოეთ კავკასიონის დასავლეთ კალთებზე სარმატი ალანები მკვიდრდებიან (თოფჩიშვილი 2015: 66) და მათი თავდასხმები სერიოზულ საფრთხეს უქმნის იმპერიას. ამ პერიოდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და საერთოდ, ამიერკავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა განუზომლად იზრდება – იგი საიმპერატორო კარის ყურადღებისა და მუდმივი ზრუნვის ობიექტი ხდება. აქ მცხოვრებ ხალხს შეუძლია გზა გაუხსნას მომთაბარეებს და რომის სამფლობელოები აძარცვინოს.

რომს გადასასვლელების კონტროლი სურს, რომელიც ოფიციალურად მის სამფლობელოშია, თუმცა რეალურად მასზე ხელი არ მიუწვდება. ამის გამო იძულებულია ყველა საშუალება იხმაროს იმ ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებისთვის, რომლებსაც თავდამსხმელებისთვის უღელტეხილების ჩაკეტვა შეუძლიათ. მას ჩრდილოეთში სტაბილური ვითარება სჭირდება. ამისთვის საკმარისი არ არის ადგილობრივების მიმართ მხოლოდ დათმობები, შეღავათები და მატერიალური წახალისება. ალანთა შესაკავებლად აუცილებელია აქ მცხოვრები ხალხის სამხედრო პოტენციალის გაზრდა და საკუთარი დანიშნულებისამებრ მართვა. რომის ჯარების გამოყენება ვითარებას ვერ შეცვლის, რადგან ალანთა მოგერიებაში მას მხოლოდ დამხმარე ძალის როლი შეუძლია შეასრულოს და არა ძირითადის.

მოცემულ მომენტში აღნიშნული ხალხის შეკავშირების ერთადერთი საშუალება რომის ერთგული და მისი ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი ადგილობრივი ძლიერი ხელისუფალია, რომელიც თავდაცვისთვის ყველა რესურსის მობილიზებას მოახერხებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომის მიერ დანიშნული მმართველის („ბასილევსის“) ინსტიტუტი უკვე დიდი ხანია არსებობს. შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ჩვენ მხოლოდ ადგილობრივ მმართველებზე რომის კონტროლის გაძლიერებასა, მათთვის ეკონომიკურ და მორალურ დახმარებაზე და აქ მცხოვრები ხალხის კონსოლიდაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე შეიძლება ვიმსჯელოთ და არა მმართველობის კუთხით გატარებულ რადიკალურ ცვლილებებზე. თუ აქამდე რომი „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას მიმართავდა, ამის შემდეგ ის აქ მცხოვრები ხალხის შეკავშირებას შეეცდებოდა. რის გამოც ყოველგვარ ცვლილებას, განსაკუთრებით მმართველობის სფეროში, ადგილობრივი ხელისუფლებისადმი აბორიგენების მხრიდან უკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, რომის საიმპერატორო კარი მოერიდებოდა, რადგანაც ეს შიდა დაპირისპირებას გამოიწვევდა (ყველაზე ცუდ მმართველსაც ჰყავს მომხრეები, რომლებიც ბრძოლის გარეშე არ დათმობენ ძალაუფლებას). რომში შეეცდებიან მმართველის უფლებამოსილება გაზარდონ და ეს ადგილობრივებისადმი სხვა დათმობებით დააბალანსონ.

რომი ახალ მმართველს არ გზავნის, ეს არც შედის საიმპერატორო კარის გეგმებში, მხოლოდ ძველს (ადგილობრივს) ამტკიცებს. შიდა მღელვარებები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლები არის ის, რაც რომს ამ პერიოდში ყველაზე ნაკლებ სჭირდება. პირიქით, ამ ხალხის სიმშვიდე, სტაბილურობა, შიდა კონსოლიდაცია, ყოველივე ის, რაც სამხედრო თვალსაზრისით მათ გაძლიერებას გამოიწვევს რომისთვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ეს ადგილობრივების ინტერესებშიც შედის, რადგან ისინიც იმავე საგარეო საშიშროების წინაშე დგანან, პირველ რიგში მათ მიწა-წყალს ემუქრება კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებიდან განანაგების საშიშროება. რომის პოლიტიკური ელიტის გეგმებში შედის: არა საშინაო საქმეებში ჩარევა, არამედ საგარეო პოლიტიკის თავისი მიზნების შესაბამისად წარმართვა და აქ მცხოვრები ხალხისგან ბუფერის შექმნა. ამ პერიოდში რომისა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ინტერესები იკ-

ვეთება და ისინი მოკავშირეები ხდებიან. ასეთ კავშირს ოფიციალური გაფორმება არ სჭირდება.

რომის სახელმწიფოს მცდელობებს ერთიანი თავდაცვის შექმნის მიზნით ხელი შეეწყო აღნიშნული ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის სამხედრო კავშირის გაღმავებისთვის, მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება და აღნიშნული ხალხის კონსოლიდაცია მოჰყვა. საერთო მტრის თავდაცვის ორგანიზება იყო ის ბიძგი, რომელმაც შემდგომ პერიოდში ძლიერი პოლიტიკური ერთეული წარმოშვა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ პროცესში ალანთა გამეზობლებამ და რომის სახელმწიფოს მიერ გატარებულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი თავისდაუნებურად შეასრულა.

დამოწმებული ლიტერატურა

არიანე 1961 – ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაისა, თბ., 1961.

არიანე 1998 – Флавий Арриан, перевод А. Нефедкина, Диспозиция против аланов, Военно-историческое обозрение, №3, СПб, 1998; <http://www.xlegio.ru/sources/ektaxis-kata-alanon/>.

აპიანე 2005 – Аппиан, Митридатовы войны, <http://www.vehi.net/istoriya/rim/appian/mitridat.html>

გეორგიკა 1965 – გეორგიკა, II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.

დიდი პიტიუნტი 1977 – დიდი პიტიუნტი, თბ., 1977.

ინგოროყვა 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

თოფჩიშვილი 2015 – რ. თოფჩიშვილი, ხალხთა მიგრაციები, თბ., 2015.

სინ 1970 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

სტრაბონი 1994 – Страбон, География в 17 книгах, Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского, Москва, 1994, <http://naturalhistory1.narod.ru/Person/Lib/Strabon/Index.htm>.

ფიფია 2007 – კ. ფიფია, აფხაილებისა და აბაზგების „სამეფოები“ რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ. წ. II საუკუნე (ე. წ. „აფხაზური სახელმწიფოებრიობის“ საკითხისთვის), კრებულში: ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბ., 2007.

ფიფია კ. – კ. ფიფია, „აფხაზური სახელმწიფოებრიობა“ – მითი თუ ისტორიული რეალობა, https://iberiana2.wordpress.com/abkhazia/k_pipia-2/

ფიფია ნ. – ნ. ფიფია, მთიელთა მიგრაციის დასაწყისი დასავლეთ საქართველოში წელთაღრიცხვების მიჯნაზე, <http://saunje.ge/index>.

ყაუხჩიშვილი 1977 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977.

ჯანაშია 1949 – ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949.

ჯანაშია 1952 – ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1952.

ჯავახიშვილი 1913 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1913.

მირიან ხოსიტაშვილი

თბილისის საგარეუბნო ზონისა და საქალაქო (ურბანული) აგლომერაციის ურთიერთმიმართების ისტორიული და კულტურულ-სოციალური ასპექტები

თანამედროვე საქართველოს ურბანულ განვითარებას ბევრი თანმხლები პრობლემა ამწეავენ: შიდა მიგრაციული პროცესები, თბილისის მოსახლეობის რაოდენობის სერიოზული ზრდა, ამას ერთვის, ზოგადად, მოსახლეობის მობილობის ზრდა. აქტუალურ პრობლემად იკვეთება საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აუცილებლობა, აგრეთვე, შრომის ბაზრისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ადვილად ხელმისაწვდომობისა და საქმების პრობლემები. ურბანიზაციასთან ერთად წარმოიქმნა განსახლების ახლებური ფორმა – ურბანული აგლომერაცია. რას ნიშნავს იგი? ურბანული, ანუ, საქალაქო ურბანიზაცია გულისხმობს რამდენიმე დიდი დასახლებული პუნქტის, მეტწილად ქალაქური ტიპის, კომპაქტური დაჯგუფების ერთობლივ აღქმას, რაგანაც მათ შორის არსებობს მჭიდრო კომუნიკაცია, ზოგიერთი დასახლება სულაც ერწყმის სხვას, ან მათ შორის არსებობს ერთგვარი საკომუნიკაციო დერეფანი და სახეზეა ინტენსიური საწარმოო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირები. საქართველოს მაგალითზე ამგვარი ურბანული აგლომერაციის მაგალითია თბილისი და მისი საგარეუბნო ზოლი.

ბუნებრივია, რომ თბილისისა და მისი საგარეუბნო ზოლის ჩამოყალიბებამ ურბანული აგლომერაციის ნაწილად, ამ ფორმატით, განაპირობა აუცილებლობა სამეცნიერო კვლევისა ამ ტიპის გაერთიანების წარმოქმნის ისტორიის, თანამედროვე სოციო-კულტურული პორბლემებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

თბილისი და მისი საგარეუბნო ზოლი მოქცეულია ერთიან დიაქრონულ ჭრილში სხვა რამდენიმე დიდ დასა-

ხლებულ პუნქტთან. ესენი არის: **მცხეთა, რუსთავი, გარდაბანი და მარნეული, მათი ორგანული ერთობლიობა. ამ კონტექსტში იგეგმება** თბილისის განვითარების ფუნქციურ-სივრცითი გააზრების ახალი ეტაპი.

ურბანული აგლომერაციის სახით გაერთიანების წარმოქმნას აქვს ხანგრძლივი ისტორია და ამ თვალსაზრისით არსებობს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს გაჩნდა იდეა მთაწმინდის პლატოს ქალაქგეგმარებითი განვითარების შესახებ. მთაწმინდის პლატოზე უნდა აშენებულიყო საზაფხულო თეატრი, დასასვენებელი პარკი, უნდა მომხდარიყო საკარმიდამოს (აგარაკების) განაშენიანება, ფუნიკულიორის მოწყობა, რომლის მშენებლობაც 1903 წელს დაიწყო და 1905 წელს დასრულდა. განიხილებოდა, აგრეთვე, მთაწმინდის პლატოდან კოჯორთან დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზის გაყვანის იდეაც. თუმცა პლატოზე დასახლების მოწყობის პროექტი ვერ განხორციელდა იმ ეკონომიკური კრიზისის გამო, რაც გამოიწვია მეფის რუსეთის მარცხმა 1904-1905 წლების იაპონიასთან ომში (კალანდაძე 2005).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სრულად შეიცვალა ქვეყნის მოწყობის სამართლებრივი პრინციპები, გაუქმდა კერძო მიწათმფლობელობის სისტემა, მოხდა მიწების ნაციონალიზაცია და სხვ. ამ ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთის მიმართულებით დედაქალაქის სარეკრეაციო სივრცის ათვისება და გამოყენება. ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისში, თბილისის პირველი გენერალური გეგმის პროექტირებისას, აქტიურად განიხილავდნენ, გაეყვანათ დედაქალაქის კოჯორთან დამაკავშირებელი რკინიგზა. ეს იდეაც მეფის რუსეთის დროინდელი იყო. თბილისი-კოჯორის რკინიგზის გაყვანის იდეის ავტორი ლ. ჩიჯავაძე ამტკიცებდა: „კოჯორის ელექტრორკინის გზის განხილვა, როგორც უბრალო სამიმოსელო გზის, შეუძლებელია. იგი წარმოადგენს „დიდი-ტფილისის“ საკურორტო, კულტურულ-ადმინისტრატულ და სავარმოო ქალაქის გეგმის ერთ ნაწილს“ (ჩიჯავაძე 1931: 4). ლ. ჩიჯავაძის აზრით, „კერგზის“ (ტერმინი ავტორისაა

– მ. ხ.) გაყვანა შესანიშნავ კლიმატურ პირობებში, დასაბამს მისცემდა ტფილისის მიდამოებში არსებითად ახლებური დასახლებების განვითარებას. ის იყენებს იმდროინდელ ისეთ ქალაქგეგმარებით კატეგორიებს, როგორებიც არის: „მწვანე ქალაქი“, „ქალაქ-ბაღები“, „მაღალი ტფილისი“, „ზემო ტფილისი“. ავტორი საუბრობს, აგრეთვე, ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემაზე: „არიან ეგრეთ წოდებული „ს-გზები“, რომელნიც აერთებენ ქალაქის სატრანსპორტო და გარეთუბნის გზებს. ... კერგზის გეგმაში განზრახულია ტფილისის არსებული ელექტროგზებთან (ტრამვაისთან) მისი გაერთიანება „სწრაფი-ტრამვაის“ შემოღების სახით. ... „სწრაფი-ტრამვაის“ შემოღებით მოგზაურობა ბევრად გაადვილდება, გარეთუბნები ერთმანეთს და ცენტრს დაუახლოვდებიან. პირველ რიგში ასეთი ხაზი უნდა იყოს გაყვანილი მტკვრის გასწვრივ, სანაპირო ქუჩით ... ასეთი მოძრაობის შემოღება ადვილი იქნება „კერგზას“ მძლავრი ვაგონების საშუალებით ... ამგვარი გაერთიანება, გარეთუბნის და ქალაქის ტრანსპორტის, მოგვეცემს საშუალებას: 1. ქალაქის და გარეთუბნის მშრომელი მასის სატრანსპორტო მოთხოვნილების ადვილად დაკმაყოფილების; 2. ქალაქში სატვირთო მოძრაობის შემოღებას“ (ჩიჯავაძე 1931: 15).

ლ. ჩიჯავაძე ყურადღებას ამახვილებს სამგზაურო გადაზიდვების თემაზეც: „კერგზაზე მოსალოდნელია შემდეგი კატეგორიის მოგზაურები: ა) ადგილობრივი სოფლების მცხოვრებლები, ბ) საგარეუბნო მოსახლეობა, გ) მოქალაქეები დასასვენებელ დღეებში, დ) კურორტებში და აგარაკებზე მცხოვრებლები, ე) ტურისტები და მონადირეები და ვ) ბალნეოლოგიური კურორტის ავადმყოფები“ (ლ. ჩიჯავაძე 1931: 21).

1934 წელს, დედაქალაქის განვითარების მიზნით, შეიმუშავეს „ტფილისის პირველი გენერალური გეგმა“. მასში გათვალისწინებული იყო „ზემო ტფილისის“ ათვისების პრობლემა: „ტფილისის აგეგმვის პროექტის დამუშავებისას, საჭიროა კიდევ ერთი პრობლემა გავითვალისწინოთ – პრობლემა ზემო ტფილისის [ხაზი ჩვენია – მ. ხ.] ეს პრობლემა მდგომარეობს სააგარაკო ადგილების ათვისე-

ბაში, რომელიც ტფილისის ზემო ტერასაზე მდებარეობენ კოჯრის გზაზე – კოჯორი, კიკეთი, მანგლისი. ეს ადგილები, ზღვის დონიდან 800-1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარე, ზაფხულობით სუფთა და გრილი ჰაერით ხასიათდება, გარშემორტყმულია ტყეებით და ფრიად ღამაზია“ (ტფილისის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის 1934: 42).

1934 წლის ტფილისის გენერალურ გეგმაში საუბარი იყო „ზემო ტფილისთან“ დამაკავშირებელ კოჯრის რკინიგზაზეც: „გარეუბნებთან დასაკავშირებლად განზრახულია, აიგოს კოჯრის ელექტრონის რკინის გზა (ე. წ. „კერგზა“), რომელიც ღრმა შტოების საშუალებით დაუკავშირდება ტფილისის ყველა რაიონს“ (1934: 49). სამწუხაროდ, ვერც ეს პროექტი განხორციელდა.

XIX საუკუნეში დაწყებული საქართველოს დედაქალაქის მიმდებარე სოფლების ინკორპორირების პროცესი II მსოფლიო ომის შემდგომ ათწიულებში გაგრძელდა. სოფლები – წყნეთი, ახალდაბა და ოქროყანა – თბილისის იურისდიქციის დაქვემდებარებაში მოექცა. მას შემდეგ, რაც დაბა წყნეთში კოლმეურნეობა დაიშალა, ის სააგარაკედ მეტად მიმზიდველი გახდა. წყნეთის მიწები, უშუალოდ ი. სტალინის ჩარევის შემდეგ (ჩარკვიანი 2004: 576-586), თბილისის ელიტას აგარაკების ასაშენებლად გადაეცა. მიწის ნაკვეთები ჯერ 1000, მოგვიანებით კი 600 კვადრატულ მეტრს შეადგენდა.

„საგარეუბნო ზონის“ განვითარების კონცეფცია განხილულ იქნა 1970 წლის „თბილისის მესამე გენერალური გეგმშიც“. „საგარეუბნო ზონა“ ფართო სარეკრეაციო ტერიტორიას მოიცავდა. მასში გაერთიანებული იყო მცხეთის, დუშეთის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის ადმინისტრაციული რაიონები. დედაქალაქისა და „საგარეუბნო ზონის“ ფუნქციურ-ტერიტორიული ურთიერთმიმართება ვერტიკალური მმართველობით განისაზღვრებოდა, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდის ქალაქგანვითარებისთვის. თბილისის „საგარეუბნო ზონის“ 2001 წლის განახლებულ პროექტში არსებითი ტერიტორიული და ფუნქციური ცვლილებები არ შესულა.

ამასობაში, სააგარაკე მშენებლობა თბილისის ჰინტერლანდში (interland), ანუ, რაიონებში, რომლებიც ეკერის თბილისს – კულტურულ, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრს – გაგრძელდა. თუმცა, გარკვეულ დრომდე, ადმინისტრაციულად, თბილისელებისთვის განკუთვნილი სააგარაკე ტერიტორიები არა თბილისის, არამედ მიმდებარე (მცხეთის, გარდაბნის, თეთრიწყაროს) რაიონების გამგებლობაში რჩებოდა. ასეთი მდგომარეობა ასუსტებდა სათანადო ადმინისტრირებასა და კონტროლს, აფერხებდა საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას, შეუძლებელს ხდიდა საქალაქო სერვისების გამოყენებას, ქმნიდა კორუფციისა და ჯგუფური ინტერესებისათვის ხელსაყრელ გარემოს, უგულვებელყოფდა ქალაქგეგმარებით პირობებსა და ეკოლოგიურ შეზღუდვებს. ეს ყოველივე არა მხოლოდ უარყოფითად აისახა მომრავლებული სააგარაკე დასახლებების შიდა განვითარებაზე, არამედ თვით დედაქალაქის გრძელვადიან ინტერესებსაც აზიანებდა.

სააგარაკე მშენებლობა თბილისის ჰინტერლანდში გრძელდებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. საყურადღებოა, რომ თბილისელებისთვის განკუთვნილი სააგარაკე ტერიტორიები არა თბილისის, არამედ მიმდებარე (მცხეთის, გარდაბნის, თეთრიწყაროს) რაიონების გამგებლობაში რჩებოდა, ეს კი ასუსტებდა მათ ადმინისტრირებასა და კონტროლს, ცუდად ვითარდებოდა საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ვერ ხერხდებოდა საქალაქო სერვისების გამოყენება, უგულვებელყოფილი იყო ქალაქდაგეგმარება, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ეკოლოგიას, ქმნიდა კორუფციისათვის ხელსაყრელი გარემოს. ყოველივე ეს უარყოფითად აისახა არა მხოლოდ მომრავლებული სააგარაკე დასახლებების, არამედ თბილისის შიდა განვითარებაზეც.

რა მდგომარეობაა დღევანდელ ეტაპზე? თბილისის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის შემუშავებას და მის განხორციელებას აფერხებს ის, რომ თავის დროზე მცხეთისა და გარდაბნის რაიონულმა (მუნიციპალურმა) ხელისუფლებამ მოსახლეობას პირად

მფლობელობაში გადასცა თბილისის შემოგარენში არსებული მიწის ნაკვეთები. 2007 წლიდან ისინი დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული. ხაზგასასმელია, რომ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გაფართოების 2006 წლის ნორმატიული აქტი პალიატიური ხასიათისა იყო. ამ ნორმატიული აქტის მიხედვით, ახლად ინკორპორირებული სოფლები „ინარჩუნებენ თავის სტატუსს“. უფრო გამართლებული იქნებოდა თბილისის აგლომერაციის, როგორც ახლებური ურბანისტული რეალობის, ემანსიპირება და აგლომერაციის გენერალური სქემის შემუშავება, და არა სოფლების დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მექანიკური შემოყვანა.

პრობლემით დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა ქართული უწყება-დაწესებულებები და საქართველოში მოქმედი უცხოური ორგანიზაციები. აქტიურად მიმდინარეობს თბილისის ურბანული აგლომერაციის პრაქტიკული რეალობის კვლევა. ურბანული აგლომერაციის ფუნქციურ-ტერიტორიული ფენომენის გაცნობიერება თანდათან იმკვიდრებს ადგილს საქართველოს ინსტიტუციურ და მმართველობით სივრცეებში. თუმცა საკანონმდებლო-ნორმატიული სფეროს მხრიდან შეინიშნება ერთგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება. მაგალითად, ტექნიკური რეგლამენტის პროექტში „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდწ) ნორმების გაანგარიშების შესახებ“ მოყვანილია აგლომერაციის შემდეგი განსაზღვრება: „აგლომერაცია – ტერიტორიული არეალი, სადაც საკმარისად არის კონცენტრირებული (თავმოყრილი) მოსახლეობა და/ან ეკონომიკური საქმიანობები და სადაც ადგილი აქვს ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებას და ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში გადაცემას, ან საბოლოო განთავსების ადგილში ჩაშვებას აგლომერაციის ამგვარ დეფინიციას აქვს აშკარა ხარვეზები, თუმცა მთავარია, რომ სექტორულ, ამ შემთხვევაში გარემოს დაცვით პოლიტიკას დასჭირდა აგლომერაციის ცნების გამოყენება. იგივე ითქმის სხვა სფეროებზეც.“

ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2016 წლის სექტემბერ-დეკემბერში შესასრულებელი პროექტი – „Fostering Regional and Local Development in Georgia (RLD)“, რომელიც შემუშავდა UNDP-ის ინიციატივითა და SCO-ის (Swiss Cooperation Office) და ADC-ის (Austrian Development Corporation) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ერთ-ერთი თემაა „ურბანული და სასოფლო განვითარება და ტერიტორიული მოწყობა (arrangement)“. შემსრულებლებს დასახული ჰქონდათ შემდეგი ამოცანები:

1. თბილისისა და მთავარი ქალაქების შიდა ადმინისტრაციული მოწყობა;
2. არსებული და პერსპექტიული ურბანული აგლომერაციების მენეჯმენტი (ხაზი ჩვენია – მ. ხ.);
3. მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზების პრინციპები;
4. სასოფლო დასახლებების გაერთიანების (union of rural settlements) ტერიტორიული მოწყობის საკითხები.

ხაზგასასმელია, რომ ზემოთ მოყვანილ ამოცანებს შორის დაუსახელებლად ფიგურირებს თბილისის ურბანული აგლომერაცია, როგორც ქართული ურბანისტული რეალობის აწინდელი და უეჭველი მოცემულობა.

დამოწმებული ლიტერატურა

კალანდაძე 2005 – რ. კალანდაძე, თბილისის ფუნქციონირი, თბ., 2005.

ჩიჯავაძე 1931 – ლ. ჩიჯავაძე, კოჯრის ელექტრო რკინის გზა „კერგზა“. ტფ., 1931.

ძიძიკაშვილი 2016 – ნ. ძიძიკაშვილი, კ. კიკაბიძე, ნ. ნადარეიშვილი, სიერციხის მოწყობა და რეგიონული განვითარება. – რეგიონული განვითარების პროგრამა (GARF-RD), 2. თბილისი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2016.

Mirian Khositashvili

**Historical and Cultural Social Aspects of Relation
between
Tbilisi Suburban Area and Urban Agglomeration
Annotation**

The urban development of modern Georgia is accompanied by a number of related problems: a significant growth in Tbilisi population due to internal migration processes followed by a rise in population mobility in general. The necessity of improvement of communication infrastructure, easy access to labor market and cultural educational centers and unemployment problems in towns and villages throughout the country is a topical problem. An urban agglomeration, a new form of resettlement, occurred together with the urbanization. City urbanization implies a joint perception of several large urban type settlements and compact groups. Due to close communication between them, some settlements merge with the other or certain kind of communication corridor forms between them entailing intense industrial, transport and cultural relations. In the case of Georgia Tbilisi and its suburban area is an example of this kind of urban agglomeration.

Naturally, the formation of Tbilisi and its suburban zone as part of the urban agglomeration in this form, has led to the need for scientific research of its history, modern social and cultural problems and development prospects.

It should be noted that among the important objectives Tbilisi urban agglomeration features as the current and unquestionable task of Georgian urban reality which require subsequent studies and right development.

ლაერენტი ჯანიაშვილი

გაზიარებული სალოცავი და ტრადიციული დღესასწაული ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე

(ქართულ-ოსური ურთიერთობა ყაზბეგის რეგიონში)

ყაზბეგის რეგიონის ქართულ და ოსურ მოსახლეობას ხანგრძლივი კულტურული და სამეურნეო ურთიერთობის გამოცდილება აქვს. შერეულ სოფლებში, როგორც წესი, მათ საერთო (გაზიარებული) სალოცავები ჰქონდათ და რელიგიურ რიტუალებსაც ერთად აწეობდნენ. მონოეთნიკურ სოფლებში დღეობაზე ქართველებს ხშირად სტუმრობდნენ ოსი, ოსებს კი – ქართველი მოკეთე-ნათესავეები. კონფესიური, ეთნიკური, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების და სახელმწიფო ინსტიტუტების ზემოქმედება განსაზღვრავდა ამ რიტუალების ხასიათს და დიმანიკას (სინკრეტიზაცია, უნიფიკაცია, ნაციონალიზაცია და ა.შ.). მნიშვნელოვანია გაზიარებული სალოცავების კვლევა მიგრაციების მიმართულების განსაზღვრისთვის, რადგან სხვაგან გადასახლებულ ქართველ მთიელებს თითქმის ყველგან ჰქონდათ წესად წინაპართა სალოცავებში ჯვარხატობებზე სიარული და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა (ჯანიაშვილი 1997: 28; თოფჩიშვილი 2016: 166; თოფჩიშვილი 2002, 28-30, 35, 58 და ა.შ.). ყაზბეგის რეგიონიდან წასული ოსური მოსახლეობაც ცდილობს, რელიგიურ დღესასწაულებზე მაინც ესტუმროს იმ ადგილებს, საიდანაც გადავიდნენ. საყურადღებოა, ხსენებულ დღესასწაულებში სტუმარ-მასპინძლის ფუნქციები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, რიტუალში მონაწილეობის ხასიათი და ა.შ.

1944 წელს დაიწყო ყაზბეგის რეგიონიდან მოსახლეობის ჩრდილო ოსეთში გადინების ინტენსიური პროცესი. მრავალი ოსური ოჯახი გადავიდა ვლადიკავკაზის მიდამოებში სტალინური რეჟიმისაგან დეპორტირებული ინგუ-

შების ნასახლარებზე. ეს პროცესი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა, ჩრდილოეთ ოსეთთან გაადვილებული კომუნიკაცია, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ნათესაური და მეგობრული კავშირების ინტენსივობა ზრდიდა არა მარტო ოსების, არამედ მოხვედრის (ყაზბეგის რ-ნის მკვიდრი ქართველების) ჩრდილოეთისაკენ ლტოლვას. მათი ნაწილი კი სამხრეთით, საქართველოს ბარის სოფლებსა და ქალაქებში მკვიდრდებოდა. მიგრაციულ პროცესს აძლიერებდა თრუსოს ხეობაში (ყაზბეგის რეგიონის ნაწილი, მდ. თერგის ზემო წელი, რომელიც მე-20 საუკუნისათვის ძირითადად ოსებით იყო დასახლებული), არსებული მკაცრი გარემო პირობები და გაუმართავი ინფრასტრუქტურა. თუმცა, როგორც ითქვა, აქედან წასული ოსები ცდილობენ დღეობების პერიოდში ესტუმრონ მამ-პაპისეულ სალოცავებს.

საზოგადოდ, მიგრირებული მთიელები ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ კავშირს წინაპართა სალოცავებთან. მაგ. სამცხე-ჯავახეთში, სოფ. ფერსაში, გასული საუკუნის 40-იან წლებში კასპის რაიონიდან გადმოსული აფციაურები, ჩოხელები, გოგოლაურები, ქავთარაძეები და სხვ. დამკვიდრდნენ. ისინი ჯერ შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლებულან, 1944 წელს, მესხეთიდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციის შემდეგ, კი ხსენებულ სოფელში დამკვიდრებულან. მათი ნაწილი ბოლო დრომდე ინარჩუნებს კავშირს მამა-პაპათა სალოცავებთან გუდამაყარში. აქაური ჩოხელები და აფციაურები გასული საუკუნის 90-იან წლებში (როდესაც საველე მასალა ჩაეიწერე ლ.ჯ.) კვლავ დადიოდნენ თავიანთ საგვარეულო სალოცავებში ჩოხსა და დუმაცხოში. სოფ. ხეოსსა და ფერსაში დამკვიდრებულმა მთიელებმა აქვე, სოფლებშიც გამართეს მთის სალოცავების სახელობის ნიშები. ამისათვის ფერსაში შემდეგი რიტუალი შეასრულეს: სალოცავის სახელზე შეასახელეს კურატი, რომელიც ხუთი წლის, რომ გახდა გაუშვეს, სადაც გაჩერდა, იქ დაკლეს და ააგეს ნიში. ნიშზე დადეს მთიდან, წინაპართა სალოცავიდან წამოღებული ქვა. ეს ქვა მთაში დარჩენილი და გადმოსახლებული მთიელების ფიზიკური და სულიერი ერთიანო-

ბის სიმბოლოს წარმოადგენს. (ჯანიაშვილი 1997, 28). საინტერესო მასლა აქვს აღწერილი რ. თოფჩიშვილს, როდესაც ჭართალიდან შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლამდე საკმაოდ ფართოდ განსახლებული გიგაურები ე.წ. საგიგაუროს კრებდნენ მამა-პაპეული სალოცავისათვის. მკვლევარი ამ მოვლენაში ჭართლიდან გადასახლებულ გიგაურებსა და გიგაურყოფილ სხვა გვარებს შორის კავშირისა და და თაყვანისმცემელ საცხოვრისთან ერთობის შენარჩუნების მცდელობას ხედავს (თოფჩიშვილი 2002, 28-30).

ახალ ადგილებში გადასულ ოჯახებს გვარისა და თემის სალოცავებთან ერთად სჭირდებოდათ საოჯახო, საკრალური სიმბოლოების დაფუძნებაც. სოფ. არშაში თოთიდან გადმოსულ ხულებიძეებს ამგვარი სალოცავი, წმინდა ხე, ახალ სამკვიდროზეც მოუწევიათ.

აი ეს მაგიდა სალოცავი ხატის ფუძის ანგელოზის სახელზე დაედგი, ეს ვაშლის ხე წმინდა ადგილად მაქ მიხნეული, მე ხემს გაგებაში. ეს წმინდა ხეა. შავუთქვით. უფალო და ფუძის ანგელოზო, თქვენს სახელზე ვრგავ, როცა დავამონტაჟე, საკლავი დაეკალი. რო დაეკლავ საკლავსა და დაესხდებით აქა, როგორც ქართული სუფრის წესია, უფლის სადიდებლს ვიტყვით და ფუძის ანგელოზის სადღეგრძელოს ვამბობთ პირველი. მერე გაძვეები, სალოცავსაც მაიგონებ და ადიდებ და დანარჩენი. ძველი მამა-პაპური, ტრადიციული თუ გახსოვს, ესენი არ უნდა წაშალო. გადასცე შეიღსა, შეილიშეიღსა. ამ ხის ნაყოფს ჩამოეკრეფ კიდეცა, ვედროებში მაქ დალაგებული, იაშიკებში. სამეზობლოსა და სანათესაოს უწილადებ. ახალი წელი რომ იქნება, ერთს დიდს ცაბლოზე დააღაგებ. ლოცვასაც ვიტყვი მაგ დროს: ამ ნაკურთხს ვინც მიირთმევს, შეარგას, მალამოსავით მოედვას იმის ორგანიზმსა, იმის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესა და მრავალი სიკეთე და სიხარული არ მოშლოდეს იმის ფუძე-კერაზე. ვინც ეს ხე დარგა, იმასაც დიდება და გამაგრება, ვის სახელზეც არის დარგული. საქვეყნოდ აღიარებული არის ფუძის ანგელოზი. ზოგს კი აქეთ რაღაც

შათქმული და მე ეს ჩემით გავაკეთე. წინაპრები აკეთებდნენ ეგრე (მოხუცი მოხევე სოფ. არშა).

წინაპართა რელიგიური კულტების გადმოტანის წესი და ახალი საგვარო თუ საოჯახო სალოცავების დაფუძნება, არც თერგის ხეობაში შემოსული ოსებისათვის იყო უცხო. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია სოფ. უხათში შემთხვევით ნაპოვნი ამულეტის გაღვთიურების ამბავი. მე-19 საუკუნეში, აქ დამკვიდრებული ტუაევების წინაპარს მრგვალი ფორმის (9 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანის) პატარა ბრინჯაოს ფიგურა უპოვნია, რომელსაც წინიდან ადამიანისმაგვარი ფორმა ჰქონდა. ეს ღვთიურ ნიშნად მიუღიათ და ამულეტისათვის ქვის პატარა ნიში აუგია, თარო დაუყოლებია, რომელზეც ბრინჯაოს ამულეტი დაუდევს. ამ ნიშთან ყოველ ახალ წელიწადს დადიოდნენ ტუაევები და ქაღები მიჰქონდათ (ჯალაბაძე 1961, 224).

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ალანთა წინაქრისტიანული პანთეონის ზოგიერთ პერსონაჟზე წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას მათი ქრისტიანი მემკვიდრეების მიხედვით. ქრისტიანი ხალხების რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვლევა გვიჩვენებს, რომ ქრისტიანიზაცია არ ნიშნავდა „წარმართულ“ წარსულთან მთლიანად და საბოლოოდ კავშირის გაწყვეტას, იგი უფრო ახალი ცნებებისა და იდეების ძველ შინაარსთან ადაპტაციის პროცესს წარმოადგენდა. ძველი ღმერთები ახალ ქრისტიანულ სახელწოდებებს იღებდნენ, მაგრამ მათი ბუნება და მათთან დაკავშირებული დღესასწაულები კიდევ დიდხანს რჩებოდა წინანდებური და შესამჩნევი იყო ქრისტიანულ გარსში (აბაევი 1960). ოსთა რელიგიურ წარმოდგენებში ყველა ზეციური არსება (ЗЭДЫ) კონკრეტულ სფეროზეა პასუხისმგებელი; მაგ. ბუნების ძალების გამგებლად და მოსაველის მფარველად ითვლება ვაცილა, ტოტური – ხარებისა და მგლების მფარველია, ფალერა – წერილფეხა შინაური პირუტყვის, აფსატი – მხეცების და ა.შ. (ტოკაზევი 2016: 156-157).

ხსენებულ დისკურსში მკაფიოდ იკვეთება უაცილა/ვა-ცილას სხვა ღვთაებებისაგან განსხვავებული, მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი. ა. მაჰამედოვის აზრით, „უაცილა (ელია)“ აგრარული ღვთაებაა, რომელიც მფარველობდა არა მხოლოდ პურის ყანებს, არამედ მთლიანად მიწათ—მოქმედებას და განაგებდა ბუნების სტიქიურ ძალებსაც: ჭექა-ქუხილს და წვიმას (მაჰამედოვი 1968: 476).

ჭაცილლა – წმ. ილიამ, ჭექა-ქუხილის გამგებელმა და მოსაველის პატრონმა, მკაფიოდ შეითვისა ჭექა-ქუხილის წარმართული ღვთაების (“*бога громовника*”) თვისებები – წერდა ვ. აბაევი. ჭექა-ქუხილის ღმერთის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული არიული მოდგმის ხალხებში, მაგრამ იგი უნდა განვიხილოთ როგორც კავკასიური და არა როგორც ირანული ეთნოგრაფიის სპეციფიკა. რა-



საც ადასტურებს ოსებსა და სხვა კავკასიელებს შორის, მეხისაგან ადამიანის დაზიანების დროს შესრულებული წესები მსგავსება. როდესაც ადამიანი მეხით იღუპებოდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა წუხილის გამოთქმა, ტირილი და ა.შ., პირიქით, ყველანაირად უნდა გამოეხატათ სიხარული, ემღერათ და ეცეკვათ. მეხით დაზიანებულთან შესრულებული რიტუალური ცეკვა „ცოპ-პაჯ“ – (ჩერქ. *čoppa*, აბხ. *čopa*, ბალკ. *čoppa*) რვა დღემდე გრძელდებოდა (აბაევი 1960).

ვაცილობა//ვაჩილობა, ხევში ზაფხულობით აღინიშნება ამჟამად მოღიანად გაუკცრიელებული სოფლის, თოთის, ზემოთ არსებულ „ვაჩილას“ ნიშთან. ამ სოფელში მოსახლეობის სიმცირის გამო არაგვის ერისთავთა მოურავს, შიოლა ღუდუშაურს მე-17 საუკუნის დასაწყისში რამდენიმე მოხვეე და ოსი ჩამოუსახლებია (ითონიშვილი 2015:193). მთხრობელთა ცნობით, სწორედ მაშინ მოსულ ოსებს დაუარსებიათ ვაცილას სალოცავი. ამ დღეობაში იმთავითვე მონაწილეობდნენ მოხვეეებიც: ხულელიძეები, წიკლაურები, ავსაჯანიშვილები. თოთელები ხარჯსაც და სტუმარსაც კომლობრივ ინაწილებდნენ და ქეიფს თითქმის ერთ კვირამდე აგრძელებდნენ (ითონიშვილი 2015:194). ამჟამად, სოფ თოთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქვემოთ, დღევანდელ სოფ. არშაში გადავიდა საცხოვრებლად, ნაწილი კი – ვლადიკავკაზში ან საქართველოს ბარის რაიონებში.

ვაცილობა//ვაჩილობას, სოფ. არშაში თოთიდან გადასული მოხვეეები აღნიშნავენ, თუმცა მათ ხშირად სტუმრობენ აქედან წასული ოსი მირაქოვები, სალბიეეები და სხვა. მედროშე ვაცილას ნიშზე აღმართავს დროშას (ამჟამად ამ ფუნქციისათვის საქართველოს სახელმწიფო დროშას იყენებენ) მომლოცველები იქვე ანთებენ ნაკურთხ სანთლებს, დაჭრიან მოზრდილ ერბო-ყველიან ქაღებს (ხაბიძგინებს) და მომლოცველებს უნაწილებენ. შესაწირად მიაქვთ სასმელი, ფული, სამკაული და ხატები. დეკანოზი ასრულებს ტრადიციულ რიტუალს, ამწყობობებს შემომწირველთ, კლავს საკლავს (ძირითადად ვაცს) და ა.შ.. სამსხვერპლო ცხოველს იგი ღოცვას წაუკითხავს, ყურს შეუტრუსავს, დაკლავს და ფერდობზე დააგორებს. ცხოველს ნიშთან ახლოს ჩამოატყავებენ. როდესაც შესაწირავების მიღება მორჩება და ხორცი მოიხარშება, ქაღები სუფრას გაშლიან და ყველანი მიუსხდებიან (უფროს-უმცროსობის დაკვით), თამადას დეკანოზი დაასახელებს, სიტყვა-პასუხითა და ავტორიტეტით გამორჩეული თანასოფლელებისაგან

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად, ვახილობა მუსლიმ და ქრისტიან ოსებსაც სცოდნიათ. მათ ჰქონდათ სალოცავი „მსგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვახილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭმენ თუითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანს სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოს ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყნისანი“ (ბაგრატიონი 1973: 638-630).

ვაცილობის (ტბაუ-უაცილა) დღესასწაული დღევანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე აღწერილია გასული საუკუნის დასაწყისის პერიოდიკაში (ჩიბიროვი 1987: 104-111) საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთში ფიქსირებულ ვახილობის დღესასწაულის შედარებისას შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საინტერესო ასპექტი:

1. დღესასწაულის დრო – მოძრავია, იმართება (იწყება) ორშაბათს, გამთავლა ხდება ქრისტიანულ (მართლმადიდებლური) აღდგომის მიხედვით. გასულ საუკუნეში დღეობა ერთ კვირას გრძელდებოდა.

2. რელიგიური შინაარსი – ვაცილას//ვახილას სინკრეტული სახე აქვს. მას უკავშირებენ ქრისტიანულ წინასწარმეტყველ ელიას და ამასათანავე, ამინდის, მოსაველიანობის, საქონლის წარმართულ ღვთაებას. სალოცავი ითვლებოდა ავადმყოფობის განკურნების ძალის მქონედ.

3. აქტიორთა ეთნიკური შემადგენლობა და როლები – როგორც ხევში, ისე ოსეთში დღეობაში მონაწილეობენ ქართველები და ოსები. ოსეთში რიტუალს ასრულებდა ქურუმი, რომელიც იღებდა შესაწირს მომლოცველებისაგან და შემდეგ განმარტოებით ალაგვინდა ღოცვას ტბაუ უაცილას ქვაბში (გამოქვაბულში). სალოცავ მთაზე ქურუმის გარდა არავის ჰქონდა ასვლის უფლება. ხევში (სოფ თოთში) სალოცავზე შესრულებულ რიტუალში აქტიურად მონაწილეობენ მომლოცველებიც. აქ წამყვანი ფიგურაა დეკანოზი, იგი ამწყალობებს მომლოცველებს, კლავს საკლავს, ორგანიზაციას უკეთებს დღეობის სუფრას და ა.შ.

4. შესაწირი – რიტუალური ქადები, ფული, სანთელი, მიღებული იყო ოსეთშიც და საქართველოშიც. სამსხვერპლო საკლავს ოსეთში ქურუმი თვითონ გამოარჩევდა ცხვრის ფარიდან, რომელსაც „ტბაუ ვაცილას“ სალოცავზე აიყვანდა და დაკლავდა. თოთში კი ვაცილას სამსხვერპლოდ შეთქმული ცხოველები ვაცი ან ბატკანი (დღეისათვის ძირითადად ცხვარი) მომლოცველებს მოჰყავდათ. საღმრთოს დეკანოზი კლავს, ცხოველის ნაწილს (მხარს ან გვერდს) საერთო ქვაბში ხარშავენ, დანარჩენი კი შემწირველს სახლში მიაქვს.

5. ღოკაცია და აქტიორები – დღეობა საქართველოში იმართება, ხევში სოფ. თოთის ზემოთ, ვაცილას ნიშთან. მასში მონაწილეობენ დეკანოზი და მომლოცველები; ოსეთში სამლოცველო მაღალ მთაზე მდებარეობდა, სადაც მხოლოდ ქურუმი (რამდენიმე არჩეულ თანმხლებ პირთან ერთად) ასრულებდა რიტუალს: ადავლენდა ღოცვას, აჰქონდა დიდი თასით ღუდი, რომელიც ტბაუ ვაცილას გამოქვაბულში ერთი წლით უნდა დაეტოვებინა, კლავდა საღმრთოს და ა,შ, ხოლო მომლოცველები დღეობის ძირითად ნაწილს სოფლის მიდამოებში ასრულებდნენ.

სეტყვასა და ჭექა ქუხილის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ნ. ხიზანაშვილის ცნობის თანახმად, ქართველ მთიელებში (ხევსურებში) ცა-დრუბელის საქმე ეკითხებოდა პირიმზე-წმინდა გიორგის, რომელიც მაღალ გორაზე სუფევს და დევი ჰყავს მონად. როცა ხალხი რამეს დააშავებს ზღვისკენ გაეშურება იქ ხორხოშელას და სეტყვას აკიდებს გოდრებით დევს და მოჰყენს მთელს არე-მარეს. სეტყვა-ხორხოშელის ასაცილებლად მთელს ხევსურეთში ცალკე დღეებს უქმობენ. პირი-მზეს საქონლის ჭირიც ეკითხება. ვისი ჯავრიც ჭირს, იასაულებს მიუსევს და საქონელს მთლად გაუფლიტავს. აღსანიშნავია, რომ ხახმატელები სეტყვის მოსაშორებლად ქისტების მაისტის ხატს ღოცულობენ. ეს ხატი ქვისა ყოფილა და ვერცხლ-პირიანი კაცი იყო გამოხატული (ხიზანაშვილი 1940: 70-71)

სამეგრელოში მეხის საწინააღმდეგო რიტუალი აღინიშნებოდა იელისში, კვირა დღეს „ჟინიშ ხემა“-ზე (მეგრ. ჟინიშ//ზეციური). ამ დღეს დაკლავდნენ ციკანს, აცხოზდნენ კვერებს და ზეციურ ძალას ევედრებოდნენ ადამიანისა და საქონლის გამრავლებას. ვისაც შეთქმული ჰქონდა, წმიდა გიორგის ეკლესიაში შესაწირავად მიჰქონდა რკინის ორ-კაპიანი ბოძალი, რომ მის ოჯახს მეხი არ დასცემოდა. ამ ბოძალს შეუკვეთდნენ მჭედელს და სანთელ-საკმეველით მიჰქონდათ წმიდა გიორგის ხატში: ილორში, ჯეგეთაში, სოფ. ხეთაში, და სხვა ძლიერ წმიდა გიორგის ეკლესიაში. თუ ადამიანი „ჟინიშ“ მიზეზით „ბრალით“ ავად გახდებოდა, მას წაიყვანდნენ წმიდა გიორგის ხატში. შესაწირავად მიჰქონდათ ავადმყოფის სიგრიძის სანთელი და ვერცხლის ძაფი (წვრილი მავთული). ჟინიშით დაავადებულ ადამიანს ბნედიანის ნიშნები ჰქონდა თურმე, იგი ბორგავდა და ზოგჯერ ადამიანს ერჩოდა. ასეთ ავადმყოფს მიიყვანდნენ ილორში და შესთხოვდნენ „ჟინიშს“ მის განკურნებას (ჭკუასელი 2014: 31; მაკალათია 1941: 322).

მოხევეები დარ-ავდარს წმ. ელიას ევედრებოდნენ. ს. მაკალათიას ცნობის თანახმად, ხევში მინდურის სამუშაოები „ხენა-თესვის საღმრთოთი“ მთავრდებოდა, რომელსაც საგვარეულოს თითოეული წევრი მორიგეობით იხდიდა ხოლმე. მორიგე ოჯახი საკლავს დაკლავდა, სოფლის მოედანზე გაიტანდა და იქ შეკრებილი ხალხი წმინდა ელიასა და ზაქარიას შეავედრებდა მოსავალს: „ნამუშევარი შენ გებაროს, ცვარნამი მიეცი, დაიფარე სეტყვისა და კოხისაგან, ბარაქიანი მოსავალი მოიყვანე მშიერა ხიზანი არ გაგვიწყდესო“, იგივე ელიასა და ზაქარიას ავედრებს მოსავალს სოფ. თოთში „ვანილობის“ დღეობაზე შეკრებილი მოსახლეობა (მაკალათია 1934: 192)

ხევში, წითელ ეკლესიასთან შემორჩენილ ელიას ნიშზე, წინათ დაახლოებით ერთ მეტრ სიმაღლეზე თხის თავის ქალები ეწყო, რომელიც მერე აიღეს. დღესასწაულზე დეკანოზები ნიშთან მოსალოცად მიდიოდნენ, საღვთოს კლავდნენ და სისხლით მამაკაცებსა და ბავშვებს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდნენ. დიასახლისებს მრგვალი

ერბო - ყველიანი ქალები მიჰქონდათ და ნიშის თახჩაში ჭრიდნენ, ხოლო ნაწილს იქვე ტოვებდნენ. ნიშის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიჭვნარში, ჯგუფ - ჯგუფად შეკრებილი მოხევეები სუფრას შლიდნენ და მოილხებდნენ. ამჟამად, წმ. ილია თეზბიტელის ხსენების დღეს, სადღესასწაულო წირვის დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსული მოხევეები წმ. ილიას ხატთან, ნიშში სანთლებს ანთებენ. ქალებს ქადა მიაქვთ, რომელსაც ჯერულად ჭრიან და მიირთმევენ, თუმცა საკლავის დაკელა მონასტრის ტერიტორიაზე აკრძალულია (ბიწაძე 2015: 58).

წმინდა ელიასთან აკავშირებს ვაცილას ეტიმოლოგიას ე. აბაევი. ოსური პანთეონის ქრისტიანიზებულ მთავარ პერსონაჟებს გააჩნია ეპითეტი „ვაც“ (wac//was): Wac - Tergi (ვას-ტერჯ) წმ. გიორგი, Wac-Illa (ვაცილა//ვაჩილა) წმ. ილია, Wac-Nikkola - წმ. ნიკოლოზი, Wac - Totur - წმ. თევდორე. აქ wac -ის მნიშვნელობა შეიძლება იყოს მხოლოდ: ღმერთი, ღვთაებრივი, წმინდა (აბაევი 1960).

ოსური ენაში, ფოლკლორსა და რელიგიურ წარმოდგენებში კავკასიური სუბსტრატის მნიშვნელოვანი კვალია დარჩენილი. ოსთა კულტების, ჩვეულებებისა და დღესასწაულების სიახლოვე კავკასიურ და განსაკუთრებით კი დასავლეთკავკასიელი ჩერქეზების, აბაზების, აფხაზების, მეგრელების, სვანების, რაჭველების, ასევე აღმ. ქართველი მთიელების მოხევეების, მთიულების, ფშაველებისა და ხევსურების ანალოგიურ კულტურულ მანევრებლებთან ამჟღავნებს არა მარტო ტიპოლოგიურ, არამედ მატერიალურ მსგავსებასაც. ე.ი. ემთხვევა ღვთაებების, ჩვეულებებისა და დღეობების სახელებიც (აბაევი 1960). ანალოგიური მოსაზრება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც გვხვდება. წმ. ელიას ზოომორფულ ატრიბუტად თხა მიიჩნევა. წმინდა ილიას კულტში თავს იყრის ქართველთა და კავკასიელთა ელვა-ქუხილის ღვთაებები: აფხაზთა აფი, ჩერქეზების შიბლე, ოსების უაცილა - წერს ირ. სურგულაძე. „ღრუბელთწინაძღვარი ელიას შესახებ წარმოდგენებს საფუძვლად „დაბადებაში“ და „სახარებაში“ აღწერილი ილია წინასწარმეტყველის სახე დაედო (სურგულაძე 2003: 276-279). ჯ. რუხაძე მიიჩნევდა, რომ რომ ვაცი-

ლობას შეიძლება საერთო კავკასიური ძირები ჰქონდეს და ჩრდილო კავკასიური ბუნების აღორძინებისა და მიწის კულტთან დაკავშირებული რიტუალი წარმოადგენდეს ქართული ბოსელა-ბოსლისა და ბერიკა - ბასილას ანალოგს (რუხაძე 1976: 176).

ცალკე სკითხია მიწათმოქმედების სფეროსთან დაკავშირებული კულტის ოსურ გარემოში გაჩენის ქრონოლოგია. სკვითებთან გენეტიკური ნათესაობის თეორიიდან გამომდინარე, ოსი მეცნიერები ადრეული მიწათმოქმედების დასაბუთებას ცდილობენ ფოლკლორული თქმულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საშუალებით. მიაჩნიათ, რომ ამ დარგის სიძველეზე მიუთითებს ნართების თქმულებებში სამიწათმოქმედო კულტურების ხსენება, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რიტუალების არსებობა და ის, რომ მეხორბლეობის ღვთაებას – უაცილას – ოსები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ (კალოევი 1967: 65). თუმცა, გვხვდება საპირისპირო მოსაზრებაც. ამიანე მარცველინის ცნობებზე დაყრდნობით, რ. თოფჩიშვილი დაასკვნის, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის ალანები (ოსთა წინაპრები) კავკასიის არც ერთ რეგიონში არ ცხოვრობდნენ; ამ დროისათვის ისინი მხოლოდ მომთაბარე მეურნეობას ეწეოდნენ და რჩენის ერთ-ერთი საშუალება ღაშქრობა, ბინადარი ხალხების ძარცვა იყო (თოფჩიშვილი 2008). ირკვევა, რომ კავკასიის სამხრეთ ფერდზე საქართველოში (ქსნის, დიდი და პატარა ღიახვის ხეობები) დამკვიდრებული ოსების ყოფაში XIX საუკუნეშიც კი წამყვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას, თუმცა უკვე განვითარებული იყო მემარცვლეობაც. ამის გამო, სამიწათმოქმედო იარაღების უმეტესობა ქართულის ანალოგიურია და ტერმინებიც ქართულთან მომდინარეობს (რობაქიძე 1985: 131-132; ქანთარია 1980: 100-154), მაშინ როდესაც მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგია ირანულია (კალოევი 1967: 75).

როგორც ზემოთ ითქვა, ოსთა რელიგიურ წარმოდგენებში ყველა ზეციური არსება (ЗЭДЫ) კონკრეტულ სფეროზეა პასუხისმგებელი. მაგ. ტოტური – ხარებისა და მგლების მფარველია, ფალერა წვრილფეხა შინაური პი-

რუტყვის, აფსატი – მხეცების და ა.შ. ამ ფონზე სრულიად გამოკვეთილად განსხვავებულია ვაცილას კომპლექსური ფუნქცია. იგი ითვლება ბუნების ძალების გამგებლად, მოსავლისა და პირუტყვის მფარველად, ცალკეული დაავადებების გამომწვევეად და მკურნალადაც კი. ამ ტიპის უნივერსალური ღვთაების გაჩენა კი უთუოდ, მოგვიანებით კავკასიურ გარემოში მოხვედრისა და ახალი სამყურნეო დარგების ათვისებაზე მეტყველებს და შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო.

ვაცილას ოსურ გარემოში ბევრი სალოცავი ნიში აქვს, მაგრამ მთავარი სალოცავი მღებარეობს დარგვასში, ტბაუ-ს მთაზე (ოსური დღესასწაულები). უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის დასაწყისში აქ გამართულ რიტუალში მონაწილეობას ამისათვის საგანგებოდ ჩასული ქართველებიც იღებდნენ (ნიბიროვი 1987: 110).

ხევში შემოტანილი ვაცილას თაყვანისცემა სრულ იდენტობას ამჟღავნებდა ქართველ მთიელებში გავრცელებულ წმ. ელიას კულტთან და უცხო არ იყო აქაური ქართველებისათვის. ამის გამო სოფ. თოთის ქართულმა მოსახლეობამაც ადვილად შეისისხოლხორცა ეს დღეობა. აი როგორ გადმოგვცემს ამ პროცესს ხულელიძეთა გვარის ერთი წარმომადგენელი:

სოფ. გაიბოტენიდან ხულელიძეთა ერთი ძმა იასე გადავიდა თოთში, ესენი გამრავლდნენ ისე, რომ 52 სული ცხოვრობდა ერთ კომლადა და შეარქვეს სახელი დიდი ხულელნი. ახლა, მემრე ამათ იასე ხო ჩემი დიდი პაპისა მკვიდრი ძმა იყო და იმის შვილიც ხო იქ ავიდა. ესენი გაძლიერდნენ, გაძლიერდნენ და ისე წარიშართა საქმე რო სალოცავი ოსებისა კი იყო თავიდან, მაგათი დადგმული იყო ეს ნიშები და ყველაფერი, მერე დეკანოზებს რომ ვეძახით სულ ხულელიძეები იქნიან. ესე მოდიოდა ან ხულელიძეები იქნებოდნენ ან ღუდუშაური და მეტ წილ შემთხვევაში ხულელიძენი იყვნენ დეკანოზები. დღეობა ეხლა მამაწმინდობა იქნება ჩქარა ერთ კვირაში, მამაწმინდობა არის კვირა დღესა და იქიდან გადავთვლით და ორშაბათი უკვე ვაცილობაა. ღამისთევით ავდიოდით მანდა. ახ-

ლაც აღიან მაშა. ჩვენ ხო ამოვიღებთ ახლა ფულსა, ხან 20-20 ლარი, ხან 30-30 ლარი გაანნია როგორ აკეთებენ.



როგორი მდგომარეობა იქნება, საკლავს იყიდის, სასმელსა, პურსა წყალსა რაღაცასა და ახვალ და მოქუჩდება ხალხი, ზოგს შეთქმული აქვს, მიჰყავს საკლავი და ვკლავთ. მხარი და გვერდი იქ უნდა დატოვო, დარჩები – კარგი, არ დარჩები და აუცილებელია უნდა დატოვო. ხორცი მოიხარშება და ქაღები ცალკე სხდებიან, კაცები ცალკე, და მიდის ტკბილი ქეიფი. ძალიან შეხმატკბილებული სოფელი იყო და ეხლა დაეცალკევედით. საკლავები ზოგს აქედან (სოფ. არშიდან ლ.ჯ.) აუდის, ზოგს მთიდან ჩამოუდის. სოფლის თავს არი თეთრი ნიშები. სამი სალოცავია მანდა, ვახილის წმინდა გიორგი, ელიის წმინდა გიორგი და ზაქარიის წმინდა გიორგი. ელია და ზაქარია ხომ იცით, ერთი ამინდის არის და ზაქარია - მოსაველის. ვახილასაც ამინდისას ეძახოდნენ. ეგეც ეგაა. მანდ ვახილობაზე თხას კლავდნენ ოსები და ჩვენც ვაცს ვკლავდით. ეხლა ეგრე წავიდა საქმე რო ბატკნებიც მიჰყავთ. დეკანოზი აქა ბიძაშვილია ჩვენი გიორგი ხულელიძე. დეკანოზიმა როგორც უფროსმა კაციმა უნდა იცოდეს ერთი ორი წინადადების ერთმანეთს მიბმა, დალოცას ხალხი, დალოცას ქვეყანა. დალოცას მშვიდობა და აი ეგრე (მოხუცი მოხევე სოფ არშის მკვიდრი).

ცხადია, ყაზბეგის რეგიონიდან ოსების გადასახლების შემდეგ, თანამედროვე პირობებში, რიტუალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მაგ. წინათ, დროშა ხატის წმინდა სიმბოლოს წარმოადგენდა, რომელთან შეხებაც მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ პირს შეეძლო. ვაცილობაზე ამ წესს უკვე აღარ იცავენ. წინათ ხატს საკუთარი დროშა გააჩნდა, ვაცილობაზე კი საქართველოს სახელმწიფო დროშა ააფრიალეს. შემცირდა რიტუალში მონაწილე კულტმსახურთა რიცხვი. ამჟამად ერთი დეკანოზი ასრულებს დამწყალობებისა და საღმრთოს დაკვლის ფუნქციას, მაშინ, როცა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში აღმ. საქართველოს მთაში დღეობებზე ჯვარხატებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მსახური ჰყავდა. შეცვლილია გენდერული მიდგომაც. ოსეთში ვაცილობაზე ქალები საერთოდ არ დაიშვებოდნენ დღესასწაულზე. ხეცში მანდილოსნები, მართალია ვაცილას სალოცავზე აღიოდნენ, მაგრამ სუფრათან ცალკე სხდებოდნენ. ამჟამად ეს წესი აღარ სრულდება, საერთო სუფრას დიდი, პატარა ქალი თუ კაცი ერთად მიუსხდება ხოლმე.

ზემოსხენებულ თემატიკასთან მიმართებაში საინტერესოა დღესასწაულები, რომელიც ძირითადად ქართულ გარემოს უკავშირდებოდა და აქ დასახლებულ ოსებს მოხვევებისაგან უნდა შეეთვისებინათ. სწორედ ასეთია ათენგენობა, ქართველ მთიელებში ფართოდ გავრცელებული



ბული დღესაწაული. დღეობა წმინდა მოწამე ათინოგენ სებასტიელის სახელს უკავშირდება. ეს მოსაზრება პირველად კ. კეკელიძემ გამოთქვა (კეკელიძე 1956: 128-129). წმინდა ათინოგენის ხსენების დღე ამთავრებს სააღდგომო ციკლის დღესასწაულებს და ფართოდაა გაგრცელებული აღმ. საქართველოს მთიელებში. ათენგენობა, როგორც წესი, გამოითვლება აღდგომის დღესასწაულის მიხედვით და მას წესისა და რიგის მიხედვით მოსდევს მთიელთა სხვადასხვა თემებისა და საყმობის დღეობები. შეიმჩნევა ანალოგია ოსეთის ძუარებში აღდგომის ციკლთან დაკავშირებულ ათინაგის დღესასწაულებთან, რომელიც ასევე ივლისის მეორე ნახევარში იმართება. მასაც საფუძვლად უდევს ქრისტიანული კალენდარი და ამთავრებს სააღდგომო ციკლის დღეობებს. ათინაგს, ქართველ მთიელთა მსგავსად, აღნიშნავენ ივლისის მეორე ნახევარში. მსგავსი სახელწოდების რელიგიურ დღესასწაულებს იცნობდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები. ის კი არა, ისლამიზებული ჩრდილო კავკასიელები მაისტისა და მითხოს თემებიდან, ათენგენობის დღესასწაულზე ხევსურეთში, რჯულიან-ურჯულოთა სალოცავ, ანატორისა და ხახმატის ჯვარში დადიოდნენ.

სოფ. კობში გამართული ათენგენობის რიტუალში ძირითადად ამ დღეობისათვის ჩრდილოეთ ოსეთიდან საგანგებოდ ჩამოსული ოსები მონაწილეობენ. ათენგენობის, როგორც მოძრავი რელიგიური დღესასწაულის ჩატარების ვადები ამ კონტინგენტისათვის არც თუ ისე მკაფიოა (მაგ. 2016 წელს რამდენჯერმე შეცვალეს დღეობის ჩატარების დრო). საზღვრის გადმოკვეთასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, ბოლო მომენტამდე გაურკვეველია წინამძღოლის (დეკანოზის) ვინაობა, საღმრთო ცხოველების ნაცვლად სალოცავზე უკვე მომზადებული (მოხარშული) ხორცი მიაქვთ. მონაწილეთა შეთანხმებით რიტუალში ხშირად შექვთ ცვლილებები და ა.შ.

გაზიარებულ სალოცვეებთან კავშირში საინტერესოა "მარიანობის" დღეობა სოფ. მნაში. მარიანობის ნიში კობიაშვილების სალოცავად ითვლება. სალოცავი მოგვი-

ანებით აქ გადმოსულმა ოსებმა დაიკავეს, თუმცა ყანობის მკვიდრი კობიაშვილები ყოველწლიურად დადიან დღეობაზე ვალ. ითონიშვილის თანახმად, მნის ყოვლადწმინდაში მოხვევები ბავშვებს და პატარძლებს ავედრებდნენ. შესაწირად მიჰყავდათ ერთი ბატკანი და ერთი ბოთლი ზედაშე (დვინო). თავის მხრივ, ოსები მოსულებს სუფრით უმასპინძლებოდნენ (ითონიშვილი 2015: 175). დღეობა ზოგჯერ კინკლაობისა და ჩხუბის თანხლებით მიმდინარეობდა.

„4-5 წელი იქნება მნაში დღეობაზე ამოვიდნენ ოსები, მაგრა ვინჩხუბეთ. ამოდიან დღეობაზე. მარიანობის ნიშია. მანდ ცხოვრობდნენ კობიაშვილები. მერე გადმოცემით ვიცით გადმოვიდნენ ოსები, ესენი შავიწროვეს და დასახლდნენ აქა. ავიდნენ მარიანობაზე და იქ მოხდა ჩხუბი. ჩხუბი კი ამათი ბრალი იყო. ამათ მამა-პაპის აშენებული ეკლესია არის და მამა-პაპის საძირკველი და სასაფლაოები არის კობიაშვილებისა. ვქეიფობდით იქა და ჩხუბის მიზეზი იყო ჩვენი მიწაო და მიიღეს. არავინ პროვოკატორი იქ არ იყო მოხდა გაუგებრობა. როგორც სიმთვრალეში ხდება, არც იმათ დათმეს არც ჩვენა და გახდა ჩხუბი. აი, პირველი ამან დაარტყა. კობი არის კობიაშვილების სააზნაურო. მერე გამააქციეს ოსებმა და მამანეში ამბობდა იქაო იყო ყანები ჩვენი. მოვიდა ოსი რავი კაცი მაკლა თუ რა და შეიბრაღეს და დატოვეს. დასახლდა პირველი ოსი. მერე მოვიდა მეორე ოსი. მერე იმან სხვა მოიყვანა და დასახლდნენ.

გ. ჯალაბაძე კობიაშვილების გვარისა და „მარიანობის“ დღეობასთან დაკავშირებით ასეთ ისტორიას აღწერს: გადმოცემით, კობიაშვილები ხევსურეთიდან მოსული ზაგაშვილების განაყარი ყოფილან, რომელსაც აქ განაყარი მამის სახელის, კობას და მისი მოდგმის, კობაითას მიხედვით, კობიაშვილების გვარი მიუღიათ. გასული საუკუნის 60-იან წლებში „მარიანობის“ დღესასწაულზე მოსულ გვარებს შორის უპირატესობით სწორედ ზაგაშვილები სარგებლობდნენ, რომლებსაც ადგილი სადღესასწაულო სუფრის თავში ეკუთვნდათ, დანარჩენები კი უფრო

ქვემოთ განლაგდებოდნენ ხოლმე (ჯალაბაძე 1961: 226). ამ სოფლის მოსახლე ოსები თრუსოს ხეობის ზედა სოფლებთან შედარებით უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ნათესაობით ხევის, მთიულეთისა და ქართლის ქართველებთან. ამიტომ „მარიანობის“ დღეობაზე ქართლის სოფლებიდანაც კი ამოდიოდნენ ღამისთევით (ჯალაბაძე 1961: 225).

როგორც ზემომოტანილი მასალიდან ირკვევა, ამ ბოლო ხანებში სულ უფრო მცირდება ტრადიციულ დღესასწაულებზე ჩამოსული ოსების ოდენობა. სავარაუდოდ, მათმა უმეტესობამ ახალი საცხოვრებელი გარემოსათვის დამახასიათებელ რიტუალებში მონაწილეობით ჩაანაცვლა ძველი დღეობები. პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური გარემოს ტრანსფორმაცია მკაფიოდ აისახა ტრადიციულ რიტუალებზე. „ვაჩილობა“, რომელიც ადრე სოფელ თოთში მცხოვრები ოსების დღესასწაულად ითვლებოდა, ამჟამად მეზობელ სოფელში ჩასახლებული ქართველების ორგანიზებით ტარდება, ისინი წარმოადგენენ ძირითად აქტიორებს (დეკანოზი, მედროშე, სუფრის წინამძღოლი და ა.შ) ოსები კი სტუმრის სტატუსით ესწრებიან. შეცვლილია რიტუალის ცალკეული ელემენტები (მაგალითად, სალოცავზე მოაქვთ არა ამისათვის საგანგებოდ განკუთვნილი, არამედ საქართველოს სახელმწიფო დროშა), ქალები მამაკაცებთან ერთად უსხდებიან სუფრას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული ტრადიციული რიტუალების ტრანსფორმაციის ხასიათი მჭიდროდ უკავშირდება ლოკალურად მომხდარ კონკრეტულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს ერთის მხრივ, და მსოფლიოში მიმდინარე ზოგად სოციოკულტურულ ტენდენციებს, მეორე მხრივ.

დამოწმებული ლიტერატურა

ბაგრატიონი 1974 – ბაგრატიონი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. 4, თბილისი 1973.
ბიწაძე 2015 – ბიწაძე ს., რელიგიური დღესასწაულები ხე-

გში, დისერტაცია, თბ., 2015

კეკელიძე 1956 – კეკელიძე, კ. ეტიუდები, თბილისი, 1956.

სურგულაძე 2003 – სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუ-
ალი საქართველოში, თბ., 2003.

თოფჩიშვილი 2016 – თოფჩიშვილი რ. დვალეთი და დვა-
ლები, თბ., 2016.

თოფჩიშვილი 2008 – თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი
ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ. 2008.

თოფჩიშვილი 2002 – თოფჩიშვილი რ. საქართველოს ის-
ტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მო-
სახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები) თბ.,
2002.

ითონიშვილი 2015 – ითონიშვილი ვალ., მოხევეების ყო-
ფა-ცხოვრება, თბ., 2015.

მაკალათია 1941 – მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია
და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

მაკალათია 1934 – მაკალათია, ს., ხევი, თბილისი, 1934.

რუხაძე 1976 – რუხაძე ჯ. ხალხური აგრიკულტურა და-
საველეთ საქართველოში, თბ., 1976.

ჭკუასელი 2014 – ჭკუასელი ე., ქართული რელიგიური
წეს-ჩვეულებები და ხალხურ დღეობათა სარიტუა-
ლო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიუ-
ლი მასალის მიხედვით), დისერტაცია, თბ., 2014.

ხიზანაშვილი 1940 – ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული
ნაწერები, თბ. 1940

ჯალაბაძე 1961 – ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება თერგის
ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
ტ 22, თბ., 1961.

ჯანიაშვილი 1997 – ჯანიაშვილი ლ. ეთნიკური პროცესები
სამცხე-ჯავახეთში, პოლიტიკა, 1997, №1-3

აბაევი 1960 – Абаев В. Дохристианская религия алан. Тезисы
доклада на XXV Международном конгрессе востоковедов. М.,
1960.

კალოევი 1967 – Калоев Б. Осетины, (историко-этнографичес-
кое исследование), М. 1967.

ქანთარია 1980 – Кантария М. Некоторые вопросы земледелче-

ского быта в горной Осетии. – Кавказский Этнографический Сборник, V, 1980.

მაგამედოვი 1968 – Магаметов А. Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968.

ოსური დღესასწაულები – Осетинские праздники, Уацилла, internet versia http://family-dedegkaev.ru/index.php?option=com_content&view=article&id=76:uacilla&catid=38:obrtradsz&Itemid=61

რობაკიძე 1985 – Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Еб., 1985.

ჩიბიროვი 1987 – Чибиоров Л. (сост.) Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах , Т. 3 Цхинвали 1987

ტაკაზოვი 2016 – Таказов Ф.М. Религиозно-мифологическое сознание осетин // Наука вчера, сегодня, завтра: сб. ст. по матер. XL междунар. науч.-практ. конф. № 11(33). – Новосибирск: СибАК, 2016.

Interethnic Relations in the Borderlands – the Case of Georgia and North Ossetia-Alania

This paper is written within the framework of the project: "*Perspectives of Georgian-Ossetian relations in Kazbegi region*" financed by the Rustaveli National Science Foundation. The paper addresses the problem of *interethnic* relations in the borderlands of Georgia's Kazbegi district and the present-day Republic of North Ossetia – Alania (the federal subject of Russia). Kazbegi district includes Georgia's historical-geographic area – Khevi and the people of Khevi are called Mokheves. Based on ethnographic materials and specialist literature, I will try to show the real picture of intercultural relations and inter-ethnic attitudes in the aftermath of Georgian-Ossetian conflict (1991-1992; 2008).

Just before I directly touch upon the problem, I will briefly tell you about the survey area. This geographical area was once inhabited by Kartvelian tribes Dvals and was under the Georgian kingdom. The Kartvelian tribes, under the pressure of Ossetian tribes from the North escaped to the south and Ossetians gradually occupied their place, assimilated Dvals and thus appeared on the historical territory of Georgia.

This area has always been known for its mixed ethno-cultural composition, where both Georgians and Ossetians lived on either sides of the present state border for several centuries. They lived mainly in compact mono-ethnic settlements. Until the 1980s-1990s the population of Kazbegi region consisted mainly of Georgians-Mokheves and Ossetians. Ossetians dwelled in the villages of Kobi basin and Truso Gorge. Since the collapse of the Soviet Union, because of the complete destruction of infrastructure, unstable living conditions and job opportunities in the region, Ossetians (and also few Georgians) started to migrate from Kazbegi to North Ossetia hoping for a better future. In Kazbegi district the 2002 census indicates 17 villages as empty, though in the previous 1989 census all these villages appear as purely Ossetian. Presumably, most Ossetians in these villages left Georgia during the 1991-92 first

Georgian-Ossetian war (Sordia 2009:31). Socio - economic and political processes of the last 27 years in Georgia have been significantly reflected on the region's ethno-demographic picture. Today, the number of Ossetians living in Kazbegi district has been reduced to minimum; According to the latest voter lists, 98 Ossetian citizens are officially registered in Kazbegi region (the author's field material, Kazbegi 2017); but actually there are about 11 ethnic Ossetian residents in three Ossetian villages. In Truso Gorge Ossetian villages are actually empty and one can only rarely see Ossetians being on a short-term visit in summer or non-local cattle breeders who graze cattle on pastures in that area. In Georgian villages we meet permanent Ossetian residents in Georgian families as daughters-in-laws. As for North Ossetia, more than 9000 Georgians live here according to the 2010 all-Russia population census. (http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010).

Because of geographical proximity the population of both sides has always been tightly linked and were economically dependent on each other. Free movement across the border in Soviet times promoted their intensive social and cultural communication. Most of Kazbegi district citizens studied or worked in North Ossetia, Vladikavkaz (former Orjonikidze) and, since there were better living conditions in the capital of North Ossetia, much of them even had their own houses in Vladikavkaz. The attraction of the Georgian population to North Ossetia was determined by economic and medical interests:

"Georgians of Kazbegi went shopping to Orjonikidze. The distance from Kazbegi to Orjonikidze was short, much closer than to Tbilisi, it was 40 minutes drive. Russian goods were cheaper and even better. Georgians went there to buy some products in the morning and returned back by the evening. Besides, in winter the pass was closed and the only possibility to contact with the civilized world was Orjonikidze. Because of the absence of a modern hospital in the region, those who fell ill or were in need of surgery were taken to North Ossetia, "" (Author's field material, Kazbegi 2017)

My respondents emphasize excellent relations between Kazbegi Georgians and northern Ossetians and their close ties; this was conditioned not only by their neighborhood but also by the existence of Georgian-Ossetian mixed families in both ethnic communities. The fact, that almost every Georgian family had Ossetian son-in-laws or daughter-in-laws and vice versa, promoted positive intercultural communication and inter-ethnic attitudes. Generally, in case of mixed marriages when diffusion of cultural elements is unavoidable, both sides get to know better each others traditions, values, behavioral norms and learn each others languages. This happens with their children, too, who as a rule are bilinguals and are both culture carriers. The kinship context sets up relationship between the relatives of a couple; they meet each other at a family gatherings (wedding, baptism, religious holidays, birthday, funeral, commemorations, etc.), where the representatives of different ethnic groups interact already as kinsmen. This is a direct way to ethnic tolerance. (Jalabadze 2016)

The majority of my Kazbegi middle-aged respondents graduated from the Georgian secondary school in Vladikavkaz — the first Georgian school outside of Georgia which still functions in the capital of North Ossetia today. The necessity of establishing a Georgian school in Vladikavkaz, was caused by mass migration of Georgian highlanders to the territory of today's North Ossetia in search of work in the 1860s and 1880s. The number of Georgians grew steadily. To avoid Russification of Georgian children, it became necessary to create a Georgian educational center (Papaskiri 2016). This school (founded in 1888) has played a big role in the lives of Vladikavkaz Georgians in terms of maintaining their ethnic identity.

As is known, during the Communists, pupils from the province were granted preferential access to higher education. The limits were allocated on training at the universities of Georgia. Orjonikidze Georgian school graduates received limits; this was one of the reasons that the graduate class students from Kazbegi moved to Orjonikidze Georgian school. This situation contributed to the increase of the Georgian school contingent, on the one hand, and encouraged the flow of Georgians to the north, on the other. Above all, it made Georgians and Ossetians even closer to each other.

In the early 1990s when the Georgian-Ossetian conflict started, the school was in danger of closing. My respondents recollect:

“Some people were constantly asking — why should the Georgian school be in Vladikavkaz? Several times some aggressive Ossetian refugees from South Ossetia came to the Georgian school and threw some objects at the building, barbarously painted its walls ...However, local Ossetians defended the school. I remember very well how armed local Ossetians guarded the school building, so that nobody could rush inside and damage it ... “ (Author’s field materials, Kazbegi 2017)

Today the Georgian school of Vladikavkaz is on the balance of the Vladikavkaz City Hall. Some privileges are granted to the school to maintain its function. Although the study is underway with Russian state program, the textbooks of Georgian language and literature, history, geography and several other subjects are brought from Georgia with the financing of the President of Georgia. Before that, parents of the schoolchildren bought textbooks in Georgia. For now it is planned to purchase a minibus for the school from the Fund of the President of Georgia to take children from the villages (Lars, Chim and Balta) and the city suburbs to the Georgian school (Papasikiri 2016).

Intensive intercultural communication of Georgians and Ossetians on both sides of the border promoted existence of common religious cults and sanctuaries and many similar elements of culture (family life, religion, traditional law, cuisine, etc.).For example, in Khevi they had common sanctuaries in the village of Toti, sl where Georgians and Ossetians lived together until the migration of the latter to North Ossetia. The same was the situation in Kazbegi’s Ossetian village Kobi where Ossetians and Georgians celebrated festivals together at the shrine of St. George. Georgians and Ossetians from both sides of the border attended one of the biggest holidays of all-Khevi on the feast of Dormition of Virgin (*Mariamoba*) at a Gergeti Trinity Church.sl This practice continues today, despite some restrictions from the official side. The same practice is adhered until now in the village of Balta, in North Ossetia, etc.

Georgian-Ossetian war in 1991-1992 caused migration of Ossetians from South Ossetia and displacement of Georgians within the country. Although in the borderland under study the Georgian-Ossetian relations had not been affected by the occurring events, still

this conflict stimulated the further relocation of the Ossetian population from the region to North Ossetia. In fact, in Ossetian villages in Truso gorge and Kobi basin, there were only a few elderly people left. However, the displaced population still freely moved across the border and continued their activities in both states. For example, the Ossetians of Truso brought cattle on pastures in summer in Georgia and stayed in their abandoned houses. For Kazbegi population the movement across the border was not restricted and they could cross it using a special document certified only to the citizens of the border area. The economic and other relations were supported and the life was more or less going on as usual.

The situation complicated since 2006 when Russia imposed food embargo on Georgia and closed the only legal border check-point Larsi between Georgia and Russia. This situation considerably changed the traditional form of Georgian-North Ossetian communication. Above all, it kept relatives on both sides of the border apart. According to the Kazbegi residents “the loss of the Russian market caused the loss of the main source of income for the Georgian farmer who previously traveled to Russia without a visa, brought his own harvest for realization and supported his family with the earned money in winter” (field material kazbegi 2016).

The situation remained the same after the 2008 August war. Though in 2010 the Larsi check-point was opened, the restrictions for the Georgian population regarding the crossing of the border, still remained in force.

Today the rules of entry into the States are again different for Georgians and Ossetians; Ossetians (and generally the citizens of Russia) have the right of free movement across the border, while Georgians cannot go to Ossetia without a visa. For the population of Kazbegi region due to territorial proximity Vladikavkaz traditionally remains a quick way to receive rapid medical care, develop favorable trade relations and easily get a job. Kazbegi population is discouraged by today’s situation:” While the Russian border is closed for us, Ossetians of Russia come and make money here. They carry people on their cars, take the goods and lots of other things from Kazbegi and sell there! People from Khevi want to go freely to North Ossetia, as it was before” (field material kazbegi 2017).

Kazbegi Georgians find a way out from the current situation in dual citizenship; to cross the Georgia-Russia border without problems, some Kazbegi Georgians prefer to have passports of both states and use them in case of necessity. According to my field materials, there are about 30 % of average age Mokheves who have Russian passports. Usually, dual citizenship was officially given to those who lived in North Ossetia, were registered there and had their own houses. The elderly people who have official dual citizenship get their pension in one of the states. They prefer to get Russian pension in Orjonikidze, because it is higher than in Georgia. But some with illegal double citizenship get pensions in both states. Although the situation is not a secret to the officials, they turn a blind eye to it: Georgians, because they could not offer economically better conditions and Russians, because they want to use it to their advantage. For Russia, it is very advantageous to have its own citizens in the territory that it seeks to control and, consequently, manipulates the situation and people.

Concerning the issue of double citizenship, alarming information was published in one of the Georgian newspapers recently, that the Russian State Duma was preparing a shameless bill on the mass distribution of Russian passports to the citizens of the former Soviet republics, who more or less know the Russian language. They even do not hide in Russia that it will be a kind of annexation, and this method has already been proved in Abkhazia and South Ossetia.

There are some attempts of provocation in Kazbegi, but they could not affect the general situation.

Thanks to the Russian passports, although limited, Georgians still manage to enter Vladikavkaz and buy goods. 100 kg of goods are not the subject to formal customs clearance; Mokheves even cross the border 2 or 3 times a day and supply their shops in Kazbegi district.

Some Russian experts believe that the Georgian-South Ossetian conflicts of the early 1990s and the 2008 war could have strongly prevented neighbors from having friendly and business contacts. But still it is not quite so. North Ossetia continues to be linked with the neighboring country actively developing tourism, trade and uninterrupted family ties. Georgia dominates in the list of the countries with which North Ossetia conducts foreign trade. Today

North Ossetians (included those South Ossetians who migrated there after the first conflict) are involved in trade with or through Georgia. It is easier for them to go to their native places where they still retain both relationship and friendly ties. These contacts in many ways help to lead a joint business. "A lot of our local people buy real estate in Georgia, in the resort area. This speaks of a recovering relationship" - says the director of one of the small Vladikavkaz Touristic firms

‘Notwith’standing the stream of reports on the deterioration of Georgian-Ossetian relations after the Russian-Georgian war of 2008, no cases of mass outflow of Ossetians from Georgia or specific incidences of oppression in the aftermath of the conflict have been observed, though there have been several cases of resettlement to North Ossetia unconnected to the hostilities. Outside the former autonomous region of South Ossetia, there has been no souring of Georgian-Ossetian relations since the war; both communities share similar attitudes to the conflict. (Sordia 2009: 21-22). it is obvious, that traditional interethnic relations are still the same in the border area and are not yet affected by the political situation around.

References:

1. Jalabadze Natia, Religions in the Caucasus Teas, Teas Press, Baku-London, 2016, pg.219-228.
2. Jalabadze Natia, Field Materials , Kazbegi 2017.
3. Sordia Giorgi, Ossetians in Georgia In the Wake of the 2008 War , ECMI Working Paper # 45 European Centre for Minority Issues (ECMI), 2009.
4. 2010 all-Russia population census. [http://www.gks.ru/free doc/new site/perepis2010](http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010)
5. პაპასკირი ლალი, ვლადიკავკაზში საუკუნე-ნახევრის წინ აშენებული ქართული სკოლა დღესაც ფუნქციონირებს <http://gza.ambebi.ge/-qveyana/istoriis-labirinthebi/3835-vladikavkazshi-saukune-nakhevrtsin-ashenebuli-qarthuli-skoladghesac-funcionirebs.html> 22.08.2016

ნათია ჯალაბაძე ინტერეთნიკური ურთიერთობანი სასაზღვრო რეგიონში — საქართველო და ჩრდილოეთ ოსეთი-აღანია

რეზიუმე

სტატია დაიწერა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის — „ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივა ყაზბეგის რაიონში“, ფარგლებში. მასში განხილულია ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდგომი ინტერეთნიკური ურთიერთობები საქართველოსა (ყაზბეგის რაიონი) და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-აღანიას სასაზღვრო რაიონში.

ისტორიულად ოსი და ქართველი ხალხების წარმომადგენლები დღევანდელი სახელმწიფო საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობდნენ. გეოგრაფიული სიახლოვის გამო ისინი ყოველთვის მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. საბჭოთა პერიოდში მათ ინტენსიურ სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ კომუნიკაციას განსაკუთრებით უწყობდა ხელს საზღვარზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზში (მაშინ ორჯონიკიძეში) სახლებიც ჰქონდა ნაყიდი; ყაზბეგის რაიონის ქართველები ვლადიკავკაზის საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, ნაწილი იქ მუშაობდა კიდევ. ქართველებსა და ჩრდილოელ ოსებს შორის ურთიერთობა საუკეთესო იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყაზბეგის რაიონში ყოფითი ინფრასტრუქტურის მოშლის და გაუარესებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, აქაურმა ოსმმა მოსახლეობამ (და მათ შორის, მოხევების ნაწილმაც), უკეთესი მომავლის იმედით, მასიურად დაიწყო გადინება ყაზბეგიდან ჩრდილოეთ ოსეთში; თუმ-

ცადა, ადგილნაცვალი მოსახლეობა კვლავ თავისუფლად კვეთდა საზღვარს, პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე მიტოვებულ სოფლებში და თავიანთთვის ხელსაყრელ საქმიანობას ეწეოდა ორივე სახელმწიფოში.

სიტუაცია გართულდა 2006 წლის შემდგომ, როდესაც რუსეთმა ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დააწესა და ჩაკეტა რუსეთსა და საქართველოს შორის აღნიშნულ სასაზღვრო ზოლში არსებული ერთადერთი ლეგალური სასაზღვრო გამშვები პუნქტი (ღარსი). მოგვიანებით კი, 2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ქართველთა და ჩრდილოეთ ოსთა კომუნიკაციის ტრადიციული ფორმა.

დღეს მეზობელ ქვეყანაში შესვლის წესები განსხვავებულია ქართველებისა და ოსებისათვის: ოსებს აქვთ საზღვარზე თავისუფლად გადაადგილების უფლება, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქე ოსეთში ვიზის გარეშე ვერ შედის. ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისთვის ვლადიკავკაზი, ტერიტორიული სიახლოვის გამო, ტრადიციულად კვლავ რჩება სწრაფი სამედიცინო დახმარების მიღების, ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის წარმოების და სამუშაოს იოლად შოვნის შესაძლებლობად. ამის გამო, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის ნაწილს არაღეგალური ორმაგი მოქალაქეობა აქვს. რუსეთის მოქალაქეებად ყოფნა მათ საშუალებას აძლევს აიღონ რუსული პენსია, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე პენსია საქართველოში, და უპრობლემოდ გადაადგილდნენ საზღვარზე. რუსეთი, რომელსაც საქართველოში საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გააჩნია, რეგიონში შექმნილი სიტუაციითა და ადამიანებით მანიპულირებს.

სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მიუხედავად საქართველოსა და ოსეთს შორის პოსტკონფლიქტური დაძაბულობისა და პოლიტიკოსთა თამაშებისა, ურთიერთობანი ყაზბეგის ქართველებსა და მათ მეზობელ ოსებს შორის არ შეცვლილა და პოლიტიკური ვითარება ჯერჯერობით მასზე გავლენას ვერ ახდენს.

გრიგოლ მარგიანი

მცირე გამოხმაურება რ. თოფჩიშვილის ნაშრომზე „ლენხუმური გეარსახელები“

წინამდებარე მცირე გამოხმაურება ხემს წიგნზე – „ლენხუმური გეარსახელები (დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიიდან)“ – პროფესორმა გრიგოლ მარგიანმა ხელნაწერზე დაწერა. როდესაც ნაშრომი დასაბუქდად მზად მქონდა, ბატონ გრიგოლს მორიდებით შევკადრე მისი წაკითხვა. ის სიამოვნებით დამთანხმდა, ოღონდ მითხრა, რომ ძალიან დატვირთულია და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოახერხებდა წაკითხვას. მოულოდნელად ბატონმა გრიგოლ მარგიანმა ნაშრომი მეორე დღეს დამიბრუნა თავისი შთაბუქდილებით და თან დააყოლა: თქვენი ეს მცირე მოცულობის წიგნი საღამოს სასთუმალთან დავიდე, ვიფიქრე, მოდი ერთი გადავათვალიერებ, რა ნაშრომია, კითხვა დავიწეე და თავი ვეღარ დავანებე; წავიკითხე და დიდად ნასიამოვნებიც დავრჩი, რაც მალე დაბეჭდავ, მით უკეთესი. ბატონი გრიგოლის ეს სურვილი ვერ შევასრულე – მაშინ არცთუ ისე ადვილი იყო ბეჭდვა. რეცენზიის დაწერიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ – 1993 წელს დაისტამბა „ლენხუმური გეარსახელები“.

გრიგოლ მარგიანის გამოხმაურების, შთაბუქდილების დაბეჭდვა კარგა ხნის წინ მიხდოდა, მაგრამ თავს უხერხულად ვგრძნობდი, რადგან მასში შექცებული ვარ. მისი დასტამბვა კი გადამაწვევტინა იმან, რომ „რეცენზიით“ კარგად ჩანს ცნობილი მეცნიერის კეთილშობილება, სხვისი წარმატებით გამოწვეული სიხარული. დავამატებ: ბატონი გრიგოლ მარგიანი ჭეშმარიტად რაინდი გახლდათ, შესანიშნავი მეცნიერი, ბევრი კარგი მეცნიერის მფარველი, მოსიყვარულე ადამიანი, საქართველოს უღამაზესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – სვანეთის ღირსეული შვილი, პატრიოტი ქართველი.

ბატონო როლანდ!

თქვენი ნაშრომი „საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები: 1. ლენხუმი (ასეთი იყო თავდაპირველი საგარეულო სათაური – რ. თ.) გუშინვე წავიღე სახლში და, რაკიდა 1 კვირის ვადა მქონდა, მინდოდა „საკითხავთა რიგში“ ჩამეყენებინა. მაგრამ ჩავიხედე რა პირველ გვერდში, მერმე ვერ მოვწყდი და, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე მთლანად.

მიმაჩნია, რომ ნაშრომის თემატიკის სიახლე და აქტუალურობა დასაბუთებას არ საჭიროებს, ხოლო მისი შესრულების დონე, გნებავთ ხარისხი, ჩემი აზრით, სამაგალითოა. მხედველობაში მაქვს არა მარტო მასალის სიუხვე და მრავალფეროვნება, ასევე მისი ანალიზის სინატიფე, არამედ ამ მასალის ავტორისეული ინტერპრეტაციის სიცხადე და თხრობის უადრესად მიმზიდველი მანერა.

აშკარაა, აკეთებთ დიდებულ საქმეს. გისურვებთ მის წარმატებით დაგვირგვინებას.

ნუ მიწყენთ, ზოგიერთ გვერდზე, ან გვერდის არშიაზე ფანქრით ან კალმით რომ მივაწერე (ფანქრით მიწერილი საშლელთ გაქრება).

დიდი ვახუშტიდან შეიძლება მეტიც მოიშველიოთ (მხედველობაშია კოშკოვანი დასახლების ტიპის მისეული დახასიათება). მართალია დასაველეთ საქართველოს ვახუშტი ისე ევერ იცნობდა როგორც აღმოსაველეთს (ამიტომ ენგური ხომ ჩრდილოეთ კავკასიაში გადაუშვა), მაინც მაქსიმალურ ყურადღებას იმსახურებს მისი „აღწერა“.

სასურველია გამოტოვებული გვარებიც (ვთქვათ ლარცულიანი და სხვა) შეიტანოთ ნაშრომში. გორდეზიანების „რაჭულობა“, ახვლედიანების თაობაზე „გადმოცემების“ არარსებობაც სათუოდ მეჩვენება. ალბათ, „სვანთაკვერიც“ ლენხუმის სვანურობაზე მიგვანიშნებს.

„თაკვერი“, „ლენხუმი“ მშვენივრად გაქვთ გააზრებული და ჩასმული ქრონოლოგიურ ჩარჩოებშიც.

იქნებ ნაყოფიერი აღმოჩნდეს ორივე სვანეთში „ლენხუმ-სვანურ“ გვარებზე დამატებითი ცნობების მოძიება.

ყოველ შემთხვევაში, არაერთ გვარზე ხელშესახებ მონაცემებს იპოვით, შეიტყობთ იმასაც, რომ, მაგალითად, ყიფიანები დღესაც დღეგრძელობენ ზემო სვანეთის უღამაზეს სოფელ წვირშიში, სადაც მათი ძველისძველი ციხის ნაფუძარიც დღემდე შემორჩა.

ტოპონიმიკის მონაცემების უფრო ფართოდ მოშველიებაც, ალბათ, ბევრი რამეთი გაამდიდრებს თქვენს ნაშრომს (ვთქვათ, ზემო რაჭის ოდინდელი სვანურობა ხომ ტოპონიმიკით დასტურდება და იქიდან მოსახლეობის ლენხუმში ჩასახლებაში „ტომით“ სვანებიც ხომ შეიძლება ვივარაუდოთ?!).

რა თქმა უნდა, სრულყოფას არ გააჩნია საზღვარი.

მთავარი ისაა, რომ თქვენი ნაშრომი, ჩემი აზრით, მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული გამოკვლევაა, თანაც, მკითხველს არა თუ თავს ატკენს (როგორც ბევრი გამოკვლევა), არამედ მოხიბლავს და ინტერესით დამუხტავს.

კეთილი სურვილებით გრ. მარგიანი.

12. 04. 88.

ქ. თბილისი

სარჩევი

რედაქტორისაგან.....	3
როლანდ თოფჩიშვილი ალექსი რობაქიძე – საქართველოში კავკასიის ეთნოლოგიის კვლევის საფუძველჩამყრელი	6
ნანული აზიკური ყველის წარმოება როგორც კულტურული მემკვიდრეობა (ცხვრის გუდის ყველი).....	13
სალომე ბახია-ოქრუაშვილი ქართველთა და სომეხთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები (ურთიერთშედარებითი ასპექტი).....	32
ბახვა გამყრელიძე ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში.....	67
როზეტა გუჯუჯიანი ალექსი რობაქიძე და სვანეთის ეთნოგრაფიის საკითხები.....	157
როლანდ თოფჩიშვილი ილია ჭავჭავაძე და ეთნოლოგია.....	165
ირმა კვაშილავა ახალი ხევის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება (XX საუკუნის საარქივო მასალების მიხედვით).....	186
მზია ტყავაშვილი ფლავიუს არიანეს ცნობები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხების შესახებ.....	201

მირიან ხოსიტაშვილი

თბილისის საგარეუბნო ზონისა და საქალაქო (ურბანული) აგლომერაციის ურთიერთმიმართების ისტორიული და კულტურულ-სოციალური ასპექტები218

ლავერენტი ჯანიაშვილი

გაზიარებული სალოცავი და ტრადიციული დღესასწაული ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ფონზე (ქართულ-ოსური ურთიერთობა ყაზბეგის რეგიონში226

Natia Jalabadze

Interethnic Relations in the Borderlands – the Case of Georgia and North Ossetia-Alania 245

გრიგოლ მარგიანი

მცირე გამომხატურება რ. თოფჩიშვილის ნაშრომზე „ლენხუმური გვარსახელები”254